

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა

ხელნაწერის უფლებით

ალექსანდრე უბირია

დემოგრაფიული ფაქტორი და მწვანე პოლიტიკის პრობლემა  
თანამედროვე ისტორიულ პროცესებში

ისტორიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი  
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლეილა (ია) ხუბაშვილი  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი  
ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2025

## აბსტრაქტი

თანამედროვე ისტორიულ პროცესებში არსებული გამოწვევებიდან სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს ეკოლოგიურ ფაქტორთან დაკავშირებული პრობლემები. ეკოლოგიური პრობლემების გამწვავება ძირითად შემთხვევაში ანთროპოგენურ ფაქტორთან არის დაკავშირებული, რაც დემოგრაფიულ ფაქტორთან პირდაპირ კავშირშია.

დემოგრაფიული ციკლების ქაოტურობა ისტორიაში ყოველთვის რეგრესული იყო. თანამედროვე პრობლემების მთავარ კატალიზატორად კვლავ აღნიშნული მოვლენის უკონტროლობა გვევლინება. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის ტემპები ათწლეულების განმავლობაში შენელებულია, დემოგრაფიული აფეთქება გრძელდება და ცალკეულ რეგიონებსა და ქვეყნებში ჭარბმოსახლეობის საშიშროებას წარმოქმნის, ხოლო ეს უკანასკნელი ყველაზე დიდ ზიანს ბუნებრივ გარემოს აყენებს.

ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხესთან ერთად, ჭარბმოსახლეობა ამწვავებს ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს. რესურსებისთვის ომები ანაცვლებენ ცივილიზაციურ დაპირისპირებას, კლასიკური იდეოლოგიები ეკოლოგიზმზე ორიენტირით ცვლილებებს განიცდიან და ზოგ შემთხვევაში ეკორადიკალიზმის სახესღებულს, რომელიც გლობალური უსაფრთხოების ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ გამოწვევად იქცა. ეკოტერორიზმის, რომელიც ხშირ შემთხვევაში მიგრაციული კრიზისის შედეგია, შესაძლო ალტერნატივას წარმოადგენს მწვანე პოლიტიკის ტრანსფორმაციის აუცილებლობა (მოსახლეობის დინამიკაზე აქცენტირება).

დემოგრაფიული ციკლების ქაოტურობა წარმოადგენს კაცობრიობის რეგრესს, რომელსაც მხოლოდ სწორად დაგეგმილი დემოგრაფიული პოლიტიკა დაასრულებს, რაც თავის მხრივ, გახდება გლობალური უსაფრთხოების გარანტი.

## Abstract

From the existing challenges in the contemporary historical processes, the problems connected to the ecological factors gain more and more attention. Aggravation of the ecological problems, in most cases, is connected to the anthropogenic factors, which is directly connected with the demographic factor.

The randomness of the demographical cycles in the history has always been the formative of regress. The main catalyst of the contemporary problems has been losing control of the above mentioned phenomenon. In spite of the fact that the growth's tempo of the world's population has been slowing during the decades, the demographic explosion continues and creates the risk of overpopulation in the specific regions and countries. Overpopulation greatly damages the natural environment.

With the creation of the ecological catastrophe's peril, overpopulation aggravates economic and social-political processes. The wars for the resources replace civilizational opposition. Except of this, classical ideologies are being changed, and in some cases get the form of ecoradicalism, which is expressed as the orientation on the Ecologism, but the formation of the Ecoterrorism has to be paid much more attention, which has been formed as one of the most serious challenge for the global security. Ecoterrorism which in most cases is the result of migration crisis, has possible alternative as the transformation of green politics (accentuation dynamics of population).

The randomness of the demographical cycles represents the regress of the mankind, which is possible to be ended by the well evaluated human population planning and on it hand, it will become the guarantee of the global security.

# შინაარსი

აბსტრაქტი .....	II
Abstract.....	III
შესავალი.....	1
თავი პირველი. დემოგრაფიული ფაქტორი თანამედროვე ისტორიულ პროცესებში. ეკოლოგიური კატასტროფა. რესურსების დეფიციტი. ძალადობის ახალი ფორმები..	11
1.1. დემოგრაფიული აფეთქება - დემოგრაფიული ციკლების დაუსრულებელი ფორმა .....	11
1.2. მოსახლეობის ზრდა, ჭარბმოსახლეობა და ეკოლოგიური კრიზისის ანთროპოგენური ფაქტორი .....	28
1.3. ეკოლოგიური კრიზისი და რესურსების დეფიციტი, როგორც ძალადობის (შეიარაღებული კონფლიქტები; საიმიგრაციო კრიზისი) მთავარი კატალიზატორი .....	36
თავი მეორე. მწვანე პოლიტიკის ტრანსფორმაციის აუცილებლობა და ეკორადიკალიზმი.....	51
2.1. მწვანე პოლიტიკა და დემოგრაფიული ფაქტორი .....	51
2.2. ეკოფაშიზმის პოლიტიკური ფილოსოფია და ძალადობის ახალი ფორმები .....	69
2.3. ტრანსფორმირებული ეკოსოციალიზმი, როგორც ეკოტერორიზმის ერთ-ერთი მთავარი ალტერნატივა .....	88
თავი მესამე. ეკოლოგიური უსაფრთხოება - გლობალური უსაფრთხოების ფუნდამენტი. მწვანე დიპლომატია და დემოგრაფიული პროცესების რეგულირება..	97
3.1. დემოგრაფიული პოლიტიკის მაგალითები ქვეყნებში და მისი ისტორიული მნიშვნელობა.....	97
3.2. მწვანე დიპლომატია და მსოფლიოს მოსახლეობის სტაბილიზაცია. ეკოდემოგრაფიული დიპლომატია. ....	108
3.3. თანამედროვე ეკოდემოგრაფიული რეალობა. დემოგრაფიული პოლიტიკის სპეციფიკა და შედარებითი ანალიზი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე.....	114
3.4. მწვანე ეკონომიკა და მოსახლეობის დინამიკა .....	157

დასკვნა.....	165
ბიბლიოგრაფია.....	170

## შესავალი

კაცობრიობის ისტორიაში დემოგრაფიულ ფაქტორს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მოსახლეობის დინამიკით უძველესი დროიდან ინტერესდებოდნენ. ამ მხრივ, აღსანიშნავია ძველი ბერძენი ფილოსოფოსების პლატონის და არისტოტელეს, ჩინელი ფილოსოფოსების კონფუცისა და ხან ფეის მოსაზრებები. დემოგრაფიული ფაქტორის გავლენა ისტორიულ პროცესებზე უდავოა, განსაკუთრებით დღეს, XXI საუკუნეში, როდესაც დემოგრაფიული აფეთქების საფრთხემ და მის მიერ გამოწვეულმა ჭარბმოსახლეობამ გაამწვავა ეკოლოგიური პრობლემები და მსოფლიო ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დააყენა. ეს ყოველივე დემოგრაფიული ციკლების ქაოტურობის შედეგია.

დემოგრაფიული აფეთქება, მოსახლეობის სწრაფი ტემპებით ზრდა ისტორიულად ყოველთვის საარსებო პრობლემებთან იყო დაკავშირებული, და მათი გადაჭრა დროებით, „ახალი სივრცის“ ათვისების ხარჯზე ხდებოდა, რაც XX-XXI საუკუნეებში შეუძლებელი გახდა; წინა საუკუნეებთან შედარებით თანამედროვეობაში რესურსების დეფიციტს, შიმშილს და სიღარიბეს დაემატა ეკოლოგიური პრობლემები (ტყის ფართობის შემცირება მსოფლიო მასშტაბით, ბუნებრივი გარემოს დაბინძურება, ბიომრავალფეროვნების განადგურება, გლობალური დათბობა და სხვ.). ეკოლოგიური უსაფრთხოება ფაქტობრივად გლობალური უსაფრთხოების სინონიმად იქცა. ეკოლოგიური პრობლემები წარმოქმნიან და ამწვავებენ ეკონომიკურ და სოციალ-პოლიტიკურ პრობლემებს.

XXI საუკუნის საფრთხეები და გამოწვევები, იქნება ეს ლოკალური თუ გლობალური, ძირითად შემთხვევაში ანთროპოგენურ ფაქტორთან არიან მჭიდრო კავშირში, რაც რასაკვირველია, დემოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობაზე მიუთითებს. შეიძლება ითქვას, რომ წინა საუკუნეებისგან განსხვავებით, ზემო ხსენებული ახალი საფრთხის (ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროება) წარმოქმნასთან ერთად ასევე ე.წ. ძველი პრობლემებიც მწვავდება (სიღარიბე, უმუშევრობა, შიმშილი და ა.შ.) ვინაიდან, ის სივრცე, რომელიც წინა საუკუნეებში არსებობდა, ათვისებულია, ხოლო დღეს ახალი სივრცის ათვისება ძირითად შემთხვევაში ტყის ფართობის ხარჯზე ხდება, რაც ტყის მასობრივ განადგურებას

იწვევს გლობალურ დონეზე. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტყის არეალის დაკავება მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის პირობებში დროებით ხასიათს ატარებს, მოსახლეობის მუდმივი ზრდა კი შეუძლებელია.

თანამედროვე ისტორიულ პროცესებში ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევა საიმიგრაციო კრიზისია, რომლის პირობებშიც ძალადობის ახალი ფორმების ჩამოყალიბება იწყება (ეკოტერორიზმი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ეკოფაშიზმში ვლინდება). ეკოფაშიზმი საკმაოდ რთულ მოვლენას წარმოადგენს, რომელიც ეკოლოგიური პრობლემების გამწვავებასთან ერთად უფრო მეტი ადამიანისთვის ხდება ერთადერთი გამოსავალი; ერთის მხრივ, საუბარია იმიგრანტების მიმართ ძალადობრივი ქმედებების განხორციელებაზე, მეორე მხრივ, ეკოდიქტატურის ჩამოყალიბებაზე, რომელიც რიგ შემთხვევაში განიხილება როგორც ეკოფაშიზტური მოვლენა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რეალურად ეკოდიქტატურა (ეკორადიკალიზმი) მხოლოდ ეკოფაშიზმის გამოვლინებას არ წარმოადგენს და გამოწვეულია ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვის იგნორირებით, ეკოლოგიური კატასტროფა გლობალური გამოწვევაა, ვინაიდან, ეკოლოგიურ პრობლემებს არ გააჩნიათ საზღვრები, ხოლო თავის მხრივ, ეკოლოგიური უსაფრთხოება გლობალური უსაფრთხოების ფუნდამენტს წარმოადგენს. ამიტომ დღეს ეკოლოგიის საკითხი და პოლიტიკური პროცესები განუყოფელი არიან, ხოლო მთავარ მამოძრავებელ ძალად დემოგრაფიული ფაქტორი გვევლინება. მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებში არსებული საფრთხეებისგან დაზღვეული არც საქართველოა, სადაც დეპოპულაციის მიუხედავად მოსახლეობა იმიგრაციის ხარჯზე იზრდება, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2025 წლის 1 იანვრისათვის მოსახლეობის რაოდენობამ 3 მილიონ 704 ათას ადამიანი შეადგინდა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 9,9 ათასით მეტია,<sup>1</sup> მაგრამ საიმიგრაციო კრიზისი და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხი საქართველოსთვისაც დიდ პრობლემას წარმოადგენს.

ეკორადიკალიზმი მხოლოდ ეკოფაშიზმით არ შემოიფარგლება. ყურადღებას იპყრობს მწვანე ანარქიზმი და ეკოსოციალიზმი. ეკოსოციალიზმი ამ ეტაპზე

---

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოსახლეობა და დემოგრაფია. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia> (ბოლო ნახვა: 05.05.2025)

ეკოტერორიზმის მხრივ არ გამოირჩევა, თუმცა რაც შეეხება მწვანე ანარქიზმს, ის ეკოტაჟს მიმართავს, რომელიც ძირითად შემთხვევაში ეკონომიკური ზიანის მიყენებით გამოირჩევა. თუ ჭარბმოსახლეობა ეკოფაშიზმს ააქტიურებს, ეკოტაჟის მთავარი მიზეზი ჭარბმომხმარება არის, რაც დემოგრაფიული აფეთქების და ჭარბმოსახლეობის გარდა, ასევე დიდ ზიანს აყენებს ბუნებრივ გარემოს და ამწვავებს ეკოლოგიურ კრიზისს.

ამ ფონზე მნიშვნელოვანია კლასიკურ იდეოლოგიებში მწვანე იდეის დამკვიდრება, რაც კონკრეტულ იდეოლოგიაში მწვანე პოლიტიკაზე აქცენტირებას ნიშნავს, თუმცა ამ ეტაპზე ასეთ დამკვიდრებას მნიშვნელოვანი როლი ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში, განსაკუთრებით გლობალურ დონეზე არ შეუსრულებია.

დემოგრაფიული პროცესების რეგულირების დამკვიდრების აუცილებლობას მწვანე იდეოლოგიებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორც ეკოტერორიზმის შეჩერების ერთდერთ ჰუმანურ ალტერნატივას. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად ეს უკანასკნელი წარუმატებელი აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, დემოგრაფიული პოლიტიკა საჭიროებს გადახედვას და კარდინალური ცვლილებების შეტანას. ეკოლოგიური უსაფრთხოება, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გლობალური უსაფრთხოების ფუნდამენტს წარმოადგენს, ამიტომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს მწვანე თეორია, რომელიც სხვა თეორიებისგან (რეალიზმი; ლიბერალიზმი; კონსტრუქტივიზმი და სხვ.) განსხვავებით ძირითად აქცენტს ეკოლოგიურ პრობლემებზე აკეთებს. ამ კუთხით საინტერესოა „მწვანე დიპლომატიის“ (კლიმატური დიპლომატიის) ფორმირება, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ეკოლოგიზმის დამკვიდრებას საზოგადოებაში და შეიძლება ითქვას, რომ ეს არის გლობალიზაციის ახალი ფორმა.

**ქრონოლოგიური ჩარჩოები.** კვლევაში აქცენტი კეთდება XX საუკუნის მიწურულიდან დღევანდელობამდე პერიოდზე, როდესაც პიკს აღწევს მსოფლიო მოსახლეობის ბუნებრივი მატება (1990 წელი) და განსაკუთრებით მწვავდება ეკოლოგიური პრობლემები და რესურსების დეფიციტი. აღნიშნულ პერიოდში კაცობრიობისთვის, რომელიც პირველად ისტორიაში ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დადგა, „ისტორიის დასასრული“ (როგორც სოციალისტური ბანაკის ლიკვიდაციის შედეგი) არ შედგა, ცივილიზაციურ კუთვნილებაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, რესურსებით

უზრუნველყოფა აღმოჩნდა. გარდა ამისა, აღნიშნულ პერიოდში იწყება იდეოლოგიების ტრანსფორმაცია და ახალი იდეოლოგიების ფორმირება.

**კვლევის მეთოდოლოგიური ბაზა.** კვლევა დაფუძნებულია ისტორიზმის, ისტორიულ-ტიპოლოგიური, სტრუქტურული და სისტემური კვლევის, მიზეზ-შედეგობრივი ანალიზისა და კონტენტ ანალიზის მეთოდებზე. კვლევაში ასევე გამოყენებულია სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, დაჯგუფებისა და შედარებითი ანალიზის მეთოდი.

**მეცნიერული სიახლე და აქტუალობა.** დემოგრაფიული ფაქტორის გავლენის შედეგად გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემები იდეოლოგიების ტრანსფორმაციის კატალოზატორები ხდებიან. ამ მხრივ აღსანიშნავია ორი მომენტი: კლასიკურ იდეოლოგიებში ეკოლოგიზმზე აქცენტირება (მწვანე ანარქიზმი, მწვანე კონსერვატიზმი, მწვანე ლიბერალიზმი, ეკონაციონალიზმი, ეკოსოციალიზმი და სხვ.) და მწვანე პოლიტიკის (მწვანე იდეის) ტრანსფორმაცია, რომელიც ძირითად შემთხვევაში გამოიხატება როგორც ეკოლოგიზმის რადიკალიზაციაში (ეკოტერორიზმი), ასევე ეკოლოგიზმში დემოგრაფიულ პროცესებზე მნიშვნელოვანი ორიენტირებით. აღნიშნული საკითხების შესწავლა-გაანალიზება წარმოადგენს სამეცნიერო კვლევის აქტუალობას და ისახლეს, რაც შეიძლება ასე დაჯგუფდეს:

1. კლასიკური იდეოლოგიების ტრანსფორმაცია და მათთან დაკავშირებული საფრთხეები, რაც თანამედროვე ისტორიულ პროცესებში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს; ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკორადიკალიზმის (ეკოტერორიზმი) ფორმირების მიზეზები და ალტერნატივა. ეკორადიკალიზმი წარმოადგენს უახლეს და ამავდროულად რთულ მოვლენას, რომელიც მკვიდრდება როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენეთა წრეებში. აუცილებელია დადგინდეს ეკორადიკალიზმის (ეკოტერორიზმის) ფორმირების მიზეზი და შესაბამისად, მოძიებულ იქნას აღნიშნული გამოწვევის ალტერნატივა, ვინაიდან, ეკოტერორიზმი გლობალური უსაფრთხოების ერთ-ერთ ყველაზე დიდ საფრთხედ გვევლინება. გარდა ალტერნატიული გზების ძიებისა, საჭიროა გამიჯნულ იქნას ერთმანეთისგან ისეთი იდეოლოგიები როგორცაა: ეკოფაშიზმი, ეკორადიკალიზმი და ეკოლოგიზმი (ენვაირონმენტალიზმის მიმდინარეობები), რაც რიგ შემთხვევებში იგივდება და რაც ყოვლად დაუშვებელად მიგვაჩნია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ძალადობის ახალი ფორმების წარმოქმნისას ღრმა ეკოლოგიის, ტრადიციონალიზმის და ნეოფაშიზმის ურთიერთქმედებას (იტალიელი ფილოსოფოსის იულიუს ევოლას იდეების გავლენა ეკორადიკალიზმზე, გერმანელი ფილოსოფოსის ფრიდრიხ ნიცშეს, ფინელი ღრმა ეკოლოგის პენტი ლინკოლას და ამერიკელი ფილოსოფოსის ტედ კაჩინსკის ეკორადიკალიზმზე გავლენის ფონზე).

2. ეკოლოგიური კატასტროფა და მწვანე პოლიტიკის ტრანსფორმაციის აუცილებლობა

3. ტრანსფორმირებული ეკოსოციალიზმი, როგორც ეკოტერორიზმის ერთ-ერთი მთავარი ალტერნატივა

4. დემოგრაფიული პოლიტიკა, როგორც თანამედროვე პრობლემების ერთადერთი ჰუმანური ალტერნატივა. თუმცა მიგვაჩნია, რომ შობადობის კონტროლის განხორციელება აუცილებლად უნდა ხდებოდეს ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე. ამგვარი დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება თავის მხრივ წარმოადგენს სიახლეს.

5. „ახალი მწვანეების“, როგორც ტრანსფორმირებული ეკოლოგიზმის მიმდინარეობების ფორმირება, რომლებიც ორიენტირებულები არიან დემოგრაფიულ ფაქტორზე, თუმცა ამასთანავე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტრადიციონალიზმს.

**ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა.** საკვლევი საკითხის ინტერდისციპლინარული ხასიათიდან გამომდინარე, კვლევაში გამოყენებულია, როგორც ისტორიკოსების, ანალების სკოლის წარმომადგენლების, ისე გიოლოგების, სოციოლოგებისა და ეკონომისტების ნაშრომები. კვლევა დაფუძნებულია: გაეროსა და მსოფლიო ბანკის სტატისტიკურ მონაცემებზე,<sup>2</sup> რომელიც საშუალებას გვაძლევს შევადაროთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებისა და კონტინენტების მოსახლეობის დინამიკა, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის და მოსახლეობის სიმჭიდროვის ცვლილება. ასევე უმნიშვნელოვანესია სხვადასხვა სტატისტიკური დოკუმენტები, რომელთა

---

<sup>2</sup> Demographic Yearbook UN

მეშვეობით შესაძლებელი ხდება ჩვენს საკვლევ პერიოდში ტყის ფართობის<sup>3</sup> ცვლილების და რა თქმა უნდა, უკიდურესი სიღარიბის დინამიკის შედარება.<sup>4</sup>

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინგლისელი დემოგრაფის და ეკონომისტის თომას მალთუსის ნაშრომს („ნარკვევები მოსახლეობის შესახებ“),<sup>5</sup> რომელიც დემოგრაფიული აფეთქების მიერ გამოწვეული ჭარბმოსახლეობის პრობლემის შესახებ ერთ-ერთი პირველი ნაშრომია (საყურადღებოა ასევე ბრიტანელი ეკონომისტის რობერტ უოლესის ნაშრომი („Wallace D.D. Robert. A Dissertation on the Numbers of Mankind, in Ancient and Modern Times“), რომელიც 1753 წელს გამოქვეყნდა).<sup>6</sup>

დემოგრაფიული ფაქტორის გავლენის და დემოგრაფიული ციკლების შესწავლის საკითხში უდიდესი როლი შეასრულებს როგორც ანალების სკოლის წარმომადგენლებმა, კერძოდ ფრანგმა ისტორიკოსებმა ფერნან ბროდელმა<sup>7</sup> და პიერ შონიუმ,<sup>8</sup> ასევე რუსმა ისტორიკოსმა სერგეი ნეფიოდოვმა („Концепция демографических циклов“).<sup>9</sup>

უახლეს პერიოდში აღსანიშნავია ფრანგი დემოგრაფის ადოლფ ლანდრის,<sup>10</sup> ანატოლი ვიშნევსკის („Демографический взрыв и его проблемы“)<sup>11</sup> პოლ ერლიხის („The Population Bomb. Population Control or race to oblivion?“),<sup>12</sup> პოლ ნორათის („Neurath Paul. From Malthus to the Club of Rome and Back. Problems of Limits to Growth, Population Control, and Migrations.“),<sup>13</sup> ჯეკ გოლდსტოუნის („Revolution and Rebellion in

---

<sup>3</sup> Global Forest Resources Assessment 2020. Main Report. Food and Agriculture Organization of the United Nations. Rome, 2020.

<sup>4</sup> Reversals of Fortune. Poverty and Shared Prosperity. World Bank Group 2020.

<sup>5</sup> Malthus Thomas. An Essay on the Principle of Population. London, 1798. Electronic Scholarly Publishing Project, 1998.

<sup>6</sup> Wallace D.D. Robert. A Dissertation on the Numbers of Mankind, in Ancient and Modern Times. Second edition, revised and corrected. Edinburgh, 1809.

<sup>7</sup> Бродель Ф. Структуры повседневности: возможное и невозможное. Материальная цивилизация, экономика и капитализм, XV-XVIII вв. Том 1. Издательство «Прогресс», Москва, 1986.

<sup>8</sup> Шоню П. Цивилизация классической Европы. Екатеринбург, У-Фактория, 2005.

<sup>9</sup> Нефёдов С.А. Концепция демографических циклов. Екатеринбург, Издательство УГГУ, 2007.

<sup>10</sup> Ландри Адольф. Демографическая Революция.

<https://www.demoscope.ru/weekly/2014/0611/nauka02.php> (ბოლო ნახვა: 05.02.2025)

<sup>11</sup> Вишневский А.Г. Мировой демографический взрыв и его проблемы. М., «Знание», 1978.

<sup>12</sup> Ehrlich Paul R. The Population Bomb. Population Control or race to oblivion? Ballantine Books, New York, 1968.

<sup>13</sup> Neurath Paul. From Malthus to the Club of Rome and Back. Problems of Limits to Growth, Population Control, and Migrations. Routledge, 2015. E-book edition.

the Early Modern World. Population Change and State Breakdown in England, France, Turkey and China, 1600-1850.“)<sup>14</sup> ნაშრომები, გარდა ამისა ანთროპოგენური ფაქტორის, მოსახლეობის ზრდის და მდგრადი განვითარების საკითხში უმნიშვნელოვანესია რომის კლუბის ინიციატივით გამოქვეყნებული მოხსენება და ნაშრომი („The Limits to Growth“<sup>15</sup>; „Limits to Growth. The 30-Year Update“).<sup>16</sup>

შიმშილით გამოწვეული პროცესების შესწავლისას მეტად საყურადღებოა სოციოლოგის პიტირიმ სოროკინის ნაშრომი („Hunger as a Factor in Human Affairs“),<sup>17</sup> ასევე გამოუკვებავი მოსახლეობის სტატისტიკის შედარებისას გაეროს მასალები.<sup>18</sup>

დემოგრაფიული აფეთქების და ჭარბმოსახლეობის პრობლემის მიერ ეკოლოგიური კრიზისის გამწვავების და შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების საკითხებზე საუბრისას აღსანიშნავია ამერიკელი ბიოლოგის ჯარედ დაიმონდის ნაშრომი („Collapse“).<sup>19</sup>

ეკოლოგიური პრობლემების გამწვავების ფონზე მწვანე იდეოლოგიების და ეკო ტერორიზმის შესწავლის საკითხში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია არნე ნესს („The Shallow and the Deep, Long-Range Ecology Movement“)<sup>20</sup> და ჯორჯ სემსსი („Deep Ecology for the Twenty-First Century“)<sup>21</sup>

---

<sup>14</sup> Goldstone Jack A. Revolution and Rebellion in the Early Modern World. Population Change and State Breakdown in England, France, Turkey and China, 1600-1850. Routledge. New York, 2016.

<sup>15</sup> The Limits to Growth. A Report for the Club of Rome’s Project on the Predicament of Mankind. Donella H. Meadows, Dennis L. Meadows, Jorgen Randers, William W. Behrens III. Universe Books, New York. 1972.

<sup>16</sup> Limits to Growth. The 30-Year Update. Donella Meadows, Randers Jorgen, Dennis Meadows. Earthscan, London, 2005.

<sup>17</sup> Sorokin A. Pitirim. Hunger as a Factor in Human Affairs. The University Presses of Florida, 1975.

<sup>18</sup> FAO, IFAD, UNICEF, WFP and WHO. 2021. The State of Food Security and Nutrition in the World 2021. Transforming food systems for food security, improved nutrition and affordable healthy diets for all. Rome, FAO. <https://doi.org/10.4060/cb4474en>

FAO, IFAD, UNICEF, WFP and WHO. 2022. The State of Food Security and Nutrition in the World 2022. Repurposing food and agricultural policies to make healthy diets more affordable. Rome, FAO. <https://doi.org/10.4060/cc0639en>

FAO, IFAD, UNICEF, WFP and WHO. 2023. The State of Food Security and Nutrition in the World 2023. Urbanization, agrifood systems transformation and healthy diets across the rural–urban continuum. Rome, FAO. <https://doi.org/10.4060/cc3017en>

FAO, IFAD, UNICEF, WFP and WHO. 2024. The State of Food Security and Nutrition in the World 2024 – Financing to end hunger, food insecurity and malnutrition in all its forms. Rome. <https://doi.org/10.4060/cd1254en>

<sup>19</sup> Diamond Jared. Collapse. Penguin Books. London, 2005.

<sup>20</sup> Naess Arne (1973) The Shallow and the Deep, Long-Range Ecology Movement. A Summary. Inquiry, 16, 95-100.

<sup>21</sup> Deep Ecology for the Twenty-First Century. Edited by George Sessions. Shambhala Publications, inc. Boston & London, 1995.

მწვანე პოლიტიკის და სრულიად მწვანე იდეოლოგიების ფორმირების საკითხში აღსანიშნავია დერეკ უოლის („The No-Nonsense Guide to Green Politics“;<sup>22</sup> „Babylon and Beyond. The Economics of Anti-Capitalist, Anti-Globalist and Radical Green Movements“)<sup>23</sup> ნაშრომები.

ეკოსოციალიზმის კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკოსოციალიზმის მანიფესტს,<sup>24</sup> ეკოსოციალიზმის დამფუძნებლის ჯოელ კოველის („The enemy of nature. The end of capitalism or the end of the world?“),<sup>25</sup> იაპონელი ფილოსოფოსი კოჰეი საიტოს („Karl Marx’s Ecosocialism. Capitalism, Nature, and the Unfinished Critique of Political Economy“;<sup>26</sup> „Marx in the Anthropocene. Towards the Idea of Degrowth Communism“)<sup>27</sup> და ამერიკელი სოციოლოგის ჯონ ბელამი ფოსტერის („Marx’s Ecology.“)<sup>28</sup> ნაშრომებს.

ეკორადიკალიზმის შესწავლის საკითხში საყურადღებოა სემ მურის და ალექს რობერტსის („The Rise of Ecofascism. Climate Change and The Far right“),<sup>29</sup> ჯანეტ ბიელის და პიტერ სტაუდენმაიერის („Ecofascism: lessons from the German experience“)<sup>30</sup> ნაშრომები.

ეკოლოგიური კატასტროფის ალტერნატივასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ფინელი ღრმა ეკოლოგის პენტი ლინკოლას („Linkola Pentti. Can Life Prevail?“)<sup>31</sup> და ამერიკელი ფილოსოფოსის სარა კონლის („One Child. Do We Have a Right to More?“)<sup>32</sup> ნაშრომები. ორივე ნაშრომში ავტორები ოჯახის დაგეგმვის მხრივ მხარს უჭერენ ერთი შვილის ყოლას გლობალურ დონეზე. ჩვენი აზრით, ასეთი პოლიტიკის განხორციელება ქვეყნების დემოგრაფიული პროცესების სპეციფიკის

---

<sup>22</sup> Wall Derek. The No-Nonsense Guide to Green Politics. New Internationalist Publications, Oxford, 2010.

<sup>23</sup> Wall Derek. Babylon and Beyond. The Economics of Anti-Capitalist, Anti-Globalist and Radical Green Movements. Pluto Press, London, 2005.

<sup>24</sup> EcoSocialist Manifesto. Joel Kovel and Michael Lowy. Paris, Sept 2001.

<sup>25</sup> Kovel Joel. The enemy of nature. The end of capitalism or the end of the world? Zed Books, London. 2007.

<sup>26</sup> Saito Kohei. Karl Marx’s Ecosocialism. Capitalism, Nature, and the Unfinished Critique of Political Economy. Monthly Review Press. New York, 2017.

<sup>27</sup> Saito Kohei. Marx in the Anthropocene. Towards the Idea of Degrowth Communism. Cambridge University Press, 2022.

<sup>28</sup> Foster John Bellamy. Marx’s Ecology. Monthly Review Press. New York, 2000.

<sup>29</sup> Moore Sam & Roberts Alex. The Rise of Ecofascism. Climate Change and The Far right. Polity Press, 2022.

<sup>30</sup> Biehl Janet and Staudenmaier Peter. Ecofascism: lessons from the German experience. Edinburgh, AK Press, 1995.

<sup>31</sup> Linkola Pentti. Can Life Prevail? Arktos, 2011.

<sup>32</sup> Conly Sarah. One Child. Do We Have a Right to More? New York, Oxford University Press. Kindle

გათვალისწინების გარეშე ჩვენი აზრით დაუშვებელია, ვინაიდან, მრავალ ქვეყანაში ასეთი ვითარება პირიქით გაამწვავებს დემოგრაფიულ კრიზისს.

ასევე არ ვიზიარებთ მარქსისტების პოზიციას ჭარბმოსახლეობის პრობლემასთან დაკავშირებით (ა. ბებელი („Society of the Future“);<sup>33</sup> ვ. ლენინი („Рабочий класс и неомальтузианство“);<sup>34</sup> ა. პოპოვი („Современное мальтузианство – человеконенавистническая идеология империалистов“);<sup>35</sup> მ. რინდინა („Современное мальтузианство“);<sup>36</sup> ი. რუბინი („Наследники Мальтуса. За фасадом буржуазных теорий“))<sup>37</sup> რადგან მათი მხრიდან ძირითადი არგუმენტი მხოლოდ ანტიკაპიტალიზმია, რაც არ არის სწორი მიდგომა, როდესაც საუბარია დემოგრაფიულ ფაქტორზე და მითუმეტეს ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე. მხოლოდ მარქსიზმის პოზიციებიდან გამომდინარე ჭარბმოსახლეობის პრობლემის უარყოფა არ არის მართებული და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, არ არის გათვალისწინებული ეკოლოგიური ფაქტორი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია დემოგრაფიული ფაქტორის კვლევა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ცნობილი ქართველი დემოგრაფები ვ. ლორთქიფანიძე, პ. გუგუშვილი, ნ. ადეიშვილი, ა. თოთაძე, გ. მელაძე, ა. სახვაძე, გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. სულაბერიძე, ლ. ჩიქავა, გ. ფირცხალავა, ვ. ჯაოშვილი, თავიანთ კვლევებსა და ნაშრომებში სწავლობდნენ და აღწერდნენ თანამედროვე დემოგრაფიულ ტენდენციებს საქართველოში, მათ რეგიონულ თავისებურებებს და პრობლემებს. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა საქართველოს რეგიონებზე, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებლების თავისებურებებზე. დემოგრაფიული სტატისტიკის მეთოდების გამოყენებას დემოგრაფიული ანალიზის პროცესში არაერთი ნაშრომი მიუძღვნეს პროფესორებმა გ. გამყრელიძემ, შ. ბერაძემ, ს. გელაშვილმა, ნ. აბესაძემ, მ. შელიამ, მ. ხმალაძემ, ქ.

---

<sup>33</sup> Bebel August. Society of the Future. Progress Publishers, Moscow, 1971.

<sup>34</sup> Ленин В.И. Полное собрание сочинений. Издание пятое. Издательство политической литературы. Москва, 1973.

<sup>35</sup> Попов А.Я. Современное мальтузианство – человеконенавистническая идеология империалистов. Государственное издательство политической литературы. 1953

<sup>36</sup> Рындина М. Современное мальтузианство. Государственное издательство политической литературы. Москва, 1956

<sup>37</sup> Рубин Я.И. Наследники Мальтуса. За фасадом буржуазных теорий. Издательство политической литературы. Москва, 1983

ჩიტალამემ და სხვებმა, მაგრამ კონკრეტულად ჩვენს საკვლევ საკითხზე ფუნდამენტური გამოკვლევა არ მოიძებნა.

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.** კვლევაში შესწავლილი და გაანალიზებული მეცნიერული სიახლეები შესაძლებელია, გამოყენებულ იქნას როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ისე სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სალექციო კურსის მოსამზადებლად სწავლების როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურზე.

**კვლევის რეკომენდაცია.** კვლევის სიღრმისეული ანალიზის შედეგად რეკომენდაციის სახით მიგვაჩნია, რომ XXI საუკუნის ტრანსფორმირებულ იდეოლოგიებში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს დემოგრაფიულმა ფაქტორმა, წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიოში სხვადასხვა სახის პრობლემები კიდევ უფრო გამწვავდებიან და მუდმივად იქნება ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროება, რომლის პირობებში შეუძლებელი იქნება გლობალური უსაფრთხოების შენარჩუნება.

**ნაშრომის სტრუქტურა.** ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილის, სამი თავის, ათი ქვეთავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან.

**ნაშრომის აპრობაცია.** დისერტაციის ნაწილები აპრობირებულია დოქტორანტის (სამეცნიერო კვლევითი პროექტი) კოლოქვიუმებზე, სამეცნიერო კონფერენციებზე (ადგილობრივი და საერთაშორისო), სამეცნიერო სტატიებში და მონოგრაფიებში.

**თავი პირველი. დემოგრაფიული ფაქტორი თანამედროვე  
ისტორიულ პროცესებში. ეკოლოგიური კატასტროფა.  
რესურსების დეფიციტი. ძალადობის ახალი ფორმები.**

**1.1. დემოგრაფიული აფეთქება - დემოგრაფიული ციკლების  
დაუსრულებელი ფორმა**

უძველესი დროიდან კაცობრიობის ისტორიაში დემოგრაფიულ ფაქტორს გადამწყვეტი ადგილი ეკავა, ვინაიდან, მასზე იყო დამოკიდებული საზოგადოების განვითარება და რეგრესი. ისტორიის ობიექტია ადამიანი, ადამიანია ისტორიული პროცესების მთავარი აქტორი, რაც უკვე მიუთითებს დემოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობაზე, რადგან პოპულაციების რაოდენობის ცვლილება აბსოლუტურად ყველაფერზე ახდენს გავლენას, იქნება ეს პოლიტიკა, ეკონომიკა თუ რელიგია, ძირითად შემთხვევაში დემოგრაფიულ ფაქტორზე იყო დამოკიდებული როგორც განვითარების ტემპები სხვადასხვა დარგში, ასევე რეგრესი. მოსახლეობის დინამიკა იწვევდა ახალი ტერიტორიების ათვისების აუცილებლობას, რომლის შედეგია მიგრაცია, ექსპანსიები, რაც თავის მხრივ განსაზღვრავდა ეთნო-პოლიტიკური რუკის ცვლილებას. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ მოსახლეობის დინამიკით და სტაბილიზაციის აუცილებლობით უძველესი დროიდან ინტერესდებოდნენ. ამ კუთხით გამოირჩევიან ძველი ბერძენი ფილოსოფოსები პლატონი (ძვ.წ 427-347) და არისტოტელე (ძვ.წ. 384-322) და ჩინელი ფილოსოფოსები კონფუცი (ძვ.წ. 551-479) და ხან ფეი (ძვ.წ. 280-233). პლატონი სახელმწიფოს მოწყობაზე და წესრიგზე საუბრისას აღნიშნავდა, რომ თავდაპირველად საჭირო იყო მოსახლეობის რიცხოვნობის დადგენა, უფრო ზუსტად თუ რამდენი მოქალაქე იქნებოდა, რათა მიწები და საცხოვრებელი თანაბრად გადანაწილებულიყო. პლატონი მოქალაქეთა რიცხვსაც ასახელებს:

ხუთიათას ორმოცს.<sup>38</sup> არისტოტელე ანალოგიურ პოზიციას ემხრობოდა.<sup>39</sup> კონკრეტული რიცხვის დადგენა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან რესურსების გადანაწილება წესრიგის შენარჩუნებისთვის აუცილებელი იყო. არისტოტელე საკუთრების ნორმის დადგენისას ასევე დემოგრაფიულ ფაქტორზე აკეთებს აქცენტს.<sup>40</sup> კონფუცი ალნიშნავდა მოსახლეობის ზრდის მნიშვნელობას და აანალიზებდა თუ როგორ ისახებოდა ადამიანთა რაოდენობის სწრაფი ზრდა ცხოვრების ხარისხზე; მოსახლეობის ოპტიმალური რიცხოვნობის დადგენას მისთვის განსაკუთრებული ადგილი ეკავა.<sup>41</sup> მიუხედავად იმისა, რომ ხან ფეი და მისი მიმდევრები კონფუციანელთა მორალური დოგმების წინააღმდეგ გამოდიოდნენ,<sup>42</sup> დემოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობის მიმართ ორივე მიმდინარეობა ერთ პოზიციაზეა. ხან ფეი აქცენტს აკეთებს რესურსების სიმრავლეზე, როდესაც მოსახლეობის რაოდენობა მცხირერიცხოვანი იყო.<sup>43</sup> ადამიანთა გამოკვებისთვის საკმარისი იყო შემგროვებლობა, არ ჰქონდა ადგილი კონფლიქტებს რესურსებისთვის. თუმცა შემდგომ შვილების რაოდენობასთან დაკავშირებით ხდება ცვლილება: „ამჟამად ხუთი შვილი აღარ არის ძალიან ბევრი და შემდგომ ყოველ მათგანს ასევე ხუთი შვილი ჰყავს; ბაბუა ჯერ არ გარდაცვლილა და უკვე ოცდახუთი შვილიშვილი ჰყავს.“<sup>44</sup> ხან ფეის მიერ შვილების კონკრეტულ რაოდენობაზე ორიენტირი ნამდვილად სიახლეს წარმოადგენდა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იგი ალნიშნავს, რომ მრავალშვილიანობის შედეგად სწრაფად გამრავლებულმა მოსახლეობამ გამოიწვია ჭარბმოსახლეობის პრობლემა, რის შემდეგაც იწყება კონფლიქტები. ასეთ უმძიმეს მდგომარეობას ვერც სასჯელი და ვერ ჯილდოები ვერ გამოასწორებენ.<sup>45</sup> მოსახლეობის სწრაფი ზრდის შედეგად, პირველ რიგში, მიწების დეფიციტთან ერთად იწყება შიმშილი და მუდმივი აჯანყებები, დაპირისპირება უცხო სივრცისთვის.

---

<sup>38</sup> Платон. Сочинения в четырех томах. Том 3. Часть 2. Перевод с древнегреческого. Лосев Ф.А., Асмус Ф.В. Под общей редакцией. Санкт-Петербург, 2007. გვ. 228

<sup>39</sup> Hutchinson E.P. The Population Debate. The Development of Conflicting Theories up to 1900. Boston, Houghton Mifflin. 1967. გვ. 13

<sup>40</sup> Aristotle, Politics. Translated by H. Rackham, Cambridge, Harvard University Press. 1932. გვ. 623

<sup>41</sup> The Determinants and Consequences of Population Trends. Population Studies, No. 17. United Nations, New York, 1953. გვ. 21

<sup>42</sup> Древнекитайская Философия. Собрание текстов в двух томах. Том 2. Издательство Социально-Экономической Литературы. «Мысль», Москва, 1973. გვ. 224

<sup>43</sup> იქვე. გვ. 261

<sup>44</sup> იქვე. გვ. 262

<sup>45</sup> იქვე.

განსხვავებული პოზიცია გააჩნდათ რომაელებს, რომლებიც მოსახლეობას გამრავლებისკენ აქეზებდნენ,<sup>46</sup> რაც შემთხვევითი არ არის, თუ გავითვალისწინებთ რომის ექსპანსიონიზმს და ზოგადად ეპოქას, როდესაც რაოდენობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა ტერტულიანე (160-230) აღნიშნავს ჭარბმოსახლეობის პრობლემას, რომლის ერთადერთი ალტერნატივა იყო შიმშილი, ეპიდემიები, ომები და სხვ.<sup>47</sup> მიუხედავად ამისა, შუა საუკუნეები პრო-ნატალიზმით გამოირჩევა, რაც ძირითად შემთხვევაში რელიგიური ფაქტორით იყო გამოწვეული: „აკურთხა ღმერთმა ნოე და მისი შვილები და უთხრა: ინაყოფიერეთ, იმრავლეთ და აავსეთ ქვეყანა“.<sup>48</sup> შუა საუკუნეებში ძველი ბერძნებისა და რომაელებისგან განსხვავებით, მოსახლეობის ზრდას, როგორც სახელმწიფოს სიძლიერის წყაროს დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს, მაგრამ შობადობის მაღალი დონე მაინც პრიორიტეტად რჩება,<sup>49</sup> რაც ასევე გამოწვეული იყო სიკვდილიანობის მაღალი დონით, რომელიც მსოფლიოს მრავალი საუკუნის განმავლობაში ახასიათებდა. საინტერესოა არაბი ისტორიკოსის იბნ ხალდუნის (1332-1406) მოსახლეობის ციკლური ვარიაციები, თავდაპირველად არის მოსახლეობის ზრდა, შემდეგ იწყება პოლიტიკური კრაზი, ეკონომიკის დასუსტება, დეპოპულაცია.<sup>50</sup>

შემდგომ პერიოდებში, მოსახლეობის დინამიკის ცვლილებასთან ერთად, ინტერესი დემოგრაფიული ფაქტორის მიმართ იზრდება. იტალიელი მოაზროვნე ნიკოლო მაკიაველი (1469-1527) ჭარბმოსახლეობის დასრულებას წყალდიდობების, შიმშილის და ეპიდემიების მეშვეობით ხედავს, ხოლო მარტინ ლუთერი (1483-1546), როგორც სასულიერო პირი ნატალიზმის მომხრეა,<sup>51</sup> ასევე ფრანგი ფილოსოფოსი ჟან ბოდენი (1530-1596) დადებითად აფასებს მოსახლეობის ზრდას, რადგან მოსახლეობის ზრდა ნიშნავს წარმოების გაზრდას, ქვეყნის გამდიდრებას და თვლის, რომ მჭიდროდ

---

<sup>46</sup> Neurath Paul. From Malthus to the Club of Rome and Back. Problems of Limits to Growth, Population Control, and Migrations. Routledge, 2015. E-book edition.

<sup>47</sup> Population, Evolution, Birth Control. A Collage of Controversial Readings. Edited by Garrett Hardin. W. H. Freeman and Company. San Francisco and London, 1964. გვ. 22-23

<sup>48</sup> Orthodoxy.ge (ძველი აღთქმა. დაბადება. თავი მეცხრე). (ბოლო ნახვა 21.11.2024).

<sup>49</sup> The Determinants and Consequences of Population Trends. Population Studies, No. 17. United Nations, New York, 1953. გვ. 23

<sup>50</sup> იქვე. გვ. 24

<sup>51</sup> Neurath Paul. From Malthus to the Club of Rome and Back. Problems of Limits to Growth, Population Control, and Migrations. Routledge, 2015. E-book edition.

დასახლებული ქალაქი ამბოხისგან თავისუფალია.<sup>52</sup> ავტორის აზრით, ასეთი პოზიცია უცნაურია, მრავალი აჯანყების და რევოლუციის გათვალისწინებით, თუმცა შესაძლოა, ბოდენი გულისხმობს გლეხთა ომებს და რევოლუციებს, რომლებიც სოფლებში იწყებოდა.<sup>53</sup> იტალიელი მოაზროვნე ჯოვანი ბოტერო (1544-1617) ერთ-ერთი პირველია, რომელმაც აღნიშნა, რომ მოსახლეობის მუდმივი ზრდა მრავალი პრობლემის წარმოქმნელია.<sup>54</sup>

ძალზედ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს დემოგრაფიული ფაქტორის შესწავლაში ინგლისელმა დემოგრაფმა ჯონ გრაუნტმა (1620-1674) და ინგლისელმა ეკონომისტმა უილიამ პეტიმ (1623-1687).<sup>55</sup> ასევე საყურადღებოა გერმანელი იურისტის ჰერმან კონრინგის (1606-1681), გერმანელი სტატისტიკოსი კასპარ ნოიმანის (1648-1715), გერმანელი ისტორიკოსის და ფილოსოფოსის აჰენვალ გოთფრიდის (1719-1772) მოღვაწეობა. თუმცა ჭარბმოსახლეობის პრობლემაზე საუბრისას უნდა გამოიკვეთოს ინგლისელი სასულიერო პირის, დემოგრაფის და ეკონომისტის თომას რომერტ მალთუსის (1766-1834) ნაშრომი „ნარკვევები მოსახლეობის შესახებ“ (გამოქვეყნდა 1798 წელს),<sup>56</sup> რომელშიც ავტორი უმნიშვნელოვანეს საკითხებს ეხება, როგორც არის მოსახლეობის სწრაფი ტემპებით ზრდა, სიღარიბე, რესურსების დეფიციტი, ხოლო ნაშრომის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსახლეობის რაოდენობა აუცილებლად განისაზღვრება საარსებო სახსრებით.<sup>57</sup> მალთუსის აზრით, კაცობრიობის გამრავლება გეომეტრიული პროგრესიით მიმდინარეობდა (1; 2; 4; 8; 16; 32; 64; 128; 256), ხოლო საარსებო სახსრების წარმოქმნა არითმეტიკული პროგრესიით (1; 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9). ასეთი მდგომარეობა რასაკვირველია წლების განმავლობაში იწვევს რესურსების დეფიციტს, რასაც შემდგომ მოჰყვება დემოგრაფიული კრიზისი - დეპოპულაცია. ამ პერიოდში ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროება არ არის, ამიტომ ძირითადი აქცენტი ხშირ შემთხვევაში გაკეთებულია სიღარიბეზე, შიმშილზე

---

<sup>52</sup> იქვე.

<sup>53</sup> იქვე.

<sup>54</sup> The Determinants and Consequences of Population Trends. Population Studies, No. 17. United Nations, New York, 1953. გვ. 24

<sup>55</sup> Neurath Paul. From Malthus to the Club of Rome and Back. Problems of Limits to Growth, Population Control, and Migrations. Routledge, 2015. E-book edition.

<sup>56</sup> Malthus Thomas. An Essay on the Principle of Population. London, 1798. Electronic Scholarly Publishing Project, 1998.

<sup>57</sup> იქვე.

და ეპიდემიებზე. მალთუსის აზრით, ფულადი დახმარებით სიღარიბის აღმოფხვრა შეუძლებელია, ვინაიდან აღნიშნული მეთოდი დროებითად შეაჩერებს სიღარიბეს. აქედან გამომდინარე, საჭიროა მოხმარების პროდუქტის რაოდენობის გაზრდა და არა მხოლოდ ფულადი დახმარების გაზრდა ღარიბებისთვის.<sup>58</sup>

ამერიკელი სოციოლოგი და დემოგრაფი რალფ თომლინსონი მოსახლეობის თეორიის ისტორიას შემდეგნაირად აჯამებს: პრე-მალთუზიანელობა, მალთუზიანელობა, პოსტ-მალთუზიანელობა.<sup>59</sup> ასეთი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ არის დასტური იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ფიგურაა თომას მალთუსი, როდესაც საუბარი დემოგრაფიულ ფაქტორს და განსაკუთრებით ჭარბმოსახლეობის საკითხს ეხება.

თომას მალთუსის იდეები უახლეს პერიოდში განსაკუთრებით პოპულარული გახდა; მას ჰყავს როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები. მალთუსის მოწინააღმდეგეთაგან გამოირჩევიან მარქსისტები. საყურადღებოა ა.ი.პოპოვის („თანამედროვე მალთუსიანელობა - იმპერიალისტების კაცთმომძულე იდეოლოგია“),<sup>60</sup> ი.ი.რუბინის („მალთუსის მემკვიდრეები“)<sup>61</sup> და მ.ნ.რინდინას („თანამედროვე მალთუსიანელობა“)<sup>62</sup> ნაშრომები, ასევე ისტორიკოსის და ეკონომისტის ვლადიმირ მილიუტინის ნაშრომი „მალთუსი და მისი მოწინააღმდეგეები“.<sup>63</sup> პოპოვის აზრით, მალთუსის იდეები პოპულარულია რეაქციულ ბიოლოგიურ-სოციოლოგიურ წრეებში, ხოლო მალთუსი დაავადებების, შიმშილის აპოლოგეტი იყო და თვლიდა, რომ არა შიმშილი, დაავადებები და ომები, კაცობრიობა ჭარბმოსახლეობის წინაშე აღმოჩნდებოდა. რასაკვირველია ომები და ეპიდემიები ჭარბმოსახლეობის შემაფერხებელ იარაღებად ევლინებოდა სამყაროს, მთელი ისტორიის განმავლობაში, თუმცა არ იქნება მართებული თომას მალთუსის, როგორც ომების, შიმშილის და

---

<sup>58</sup> უბირია ალექსანდრე. დემოგრაფიული ციკლები ისტორიაში და გლობალური უსაფრთხოება. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2024. გვ. 19

<sup>59</sup> Thomlinson Ralph. Population Dynamics. Causes and Consequences of World Demographic Change. Second Edition. New York, Random House, 1976. გვ. 30

<sup>60</sup> Попов А.Я. Современное мальтузианство – человеконенавистническая идеология империалистов. Государственное издательство политической литературы. 1953

<sup>61</sup> Рубин Я.И. Наследники Мальтуса. За фасадом буржуазных теорий. Издательство политической литературы. Москва, 1983

<sup>62</sup> Рындина М. Современное мальтузианство. Государственное издательство политической литературы. Москва, 1956

<sup>63</sup> Милютин Владимир Алексеевич. Мальтус и его противники: Обзор различных мнений об отношениях производительности к развитию народонаселения. – М.: КРАСАНД, 2010.

დაავადებების გავრცელების აპოლოგეტობაში დადანაშაულება, ვინაიდან, სწორედ რომ ჭარბმოსახლეობის შედეგად გვევლინება სხვადასხვა სახის კატასტროფა, მათ შორის შიმშილი, ომები და ეპიდემიები. უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც პოპოვი ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირში ჭარბმოსახლეობის პრობლემა არ არის, სავსებით მართალია, თუმცა არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ საუბარია 1950-იანი წლების საბჭოთა კავშირზე, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის დროს მოსახლეობის საკმაოდ დიდი დანაკარგი ჰქონდა და ომის შემდგომი მოსახლეობა დაახლოებით 166 მილიონს შეადგენდა.<sup>64</sup> მოსახლეობის მუდმივი ზრდის პირობებში ყოველთვის იარსებებს ჭარბმოსახლეობის წარმოქმნის საშიშროება. რინდინას მიერ მალთუსის იდეების კრიტიკის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ თითქოსდა მალთუსმა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი მოიყვანა, სადაც მოსახლეობა ძირითად შემთხვევაში იზრდებოდა არა ბუნებრივი მატებით, არამედ ევროპელი ემიგრანტების ხარჯზე.<sup>65</sup> თუმცა XX საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებული დემოგრაფიული აფეთქება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ მალთუსის მიერ მოსახლეობის გაორმაგების საკითხი დღესაც აქტუალური რჩება. დღეს ეს ყოველივე ძირითად შემთხვევაში დასტურდება აფრიკის ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის ბუნებრივი მატება ძალზედ სწრაფად მიმდინარეობს. რუბინი თავის მხრივ აღნიშნავდა, რომ მალთუსამდე მოსახლეობის სწრაფი ზრდის და მცირე ინტერვალში გაორმაგების საკითხს განიხილავდნენ ამერიკელი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე ბენჯამინ ფრანკლინი, ცნობილი ინგლისელი დემოგრაფი და ეკონომისტი, წარმოშობით ირლანდიელი რიჩარდ კანტილიონი და იტალიელი ეკონომისტი ჯამარია ორტესი, რომელსაც მარქსი XVIII საუკუნის დიდ ეკონომისტად თვლიდა.<sup>66</sup> რუბინმა მოიყვანა მალთუსის იდეების კრიტიკის რამოდენიმე მაგალითი,<sup>67</sup> კერძოდ, საუბარია

---

<sup>64</sup> Соколов Б.В. Цена Войны: Людские потери СССР и Германии, 1939-1945 гг.

[https://www.infran.ru/vovenko/60years\\_ww2/demogr8\\_2.htm#:~:text=%D0%92%20%D0%B4%D0%B5%D0%B9%D1%81%D1%82%D0%B2%D0%B8%D1%82%D0%B5%D0%BB%D1%8C%D0%BD%D0%BE%D1%81%D1%82%D0%B8%20%D0%B2%20%D0%BF%D1%80%D0%B5%D0%B6%D0%BD%D0%B8%D1%85%20%D0%B3%D1%80%D0%B0%D0%BD%D0%B8%D1%86%D0%B0%D1%85.%D1%87%D0%B5%D0%BB%D0%BE%D0%B2%D0%B5%D0%BA](https://www.infran.ru/vovenko/60years_ww2/demogr8_2.htm#:~:text=%D0%92%20%D0%B4%D0%B5%D0%B9%D1%81%D1%82%D0%B2%D0%B8%D1%82%D0%B5%D0%BB%D1%8C%D0%BD%D0%BE%D1%81%D1%82%D0%B8%20%D0%B2%20%D0%BF%D1%80%D0%B5%D0%B6%D0%BD%D0%B8%D1%85%20%D0%B3%D1%80%D0%B0%D0%BD%D0%B8%D1%86%D0%B0%D1%85.%D1%87%D0%B5%D0%BB%D0%BE%D0%B2%D0%B5%D0%BA). (ბოლო ნახვა: 10.03.2023)

<sup>65</sup> Рындина М. Современное мальтузианство. Государственное издательство политической литературы. Москва, 1956. გვ. 7

<sup>66</sup> Рубин Я.И. Наследники Мальтуса. За фасадом буржуазных теорий. Издательство политической литературы. Москва, 1983. გვ. 8

<sup>67</sup> იქვე. გვ. 20

ამერიკელი მეცნიერის ჰენრი ჯორჯის ნაშრომზე „პროგრესი და სიღარიბე“ (1880 წ.), რომლის მიხედვითაც სიღარიბის მიზეზი სოციალური დიფერენციაცია არის და არა ჭარბმოსახლეობა, იგივე პოზიციას იზიარებს ფრანჩესკო ნიტი (1868-1953), რომელიც მალთუსს ანალოგიური მიზეზით აკრიტიკებდა. მეტად საყურადღებოა, რომ რუბინის ნაშრომი პოპოვისა და რინდინასგან განსხვავებით გვიან არის გამოქვეყნებული და თუ პოპოვი და რინდინა აქცენტს აკეთებდნენ მხოლოდ მარქსისა და ენგელსის მიერ მალთუსის კრიტიკაზე, სოციალურ დიფერენციაციაზე და მალთუსიანელების მიერ ომების წაქეზებაზე, რუბინის ნაშრომში უკვე ჩანს ეკოლოგიური კრიზისის საკითხი, რაც XX საუკუნის პირველ ნახევარში ისეთი მწვავე არ იყო, როგორც შემდგომ პერიოდებში. ავტორი საინტერესო შედარებას აკეთებს ძველ და ახალ მალთუსიანელებს შორის. ნეომალთუსიანელობა განსხვავდება მალთუსის იდეებისგან, რაც გამოწვეულია ეპოქაში არსებული ცვლილებებით. კერძოდ, წინა საუკუნეებთან შედარებით მოსახლეობის სიმჭიდროვე მკვეთრად გაიზარდა, ერთადერთი „თავისუფალი სივრცე“ ტყის არეალია, რომლის ფართობის შემცირებაც ამწვავეს ეკოლოგიურ პრობლემებს. განსაკუთრებით საინტერესო მომენტია რუბინის აღიარება, რომ მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდება ადამიანის მოთხოვნილება სხვადასხვაგვარ პროდუქციაზე, რომლის წარმოება ავნებს ბუნებას, აბინძურებს ბუნებრივ გარემოს.<sup>68</sup> ბოლოს ავტორი დასძენს, რომ კაცობრიობა აცნობიერებს ამ პრობლემის ერთობლივი მოგვარების აუცილებლობას, თუმცა სამწუხაროდ რა სახით არის შესაძლებელი ამ პრობლემის მოგვარება არ ჩანს. მაგრამ მნიშვნელოვანია მარქსისტების მხრიდან ამგვარი აღიარება.

აღსანიშნავია ასევე რუსი ისტორიკოსის და ეკონომისტის ვლადიმირ მილიუტინის (1826-1855) ნაშრომი „მალთუსი და მისი მოწინააღმდეგეები“, რომელშიც განხილულია პლატონის იდეალურ რესპუბლიკაში კონკრეტული რიცხოვნობის დადგენა და არისტოტელეს პოზიცია, სადაც გარკვეულწილად ლიმიტების აუცილებლობაზეა საუბარი.<sup>69</sup> პლატონი და არისტოტელე გვევლინებიან მოსახლეობის სტაბილიზაციის მომხრეებად, რაც სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან პირდაპირ კავშირშია. მოსახლეობის სწრაფი ზრდის აღკვეთის მიზნით სპარტაში

---

<sup>68</sup> იქვე. გვ. 33

<sup>69</sup> Милютин Владимир Алексеевич. Мальтус и его противники: Обзор различных мнений об отношении производительности к развитию народонаселения. – М.: КРАСАНД, 2010. გვ. 11

დადგენილ იქნა აუცილებელია საქორწინო ასაკი: სპარტაში 30 წელი მამაკაცებისთვის, ხოლო ქალებისთვის - 20.<sup>70</sup> არისტოტელე არ იზიარებს ასეთ დამოკიდებულებას და მიაჩნია, რომ საქორწინო ასაკი მამაკაცისთვის უნდა იყოს 37 წელი, ხოლო ქალისთვის 18. ეს ყოველივე ხორციელდებოდა დემოგრაფიული აფეთქების შეჩერების მიზნით, თუმცა შუა საუკუნეებში დემოგრაფიული პოლიტიკა კარდინალურად იცვლება, რაც ნატალიზმის პროპაგანდაში გამოიხატება. მოსახლეობის რიცხვის გამრავლება აღნიშნულ პერიოდში ნიშნავდა ქვეყნის სიმდიერეს და არ უნდა იყოს გასაკვირი მთავრობების მიერ მრავალშვილიანობის სხვადასხვა ფორმით წაქეზება.<sup>71</sup> შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად ასეთი წაქეზებები დღემდე გრძელდება. მილიუტინის აზრით მალთუსს მხოლოდ აშშ-ს მაგალითი არ უნდა მოეყვანა, რის გამოც იგი არაერთხელ გააკრიტიკეს შემდგომ.<sup>72</sup> პოპოვის ნაშრომის სათაურიდანაც ჩანს, რომ მალთუსიანელობა იმპერიალისტების იდეოლოგიური იარაღია, არაერთხელ აღნიშნულ იქნა, რომ მისი იდეები გამოყენებულ იქნა მასების მანიპულაციისთვის, მოსახლეობის დამორჩილების მიზნით, თუმცა პრობლემაზე და პრობლემის ალტერნატივაზე საუბარი ვერანაირად ვერ იქნება იდეოლოგიური იარაღი, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე სამყაროს ძირითად პრობლემებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ანთროპოგენურ ფაქტორის უარყოფით გავლენასთან არიან კავშირში.

საყურადღებოა ვლადიმირ ლენინის „მუშათა კლასი და ნეომალთუსიანელობა“,<sup>73</sup> სადაც ერთ-ერთ ყრილობაზე განიხილებოდა აბორტების და ნეომალთუსიანელობის საკითხი, რაც კიდევ ერთი დასტურია, თუ რამდენად დიდი ინტერესი იყო სოციალისტურ წრეებში მალთუსის და შემდგომ ნეომალთუსიანელობის იდეების მიმართ. რასაკვირველია, ლენინი ნეომალთუსიანელობის, როგორც ბურჟუაზიული სწავლების წინააღმდეგ გამოდის, რომელიც არ ზრუნავს მუშათა კლასზე და ფაქტიურად მხოლოდ შობადობის რეგულირებაზეა ორიენტირებული.<sup>74</sup> სინამდვილეში შობადობის რეგულირება და

---

<sup>70</sup> იქვე. გვ. 13

<sup>71</sup> იქვე. გვ. 15

<sup>72</sup> იქვე. გვ. 104

<sup>73</sup> Ленин В.И. Полное собрание сочинений. Издание пятое. Издательство политической литературы. Москва, 1973. გვ. 255

<sup>74</sup> უბირია ალექსანდრე. დემოგრაფიული ციკლები ისტორიაში და გლობალური უსაფრთხოება. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2024. გვ. 24

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ერთმანეთს არ გამოირიცხავს, პირიქით, აუცილებელ სინთეზად გვევლინება, ვინაიდან შობადობის რეგულირების გარეშე მოსახლეობის მუდმივი ზრდის და გაორმაგების საშიშროების პირობებში, რაც ასევე ნიშნავს იმას, რომ რესურსებით უზრუნველყოფისთვის აუცილებელი გახდება სოფლის მეურნეობისთვის მიწების გამოყენების გაზრდა,<sup>75</sup> რაც ეკოლოგიურ პრობლემებს გაამწვავებს - ყველაფერს აქვს ლიმიტი.

მალთუსიანელობის და ნეომალთუსიანელობის კრიტიკის მიუხედავად, ამ იდეებისადმი, განსაკუთრებით კი ნეომალთუსიანელობისადმი ინტერესი იზრდება. როგორც სოციოლოგმა პიტირიმ სოროკინმა აღნიშნა, მალთუსის თეორია არა დეტალებში, არამედ ძირითად მის თეზისებში დასტურდება.<sup>76</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ თომას მალთუსის ნაშრომის („ნარკვევები მოსახლეობის შესახებ“) გამოქვეყნებამდე, 1753 წელს ბრიტანელი სასულიერო პირის და ეკონომისტის რობერტ უოლესის ნაშრომი გამოქვეყნდა,<sup>77</sup> რომელიც აღსანიშნავია დემოგრაფიული ფაქტორის შესწავლისას. საყურადღებოა ავტორის გამოკიდებულება მოსახლეობის დინამიკის და რაც მთავარია კონსუმერიზმთან დაკავშირებით, კერძოდ, რობერტ უოლესს მიაჩნია, რომ ადამიანის უბრალოება უნდა იყოს პრიორიტეტი.

ასევე თომას მალთუსამდე დემოგრაფი და ეკონომისტი რიჩარდ კანტილიონი (1680-1734) თვლიდა, რომ მოსახლეობა იზრდება იქამდე, სანამ არსებულ ეკონომიკურ სისტემას ამის უნარი გააჩნია, ხოლო შემდგომ ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისას მოსახლეობა სულ უფრო ნელი ტემპებით იზრდება.<sup>78</sup> რასაკვირველია კანტილიონის შეფასება სწორია, თუმცა რიგ შემთხვევებში ჩვენი აზრით ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება არ არის გარანტი მოსახლეობის ტემპების შენელების.

საინტერესოა მსოფლიო მოსახლეობის დინამიკის დაკვირვება უძველესი დროიდან, რათა სტატისტიკური მონაცემების საშუალებით გამოჩნდეს მოსახლეობის ზრდის ტემპები და მოსახლეობის გაორმაგების პერიოდი.

ძვ. წ. 10 000 წელს მსოფლიოს მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით 3-4 მილიონ ადამიანს, ხოლო რაც შეეხება მოსახლეობის სიმჭიდროვეს, 100 კვადრატულ

---

<sup>75</sup> იქვე. გვ. 25

<sup>76</sup> Sorokin A. Pitirim. Hunger as a Factor in Human Affairs. The University Presses of Florida, 1975.

<sup>77</sup> Wallace Robert D.D. A Dissertation on the numbers of Mankind, in ancient and modern time. London, 1809.

<sup>78</sup> Thomlinson Ralph. Population Dynamics. Causes and Consequences of World Demographic Change. Second Edition. New York, Random House, 1976. გვ. 35

კილომეტრზე დაახლოებით 8-10 ადამიანს.<sup>79</sup> ნეოლითის ეპოქის დასაწყისში - ჩვენს წელთაღრიცხვამდე 6-7 ათასი წლის წინ პლანეტაზე ცხოვრობდა არაუმეტეს 10 მილიონი ადამიანი.<sup>80</sup> ძვ.წ. V-IV ათასწლეულში მსოფლიოს მოსახლეობა 50 მილიონ ადამიანამდე გაიზარდა.<sup>81</sup> რაც შეეხება ჩვენს წელთაღრიცხვის დასაწყისს, მსოფლიო მოსახლეობა 250-დან 280 მილიონამდე ადამიანს შეადგენდა.<sup>82</sup> განსხვავებული პოზიცია იკვეთება მაკევედის და ჯონსის ცნობებში, სადაც ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისთვის მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 170 მილიონ ადამიანს შეადგენდა, ხოლო შემდგომ პერიოდებში: 200-400 წლებში დაახლოებით 190 მილიონს, 600 წელს მოსახლეობა 200 მილიონამდე იზრდება, 800 წლისთვის დაახლოებით 220 მილიონი ფიქსირდება, ხოლო 1000 წელს უკვე 265 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა.<sup>83</sup>

1000 წელი: 265 მილიონი (მაკევედი-ჯონსი);<sup>84</sup> 305 მილიონი (შელესტოვი)<sup>85</sup>

1100 წელი: 320 მილიონი (მაკევედი-ჯონსი)

1200-1300 წელი: 360 მილიონი (მაკევედი-ჯონსი)

1400 წელი: 350 მილიონი (მაკევედი-ჯონსი)

1500 წელი: 425 მილიონი (მაკევედი-ჯონსი); 440 მილიონი (შელესტოვი)

1650 წელი: 545 მილიონი (მაკევედი-ჯონსი); 550 მილიონი (შელესტოვი)

1700 წელი: 610 მილიონი (მაკევედი-ჯონსი)

1800 წელი: 900 მილიონი (მაკევედი-ჯონსი); 952 მილიონი (შელესტოვი)

1900 წელი: 1625 მილიონი (მაკევედი-ჯონსი); 1656 მილიონი (შელესტოვი)

მაკევედის და ჯონსის მიერ მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა დაფიქსირებულია 1975 წელს და 3 მილიარდ 900 მილიონ ადამიანს ითვლის. ამავდროულად ავტორების პროგნოზის მიხედვით 2000 წელს მსოფლიოს მოსახლეობა

---

<sup>79</sup> Брук. С.И. Население Мира. Этно-демографический справочник. Издательство «Наука». Москва, 1981. გვ. 12

<sup>80</sup> Вишнеvский А.Г. Мировой демографический взрыв и его проблемы. М., «Знание», 1978.

<sup>81</sup> Брук. С.И. Население Мира. Этно-демографический справочник. Издательство «Наука». Москва, 1981. გვ. 12

<sup>82</sup> იქვე. გვ. 13

<sup>83</sup> Colin McEvedy and Richard Jones. Published in Great Britain by Penguin Books Ltd. And Allen Lane. New York, 1978. გვ. 342

<sup>84</sup> იქვე

<sup>85</sup> Шелестов Д.К. Историческая демография. Издательство «Прогресс». «Высшая школа», Москва, 1987. გვ.

დაახლოებით 5 მილიარდ 750 მილიონი უნდა ყოფილიყო, რაც ოპტიმისტური პროგნოზი აღმოჩნდა, ვინაიდან, 2000 წელს მსოფლიოს მოსახლეობა 6 მილიარდ 100 მილიონ ადამიანს შეადგენდა. შელესტოვის პროგნოზი ამ შემთხვევაში ზუსტი აღმოჩნდა.<sup>86</sup>

მოსახლეობის სწრაფი ზრდა და გაორმაგების ინტერვალის შემცირება კარგად ჩანს ბრუკის მონაცემებში:<sup>87</sup> 1820 წელს მსოფლიოს მოსახლეობა 1 მილიარდს შეადგენდა, დაახლოებით 100 წელიწადში (1927 წელს) 2 მილიარდამდე გაიზარდა, უკვე 1960 წლისთვის (33 წელიწადში) მსოფლიოს მოსახლეობა 3 მილიარდი იყო, ხოლო სულ რაღაც 15 წელიწადში (1975 წელს) 4 მილიარდამდე გაიზარდა.

უახლეს პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გაეროს სტატისტიკურ მონაცემებს და პროგნოზებს:

1950 წელს მსოფლიოს მოსახლეობა 2 მილიარდ 517 მილიონ ადამიანს შეადგენდა,<sup>88</sup> 1960 წელს დაახლოებით 3 მილიარდს,<sup>89</sup> 1970 წელს 3 მილიარდ 632 მილიონს,<sup>90</sup> 1980 წელს 4 მილიარდ 415 მილიონს,<sup>91</sup> 1990 წელს,<sup>92</sup> 2000 წელს 6 მილიარდ 57 მილიონს,<sup>93</sup> 2010 წელს 6 მილიარდ 895 მილიონს,<sup>94</sup> ხოლო 2020 წელს მსოფლიოს მოსახლეობამ უკვე 7 მილიარდ 794 მილიონ ადამიანს მიაღწია.<sup>95</sup> ფაქტიურად 70 წლის განმავლობაში მსოფლიოს მოსახლეობა სამჯერ გაიზარდა.

---

<sup>86</sup> იქვე

<sup>87</sup> Брук. С.И. Население Мира. Этно-демографический справочник. Издательство «Наука». Москва, 1981. გვ. 16

<sup>88</sup> Demographic Yearbook 1969. Twenty-First Issue. Special Topic: Natality Statistics. Department of Economic and Social Affairs. United Nations. New York, 1970. გვ. 115

<sup>89</sup> იქვე

<sup>90</sup> Demographic Yearbook 1970. Twenty-First Issue. Special Topic: Population Trends. Department of Economic and Social Affairs. United Nations. New York, 1971. გვ. 105

<sup>91</sup> Demographic Yearbook 1980. Thirty Second Issue. Department of International Economic and Social Affairs. United Nations. New York, 1982. გვ. 133

<sup>92</sup> Demographic Yearbook 1990. Forty-second issue. Department of International Economic and Social Affairs, Statistical Office. United Nations. New York, 1992. გვ. 141

<sup>93</sup> Demographic Yearbook 2000. Fifty-second issue. Department of Economic and Social Affairs. United Nations. New York, 2002. გვ. 109

<sup>94</sup> Demographic Yearbook 2011. Sixty-second issue. Department of Economic and Social Affairs. United Nations. New York, 2012. გვ. 46

<sup>95</sup> Demographic Yearbook 2020. Seventy-first issue. Department of Economic and Social Affairs. United Nations. New York, 2021. გვ. 46

რაც შეეხება პროგნოზებს,<sup>96</sup> 2030 წლისთვის მსოფლიოს მოსახლეობა 8 მილიარდ 548 მილიონს ადამიანს მიაღწევს, ხოლო 2050 წლისთვის 9 მილიარდ 735 მილიონს და 2100 წლისთვის 10 მილიარდ 875 მილიონს. 1950-2020 წლებთა შედარებით მოსახლეობის ზრდის ტემპები შენელებულია, თუმცა მოსახლეობის ზრდის პროგნოზების მხრივ აღსანიშნავია კარდინალური განსხვავებები რეგიონებს შორის (მოსახლეობა მილიონებში):<sup>97</sup>

	2019 წელი	2100 წელი
სუბსაჰარული აფრიკა	1 066	3 775
ჩრდილოეთი აფრიკა და დასავლეთი აზია	517	924
ცენტრალური და სამხრეთ აზია	1 991	2 334
აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია	2 335	1 967
ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი	648	680
ავსტრალია/ახალი ზელანდია	30	49
ოკეანეთი	12	26

მოსახლეობის სწრაფი ზრდა, მოსახლეობის რიცხოვნობის გამომარმაგების ტემპების აჩქარება, რომელიც განსაკუთრებით თვალსაჩინოა XX-XXI საუკუნეებში, ცნობილია, როგორც „დემოგრაფიული აფეთქება“.

დემოგრაფიული აფეთქება არის მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ზრდა. როდესაც შობადობა არ კლებულობს, ან მეტიც, მატულობს, ხოლო სიკვდილიანობა მცირდება, ამ ყოველივეს შედეგია მოსახლეობის რაოდენობის დაჩქარებული მატება. რასაკვირველია დემოგრაფიული აფეთქება დროებითი მოვლენაა და დემოგრაფიული გადასვლის შედეგად დემოგრაფიული აფეთქება დასრულდეს, ან შესაძლოა იგი ხანგრძლივ პროცესად გადაიქცეს და სერიოზული პრობლემების წარმოქმნელი გახდეს.

დღეს აღნიშნული ფენომენი თვალსაჩინოა აფრიკის კონტინენტზე, თუმცა საბოლოო ჯამში, მსოფლიოს მოსახლეობაც სწრაფად იზრდება და აქედან

<sup>96</sup> World Population Prospects 2019. Department of Economic and Social Affairs, Population Division. United Nations. New York, 2019. გვ. 6

<sup>97</sup> იქვე.

გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დემოგრაფიული აფეთქების პრობლემა გლობალურ ხასიათს ატარებს.

დემოგრაფიული აფეთქება მტკიცე კავშირშია დემოგრაფიულ რევოლუციასთან (დემოგრაფიული აფეთქება - დემოგრაფიული რევოლუციის დაუსრულებლობის შედეგია).<sup>98</sup> ამ კუთხით საჭიროა ვიცოდეთ, რა არის „დემოგრაფიული რევოლუცია“. ამ საკითხისადმი ნაშრომი აქვს მიძღვნილი გამოჩენილ დემოგრაფსა და ეკონომისტს ანატოლი ვიშნევსკის, რომელშიც მან განიხილა შობადობის, სიკვდილიანობის და მოსახლეობის აღწარმოების ისტორიული ტიპები.<sup>99</sup> „დემოგრაფიული გადასვლა“ და „დემოგრაფიული რევოლუცია“ ერთსა და იმავე პროცესს აღნიშნავს, ტერმინი „რევოლუცია“ გამოყენებულია დიალექტიკურ-მატერიალისტური მნიშვნელობით,<sup>100</sup> თუმცა ტერმინი მაინც აღნიშნავს, რომ დემოგრაფიულ პროცესებში ხდება უეცარი ცვლილებები. ფრანგი დემოგრაფის ადოლფ ლანდრის აზრით, დემოგრაფიული რევოლუცია თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა არის.<sup>101</sup> მან აღნიშნული პროცესი ევროპის ქვეყნების (საფრანგეთი; დანია; გერმანია; ინგლისი) მაგალითზე განიხილა.

დემოგრაფიული აფეთქების განხილვისას, აუცილებელია ვიცოდეთ თუ რა არის დემოგრაფიული ციკლები, რომლის დაუსრულებელ ფორმასაც წარმოადგენს დემოგრაფიული აფეთქება.

დემოგრაფიული ციკლების კვლევისას განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ისტორიკოსი სერგეი ნეფიოდოვის ნაშრომი „დემოგრაფიული ციკლების კონცეპცია“,<sup>102</sup> სადაც ავტორი აქცენტს აკეთებს XIX საუკუნის ინგლისელ ეკონომისტებზე თომას მალთუსზე და დევიდ რიკარდოზე, კერძოდ მალთუს-რიკარდოს თეორიაზე, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის ზრდა იწვევს ფასების და რენტების ზრდას, რაც ამავდროულად ხელფასების და მოხმარების დაცემის გამომწვევია.<sup>103</sup> აქედან გამომდინარე, მოსახლეობის რაოდენობის რყევების შედეგი

---

<sup>98</sup> Вишневский А.Г. Мировой демографический взрыв и его проблемы. М., «Знание», 1978.

<sup>99</sup> Вишневский А.Г. Избранные демографические труды. Том I. Демографическая теория и демографическая история. Демографическая революция. Москва, 2005.

<sup>100</sup> იქვე. გვ. 20

<sup>101</sup> Ландри Адольф. Демографическая Революция.

<https://www.demoscope.ru/weekly/2014/0611/nauka02.php> (ბოლო ნახვა: 05.02.2025)

<sup>102</sup> Нефёдов С.А. Концепция демографических циклов. Екатеринбург, Издательство УГТУ, 2007.

<sup>103</sup> იქვე. გვ. 7

იყო ფასების, მიწის რენტის, მოგების, რეალური ხელფასის რყევა. ნეფიოდოვს პირველი მსოფლიოს ომის მაგალითი მოჰყავს, სადაც ინგლისელი ეკონომისტის ჯონ მენარდ კეინსის და რუსი სოციოლოგის პიტირიმ სოროკინის პოზიციას ეყრდნობა, რომლის მიხედვითაც პირველი მსოფლიო ომის წინ ევროპაში შეიმჩნეოდა ჭარბი მოსახლეობა, რამაც გამოიწვია პირველი მსოფლიო ომი და რევოლუცია რუსეთში. სასურსათო წონასწორობის აღდგენა ასეთ შემთხვევაში ხდება მოსახლეობის რაოდენობის შემცირებით - ეპიდემიების, შიმშილის და ომების მეშვეობით.<sup>104</sup> აღსანიშნავია ფრანგი სოციოლოგის ფრანსუა სიმიანის მიერ ფასების მერყეობის შესწავლა, სადაც ასევე ფიგურირებენ ციკლები, რომლის იდეები გაკრვეულწილად განიხილა ფრანგმა ისტორიკოსმა ერნესტ ლაბრუსმა, თუმცა მათი ორიენტირი დემოგრაფია არ არის.<sup>105</sup> სიმიანის ნაშრომი, რომელიც 1932 წელს გამოქვეყნდა, შემოღებულ იქნა „საუკუნეობრივი ტენდენციის“ ცნება, ციკლის, რომელიც შედგებოდა ფასების ზრდის ფაზებისგან, ასევე ერნესტ ლაბრუსმა ფასების დინამიკის და ხელფასების უფრო დეტალური კვლევა გამოაქვეყნა 1933 წელს.<sup>106</sup> ასევე აღსანიშნავია გერმანელი ისტორიკოსის და ეკონომისტის ვილჰელმ აბელის მიერ დადგენილი საუკუნეობრივი ტენდენციები, რომელთათვის დამახასიათებელი იყო ფასების ზრდა და ხელფასების დაცემა, რომლებიც მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებებთან იყვნენ დაკავშირებული, საბოლოოდ კი მივიდა დასკვნამდე, რომ მოსახლეობის ზრდა იწვევდა ფასების ზრდას და ხელფასის კლებას, ხოლო მოსახლეობის შემცირება საპირისპირო პროცესს.<sup>107</sup>

დემოგრაფიული ფაქტორის კვლევის საკითხში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „ნალების სკოლას“, განსაკუთრებით კი ფერნან ბროდელს. ფერნან ბროდელი საუბრობდა ხალხის რაოდენობის უჩვეულო ზრდაზე, რომელიც ხშირ შემთხვევაში იწვევდა დემოგრაფიულ გადატვირთვას, როდესაც მოსახლეობას არ გააჩნდა რესურსებით უზრუნველყოფის უნარი.<sup>108</sup> დემოგრაფიულ მიქცევა-მოქცევასთან დაკავშირებით კონკრეტულ პერიოდსაც ასახელებს - XV-XVIII საუკუნეებში

<sup>104</sup> უბირია ალექსანდრე. დემოგრაფიული ციკლები ისტორიაში და გლობალური უსაფრთხოება. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2024. გვ. 30

<sup>105</sup> იქვე. გვ. 32

<sup>106</sup> Нефёдов С.А. Концепция демографических циклов. Екатеринбург, Издательство УГГУ, 2007. гв. 13

<sup>107</sup> იქვე.

<sup>108</sup> Бродель Ф. Структуры повседневности: возможное и невозможное. Материальная цивилизация, экономика и капитализм, XV-XVIII вв. Том 1. Издательство «Прогресс», Москва, 1986. гв. 40

მოსახლეობა ხან იზრდება, ხან მცირდება და ყველაფერი იცვლება, იზრდება მოსახლეობა, წარმოება, მანუფაქტურები, ქალაქების მასშტაბები, თუმცა ამავდროულად შესამჩნევია ომების, დაპირისპირებების, თავდასხმებისა და ყაჩაღობის ზრდა.<sup>109</sup> ასეთ ვითარებაში რასაკვირველია, ცხოვრების დონე ეცემა. აღსანიშნავია ბიოლოგიური ზრდის სამი დიდი პერიოდი, როდესაც დასავლეთში მიმდინარეობდა მოსახლეობის ხანგრძლივი ზრდა: 1100 წლიდან 1350 წლამდე, 1450 წლიდან 1650 წლამდე და 1750 წლიდან, თუმცა საყურადღებოა, რომ 1350-1450 წლებში ევროპაში გაჩენილი პანდემიის შემდეგ ადგილი ჰქონდა მკვეთრ ვარდნას, ხოლო ზრდის ტემპები გარკვეულწილად შეჩერდა 1650-1750 წლებში. იქვე ბროდელმა აქცენტი გააკეთა 1945 წლის შემდგომ მოსახლეობის ზრდასთან ერთად ცხოვრების დონის დაცემაზე, თუმცა მოსახლეობის მკვეთრი ვარდნები აღარ შეიმჩნევა, შემთხვევითი არ არის, რომ ზუსტად ამ პერიოდიდან იწყება მოსახლეობის ზრდის ტემპების აჩქარება.

ფერნან ბროდელის გარდა დემოგრაფიულ ფაქტორზე განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდა ანალების სკოლის კიდევ ერთი წარმომადგენელი პიერ შონიუ.<sup>110</sup> მეტად საყურადღებოა შონიუს მიერ ევროპის და აზიის (ჩინეთი; იაპონია) შედარება და დემოგრაფიული პროცესების მსგავსებათა დაფიქსირება. ს. ნეფიოდოვმა ასევე გააკეთა აქცენტი ჩინეთის დემოგრაფიულ ციკლებზე, კერძოდ, რუსი ისტორიკოსის, სინოლოგისა და დემოგრაფის ე. იაშნოვის ცნობებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ჩინეთში შიდაომების ციკლურობა დაკავშირებულია დემოგრაფიულ ფაქტორთან. ამ შემთხვევაში მოსახლეობის რაოდენობის შემცირების შედეგად, რომელსაც იწვევდა ომები, შიმშილი და ეპიდემიები, იწყება დაკავებული ტერიტორიების გათავისუფლება, თავისუფალი მიწების სიუხვესთან ერთად კი მიწის არენდამ დაიკლო.<sup>111</sup> აღსანიშნავია, რომ იაშნოვის აზრით დემოგრაფიული ციკლები განსაზღვრავენ არა მარტო ჩინეთის, არამედ სრულიად კაცობრიობის ისტორიას.<sup>112</sup> დემოგრაფიული ციკლების ანალიზისას ნეფიოდოვი დაეყრდნო ემანუელ ლე რუა

---

<sup>109</sup> იქვე. გვ. 43

<sup>110</sup> Шоню П. Цивилизация классической Европы. Екатеринбург, У-Фактория, 2005.

<sup>111</sup> უბირია ალექსანდრე. დემოგრაფიული ციკლები ისტორიაში და გლობალური უსაფრთხოება. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2024. გვ. 35

<sup>112</sup> Нефёдов С.А. Концепция демографических циклов. Екатеринбург, Издательство УГГУ, 2007. გვ. 13

ლადიურის კვლევას,<sup>113</sup> რომელშიც გამოყოფილია ოთხი ფაზა: ამ შემთხვევაში პირველია, როდესაც მოსახლეობის სიმჭიდროვე დაბალია, შესაბამისად მიწების სიუხვეა, სურსათის ფასები დაბალია, მოხმარების უნარი იზრდება, რაც არის წინა ციკლის შედეგი, რომლის დროსაც მოსახლეობა შემცირდა: შიმშილის, ეპიდემიების, ომების ხარჯზე. მეორე ფაზის შემთხვევაში მოსახლეობა სწრაფად იზრდება და ამასთანავე, იწყება ფასების ზრდა, მესამე ფაზის დროს მოსახლეობის ზრდა შენელებულია ან საერთოდ შეჩერებული, რომლის დროსაც იზრდება გადასახადები. მეოთხე ფაზისთვის დამახასიათებელია შიმშილი და ეპიდემიები. ეს ყოველივე გამოწვეულია მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის დაცემით, რაც ამავდროულად იწვევს დესტაბილიზაციას.<sup>114</sup>

დემოგრაფიული აფეთქება პიკს XX საუკუნის მეორე ნახევარში აღწევს, შესაბამისად სულ უფრო მეტ ყურადღებას უპყრობს. ამერიკელი ბიოლოგი პოლ ერლიხი თავის ნაშრომში „დემოგრაფიული ბომბი“,<sup>115</sup> განიხილავს მოსახლეობის ზრდის ტემპებს, თუმცა მეტად მნიშვნელოვანია განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მდგომარეობა, რომელთათვისაც სავსებით შესაძლებელია ჭარბი მოსახლეობის პრობლემის წარმოქმნა. ამ კუთხით არც ერთი ქვეყანა არ არის დაზღვეული პრობლემებისგან, რომლებიც მჭიდრო კავშირში არის დემოგრაფიულ ფაქტორთან. ერლიხი საუბრობს არა მხოლოდ მოსახლეობის და რესურსების ბალანსზე, არამედ დედამიწის ტემპერატურულ ბალანსზე,<sup>116</sup> რომელიც ხშირ შემთხვევაში დარღვეულია ბუნებრივი გარემოს დაბინძურების გამო. ჭარბმოსახლეობის პრობლემასთან ერთად ეკოლოგიური პრობლემების განხილვა დამახასიათებელია მალთუსიანელობისთვის.

დემოგრაფიული ფაქტორის მიმართ ინტერესის ზრდას ადასტურებს გაეროს კონფერენციები (1954 წელს შედგა პირველი მსოფლიო კონფერენცია), ხოლო 1969 წელს შეიქმნა გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA). ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ გლობალური პრობლემების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად დემოგრაფიული

---

<sup>113</sup> იქვე. გვ. 47

<sup>114</sup> უბირია ალექსანდრე. დემოგრაფიული ციკლები ისტორიაში და გლობალური უსაფრთხოება. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2024. გვ. 36

<sup>115</sup> Ehrlich Paul R. The Population Bomb. Population Control or race to oblivion? Ballantine Books, New York, 1968.

<sup>116</sup> იქვე. გვ. 60

აფეთქება გვევლინება, ზემოხსენებული სტატისტიკა და დემოგრაფიული პროგნოზები წარმოადგენენ პრაქტიკულ მტკიცებულებას, რომ დემოგრაფიული აფეთქება მსოფლიოში დღემდე გრძელდება და თავისი ქაოტურობით არის დემოგრაფიული ციკლების დაუსრულებელი ფორმა, რომლის პირობებშიც ყალიბდება და მწვავდება ჭარბმოსახლეობის პრობლემა, რომელიც თავის მხრივ მრავალი პრობლემის მამოძრავებელ ძალად გვევლინება.

## 1.2. მოსახლეობის ზრდა, ჭარბმოსახლეობა და ეკოლოგიური კრიზისის ანთროპოგენური ფაქტორი

ჭარბმოსახლეობა არის მოსახლეობის ზრდის ან/და მიგრაციის შედეგი. მიჩნეულია, რომ ჭარბმოსახლეობა არის ზედმეტად ბევრი ადამიანი გარკვეულ სივრცეში, მოსახლეობის სიმჭიდროვის მაღალი დონე,<sup>117</sup> თუმცა ამერიკელი ბიოლოგი პოლ ერლიხი თვლის, რომ მოსახლეობის სიმჭიდროვეს ხშირ შემთხვევაში არ აქვს კავშირი ჭარბი მოსახლეობის საკითხთან.<sup>118</sup> რასაკვირველია აღნიშნული პოზიცია სწორია, რადგან აუცილებლად გასათვალისწინებელია კონკრეტული ქვეყნის სპეციფიკა (მაგალითად, მიწის ნაყოფიერების მხრივ, როდესაც შედარებით პატარა ფართობის ქვეყანას ბევრად მეტი მოსახლეობის გამოკვება შეუძლია, ვიდრე უფრო დიდი ფართობის ქვეყანას, რომელშიც შეიმჩნევა ნაყოფიერი მიწის დეფიციტი). აქედან გამომდინარე, მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით ჭარბმოსახლეობის განსაზღვრა დაუშვებელია. ერლიხი ევროპის და აფრიკის შედარებას აკეთებს, რომლის მიხედვითაც თუ მოსახლეობის სიმჭიდროვე იქნება მთავარი კრიტერიუმი, ამ შემთხვევაში აფრიკა ევროპასთან შედარებით „მცირედ დასახლებულია“.<sup>119</sup> რა თქმა უნდა, ჭარბმოსახლეობის პრობლემა და მოსახლეობის სიმჭიდროვის დონე არ უნდა გავაიგივოთ, თუმცა ეს უკანასკნელი მაინც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციუმზე.

საინტერესოა ცნობილი გერმანელი სოციალისტის ავგუსტ ბებელის დამოკიდებულება ჭარბმოსახლეობისადმი. იგი იზიარებს სოციალისტურ წრეებში დამკვიდრებულ პოზიციას და თვლის, რომ უძველესი დროიდან ჭარბმოსახლეობის პრობლემა გამოიყენებოდა მდიდრების მიერ ღარიბების წინააღმდეგ,<sup>120</sup> ქვეყნის რესურსები რჩებოდა მდიდრების ხელში, ხოლო სიღარიბის პრობლემა წარმოიქმნებოდა მასების რაოდენობის მკვეთრი ზრდით. შეიძლება ითქვას, რომ ბებელის მთავარ არგუმენტად გვევლინება ტყის და სრულიად ბუნებრივი გარემოს არეალის გამოყენება, რათა მზარდ მოსახლეობას ჰქონდეს გამოკვების უნარი.

<sup>117</sup> Ehrlich Paul, Ehrlich Anne. The Population Explosion. Hutchinson, London, 1990. გვ. 38

<sup>118</sup> იქვე.

<sup>119</sup> იქვე.

<sup>120</sup> Bebel August. Society of the Future. Progress Publishers, Moscow, 1971.

რასაკვირველია მოსახლეობა რესურსებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს, თუმცა ბუნებრივი გარემოს მუდმივი ექსპლუატაცია ასევე დაუშვებელია, რაც საბოლოო ჯამში, გამოიწვევს ეკოლოგიურ კატასტროფას. ბებელს უნდა დავეთანხმობთ რესურსების სამართლიანი გადანაწილების საკითხში, თუმცა ვერ დავეთანხმებით ბუნებრივი გარემოს მუდმივ ექსპლუატაციაში, რაც გარდაუვალია დემოგრაფიული პროცესების რეგულირების გარეშე, რომლის პირობებშიც ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე საუბარი შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ ბებელი აკრიტიკებს მალთუსიანელობას, იგი ასევე აღნიშნავს, რომ კაპიტალისტური სისტემა აქეზებს შობადობას, ვინაიდან, მას სჭირდება იაფი მუშახელი.<sup>121</sup> მოსახლეობის გამოკვებაზე საუბრისას აღსანიშნავია ბებელის შეფასება რუსეთის და გერმანიის მოსახლეობის სიმჭიდროვის შედარებისას, კერძოდ რუსეთის ევროპულ ნაწილში ერთ კვადრატულ კილომეტრზე ცხოვრობდა 19,2 ადამიანი, ხოლო საქსონიაში 300. გარდა ამისა, მეტად საყურადღებოა ბებელის მიერ მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდის და კლიმატური ცვლილებების ერთმანეთთან დაკავშირება.<sup>122</sup> მიუხედავად ამისა, ბებელი ემხრობა მოსახლეობის რაოდენობის გაზრდას, რადგან მიაჩნია, რომ მსოფლიოში მიწები უხვად არის. ასეთი დამოკიდებულება, რასაკვირველია, გამოწვეულია იმით, რომ 1900 წლისთვის მსოფლიოს მოსახლეობა დაახლოებით 1,6 მილიარდს შეადგენდა.

მოსახლეობის დინამიკასთან ერთად, შესაბამისად იცვლება მოსახლეობის სიმჭიდროვეც. ამ შემთხვევაშიც უნდა მივმართოთ გაეროს სტატისტიკურ მონაცემებს. მსოფლიოს მოსახლეობის სიმჭიდროვე (ადამიანთა რაოდენობა კვადრატულ კილომეტრზე) XX საუკუნის პირველ ნახევარში საკმაოდ დაბალი იყო:<sup>123</sup>

1920 წელს: 14; 1930 წელს: 15; 1939 წელს: 16; 1949 წელს: 18

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის პირველ ნახევარში მოსახლეობის სიმჭიდროვე მსოფლიოში საკმაოდ ნელი ტემპით იზრდებოდა, თუმცა ამავე საუკუნის მეორე ნახევრიდან, დემოგრაფიული აფეთქების შემდგომ მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდის ტემპებიც მოსახლეობის ზრდასთან ერთად მკვეთრად

---

<sup>121</sup> იქვე. გვ. 136

<sup>122</sup> იქვე. გვ. 140

<sup>123</sup> Demographic Yearbook 1949-1950. Department of Social Affairs. Department of Economic Affairs. Statistical Office of the United Nations. New York, 1950. გვ. 11

გაიზარდა, რასაც ბოლო ათწლეულების სტატისტიკა ასახავს (ადამიანთა რაოდენობა კვადრატულ კილომეტრზე):

	2000 <sup>124</sup>	2010 <sup>125</sup>	
<b>2020<sup>126</sup></b>			
მსოფლიო	45	51	60
აფრიკა	26	35	45
ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი	25	29	32
ჩრდილოეთ ამერიკა	15	16	20
აზია	116	132	150
ევროპა	32	32	34
ოკეანეთი	4	4	5

მოსახლეობის სიმჭიდროვეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან, მასზეა დამოკიდებული თუ როგორი იქნება დასახლებული პუნქტების სპეციფიკა, ტყის ფართობი ქვეყნის მასშტაბით, სოფლის მეურნეობისთვის განკუთვნილი არეალი, თუ როგორი არქიტექტურა იქნება ქალაქებში, რამდენად გამწვანებული და ა.შ.<sup>127</sup> მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდება მოსახლეობის სიმჭიდროვე, ხოლო ეს უკანასკნელი ახალი სივრცის მოპოვების აუცილებლობას იწვევს, რაც ადამიანის ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედებას (ანთროპოგენური ფაქტორები) გულისხმობს.

ანთროპოგენური ფაქტორი ძირითად შემთხვევაში ბუნებრივ გარემოზე უარყოფით გავლენას ახდენს. მზარდი მოსახლეობის რესურსებით უზრუნველყოფა რასაკვირველია, გავლენას ახდენს ბუნებრივ გარემოზე და სრულიად ეკოსისტემაზე; მხოლოდ სოფლის მეურნეობაზე გლობალური ანთროპოგენური სათბური აირების

<sup>124</sup> Demographic Yearbook 2000. Fifty-second issue. Department of Economic and Social Affairs. United Nations. New York, 2002. გვ. 109

<sup>125</sup> Demographic Yearbook 2011. Sixty-second issue. Department of Economic and Social Affairs. United Nations. New York, 2012. გვ. 46

<sup>126</sup> Demographic Yearbook 2020. Seventy-first issue. Department of Economic and Social Affairs. United Nations. New York, 2021. გვ. 46

<sup>127</sup> უბირია ალექსანდრე. დემოგრაფიული ციკლები ისტორიაში და გლობალური უსაფრთხოება. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2024. გვ. 65

20%-ზე მეტი მოდის.<sup>128</sup> მოსახლეობის პროგნოზების გათვალისწინებით შემდეგი ათწლეულების განმავლობაში აუცილებელი იქნება რესურსების წარმოების კიდევ უფრო გაზრდა, რაც ბუნებრივ გარემოზე ზეწოლას გააძლიერებს. თანამედროვეობაში მოსახლეობის ზრდა და ეკონომიკის ზრდა, ორივე წარმოადგენენ საფრთხეს,<sup>129</sup> მოსახლეობის ზრდა განაპირობებს ეკონომიკის ზრდას. მოსახლეობის სტაბილიზაციის და ურბანიზაციის გარდა, ასევე მომხმარებლური მისწრაფებები საჭიროებს შეზღუდვას.<sup>130</sup> ახალი სივრცის დაკავება მოსახლეობის მოთხოვნილებათა უზრუნველყოფის მიზნით, როგორც უკვე აღინიშნა ახალი სივრცის ათვისებით ხდება, ხოლო ეს ყოველივე ძირითად შემთხვევაში ტყის ფართობის ხარჯზე მიმდინარეობს, რაც უფრო ამწვავებს ეკოლოგიურ პრობლემებს. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის სწრაფი ტემპებით ზრდა ასევე იწვევს აღდგენადი რესურსების კრიზისს, რადგან მათი აღდგენა ასე სწრაფად ვერ ხერხდება.<sup>131</sup> სამხრეთ ბანატის ოლქის (სერბეთი) მაგალითზე დადგინდა, რომ ტყის საფარის ცვლილება დემოგრაფიულ ცვლილებებთან კავშირშია.<sup>132</sup> ასევე მნიშვნელოვანი ფაქტია ტყის ფართობის გაზრდა იმ ტერიტორიებზე, სადაც დეპოპულაცია მიმდინარეობს, ერთი შემთხვევის გარდა, როდესაც ტყის ფართობის შემცირება გამოიწვია ხანძარმა. ცვლილებათა ყველა ძირითადი ტენდენცია მიუთითებს ანთროპოგენური გავლენის მნიშვნელობას როგორც გაუტყეურების, ასევე ტყის აღდგენის საკითხში.<sup>133</sup>

თავდაპირველად გაეროში მოსახლეობის დინამიკის საკითხს განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდნენ, თუმცა შემდგომ მსოფლიოში მოსახლეობის ზრდის ტემპების კლების შედეგად ნაკლებად კეთდება აქცენტი აღნიშნულ საკითხზე.<sup>134</sup> მოსახლეობის ზრდის ტემპების კლების გარდა, ოჯახის

---

<sup>128</sup> Elias Ganivet. Growth in human population and consumption both need to be addressed to reach an ecologically sustainable future. *Environment, Development and Sustainability*, 2020, 22 (6), pp.4979-4998. 10.1007/s10668-019-00446-w. hal-02939187

<sup>129</sup> *Population Dynamics and Climate Change*. Edited by: Jose Miguel Guzman, George Martine, Gordon McGranahan, Daniel Schensul, Cecilia Tacoli. UNFPA, IIED, 2009. გვ. 10

<sup>130</sup> იქვე. გვ. 27

<sup>131</sup> Gatari ć D, Đerčan B, Živkovi ć MB, Ostojić M, Manojlović S, Sibinović M, Lukić T, Jeftić M, Lutovac M and Lutovac M (2022) Can Depopulation Stop Deforestation? The Impact of Demographic Movement on Forest Cover Changes in the Settlements of the South Banat District (Serbia). *Front. Environ. Sci.* 10:897201. doi: 10.3389/fenvs.2022.897201

<sup>132</sup> იქვე. გვ. 10

<sup>133</sup> იქვე.

<sup>134</sup> *Population Dynamics and Climate Change*. Edited by: Jose Miguel Guzman, George Martine, Gordon McGranahan, Daniel Schensul, Cecilia Tacoli. UNFPA, IIED, 2009. გვ. 36-39

დაგეგმვის გარდა აქცენტი კეთდება ჯანდაცვის საკითხებზე, რაც გამოწვეული არის ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის გავრცელების გამო, ხოლო მესამე მიზეზია 1968 წელს მიღებული თეირანის დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო საზოგადოებამ აღიარა მშობლების მიერ შვილების რაოდენობის რეგულირება.<sup>135</sup>

ერთ-ერთი ნაშრომში <sup>136</sup> განხილულია შობადობის რეგულირების საკითხი, თუმცა ავტორებმა თავიდანვე აღნიშნეს, რომ ემიჯნებიან შობადობის რეგულირების იძულებით ფორმებს. მათი აზრით მსოფლიო მოსახლეობის შემცირება უდიდეს გავლენას მოახდენს სათბურის აირების (GHG) ემისიაზე. მოსახლეობის სტაბილიზაციაზე და შობადობის შემცირებაზე საუბრისას საყურადღებო შობადობის რეგულირების ოთხი ტიპის გამოყოფა, თუმცა ავტორები პირველი სამის ეფექტიანობას ემხრობიან.<sup>137</sup>

კლიმატის ცვლილების საფრთხიდან გამომდინარე, საჭიროა აგრესიული პოლიტიკური რეაქცია, რომლის ნაწილიც უნდა იყოს დემოგრაფიული პოლიტიკა.<sup>138</sup> აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ შობადობის რეგულირების გარეშე შეუძლებელია კლიმატის ცვლილებაზე რაიმე გავლენის მოხდენა. დასკვნის სახით აქცენტი გაკეთდა გარდაქმნაზე, რომელიც კლიმატის ცვლილებასთან გლობალური ბრძოლის პოლიტიკური ჩიხიდან გამოგვიყვანს. ეს გარდაქმნა შეიძლება იყოს როგორც შობადობის კონტროლი, ასევე რესურსების მოხმარების კონტროლი, თუმცა ამ შემთხვევაში საუბარია კონკრეტული ინდივიდის მიერ თვითკონტროლზე, რაც სამწუხაროდ ვერ იქნება ეკოლოგიური უსაფრთხოების გარანტი.

გარემოს დაბინძურებას იმდენად არა მოსახლეობის ზრდა, არამედ მომხმარებელთა ზრდა იწვევს<sup>139</sup> - ასეთი პოზიცია მეტნაკლებად სწორია, თუ ჭარბმომხმარებელთა დავაკავშირებთ, თუმცა მოსახლეობის ზრდა ავტომატურად ნიშნავს მომხმარებელთა რაოდენობის ზრდას.

ზემოხსენებული ახალი სივრცის ათვისება ტყის ფართობის ხარჯზე კარგად ჩანს გაეროს მიერ შემუშავებული ნაშრომის სტატისტიკურ მონაცემებში, რომელთა

---

<sup>135</sup> იქვე. გვ. 40

<sup>136</sup> Social Theory and Practice. Colin Hickey, Travis N. Rieder and Jake Earl. Population Engineering and the Fight against Climate Change. Vol. 42, No. 4 (October 2016), pp. 845-870

<sup>137</sup> იქვე. გვ. 854

<sup>138</sup> იქვე. გვ. 867

<sup>139</sup> Population Dynamics and Climate Change. Edited by: Jose Miguel Guzman, George Martine, Gordon McGranahan, Daniel Schensul, Cecilia Tacoli. UNFPA, IIED, 2009. გვ. 59

მიხედვითაც 1990-2020 წლებში ტყეების ფართობმა იკლო 1 775 020 კვადრატული კილომეტრით.<sup>140</sup> უნდა აღინიშნოს კონტინენტებს შორის კარდინალური განსხვავებები, მაშინ როდესაც ევროპაში, აზიასა და ოკეანეთში ტყის ფართობმა მოიმატა, ამერიკის კონტინენტზე და აფრიკაში დაიკლო, ხოლო ამ უკანასკნელში კატასტროფული ტემპებით - ტყის ფართობმა აფრიკაში 1 061 620 კვადრატული კილომეტრით დაიკლო (7 428 010 კვადრატული კილომეტრიდან 6 366 390 კვადრატულ კილომეტრამდე.<sup>141</sup> მოსახლეობის დინამიკასთან აღნიშნული მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია, რადგან აფრიკაში გრძელდება დემოგრაფიული აფეთქების ფენომენი, ხოლო დანარჩენ კონტინენტებზე (სამხრეთ ამერიკაშიც ამ ეტაპზე საკმაოდ სწრაფად იზრდება მოსახლეობა) ფიქსირდება მოსახლეობის რაოდენობის სტაბილუზაცია (ევროპის შემთხვევაში დეპოპულაცია).

ქვეყნებიდან ტყის ფართობით გამოირჩევიან (2020 წლის მონაცემები):<sup>142</sup>

	1000 ჰა	მსოფლიო ტყის ფართობის %
1) რუსეთის ფედერაცია	815 312	20
2) ბრაზილია	496 620	12
3) კანადა	346 928	9
4) ამერიკის შეერთებული შტატები	309 795	8
5) ჩინეთი	219 978	5
6) ავსტრალია	134 005	3
7) კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა	126 155	3
8) ინდონეზია	92 133	2
9) პერუ	72 330	2
10) ინდოეთი	72 160	2

<sup>140</sup> Global Forest Resources Assessment 2020. Main Report. Food and Agriculture Organization of the United Nations. Rome, 2020. გვ 14-16

<sup>141</sup> იქვე. გვ. 16

<sup>142</sup> იქვე. გვ. 15

ყველაზე მწვანე ქვეყნებია (ტყის ფართობის პროცენტი ქვეყნის ფართობის გათვალისწინებით):<sup>143</sup>

	ტყის ფართობი	
	1000 ჰა	ქვეყნის ფართობის %
1) სურინამი	15 196	97
2) საფრანგეთის გვიანა	8 003	97
3) გაიანა	18 415	94
4) მიკრონეზიის ფედერაციული შტატები	64	92
5) გაბონი	23 531	91
6) სოლომონის კუნძულები	2 523	90
7) პალაუ	41	90
8) ეკვატორული გვინეა	2 448	87
9) ამერიკის სამოა	17	86
10) პაპუა-ახალი გვინეა	35 856	79

ჩამოთვლილ ქვეყნების უმრავლესობაში მოსახლეობის სიმჭიდროვის დონე საკმაოდ დაბალია. რაც შეეხება ტყეების ერთ-ერთ ფუნქციას, ეს არის ჰაერის სხვადასხვა მავნე ნივთიერებებისგან გასუფთავება, ხოლო ჰაერის დაბინძურება ცხოვრების ხარისხს აქვეითებს და დაახლოებით 7 მილიონი ადამიანის ნაადრევი სიკვდილის მიზეზად გვევლინება,<sup>144</sup> რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველდღიურად 17 000-ზე მეტი ადამიანი იღუპება.<sup>145</sup> XX საუკუნეში, როდესაც დემოგრაფიული აფეთქება დაიწყო, მსოფლიოში ტყეების ფართობი 75%-ით შემცირდა, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე ტყის ფართობმა ორჯერ იკლო - 1,2 ჰა-დან 0,6 ჰა-მდე.<sup>146</sup> ტყის ფართობის შემცირება, რასაკვირველია, გააუარესებს ჰაერის ხარისხის მდგომარეობას.

მოსახლეობის ზრდის მიერ ანთროპოგენური ფაქტორების გავლენის ზრდაზე მიუთითებს ეკვადორის და მადაგასკარის მაგალითები.<sup>147</sup> მადაგასკარზე, სადაც 12 000

<sup>143</sup> იქვე.

<sup>144</sup> World Energy Outlook. IEA, 2024. გვ. 64

<sup>145</sup> იქვე. გვ. 237

<sup>146</sup> Вишнеvский А.Г. Избранные демографические труды. Том II. Экономическая демография. Анализ демографических процессов. Москва, Наука, 2005. გვ. 370

<sup>147</sup> Limits to Growth. The 30-Year Update. Donella Meadows, Randers Jorgen, Dennis Meadows. Earthscan, London, 2005. გვ. 110

მცენარეთა და 190 000 ცხოველთა სახეობაა, რომელთაგან 60%-ზე მეტი ენდემიკია, ანუ დედამიწაზე არსად არ გვხვდებიან გარდა მადაგასკარის. მიუხედავად ამისა, მადაგასკარის ტყეების 90% გაჩეხეს, რათა გაესუფთავებინათ სივრცე სოფლის მეურნეობისთვის. ეკვადორის შემთხვევაში, მხოლოდ დასავლეთ ეკვადორში 8-დან 10 ათასამდე მცენარე იყო, ნახევარი მათგანი ენდემიკები. 1960 წლიდან დასავლეთ ეკვადორის ტყეები გადააქციეს ბანანების პლანტაციებად.<sup>148</sup>

ანთროპოგენურ გავლენაზე მოსახლეობის ზრდის გამლიერება ლაკონურად შეაფასა ამერიკელმა ბიოლოგმა პოლ ერლიხმა: „ძალიან ბევრი მანქანა, ძალიან ბევრი ქარხანა, ძალიან ბევრი პესტიციდი, ძალიან ცოტა წყალი, მეტი ნახშირორჟანგი“,<sup>149</sup> რომლის მიზეზია - ძალიან ბევრი ადამიანი.

---

<sup>148</sup> იქვე.

<sup>149</sup> Ehrlich Paul R. The Population Bomb. Population Control or race to oblivion? Ballantine Books, New York, 1968. გვ. 66-67

### 1.3. ეკოლოგიური კრიზისი და რესურსების დეფიციტი, როგორც ძალადობის (შეიარაღებული კონფლიქტები; საიმიგრაციო კრიზისი) მთავარი კატალიზატორი

დემოგრაფიული აფეთქება და ჭარბმოსახლეობა უდიდეს ზიანს აყენებს ბუნებრივ გარემოს. მოსახლეობის სწრაფი ზრდის პირობებში გარემოს დაბინძურება უფრო სწრაფად მიმდინარეობს, რაც რასაკვირველია ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენის გარდა ამწვავებს რესურსების დეფიციტს.

კულტურულ-ცივილიზაციური, ეთნიკური და იდეოლოგიური ფაქტორის სრული იგნორირება რასაკვირველია დაუშვებელია, თუმცა აუცილებელია კონფლიქტების მთავარი მიზეზის დადგენა, რომელსაც რა თქმა უნდა, რიგ შემთხვევებში ამწვავებენ რასობრივ-ეთნიკური და სხვა ზემო ხსენებული ფაქტორები.

ჭარბმოსახლეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო შედეგია შიმშილი, რაც ეკოლოგიური კრიზისის პირობებში განსაკუთრებით მწვავდება. XXI საუკუნის 20-იანი წლების გამოუკვებავი მოსახლეობის რაოდენობის სტატისტიკა (მილიონებში) ასე გამოიყურება:

	2020 <sup>150</sup>	2021 <sup>151</sup>	2022 <sup>152</sup>	2023 <sup>153</sup>
მსოფლიო	768	767.9	735.1	733.4
აფრიკა	281.6	278	281.6	298.4
აზია	418	424.5	401.6	384.5
ლათინური ამერიკა და კარიბის აუზი	59.7	56.5	43.2	41

<sup>150</sup> FAO, IFAD, UNICEF, WFP and WHO. 2021. The State of Food Security and Nutrition in the World 2021. Transforming food systems for food security, improved nutrition and affordable healthy diets for all. Rome, FAO.

<https://doi.org/10.4060/cb4474en> გვ. 12

<sup>151</sup> FAO, IFAD, UNICEF, WFP and WHO. 2022. The State of Food Security and Nutrition in the World 2022. Repurposing food and agricultural policies to make healthy diets more affordable. Rome, FAO.

<https://doi.org/10.4060/cc0639en> გვ. 15

<sup>152</sup> FAO, IFAD, UNICEF, WFP and WHO. 2023. The State of Food Security and Nutrition in the World 2023. Urbanization, agrifood systems transformation and healthy diets across the rural–urban continuum. Rome, FAO.

<https://doi.org/10.4060/cc3017en> გვ. 10

<sup>153</sup> FAO, IFAD, UNICEF, WFP and WHO. 2024. The State of Food Security and Nutrition in the World 2024 – Financing to end hunger, food insecurity and malnutrition in all its forms. Rome.

<https://doi.org/10.4060/cd1254en> გვ. 8

ოკეანეთი	2.7	2.5	3.2	3.3
ჩრდილოეთი ამერიკა და ევროპა <sup>154</sup>				

ყველაზე სწრაფად გამოუკვებავი მოსახლეობის ზრდა შეინიშნება აფრიკის კონტინენტზე, ერთადერთ კონტინენტზე სადაც დღემდე მიმდინარეობს დემოგრაფიული აფეთქება. ამასთანავე უმძიმესი ვითარება ვლინდება გამოუკვებავი მოსახლეობის არა მხოლოდ რაოდენობის ზრდით, არამედ პროცენტულობის ზრდითაც. ამ მხრივ დადებითი მაჩვენებელია მსოფლიოში, რადგან 2020-2023 წლებში გამოუკვებავი მოსახლეობის პროცენტმა 9.9%-დამ 9.1%-მდე იკლო, ხოლო აფრიკაში თითქმის 2%-ით გაიზარდა.<sup>155</sup> ჭარბმოსახლეობის მიერ გამოწვეულ შიმშილს ისტორიაში მრავალი კატაკლიზმები წარმოუქმნია. რესურსების დეფიციტი და შიმშილი ძირითად შემთხვევაში იწვევდა შეიარაღებულ კონფლიქტებს (რიგ გამონაკლისებში ეპიდემიებს ან უზრალოდ მასობრივ შიმშილს, რომლის შედეგადაც ხდებოდა მოსახლეობის შემცირება და შიმშილის დასრულება), ხოლო შეიარაღებული კონფლიქტების მხრივ დღეს, სხვა კონტინენტებთან შედარებით გამოირჩევა აფრიკის კონტინენტი.

შიმშილთან (რომელსაც ძირითად შემთხვევაში ჭარბმოსახლეობა იწვევს) მრავალი პრობლემის (მიგრაცია, ომები და სხვ.) გამწვავებაა დაკავშირებული. კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში სხვისი ტერიტორიის დაუფლება შეიარაღებული კონფლიქტის მეშვეობით, ახალი სივრცისა და რესურსების დაუფლების ერთ-ერთი საშუალება იყო. «იმპერიალიზმი», «ბრძოლა სრუტეებისთვის», «კოლონიებისთვის», «მადაროებისთვის», «ზღვების თავისუფლებისთვის ან ზღვებზე ბატონობისთვის», «ანექსიებისთვის და კონტრიბუციისთვის», ყოველივე ეს საფუძველია ომების, რომელსაც სურსათის უკმარისობა და საკვებისთვის ბრძოლა იწვევდა.<sup>156</sup> რუსი სოციოლოგის პიტირიმ სოროკინი თავის ნაშრომში („შიმშილი, როგორც ფაქტორი“) შიმშილთან

<sup>154</sup> ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში

<sup>155</sup> FAO, IFAD, UNICEF, WFP and WHO. 2024. The State of Food Security and Nutrition in the World 2024 – Financing to end hunger, food insecurity and malnutrition in all its forms. Rome. <https://doi.org/10.4060/cd1254en> გვ. 8

<sup>156</sup> Sorokin A. Pitirim. Hunger as a Factor in Human Affairs. The University Presses of Florida, 1975. გვ. 214

დაკავშირებულ მრავალ საკითხს განიხილავს, თუმცა მეტად საყურადღებოა სასურსათო დეფიციტის გავლენის შესახებ მიგრაციაზე, ომებზე და კრიმინალზე. უძველესი დროიდან ადამიანი ცდილობდა დამკვიდრებულიყო ეკოლოგიურად მდგრად სივრცეში, რომელიც უზრუნველყოფილი იქნებოდა, პირველ რიგში, ნაყოფიერი მიწებით (მაგალითად მოსახლეობის სიმჭიდროვე არ არის მაღალი უდაბნოებში, შესაბამისად საიმიგრაციო პროცესები ასეთ სივრცეში თითქმის არ მიმდინარეობს). სოროკინი ე.წ. მშვიდობიან მიგრაციაზე საუბრისას ბერძენთა კოლონიზაციას აღნიშნავს, რომლის მიზეზიც დემოგრაფიული აფეთქება იყო. ატიკის მცირე ტერიტორიას არ ჰქონდა მზარდი მოსახლეობის გამოკვების უნარი, რის გამოც ჭარბმოსახლეობის, ანუ შიმშილის საშიშროება იზრდებოდა.<sup>157</sup> ანალოგიური მიზეზები ჰქონდა რომის სამხედრო კოლონიზაციას.

XI საუკუნის ევროპაში ადგილი ჰქონდა მოუსავლიანობას და შიმშილის არა ერთ ფაქტს, რომელმაც გამოიწვია ისეთი მასშტაბური სახის მიგრაცია, როგორც არის ჯვაროსნული ლაშქრობები.<sup>158</sup> 1095 წელს ბელგიაში საშინელი შიმშილობა იყო, ამიტომ არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ შემდეგ წელს სწორედ აქედან ჯვაროსანთა განსაკუთრებით დიდი რაოდენობა წავიდა ლაშქრობაში. მეორე ჯვაროსნულ ლაშქრობამდე (1147-1149), 1145-1147 წლებში ასევე ადგილი ჰქონდა ძლიერ შიმშილობას.<sup>159</sup> შემდგომ პერიოდებში მოსახლეობის ზრდასთან ერთად იგივე პროცესები მიმდინარეობდა - გლეხთა მასები, რომლებიც შიმშილის გამო იძულებულები იყვნენ საკმად დიდი სივრცე გადაეღახათ უკეთესი პირობების საძიებლად.<sup>160</sup>

ახალ და უახლეს პერიოდში ყურადღებას იპყრობს ირლანდიის დიდი შიმშილობა (1845-1852), რომელმაც ირლანდიელთა მასობრივი მიგრაცია გამოიწვია (დაახლოებით 2 მილიონი ადამიანი ტოვებს ქვეყანას, აქედან დიდი ნაწილი ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემართება).<sup>161</sup> აღსანიშნავია, რომ 1880 წლამდე აშშ-ში და კანადაში ღარიბი ადამიანები მიემგზავრებიან ევროპის მდიდარი ქვეყნებიდან

---

<sup>157</sup> იქვე. გვ. 187

<sup>158</sup> იქვე. გვ. 189

<sup>159</sup> იქვე.

<sup>160</sup> იქვე.

<sup>161</sup> Neurath Paul. From Malthus to the Club of Rome and Back. Problems of Limits to Growth, Population Control, and Migrations. Routledge, 2015. E-book edition.

(ინგლისი, გერმანია, სკანდინავიის ქვეყნები), ხოლო 1880 წლიდან უკვე ღარიბი ქვეყნებიდან (იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი, რუსეთი, პოლონეთი, ავსტრია-უნგრეთის აღმოსავლეთ პროვინციები) მოსახლეობა კვლავ ძირითად შემთხვევაში ჩრდილოეთ ამერიკაში მიდის ემიგრაციაში, თუმცა ასევე დიდი ნაწილი მიემართება ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში. ქრონოლოგიურად შემდეგში ასეთი სურათი დაიხატა - პირველი მსოფლიო ომის დროს ერთგვარ შესვენებას აქვს ადგილი, ხოლო 1920-იანი წლებიდან აშშ-ში იმიგრაცია იზღუდება, ამას შემდგომ ემატება დიდი დეპრესია და მეორე მსოფლიო ომი, რომლის დროსაც მასობრივი მიგრაცია თითქმის შეჩერდა.<sup>162</sup>

შიმშილი ან მისი საშიშროება (თუ არ არის მისი დაკმაყოფილების სხვა საშუალება) წარმოქმნის ომს, ხოლო ომი თავის მხრივ წარმოქმნის შიმშილს, ეს ორი ტყუპი თითქმის განუყრელად არიან და ასე სეირნობენ სამყაროში.<sup>163</sup> ომის გამომწვევები ყოველთვის იყო შიმშილი ან სხვისი ქონების (რესურსების) დაუფლება, რაც ასევე მოსახლეობის უზრუნველყოფით არის გამოწვეული. აქედან გამომდინარე, ყველა ომი, ეს არის ომი რესურსებისთვის, ხოლო რესურსების დეფიციტი გამოწვეულია ძირითად შემთხვევაში დემოგრაფიული აფეთქებით და ჭარბმოსახლეობით. მოსახლეობის სიმჭიდროვე მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რაც შემთხვევითი არ არის. სოროკინს ათენის ჭარბმოსახლეობაზე საუბრისას პერიკლეს დროინდელი ათენის მოსახლეობის სიმჭიდროვე მოჰყავს მაგალითად, სადაც ერთ კვადრატულ კილომეტრზე 89 ადამიანი ცხოვრობდა შედარებისთვის, ევროპის ქვეყნების ახალი და უახლესი პერიოდის მოსახლეობის სიმჭიდროვე უფრო დაბალი იყო.<sup>164</sup> თანაც არა ინდუსტრიული ქვეყნების მოსახლეობის სიმჭიდროვე უნდა შეადგენდეს 10-40 ადამიანს ერთ კვადრატულ კილომეტრზე, ხოლო ატიკის მოსახლეობის სიმჭიდროვე იყო 49 ადამიანი ერთ კვადრატულ კილომეტრზე, შედეგად მიგრაციის და ომების აუცილებლობა. ამ კუთხით ბერძენთა და რომაელთა კოლონიზაცია-ექსპანსიის გარდა მრავალი ისტორიული მოვლენის დაკავშირება შეგვიძლია, მაგალითად, როგორც არის ჰიქსოსების შემოსევები, ასირია-ბაბილონის სივრცეში ქანაანელების, ქალდეებისა და არაბების მასობრივი გადასახლებები, ხალხთა დიდი გადასახლება,

---

<sup>162</sup> იქვე.

<sup>163</sup> Sorokin A. Pitirim. Hunger as a Factor in Human Affairs. The University Presses of Florida, 1975. გვ. 201

<sup>164</sup> იქვე. გვ. 205

ჯვაროსნული ლაშქრობები და დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, ახალი სამყაროს აღმოჩენა და ა.შ. ყველგან ფიგურირებს დემოგრაფიული ფაქტორი. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში მოსახლეობის ასეთი მასშტაბის მოძრაობა ძალადობასთან იყო კავშირში, გამონაკლისი არც ბერძენთა კოლონიზაცია არის, რადგან მიუხედავად მშვიდობიანი გადასახლების, ბერძენთა შემთხვევაში იყო დაპირისპირება ადგილობრივებთან.

უახლეს ისტორიაში ანალოგიური მიზეზების გამო მიმდინარეობს შეიარაღებული კონფლიქტები. ჯერ კიდევ 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომია ამ ყოველივეს მაგალითი. 76 მილიონიანი იაპონია იძულებული იყო გაეფართოვებინა სასიცოცხლო სივრცე, ვინაიდან, ქვეყნის ფართობიდან გამომდინარე იმ პერიოდში იყო შიმშილის საშიშროება.<sup>165</sup> როგორც შედეგი მისი დაპირისპირება რუსეთთან, ჩინეთთან და აშშ-თან. აქედან გამომდინარე ორივე მსოფლიო ომი (ასევე სხვა შეიარაღებული კონფლიქტები) გამოწვეული იყო ჭარბმოსახლეობით. მსოფლიო ომების მთავარი ინიციატორები იბრძოდნენ ახალი სასიცოცხლო სივრცისთვის, რათა თავისი მოსახლეობა უზრუნველყოფილი ყოფილიყო რესურსებით. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ევროპაში უკვე ფიქსირდება ჭარბმოსახლეობა - სხვა კონტინენტებთან შედარებით ევროპას, სადაც 100 მილიონი ადამიანით მეტი ცხოვრობდა, თავისი მოსახლეობის გამოკვების უნარი არ გააჩნდა.<sup>166</sup> ამ ეტაპზე ე.წ. მწვანე რევოლუციის დამსახურებით მასობრივი შიმშილის პრობლემა მოსახლეობის სწრაფი ტემპების გათვალისწინებით გადავადდა, ამას დაემატა ტყის ფართობის ხარჯზე სოციალური პრობლემების გამწვავების გადავადება, თუმცა მოსახლეობის სიმჭიდროვე მაინც საყურადღებოა, სულ მცირე ერთ სულ მოსახლეზე სამედიცინო პერსონალის ოდენობის შემცირების გამო,<sup>167</sup> რის გამოც ეპიდემიების და პანდემიების რისკი მატულობს. ამგვარად, შიმშილი გლობალური უსაფრთხოებისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, რომელიც ამავდროულად წარმოშობილია ეკოლოგიური უსაფრთხოების რღვევის შედეგად.<sup>168</sup> ინდოეთში არსებული შიმშილის ფაქტორისადმი

---

<sup>165</sup> Sorokin A. Pitirim. *Hunger as a Factor in Human Affairs*. The University Presses of Florida, 1975. გვ. 201

<sup>166</sup> Кейнс Дж. М. Избранные произведения. Экономика. Москва, 1993. გვ. 32

<sup>167</sup> Ehrlich Paul R. *The Population Bomb*. Population Control or Race to Oblivion? New York, Ballantine Books, inc, 1968. გვ. 70

<sup>168</sup> უბირია ალექსანდრე. დემოგრაფიული ციკლები ისტორიაში და გლობალური უსაფრთხოება. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2024. გვ. 67

მიმდგნილ ნაშრომში განხილული მიწის ხარისხის გაუარესება და ტყეების განადგურება ამ ყოველივეს მაგალითია.<sup>169</sup> შიმშილი რომ არ იქნეს დაშვებული, სავალდებულოა ეკოლოგიაზე ზეწოლა, თუმცა რეალურად გარემოზე ზეწოლა დროებით შეაჩერებს რესურსების დეფიციტს და მომავალში უფრო მეტი პრობლემის კატალიზატორი გახდება, ვინაიდან, ეკოლოგიური უსაფრთხოების რღვევის შედეგად მათ შორის შიმშილის საშიშროება წარმოიქმნება.<sup>170</sup>

ეკოლოგიური პრობლემების გამწვავების შედეგად დაწყებული შეიარაღებული კონფლიქტებიდან გამოირჩევა სამოქალაქო ომი რუანდაში (1990-1994). ეს იყო ორ ადგილობრივ ეთნოსს (ჰუტუ და ტუტსი) შორის დაპირისპირება, რომელსაც მილიონზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის გენოციდს შეეწირა 800 ათასზე მეტი ეთნიკური ტუტსი, თუმცა აღნიშნული კონფლიქტის მთავარი მიზეზი ეთნიკური დაპირისპირება არ არის, რაზეც ასევე მიუთითებს 1994 წლიდან ტუტსის გენოციდის შემდეგ ჰუტუს ეთნოსში შიდა დაპირისპირება.<sup>171</sup> ამერიკელი ბიოლოგი ჯარედ დაიმონდი თავის ნაშრომში („კოლაფსი“) აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ აფრიკაში არსებული მოსახლეობის პრობლემები ხშირად განისაზღვრება როგორც „მალთუსიანურები“. ეს ყოველივე შემთხვევითი არ არის, ვინაიდან, აფრიკის მოსახლეობა ძალიან სწრაფად იზრდება, დემოგრაფიული აფეთქება აფრიკის კონტინენტისთვის დამახასიათებელი გახდა - „მოსახლეობა იზრდება გეომეტრიული პროგრესიით, ხოლო საარსებო სახსრები წარმოქმნება არიტმეტიკული პროგრესიით“. რუანდაში უკვე დიდი ხნის განმავლობაში მოსახლეობის სიმჭიდროვის დონე მაღალი იყო. დაიმონდი ადარებს დიდ ბრიტანეთს და ჰოლანდიას, სადაც ასევე მაღალი იყო მოსახლეობის სიმჭიდროვე, თუმცა ორივე ქვეყანას მექანიზირებული სოფლის მეურნეობა აქვს, რის შედეგადაც სოფლის მეურნეობით საკმაოდ ცოტა ადამიანია დაკავებული და მიუხედავად ამისა, საკვები პროდუქტების წარმოება იმდენად დიდია, რომ არა მარტო მოსახლეობის უზრუნველყოფა ხერხდება, არამედ წარმოქმნილი რესურსების ექსპორტი.<sup>172</sup> მოსახლეობის ზრდასთან ერთად რუანდაში

<sup>169</sup> Williams Lukyn. Famines in India, Their Causes and Possible prevention. Henry S. King & Co., London, 1876. გვ. 40

<sup>170</sup> უბირია ალექსანდრე. დემოგრაფიული ციკლები ისტორიაში და გლობალური უსაფრთხოება. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2024. გვ. 67

<sup>171</sup> Diamond Jared. Collapse. Penguin Books. London, 2005. გვ. 320

<sup>172</sup> იქვე. გვ. 319

იწყება კონფლიქტები მიწისთვის, რაზეც მეტყველებს ფერმის ფართობის შემცირება (კანამეს რეგიონის მიხედვით, სადაც ძალიან ნაყოფიერი მიწაა): 1988 წელს 0.89 აკრიდან 0.72 აკრამდე 1994 წელს.<sup>173</sup> არამოდერნიზებული სოფლის მეურნეობა, ნიადაგის ეროზია, გაუტყეურება (რომელმაც მდინარეების დაშრობა გამოიწვია) და საბოლოო ჯამში, ეკოლოგიური კატასტროფა გახდა სასოფლო-სამეურნეო მიწების დეფიციტის კრიზისის მწვერვალი. ამასთანავე 1989 წელს ამ ყველაფერს დაემატა გვალვა, რაც რეგიონალურ და გლობალურ კლიმატის ცვლილებასთან იყო კავშირში.<sup>174</sup> რუანდას შემთხვევაში ადგილი ჰქონდა შემდეგ თანმიმდევრობას: დემოგრაფიულ აფეთქებას, ჭარბ მოსახლეობას, ეკოლოგიურ კატასტროფას, შიმშილს, სამოქალაქო ომს.<sup>175</sup> აქედან გამომდინარე ძალადობის პირველ მიზეზს წარმოადგენს დემოგრაფიული აფეთქება, რომელმაც გამოიწვია ტერიტორიებისთვის ბრძოლა და მიწების გადანაწილება, ხოლო რესურსების დეფიციტი შეგვიძლია ჩავთვალოთ ეკოლოგიური დეფიციტის შედეგად, აქედან გამომდინარე, სამოქალაქო ომი რუანდაში გამოიწვია ეკოლოგიის დეგრადაციამ.

ცივი ომის დასასრულს მრავალი შეფასება გააჩნია, თუმცა მეტად საყურადღებოა ამერიკელი პოლიტოლოგის სემიუელ ჰანტინგტონის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. მის ნაშრომში „ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა“<sup>176</sup> იყო მცდელობა ცივი ომის შემდგომი პერიოდის სავარაუდო მდგომარეობის ახსნის, რომლის მიხედვითაც დაიწყე ცივილიზაციათა დაპირისპირება. ჰანტინგტონმა გამოყო ცხრა მსოფლიო ცივილიზაცია:<sup>177</sup>

- 1) დასავლური ცივილიზაცია
- 2) ლათინოამერიკული ცივილიზაცია
- 3) მართლმადიდებლური ცივილიზაცია
- 4) აფრიკული ცივილიზაცია
- 5) ისლამური ცივილიზაცია
- 6) სინის ცივილიზაცია

---

<sup>173</sup> Diamond Jared. Collapse. Penguin Books. London, 2005. გვ. 321

<sup>174</sup> იქვე. გვ. 320

<sup>175</sup> უბირია ალექსანდრე. დემოგრაფიული ციკლები ისტორიაში და გლობალური უსაფრთხოება. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2024. გვ. 68

<sup>176</sup> Huntington Samuel. The Clash of Civilizations and the Remarking of World Order. Simon and Schuster. New York, 1996.

<sup>177</sup> იქვე. გვ. 26

7) იაპონური ცივილიზაცია

8) ინდუისტური ცივილიზაცია

9) ბუდისტური ცივილიზაცია

პირველად ისტორიაში გლობალური პოლიტიკა მულტიპოლუსური და მულტიცივილიზაციურია, მოდერნიზაცია გამოყოფილია ვესტერნიზაციისგან, დასავლეთის გავლენა შესუსტდა, იზრდება აზიის ცივილიზაციების ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური ძლიერება.<sup>178</sup> სხვა ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის ფრენსის ფუკუიამას პროგნოზებმა (ისტორიის დასასრული; ლიბერალიზმის ტრიუმფი სოციალისტური ბანაკის ლიკვიდაციის შემდეგ)<sup>179</sup> არ გაამართლეს.

ჭარბი მოსახლეობა და ეკონომიკური სტაგნაცია იწვევს მუსლიმთა მიგრაციას დასავლეთში, არამუსლიმურ საზოგადოებებში.<sup>180</sup> გარდა ამისა მეტ მოსახლეობას სჭირდება მეტი რესურსი, რომლის შედეგადაც კონფლიქტები წარმოიქმნება, ხოლო სამიზნე მეზობელი ქვეყნებია.<sup>181</sup> ძირითად აქცენტს ჰანტინგტონი ისლამურ ქვეყნებზე აკეთებს, რომელთა მოსახლეობა სხვა ცივილიზაციების ქვეყნებთან შედარებით ბევრად უფრო სწრაფად იზრდება. ამ მხრივ ისლამური ცივილიზაცია დასავლური ცივილიზაციის მთავარი ოპონენტია, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ ზემოხსენებულ ემიგრაციას, მუსლიმური ქვეყნებიდან დასავლეთის ქვეყნებში, რომლის შედეგადაც ცალკე სხვა სახის დაპირისპირება წარმოიქმნება. ჰანტინგტონის მიერ დემოგრაფიულ ფაქტორზე აქცენტის გაკეთება მნიშვნელოვანია, თუმცა რაც შეეხება ცივილიზაციათა შეჯახებას, ამ შემთხვევაში მიუხედავად ყველაფრისა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია სასიცოცხლო სივრცის საკითხი. ამ ყოველივეს მაგალითია პირველი და მეორე მსოფლიო ომები. კერძოდ, პირველი მსოფლიო ომის დროს, „ანტანტაში“ შედიოდა: საფრანგეთი (დასავლური ცივილიზაცია), რუსეთის იმპერია (მართლმადიდებლური ცივილიზაცია), დიდი ბრიტანეთი (დასავლური ცივილიზაცია), ხოლო სამთა კავშირში გერმანიის იმპერია (დასავლური ცივილიზაცია), ბულგარეთი სამეფო (მართლმადიდებლური ცივილიზაცია),

---

<sup>178</sup> იქვე. გვ. 20

<sup>179</sup> Fukuyama Francis. The Ent of History and the Last Man. New York, The Free Press. A Division of Macmillan, Inc., 1992.

<sup>180</sup> Huntington Samuel. The Clash of Civilizations and the Remarking of World Order. Simon and Schuster. New York, 1996. გვ. 119

<sup>181</sup> იქვე.

ავსტრია-უნგრეთი (დასავლური ცივილიზაცია), ოსმალეთის იმპერია (ისლამური ცივილიზაცია).<sup>182</sup> შემდგომ ანალოგიური ვითარება იქმნება მეორე მსოფლიო ომის დროს. ანტიჰიტლერულ კოალიციაში გაერთიანდა დასავლური ცივილიზაცია, მართლმადიდებლური (ევრაზიული) ცივილიზაცია, სინის ცივილიზაცია და სხვ. რაც შეეხება ღერძის ქვეყნებს და მათ მოკავშირეებს: დასავლური ცივილიზაცია (იტალია; გერმანია; უნგრეთის სამეფო და სხვ.), იაპონია (იაპონური ცივილიზაცია), მართლმადიდებლური ცივილიზაცია (ბულგარეთი; რუმინეთი), ბუდისტური ცივილიზაცია (ტაილანდის სამეფო), ისლამური ცივილიზაცია (ერაყი, სადაც რაშიდ ალი-გაილანის მომხრეებმა 1941 წელს მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება). ეს იყო რეჟიმების, იდეოლოგიების დაპირისპირება, მსოფლიო ასპარეზზე თავიანთი პოზიციების განმტკიცებისთვის. აქედან გამომდინარე, მთავარი კითხვაა, თუ რა უფრო მნიშვნელოვანია - ცივილიზაციური კუთვნილება თუ რესურსებით უზრუნველყოფა, რომლებიც ქვეყნის კეთილდღეობისთვის არის უმთავრესი. მტკნარ წყალს უმთავრესი ადგილი უკავია ეკონომიკისთვის, ამიტომ არ უნდა იყოს გასაკვირი კონფლიქტები, რომლის მთავარი მიზეზიც ზუსტად მტკნარი წყალი ხდება. ამ შემთხვევაში ცივილიზაციური ფაქტორი იმდენად მნიშვნელოვანი აღარ არის. პირველი და მეორე მსოფლიო ომები ეს იყო ომები რესურსებისთვის. ახალი არეალის დაკავების მთავარი მიზეზია რესურსები, მაგალითად ნავთობის დაუფლება,<sup>183</sup> ამ სახის კონფლიქტებიდან გამოირჩევა სამოქალაქო ომი ნიგერიაში (1967-1970),<sup>184</sup> ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა ანგოლაში (1975-2002). ნაშრომში „ნავთობის ომები“, ამ ორი შეიარაღებული კონფლიქტის გარდა განხილულია კოლუმბიის, ინდონეზიის, ჩეჩნეთის, და მთიანი ყარაბაღის საკითხები. ნავთობმა გაამწვავა პოსტკოლონიალური ნიგერიის პრობლემები, ხოლო დემოგრაფიული აფეთქების გათვალისწინებით, შეიარაღებული კონფლიქტები ნიგერიაში სხვადასხვა ფორმით დღემდე გრძელდება.<sup>185</sup> ყველაფერთან ერთად პირველი მსოფლიო ომიც ნავთობრესურსების დაუფლების მცდელობა იყო.<sup>186</sup>

---

<sup>182</sup> უბირია ალექსანდრე. დემოგრაფიული ციკლები ისტორიაში და გლობალური უსაფრთხოება. მეორე შვესებულები და შესწორებული გამოცემა. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2024. გვ. 74

<sup>183</sup> იქვე. გვ. 75

<sup>184</sup> Kaldor Mary, Lynn Karl Terry, Said Yahia. Oil Wars. Pluto Press, 2007. გვ. 45

<sup>185</sup> იქვე. გვ. 104

<sup>186</sup> Winegard Timothy C. The First World Oil War. University of Toronto, 2016.

წყლის რესურსების დაუფლების გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო სამეურნეო არეალს, რომელიც გახდა კონფლიქტის მიზეზი მავრიტანიას და სენეგალს შორის. კანადელმა პოლიტოლოგმა თომას დიქსონმა აღნიშნა, რომ სენეგალს სასოფლო სამეურნეო მიწები უხვად აქვს, თუმცა მათთვის დამახასიათებელია ნიადაგის ეროზია.<sup>187</sup> დიქსონმა აქცენტი გააკეთა მოსახლეობის სიმჭიდროვეზე (38 ადამიანი ერთ კვადრატულ კილომეტრზე) და მოსახლეობის ზრდის ტემპებზე (2.8% წელიწადში). ზრდის ასეთი სწრაფი ტემპების დროს სავსებით შესაძლებელია დემოგრაფიულ აფეთქებაზე საუბარი, ხოლო გაორმაგება ყოველ 25 წელიწადში ხდება. თითქმის ანალოგიური მდგომარეობა იყო მავრიტანიაში, სადაც მოსახლეობა წელიწადში 2.9% იზრდებოდა (თუმცა სენეგალთან შედარებით მოსახლეობის სიმჭიდროვე დაბალია). მოსახლეობის ზრდის ასეთი ტემპების გათვალისწინებით, ორივე ქვეყანამ მუდმივად უნდა ზარდოს სასოფლო-სამეურნეო მიწების არეალი, წინააღმდეგ შემთხვევაში დეფიციტი გარდაუვალია. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ისლამური ქვეყანაა, სასოფლო სამეურნეო მიწების გამო მათ შორის იწყება კონფლიქტი. მავრიტანიაში (ელიტას მავრები წარმოადგენენ) „შავ“ აფრიკელებს აკრძალათ სოფლის მეურნეობის წარმოება. ქვეყანაში შეჭრის მცდელობების და სასაზღვრო დაპირისპირების გარდა ადგილი ჰქონდა ქვეყნის შიგნით დაპირისპირებას. სენეგალში განადგურებულ იქნა 17 ათასი მაღაზია, რომელიც მავრებს ეკუთვნოდათ, ხოლო მავრიტანიიდან 70 ათასი შავი მავრიტანიელი სენეგალში გადაასახლეს. ამ ორი ქვეყნის შემთხვევაში დემოგრაფიულმა აფეთქებამ გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო მიწების დეფიციტი, რომელიც გადაიზარდა ძალადობაში.<sup>188</sup> მავრიტანიის ელიტამ რესურსები თავის სასარგებლოდ გადაანაწილა.<sup>189</sup> რაც შეეხება ელიტის როლს, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ამერიკელი სოციოლოგის ჯეკ გოლდსტონის სახელთან დაკავშირებული დემოგრაფიულ-სტრუქტურული თეორია, რომელიც მჭიდრო კავშირშია დემოგრაფიულ ფაქტორთან (დემოგრაფიულ ციკლებთან).<sup>190</sup> ძირითადი აქცენტს გოლდსტონი რევოლუციებზე აკეთებს - სახელმწიფო სტრუქტურების,

---

<sup>187</sup> Homer-Dixon T.F. Environmental Scarcities and Violent Conflict: Evidence from Cases. International Security, Vol. 19, No. 1 (Summer, 1994)

<sup>188</sup> იქვე. გვ. 13

<sup>189</sup> უბირია ალექსანდრე. დემოგრაფიული ციკლები ისტორიაში და გლობალური უსაფრთხოება. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2024. გვ. 79

<sup>190</sup> Goldstone Jack A. Revolution and Rebellion in the Early Modern World. Population Change and State Breakdown in England, France, Turkey and China, 1600-1850. Routledge. New York, 2016.

ელიტის და მოსახლეობის ურთიერთქმედებაზე. აღსანიშნავია კრიტიკული ტენდენციები, რომელზეც ავტორი აკეთებს აქცენტს: მოსახლეობის ზრდის შედეგად გადასახადების გაზრდა, ელიტის შიგნით ხშირი კონფლიქტები (რაც გამოიხატება გავლენის გადანაწილებაში), ხელფასების კლება, მოსახლეობაში ახალგაზრდების პროცენტის ზრდა, სიღარიბის გავრცელება, მოსახლეობის ქალაქებში გადასახლება, შიმშილი და სხვ. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს არ აქვს უნარი გადაჭრას აღნიშნული პრობლემები, სახელმწიფოსადმი ნდობა იკარგება, იწყება რეფორმების აუცილებლობა და საბოლოოდ ხდება „ბრეიქდაუნი“, რომელიც შესაძლოა სამოქალაქო ომში გადაიზარდოს. ამ შემთხვევაში ახალგაზრდების პროცენტის ზრდა იწვევს სოციალურ პრობლემებს, რაც თავის მხრივ იწვევს დანაშაულებრიობის ზრდას და შესაძლო რევოლუციებს. გოლდსტონის აზრით, ისტორიაში 15-24 წლის ახალგაზრდები პოლიტიკურ ძალადობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ.<sup>191</sup> „არაბული გაზაფხული“ (2010-2012) ამ ყოველივეს ადასტურებს. თუ მოსახლეობის დაბერების შედეგია დეპოპულაცია, ახალგაზრდების პროცენტის ზრდის (რომელიც გამოწვეულია დემოგრაფიული აფეთქებით) ერთ-ერთი შედეგია უმუშევრობის დონის ზრდა და როგორ ზემოთ ვახსენეთ, სოციალური პრობლემების წარმოქმნა.

დემოგრაფიული აფეთქების პირობებში ნავთობრესურსების და სასოფლო-სამეურნეო მიწების დეფიციტის გარდა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებით საყურადღებოა მტკნარი წყლის საკითხი, რომლის დეფიციტი ასევე წარმოქმნის კონფლიქტებს და თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული რესურსის დეფიციტი საკმაოდ სწრაფად მწვავედება, შესაძლოა, მის გარშემო არსებულმა კონფლიქტებმა განსაკუთრებულად მწვავე ფორმები მიიღოს. რესურსების დეფიციტის კრიზისიდან, წყლის რესურსების დეფიციტი დღეს მსოფლიოსთვის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა. მიუხედავად იმისა, რომ წყლის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე თითქმის არ შეცვლილა, მოსახლეობის ზრდამ გამოიწვია წყლის დეფიციტი.<sup>192</sup> თუ 1900-იან წლებში წყლის დეფიციტი ეხებოდა 200 მილიონ ადამიანს (მსოფლიოს მოსახლეობის 14%), 1980-იანი წლებისთვის ამ რიცხვმა 2 მილიარდ

---

<sup>191</sup> Goldstone J. Population and Security: How Demographic Change Can Lead to Violent Conflict. *Journal of International Affairs*. Vol. 56. New York, 2002. გვ. 11

<sup>192</sup> Kumm M, Guillaume JH, de Moel H, Eisner S, Flörke M, Porkka M, Siebert S, Veldkamp TI, Ward PJ. The world's road to water scarcity: shortage and stress in the 20th century and pathways towards sustainability. *Sci Rep*. 2016 Dec 9;6:38495. doi: 10.1038/srep38495. PMID: 27934888; PMCID: PMC5146931.

ადამიანს (მსოფლიო მოსახლეობის 42%) გადააჭარბა და 2000-იანი წლებისთვის 3,8 მილიარდს მიაღწია (მსოფლიო მოსახლეობის 58%).

წყლის რესურსებზე კონტროლის დამყარების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ისრაელ-პალესტინის და ისრაელ-სირიის კონფლიქტი. როგორც ისრაელში და პალესტინაში, ასევე სირიაში, მოსახლეობა საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა. დღეს იგივე დემოგრაფიული პროცესები მიმდინარეობს, რაც რეგიონში კონფლიქტებს მუდმივად იწვევს. ამ ეტაპზე ისრაელმა შეძლო წყლის რესურსებზე კონტროლის დამყარება, ხოლო ყველაზე დიდი მიღწევა ტიბერიადის ტბის სრული დაკავება არის, რაც გოლანის მაღლობების დაკავების შემდეგ მოახერხა. აქედან გამომდინარე, გოლანებს არა მარტო სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, არამედ ტიბერიადის ტბაზე კონტროლის დამყარება წყლის რესურსებით უზრუნველყოფასაც ნიშნავს, რაც რეგიონისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ახლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის გარდა აღსანიშნავია ასევე ბრაზილია, კოსტა-რიკა, ფილიპინები, ინდონეზია და სხვ.<sup>193</sup> მტკნარი წყლის რესურსებისთვის ბრძოლის მაგალითია ასევე ეგვიპტის და სუდანის (ნილოსის გარშემო არსებული დამაბულობა 1958 წელს დასრულდა, როდესაც სუდანში პროეგვიპტური ძალები მოვიდნენ ხელისუფლებაში)<sup>194</sup> და სამხრეთ აფრიკის და ლესოთოს კონფლიქტი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში გრძელდებოდა, რათა ლესოთოს მთიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რეგიონში წყალი გაეშვათ, თუმცა აღნიშნული პროექტის განხორციელება მოხდა 1984 წელს, ლესოთოში სამხედრო გადატრიალების შემდეგ, რომელსაც მხარი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ დაუჭირა).<sup>195</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ წყლის დეფიციტი გამოწვეულია არა ერთი ფაქტორით, რომელთა შორის მეტად საყურადღებოა მოსახლეობის ზრდა და წყლის დაბინძურება. ამიტომ მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაციის გარდა, აუცილებელია ჭარბმოხმარების აღკვეთა. გაეროს სურასათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ცნობებით, 1984 წლის

---

<sup>193</sup> Homer-Dixon T.F. Environmental Scarcities and Violent Conflict: Evidence from Cases. International Security, Vol. 19, No. 1 (Summer, 1994) გვ. 15

<sup>194</sup> Wolf A. Conflict and Cooperation along International Waterways. Water Policy. Vol. 1. No 2, 1998. გვ. 254

<sup>195</sup> Homer-Dixon T.F. Environmental Scarcities and Violent Conflict: Evidence from Cases. International Security, Vol. 19, No. 1 (Summer, 1994) გვ. 19

მდგომარეობით, წყლის რესურსებთან დაკავშირებით 3 600-ზე მეტი შეთანხმება გაფორმდა<sup>196</sup>

ბოლო პერიოდში წყლის რესურსისთვის ორ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი. 2021 წლის 28 აპრილს ტაჯიკეთის და ყირგიზეთის სასაზღვრო კონფლიქტი დაიწყო, რომელიც 1 მაისს დასრულდა და ათობით ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა (მიზეზია სარწყავი წყალი). უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ქვეყნის მოსახლეობა საკმაოდ სწრაფად იზრდება, რაც რესურსებით უზრუნველყოფის საკითხს აფერხებს. საფრანგეთს და დიდ ბრიტანეთს შორის დაპირისპირების მიზეზი, რომელიც ამავე პერიოდში მოხდა, იყო თევზჭერის შეზღუდვების დაწესება. საქმე იმაშია, რომ კუნძულ ჯერსის (დიდი ბრიტანეთის ტერიტორია ლა მანშის სრუტეში) ადმინისტრაციამ თევზჭერის შეზღუდვები დააწესა, რის გამოც საფრანგეთის საზღვაო საქმეთა მინისტრმა ანიკ ჟირარდენმა გადაწყვიტა კუნძულზე ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტა, სანამ თევზჭერის უფლება არ აღდგებოდა. პარიზმა განაცხადა, რომ დიდ ბრიტანეთს არ აქვს უფლება შეზღუდოს ფრანგი მეთევზეები, რაც ნიშნავს ლონდონის მხრიდან შეთანხმების დარღვევას. საინტერესო ფაქტია, რომ ჯერსის ადმინისტრაციამ ყველა მეთევზეს არ აუკრძალა თევზჭერა, არამედ თევზაობის ნება დართეს 41 გემს 344-დან. ამის გამო ჯერსის დედაქალაქი ფრანგული გემების მიერ დაბლოკილ იქნა. შედეგად დიდი ბრიტანეთის ფლოტი კუნძულის მიმართულებით დაიძრა „მონიტორინგს“ მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ბლოკადა მალევე დასრულდა, ეს პრობლემა ჯერ კიდევ მოუგვარებელი რჩება და ორივე მხარე ერთმანეთს დარღვევებში ადანაშაულებს. ყირგიზეთი და ტაჯიკეთი ისლამურ ცივილიზაციას წარმოადგენენ, ისევე როგორც საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი დასავლურ ცივილიზაციას, თუმცა მიუხედავად ამისა, მათ შორის იწყება დაპირისპირება რესურსებისთვის,<sup>197</sup> რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნის პროგრესისთვის რესურსების ფლობა.

აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ცივილიზაციურ-კულტურულმა, რასობრივმა, ეთნიკურმა, სოციალურმა და იდეოლოგიურმა ფაქტორებმა შესაძლოა, კონფლიქტების გამწვავებაზე გავლენა იქონიონ, თუმცა კონფლიქტის მთავარი

<sup>196</sup> Wolf A. Conflict and Cooperation along International Waterways. Water Policy. Vol. 1. No 2, 1998. გვ. 255

<sup>197</sup> უბირია ალექსანდრე. დემოგრაფიული ციკლები ისტორიაში და გლობალური უსაფრთხოება. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2024. გვ. 72-73

მიზეზი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ყოველთვის ეკოლოგიური უსაფრთხოების რღვევა და რესურსების დეფიციტია, რაც ძირითად შემთხვევაში მოსახლეობის ზრდით და ჭარბმოსახლეობით არის გამოწვეული. რესურსებით უზრუნველყოფა ნებისმიერი ქვეყნისთვის პრიორიტეტი რჩება.

თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი გამოწვევა მიგრაცია არის, რომელსაც მრავალი მიზეზი გააჩნია (ეკოლოგიური, ეკონომიკური, რელიგიური, სოციალურ-პოლიტიკურ და სხვა), თუმცა ძირითად მამოძრავებელ ძალად მოსახლეობის ზრდა გვევლინება. ამ კუთხით კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური მოვლენები განვითარდა ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებში („დიდი ბერძნული კოლონიზაცია), IV-VII საუკუნეებში („ხალხთა დიდი გადასახლება“) და XV-XVII საუკუნეებში („დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები“). სამივე შემთხვევაში განსაკუთრებული ადგილი მოსახლეობის ზრდას ეკავა, ხოლო აღნიშნულმა მიგრაციებმა მსოფლიოს ეთნო-პოლიტიკური რუკა შეცვალეს. XXI საუკუნეში ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ევროპის საიმიგრაციო კრიზისი, რომელიც 2015 წელს დაიწყო. თანამედროვე მიგრანტთა მშობლიური ქვეყნების დამახასიათებელია მოსახლეობის ზრდის სწრაფი ტემპები, ჭარბმოსახლეობა, ეკოლოგიური პრობლემების გამწვავება, შიმშილი და შეიარაღებული კონფლიქტები.

2020 წლის მონაცემებით მსოფლიოში 281 მილიონი მიგრანტი იყო (მსოფლიოს მოსახლეობის 3.6%), აქედან 135 მილიონი ქალი, 146 მილიონი კაცი, 28 მილიონი ბავშვი.<sup>198</sup> 2000-2024 წლებში მიგრანტთა რაოდენობა თითქმის ორჯერ გაიზარდა (2000 წელს 150 მილიონი მიგრანტი იყო), 2.8%-დან 3.6%-მდე. იგივე პერიოდში ლტოლვილთა რაოდენობა 14 მილიონიდან 35.4 მილიონამდე იზრდება,<sup>199</sup> ხოლო შიდა მიგრაცია 21 მილიონიდან 71.4 მილიონამდე გაიზარდა.<sup>200</sup> შედარებისთვის, 1970 წელს მიგრანტთა რაოდენობა მსოფლიოში დაახლოებით 85 მილიონ ადამიანს შეადგენდა (მსოფლიოს მოსახლეობის 2.3%),<sup>201</sup> ხოლო მიუხედავად იმისა, რომ 5 წელიწადში

---

<sup>198</sup> McAuliffe, M. and L.A. Ouchou (eds.), 2024. World Migration Report 2024. International Organization for Migration (IOM), Geneva. გვ. 4

<sup>199</sup> იქვე. გვ. 8

<sup>200</sup> იქვე.

<sup>201</sup> World Migration Report 2020. Switzerland, Geneva. გვ. 19

მიგრანტთა რაოდენობა გაიზარდა, პროცენტულად კლება ფიქსირდება და 2.2% შეადგენს.<sup>202</sup>

საიმიგრაციო პოლიტიკის კრაზზე მეტყველებს ტერორიზმის (მათ შორის ეკოტერორიზმის) გაძლიერება. მხოლოდ 2015-2017 წლებში არაერთ ტერორისტულ აქტს ჰქონდა ადგილი: ტერაქტი სან-ბერნანდინოში (2015 წ.), პარიზში (2015 წ.), ბრიუსელში (2016 წ.), ნიცაში (2016 წ.), სტოკჰოლმში (2017 წ.), მანჩესტერში (2017 წ.) და სხვ. თავდასხმელები იყვნენ არაბული სამყაროდან, პაკისტანიდან, უზბეკეთიდან და ა.შ. ასიმილაცია ვერ შედგა, რამაც ადგილობრივ მოსახლეობასთან დაძაბულობა გამოიწვია, ხოლო მიგრანტების მხრიდან დანაშაულებრიობა (რიგ შემთხვევებში მიგრანტები იძულებულები არიან არალეგალურ საქმიანობაში იყვნენ ჩართულნი,<sup>203</sup> თუმცა რასაკვირველია, ამ ყოველივეს არანაირი გამართლება არ აქვს) უფრო ამწვავებს მდგომარეობას და ძალადობა ხშირდება. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მიგრანტების მხრიდან ძალადობის ფაქტებს ადგილობრივი მოსახლეობის რეაქციაც (ულტრამემარჯვენე იდეების დამკვიდრება; ეკოფაშიზმი) მოჰყვება (მაგალითად, 2019 წელს სროლა კრისტჩერჩის მეჩეთებში (ახალი ზელანდია) და სროლა ელ-პასოში (აშშ), ასევე 2022 წელს მასობრივი მკვლელობა ბუფალოში (აშშ) და სხვ.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უკონტროლო მიგრაცია იწვევს მემარჯვენე ნაციონალისტური იდეების გავრცელებას ადგილობრივ მოსახლეობაში, რომლის შედეგადაც ძალადობის ფაქტები უფრო ხშირად ვლინდება. ვინაიდან, მიგრაციული პროცესები მსოფლიო მასშტაბს მოიცავს, რასაკვირველია, ეს ყოველივე გლობალურ უსაფრთხოებას ეხება და მათი უკონტროლობა (არალეგალური და მასობრივი მიგრაცია) მსოფლიოსთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს.<sup>204</sup>

---

<sup>202</sup> იქვე.

<sup>203</sup> Коллиер П. Исход. Как миграция изменяет наш мир. Издательство института Гайдара. Москва, 2016 год. გვ. 222

<sup>204</sup> უბირია ალექსანდრე. დემოგრაფიული ციკლები ისტორიაში და გლობალური უსაფრთხოება. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2024. გვ. 62

# თავი მეორე. მწვანე პოლიტიკის ტრანსფორმაციის აუცილებლობა და ეკორადიკალიზმი

## 2.1. მწვანე პოლიტიკა და დემოგრაფიული ფაქტორი

ეკოლოგიურ პრობლემებს გლობალურ დონეზე არ გააჩნია საზღვრები, ხოლო ეკოლოგიური პრობლემები მჭიდრო კავშირშია დემოგრაფიულ პროცესებთან, შესაბამისად ეკოლოგიური პრობლემების გამწვავების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის დემოგრაფიული აფეთქება და მის მიერ გამოწვეული ჭაბრმოსხლეობა. აქედან გამომდინარე, XX საუკუნისგან განსხვავებით, როდესაც ამ პრობლემებს ასეთი მწვავე ხასიათი არ გააჩნდათ, XXI საუკუნეში ხდება კარდინალური ცვლილებები, რომლებიც პირველ რიგში იდებზე აისახება.

XX საუკუნის იდეოლოგიური დაპირისპირების ფუნდამენტი რესურსების გადანაწილება იყო, თუმცა XXI საუკუნის იდეოლოგიურ დაპირისპირებას რესურსების დეფიციტთან ერთად გარემოს დაცვის აუცილებლობა ემატება, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. რასაკვირველია გარემოს დაცვას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წინა პერიოდებთან შედარებით მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, რამაც განაპირობა რესურსების დეფიციტის გამწვავება. ამ უკანასკნელის გადაჭრა ვერ მოხერხდა ახალი სივრცის ათვისებით (ტყეების არეალის ხარჯზე) ვინაიდან, მოსახლეობა საკმაოდ სწრაფად იზრდება, ხოლო ახალი სივრცის ათვისებამ უფრო გაამწვავა ეკოლოგიური პრობლემები, რადგან ტყეების ფართობი მსოფლიო დონეზე დღითი დღე მცირდება, რაც დაუშვებელია, რადგან კაცობრიობა ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დგას (გარემოს დაბინძურება, ბიომრავალფეროვნების განადგურება, გლობალური დათბობა და სხვ.).

აქედან გამომდინარე, კონკრეტული იდეოლოგიის მიერ ეკოლოგიზმზე ორიენტირის გარდა ამავდროულად დემოგრაფიულ პროცესებზეც უნდა კეთდებოდეს აქცენტი, რადგან ეკოლოგიზმი დემოგრაფიული ფაქტორის გარეშე ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს, ვინაიდან ანთროპოგენური ფაქტორი უდიდეს გავლენას ახდენს სრულიად გარემოზე.

XXI საუკუნე შესაძლოა იდეოლოგიების ტრანსფორმაციის საუკუნედ შევიდეს ისტორიაში. ეს იქნება გლობალური პრობლემების გავლენის შედეგი, რომლებიც ძირითად შემთხვევაში ეკოლოგიურ პრობლემებთან არიან დაკავშირებულნი.

ეკოლოგიურ პრობლემებს ამწვავებენ დემოგრაფიული პროცესები, რაც წარმოქმნის ძალადობის ახალ ფორმებს, რომლებიც ამ დრომდე უცნობი, ან კიდევ უბრალოდ აქტუალური არ იყო.

სულ უფრო და უფრო საყურადღებო ხდება ისეთი იდეოლოგიები როგორც არის: მწვანე ანარქიზმი, მწვანე კონსერვატიზმი, მწვანე ლიბერალიზმი, ეკონაციონალიზმი, ეკოფემინიზმი, ეკოფაშიზმი და ეკოსოციალიზმი. ეს უკანასკნელნი განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობენ და იდეურად გამოირჩევიან სხვა დანარჩენისგან (ამ შემთხვევაში საუბარია მემარჯვენე იდეების მიმდევრების მიერ ეკოფაშისტების რიგების შევსებაზე, ხოლო მემარცხენეების მიერ ეკოსოციალისტების. საინტერესოა თუ რამდენად დიდი გავლენა იქონია ღრმა ეკოლოგიის ფილოსოფიამ (ეკოსოფიამ) თანამედროვე მწვანე იდეოლოგიებზე, ვინ არიან მათი ფილოსოფოსები და რა არის მათი საბოლოო მიზანი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე ეკოლოგიური პრობლემები შესაძლოა, უახლოეს მომავალში ეკოლოგიურ კატასტროფად გარდაიქმნას, არაა გამორიცხული რომ მწვანე პოლიტიკა კიდევ უფრო კარდინალურად შეიცვალოს და მწვანე იდეოლოგიების მიმდევრებმა უფრო რადიკალურ ზომებს მიმართონ. ამ მხრივ რამდენად რეალურია მათი გაერთიანება და ეკოავტორიტარული რეჟიმების (ასევე მწვანე იმპერიალიზმის ფორმირება) ჩამოყალიბება და კონკრეტულად რა პოლიტიკას განახორციელებენ ამგვარი რეჟიმები, რთული სათქმელია. ფაქტია, რომ ჩვენ ვართ ძალადობის ახალი ფორმის - „ეკო ძალადობის“ თვითმხილველნი.

დღეს დემოგრაფიული აფეთქების და ჭარბმოსახლეობის ლიკვიდაციის მიზნით აუცილებელია დემოგრაფიული პროცესების რეგულირება, რაც გლობალური რეგრესის აღმოფხვრის გარანტი იქნება. ასეთ პირობებში უმნიშვნელოვანესია ალტერნატიული გზის ძიება. არის თუ არა დემოგრაფიული პოლიტიკა ამ შემთხვევაში გამოსავალი, რამდენად შესაძლებელია ძალადობის შეჩერება შობადობის და იმიგრაციის რეგულირებით და რაც მთავარია, არის თუ არა გლობალური კრიზისების პირობებში ეს ყოველივე დაგვიანებული. ჩვენი მიზანი ამ შემთხვევაში

ალტერნატიული გზის ძიებაა. აქედან გამომდინარე, ძალზედ მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ ეკოლოგიური კრიზისის დასრულების რა ალტერნატივას გვთავაზობს თანამედროვე ეკოლოგიზმი, მწვანე იდეოლოგიები, სრულიად მწვანე პოლიტიკა.

მწვანე ანარქიზმი ერთ-ერთი ყველაზე ძველი იდეოლოგიაა, რომელიც აქცენტს აკეთებს ეკოლოგიურ პრობლემებზე. ამ იდეოლოგიის ფორმირება მჭიდრო კავშირშია ამერიკელი ფილოსოფოსის, ნატურალისტის ჰენრი დევიდ თოროუს (1817-1862) სახელთან, რომლის ნაშრომმა („უოლდენი“)<sup>205</sup> უდიდესი გავლენა იქონია საზოგადოებაზე, ფაქტობრივად ეს იყო ანარქო პრიმიტივიზმის მანიფესტი. ეს ნიშნავდა გარკვეულწილად ცივილიზაციის (ინდუსტრიალიზაციის), ტექნოკრატის წინააღმდეგ არსებულ მიმდინარეობას. ჰენრი თოროუს თავის ნაშრომში განხილული აქვს ბუნებასთან ჰარმონიული ცხოვრების მაგალითი, რომელიც ავტორმა თავისი გამოცდილების მიხედვით შეიმუშავა. შესაძლოა ეს არის ერთგვარი იდილია, რომელიც თანამედროვე სამყაროს ასე ძალიან სჭირდება და რომელიც მომხმარებლურ ცივილიზაციად გარდაიქმნა, რომლის შედეგად ბიო მრავალფეროვნება ნადგურდება.

მწვანე ანარქიზმის იდეოლოგიის ფორმირებაში, რომელიც სხვა რადიკალურ იდეოლოგიებთან შედარებით მეტად ფოკუსირებულია ეკოლოგიურ პრობლემებზე ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს რუსმა ანარქისტმა და გეოგრაფმა პეტრე კროპოტკინმა (1842-1921), ფრანგმა ისტორიკოსმა და ანარქისტმა ელიზე რეკლიუმ (1830-1905) და ამერიკელმა ფილოსოფოსმა მიურეი ბუკჩინმა (1921-2006).<sup>206</sup> თუმცა ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, რადგან ეკოფაშიზმი ასევე რადიკალური იდეოლოგიაა, რომლის მთავარი ორიენტირი ეკოლოგიური პრობლემებია. ამ შემთხვევაში რთული სათქმელია, თუ რომელი რადიკალური იდეოლოგია, მეტად ფოკუსირებული ეკოლოგიურ პრობლემებზე. შევეცდებით განვიხილოთ მათი აქცენტები და ორიენტირები.

პეტრე კროპოტკინი აქცენტს აკეთებს მოსახლეობის რაოდენობაზე და მის გამოკვებაზე,<sup>207</sup> რაც პირდაპირ კავშირშია ჭარბმოსახლეობის პრობლემასთან, თუმცა როგორც ანტი-კაპიტალისტი, პეტრე კროპოტკინი აკრიტიკებს მალთუსის იდეებს.

---

<sup>205</sup> Thoreau D. Henry. Walden. Yale University Press, 2004.

<sup>206</sup> Anarchism: A Conceptual Approach. Franks Benjamin, Jun Nathan and Williams Leonard (edc) Sean Parson, “Ecocentrism”, Routledge, New York And London, 2018. გვ. 219

<sup>207</sup> Kropotkin P. Fields, Factories And Workshops or Industry Combined With Agriculture and Brain Work with Manual Work. New York: G.P. Putnam’s Sons. London: Swan Sonnenschein & Co., LTD, 1901. გვ. 43-44

ვინაიდან, მალთუსიანელობა ჭარბმოსახლეობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბრობს, ვფიქრობთ, მისი რომელიმე კლასთან დაკავშირება არ იქნება სწორი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ კროპოტკინის მოღვაწეობის პერიოდში ეკოლოგიური პრობლემები არ არის გამწვავებული; მსოფლიოს მოსახლეობა მაშინ დაახლოებით 1,6 მილიარდ ადამიანს შეადგენდა.

ელიზე რეკლიუ ყურადღებას ამახვილებს ბუნების ექსპლუატაციაზე, რომელსაც ფერმერები და მეწარმეები ახორციელებენ.<sup>208</sup> გლეხი და მეწარმე შემოსავლის გაზრდის მიზნით ამახინჯებს ბუნებას.<sup>209</sup> აღნიშნული ფაქტი მიუთითებს ადამიანის მომხმარებლურ თვისებებზე. თუმცა განსაკუთრებით საინტერესოა რეკლიუს მიერ მოსახლეობის ზრდის საკითხის წამოჭრა და ადამიანის მიერ მსოფლიოს დაპყრობა მოსახლეობის ზრდის ასეთი სწრაფი ტემპებიდან გამომდინარე.<sup>210</sup> ამასთანავე აღსანიშნავია რომ ასეთი „დაპყრობა“ ანადგურებს ბუნების სილამაზეს, ხოლო თანამედროვე ადამიანმა უნდა შეძლოს ბუნებასთან ჰარმონიული თანაცხოვრება, რაც არ ნიშნავს ცივილიზაციის უარყოფას. რეკლიუ ადარებს მხატვარს, რომელიც ეძებს გარშემო ლამაზ პეიზაჟებს და მეწარმეს, რომელიც გამოუყენებელი სიმდიდრის ძიებაშია.<sup>211</sup> აქ კარგად ჩანს თანამედროვე ადამიანის მომხმარებლური ხასიათი, რომელიც ზუსტად რეკლიუს მიერ ხსენებულ მსოფლიოს დაპყრობაზე მიუთითებს. ეს ყოველივე გამოწვეულია ეკონომიკური ზრდის აუცილებლობით, ხოლო ეკონომიკის ზრდის აუცილებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის მოსახლეობის ზრდა. წინააღმდეგ შემთხვევაში თუ მასობრივი შიმშილი და შეიარაღებული ძალადობა არ დაიწყო, სულ მცირე, ადამიანთა სიცოცხლის ხარისხის გაუარესება დაიწყება. რეკლიუ კროპოტკინთან შედარებით უფრო ფოკუსირებულია ეკოლოგიზმზე, გარდა ამისა, ის ასევე ყურადღებას აქცევს ვეგეტარიანელობის საკითხს.<sup>212</sup> აქედან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ ელიზე რეკლიუს მოღვაწეობა მწვანე ანარქიზმის ისტორიაში სრულიად ახალი ეტაპია.

---

<sup>208</sup> Anarchy, Geography, Modernity: Selected Writings of Elisee Reclus. PM Press, Oakland, 2013. გვ. 109

<sup>209</sup> იქვე

<sup>210</sup> იქვე. გვ. 110

<sup>211</sup> იქვე. გვ. 112

<sup>212</sup> იქვე. გვ. 156-162

აღსანიშნავია გრეჰამ პურჩეის ნაშრომი,<sup>213</sup> სადაც ეკოლოგიის და ცხოველთა უფლებების გარდა, ასევე განხილულია მოსახლეობის საკითხი, კერძოდ, მისი აზრით პრობლემა არის არა მოსახლეობის ზრდაში, არამედ ადამიანების ანტიეკოლოგიური ცხოვრების წესში, რომელსაც აქეზებს კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა.<sup>214</sup> თუმცა იგი აღნიშნავს, რომ მოსახლეობის ზრდა მეტი სივრცის ათვისების აუცილებლობას მოითხოვს, რაც რასაკვირველია, სხვადასხვა სახეობათა შემცირებას იწვევს. მაგალითად, სპილოების პოპულაციის მნიშვნელოვნად შემცირებას, მაგრამ შემცირების მთავარ მიზეზს ხედავს სპილოს ძვლით ვაჭრობაში და არა მოსახლეობის ზრდაში. აქედან გამომდინარე, მთავარი პრობლემაა მომხმარებლობა და არა მოსახლეობის ზრდა. ამ უკანასკნელთან მიმართებაში პურჩეის საყურადღებო პოზიცია გააჩნია. ადგილი აქვს ამერიკის და ევროპის ქვეყნების და ყოფილი კოლონიების მოსახლეობის დინამიკის შედარებას, კერძოდ, თუ დასავლეთის ქვეყნებში მოსახლეობის სტაბილიზაცია შედგა,<sup>215</sup> ხოლო ყოფილ კოლონიებში გრძელდება დემოგრაფიული აფეთქება, ეს ყოველივე ავტორის აზრით გამოწვეულია ამ ქვეყნების ექსპლუატაციით, რომლის შედეგია მათი განვითარების დაბალი დონე, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მხოლოდ განვითარების დაბალი დონე არ არის დემოგრაფიული აფეთქების მიზეზი, არამედ გასათვალისწინებელია კულტურულ-ცივილიზაციური, რელიგიური და პოლიტიკური ასპექტები. გარდა ამისა, კონკრეტული ქვეყნის დემოგრაფიული პოლიტიკა, რომლის მიზანიც პრონატალიზმია.

მეტად საყურადღებოა ღრმა ეკოლოგიის და მწვანე ანარქიზმის ურთიერთქმედება. ფინელი ფილოსოფოსი ელისა აალტოლა თვის ნაშრომში „მწვანე ანარქიზმი: ღრმა ეკოლოგია და პრიმიტივიზმი“<sup>216</sup> განიხილავს აღნიშნული იდეების სიახლოვეს. მას მოჰყავს ამერიკელი ფილოსოფოსის ჯონ ზერზანის პოზიცია, რომელიც ხშირად საუბრობს ეკოლოგიურ პრობლემებზე და ამტკიცებს, რომ ცივილიზაციებს ეკოლოგიურ კრახამდე მივყავართ.<sup>217</sup> პრიმიტივიზმში გვხვდება ღრმა

<sup>213</sup> Purchase Graham. *Anarchism & Environmental Survival*. See Sharp Press. Tucson, Arizona. 1994.

<sup>214</sup> იქვე. გვ. 50

<sup>215</sup> იქვე. გვ. 54

<sup>216</sup> Franks Benjamin, Wilson Matthew (Edited by). *Anarchism and Moral Philosophy*. PALGRAVE MACMILLAN, 2010.

<sup>217</sup> იქვე. გვ. 167-168

ეკოლოგიის ძირითადი ასპექტები, რომელიც მაგალითად ანთროპოცენტრიზმზე უარის თქმაში ვლინდება. ამავდროულად პრიმიტივიზმის ელემენტები გვხვდება ღრმა ეკოლოგიის ნაშრომებში, კერძოდ აალტოლა ასახელებს მაკლაფლინს, რომელიც აკრიტიკებს თანამედროვე ცივილიზაციის ძირითად ელემენტებს (რომლებიც ამწვავებენ ეკოლოგიურ პრობლემებს) და გვაროვნული საზოგადოების ეკოცენტრიზმზე აკეთებს აქცენტს.<sup>218</sup> ასევე საინტერესოა ღრმა ეკოლოგიის კრიტიკის საკითხი. ამ კუთხით გამოირჩევა მიურეი ბუკჩინი, რომლის სახელთანაც აკავშირებენ „სოციალური ეკოლოგიის“ ჩამოყალიბებას. ბუკჩინის აზრით „სოციალური ეკოლოგია“<sup>219</sup> დაფუძნებულია მრწამსზე, რომ თითქმის ყველა ჩვენი ახლანდელი ეკოლოგიური პრობლემა სათავეს იღებს სოციალური პრობლემებიდან. მისი აზრით ეკოლოგიური პრობლემები სოციალური პრობლემებისგან განუყოფელია,<sup>220</sup> ხოლო ღრმა ეკოლოგიისთვის სოციალური პრობლემები არ არის უმთავრესი.

პირველად ღრმა ეკოლოგია და ზედაპირული ეკოლოგია თავის ნაშრომში<sup>221</sup> ნორვეგიელმა ფილოსოფოსმა არნე ნესმა განიხილა. მისი აზრით ზედაპირული ეკოლოგია ებრძვის დაბინძურებას და რესურსების გამოლევას, ხოლო მთავარი მიზანია განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა. ზედაპირული ეკოლოგია ანთროპოცენტრისტულია.<sup>222</sup> ღრმა ეკოლოგია, როგორც ეკოლოგიური ფილოსოფია, არა მხოლოდ დაბინძურების და რესურსების დეფიციტის პრობლემებზეა ორიენტირებული. ავსტრალიელი ფილოსოფოსის ფრეია მეთიუზის აზრით, ღრმა ეკოლოგიის არსზე საუბარი იგივეა, შეეცადო თქვა, თუ რა არის ქრისტიანობა.<sup>223</sup> ამ ყოველივეს იქიდან გამომდინარე ამბობს, რომ ღრმა ეკოლოგია მრავალ ტრადიციაში გვხვდება. თუ რამდენად რთულ და ამავდროულად საინტერესო მოვლენას წარმოადგენს ღრმა ეკოლოგია, მიუთითებს არა ერთი ნაშრომის არსებობა.<sup>224</sup>

---

<sup>218</sup> Anarchism and Moral Philosophy. Edited by Benjamin Franks and Matthew Wilson. PALGRAVE MACMILLAN, 2010. გვ. 168

<sup>219</sup> Bookchin Murray. Social Ecology and Communalism. AK Press, 2006.

<sup>220</sup> იქვე. გვ. 19-20

<sup>221</sup> Naess Arne (1973) The Shallow and the Deep, Long-Range Ecology Movement. A Summary. Inquiry, 16, 95-100.

<sup>222</sup> Deep Ecology for the Twenty-First Century. Edited by George Sessions. Shambhala Publications, inc. Boston & London, 1995. გვ. 20

<sup>223</sup> The Deep Ecology Movement. An Introductory Anthology. Edited by Alan Drengson & Yuichi Inoue. North Atlantic Book. Berkeley, California, 1995. გვ. 126

<sup>224</sup> Deep Ecology and World Religions. New Essays on Sacred Grounds. Edited by David Landis Barnhill and Roger S. Gottlieb. State University of New York Press, Albany, 2001.

„ადგილობრივი ტრადიციები და ღრმა ეკოლოგია“; „ინდუიზმი და ღრმა ეკოლოგია“; „ჩინური რელიგია, „დაოსიზმი“ და ღრმა ეკოლოგია“; „კონფუციანიზმი და ღრმა ეკოლოგია“; „კათოლიციზმი და ღრმა ეკოლოგია“; „ისლამი და ღრმა ეკოლოგია“; „პროტესტანტული თეოლოგია და ღრმა ეკოლოგია“ და ა.შ.

ღრმა ეკოლოგიის ძირითადი პრინციპებია:<sup>225</sup>

1. დედამიწაზე ცხოვრების აყვავებას და კეთილდღეობას, როგორც ადამიანურს, ასევე არაადამიანურს, გააჩნიათ თავისი, მათთვის დამახასიათებელი ღირებულებები (სინონიმები: შინაგანი ღირებულებები, ბუნებრივი ღირებულებები). ეს ღირებულებები არ არიან დამოკიდებული იმ სარგებელზე, რომელსაც ადამიანი საკუთარი თავისთვის იღებს.

2. სიმდიდრე და სიცოცხლის ფორმათა მრავალფეროვნება - ამ ღირებულებების არსებობის პირობაა, რომლებიც თავად წარმოადგენენ ღირებულებას.

3. ადამიანებს არ აქვთ უფლება შეამცირონ ეს სიმდიდრე და მრავალფეროვნება, საკუთარი ცხოვრებისეული ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

4. კაცობრიობის სიცოცხლის და კულტურის აყვავება შესაძლებელია მხოლოდ მოსახლეობის არსებითად შემცირების შემთხვევაში. სიცოცხლის აყვავება, რომელიც ადამიანს არ ეკუთვნის, ასევე მოითხოვს ამ შემცირებას.

5. თანამედროვეობაში ადამიანის ჩარევა არაადამიანურ სამყაროში დასაშვებ ზღვარს სცდება და მდგომარეობა სწრაფად უარესდება.

6. აქედან გამომდინარე პოლიტიკა უნდა შეიცვალოს. პოლიტიკის ასეთი ცვლილება გავლენას მოახდენს ძირითად ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ და იდეოლოგიურ სტრუქტურებზე. ამ ცვლილებებიდან გამომდინარე, შედეგი სიღრმისეულად უნდა განსხვავდებოდეს თანამედროვეობისგან.

7. იდეოლოგიური ცვლილება ძირითადად გამოიხატება ცხოვრების ხარისხის დაფასებაში (არსებობა, რომელსაც ორგანული ღირებულება აქვს) და არა ცხოვრების მაღალი სტანდარტების მისწრაფებაში. ეს იქნება ღრმა გაცნობიერებულობა დიდს და დიადს შორის.

---

<sup>225</sup> Deep Ecology. Bill Devall, George Sessions. Peregrine Smith Book, Salt Lake City, 1985. გვ. 70

8. ის, ვინც ხელს აწერს ზემოხსენებულ პუნქტებს, ვალდებულებას იღებს პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობით შეეცადოს განახორციელოს აუცილებელი ცვლილებები.

ამგვარად, როგორც ჩამოთვლილი პრინციპებიდან ჩანს, ღრმა ეკოლოგია აქცენტს აკეთებს დემოგრაფიულ ფაქტორზე, რაც მას უნიკალურს ხდის; იქიდან გამომდინარე, რომ ღრმა ეკოლოგია ამ კუთხით ერთადერთია, რომელიც ფოკუსირებულია დეპოპულაციაზე სხვა მწვანე ფილოსოფიურ-პოლიტიკურ მიმდინარეობებისგან განსხვავებით, რომლებიც აგრძელებენ მის იგნორირებას და ე.წ. ზედაპირულ ეკოლოგიას წარმოადგენენ.

მწვანე პოლიტიკას, როგორც იდეოლოგიას არც თუ ისე ხანგრძლივი, თუმცა საინტერესო ისტორია აქვს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ „მწვანე პოლიტიკა“ გარკვეულწილად ყველა მწვანე იდეის ერთობლიობას წარმოადგენს. ამიტომ ამჟამად აქცენტი მწვანე პოლიტიკურ პარტიებზე გაკეთდება, რომლებიც 1970-იანი წლებიდან იწყებენ ჩამოყალიბებას,<sup>226</sup> რაც შემთხვევითი არ არის, რადგან ზუსტად XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მწვავდება ეკოლოგიური პრობლემები.

პირველი მწვანე პოლიტიკური პარტიები ჩამოყალიბდა ახალ ზელანდიასა<sup>227</sup> და ავსტრალიაში<sup>228</sup> 1972 წელს. ასევე ამ პერიოდში ყალიბდება ეკოლოგიური პარტიები და ორგანიზაციები დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და გერმანიაში, რის შედეგადაც მწვანე პარტიები გლობალურ ფენომენად იქცნენ.<sup>229</sup> უპირველეს ყოვლისა, მწვანე პოლიტიკური იდეის მიერ გლობალური იერის მიღება განპირობებულია გარემოს დაბინძურებით, მაგრამ, ამავდროულად, გასათვალისწინებელია თანამედროვეობაში ძალზედ აქტუალური კლიმატის ცვლილება, გლობალური დათბობა.<sup>230</sup>

ევროპულ პარლამენტში (2024-2029) მწვანეებს 720 დეპუტატიდან 53 დეპუტატი ჰყავთ.<sup>231</sup> ყველაზე მეტი „მწვანე“ დეპუტატი გერმანიიდან არის და 15 დეპუტატს

---

<sup>226</sup> Wall Derek. The No-Nonsense Guide to Green Politics. New Internationalist Publications, Oxford, 2010. გვ. 12

<sup>227</sup> Rainbow Stephen. Green Politics. Auckland, Oxford University Press. Oxford, 1993. გვ. 3

<sup>228</sup> Wall Derek. The No-Nonsense Guide to Green Politics. New Internationalist Publications, Oxford, 2010. გვ. 18

<sup>229</sup> იქვე.

<sup>230</sup> უბირია ალექსანდრე. დემოგრაფიული ციკლები ისტორიაში და გლობალური უსაფრთხოება. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2024. გვ. 94

<sup>231</sup> European election results 2024. <https://results.elections.europa.eu/en/germany/> (ბოლო ნახვა: 10.11.2024)

შეადგენს. ნიდერლანდებიდან 6 დეპუტატია; საფრანგეთიდან 5; იტალიიდან 4; ესპანეთიდან 4; შვედეთიდან 3; დანიიდან 3; ბელგიაიდან 2; ფინეთიდან 2; ავსტრიაიდან 2; ლატვიაიდან 1; ლიეტუვაიდან 1; ჩეხეთიდან 1; რუმინეთიდან 1; ხორვატიაიდან 1; სლოვენიაიდან 1; ლუქსემბურგიდან 1.

აქედან გამომდინარე, ევროპაში და მსოფლიოშიც მწვანეთა პარტიებიდან გამოირჩევა გერმანიის მწვანეთა პარტია (Alliance 90/The Greens), რომელმაც გერმანიის 2025 წლის არჩევნებში 11.61% აიღო (5 მილიონ 700 ათასზე მეტი ამომრჩეველთა ხმა) და 88 ადგილი მოიპოვა. სხვა კონტინენტებთან შედარებით მწვანეებს მხოლოდ ევროპაში შეუძლიათ მაქსიმალურად მოახდინონ გავლენა ამა თუ იმ პროცესებზე, რაც რასაკვირველია, გლობალური ეკოლოგიური უსაფრთოების ფორმირებისთვის არ არის საკმარისი.

მიუხედავად ამისა, დღეს მწვანე პოლიტიკა წარმოადგენს გლობალურ ძალას, რაზეც მეტყველებს მწვანე პოლიტიკური პარტიების და მოძრაობების საერთაშორისო ქსელის ჩამოყალიბება (2001 წ.) - „გლობალური მწვანეები“. გლობალური მწვანეების მიერ შემუშავებულ იქნა მწვანეთა ძირითადი პრინციპები:<sup>232</sup>

1. ეკოლოგიური სიბრძნე
2. სოციალური სამართლიანობა
3. მონაწილეობითი დემოკრატია
4. არა ძალადობა
5. მდგრადობა
6. მრავალფეროვნების პატივისცემა

თუმცა თანამედროვე პრობლემების პროგრესირების გათვალისწინებით გასაგები ხდება, რომ აღნიშნული პრინციპები სამწუხაროდ, რეალურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ ვერ დამკვიდრდნენ. მწვანე პარტიები დაარსებისთანავე, როგორც ახალი პოლიტიკური ძალა, პოპულარობით სარგებლობდნენ, თუმცა თანდათან გაძლიერების მაგივრად დასუსტდნენ, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ აუცილებელია მწვანე პოლიტიკის ტრანსფორმაცია.

---

<sup>232</sup> Charter of The Global Greens.

[https://globalgreens.org/wpcontent/uploads/2023/07/GlobalGreens\\_Charter\\_2023.pdf](https://globalgreens.org/wpcontent/uploads/2023/07/GlobalGreens_Charter_2023.pdf) (ბოლო ნახვა:10.11.2024)

მწვანე პოლიტიკა, როგორც ჰოლისტური პოლიტიკა,<sup>233</sup> ერთიანი პარადიგმის ჩამოყალიბების ძიებაშია და რათა ტოტალიტარულ უტოპიანიზმად არ გადაიქცეს მწვანე პოლიტიკამ უნდა დაამტკიცოს, რომ აქვს უნარი წარმოქმნას მდგრადი საზოგადოება. დღეს ეკოლოგიზმის რადიკალიზაცია მწვანე პოლიტიკის ჩამოყალიბებლობის შედეგია, რაც მისი უმთავრესი კომპონენტის (დემოგრაფიული პროცესების რეგულირება) არქონის შედეგია.

რაც შეეხება ე.წ. „მწვანე იდეოლოგიებს“ (იდეოლოგიებში ეკოლოგიზმზე ორიენტირი), გამოირჩევიან:<sup>234</sup>

- ეკონაციონალიზმი
- მწვანე ლიბერალიზმი
- მწვანე კონსერვატიზმი
- ეკოფემინიზმი
- ეკოავტორიტარიზმი

ეკონაციონალიზმი წარმოადგენს ეკოლოგიზმის და ნაციონალიზმის სინთეზს. მას ასევე მოიხსენიებენ როგორც მწვანე ნაციონალიზმს.<sup>235</sup> ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ თუ რა განსხვავებებია ეკონაციონალიზმსა და ეკოფაშიზმს შორის, რადგან ხშირად ხდება მათი გაიგივება და შესაბამისად, მრავალი გაუგებრობის გაჩენა, რაც მართებულად არ მიგვაჩნია.

ცნება „ეკონაციონალიზმი“ ამერიკელმა მკვლევარმა ჯეინ დოუსონმა გამოიყენა, საბჭოთა რესპუბლიკებში - რუსეთში, უკრაინაში, ლიეტუვაში, სომხეთში და თათრეთში მიმდინარე ეროვნული და ეკოლოგიური აქტივიზმის ანალიზისას.<sup>236</sup> დოუსონის აზრით, ბირთვული ენერჯის საწინააღმდეგო აქტივიზმმა ლიეტუვასა და სომხეთში გარდაქმნა ასეთი აქტივიზმი სუვერენიტეტისთვის სწრაფვისაკენ, ხოლო უკრაინაში და თათრეთში რუსიფიკაციის მიუხედავად გააცოცხლა ნაციონალური ცნობიერება. აქედან გამომდინარე, ეკონაციონალიზმი გვევლინება როგორც ნაციონალიზმის და ეკოლოგიზმის სინთეზი.

---

<sup>233</sup> Rainbow Stephen. Green Politics. Auckland, Oxford University Press. Oxford, 1993. გვ. 14

<sup>234</sup> ეკოფაშიზმი და ეკოსოციალიზმი ცალკე ქვე თავებშია განხილული

<sup>235</sup> Daniele Conversi & Mark Friis Hau (2021) Green nationalism. Climate action and environmentalism in left nationalist parties, Environmental Politics, DOI: 10.1080/09644016.2021.1907096.

<sup>236</sup> Dawson I. Jane. Eco-Nationalism. Anti-Nuclear Activism and National Identity in Russia, Lithuania, and Ukraine. Duke University Press. Durham and London. 1996.

ეკონაციონალიზმი ეკოფაშიზმისგან განსხვავებით ლოკალურ ხასიათს ატარებს. ეკოფაშიზმი გლობალური იდეოლოგია არის, ხოლო ეკონაციონალიზმს არ გააჩნია გლობალურობის ამბიცია, ყოველ შემთხვევაში იქამდე, სანამ ეკონაციონალიზმში არ გაძლიერდება ეკოფაშიზტური იდეები (ასევე ე.წ. მწვანე იმპერიალიზმი), რაც დღეს არსებული პრობლემების პირობებში სავსებით შესაძლებელია.

ვინაიდან, ნაციონალიზმის გავლენა თანამედროვე პოლიტიკაში კვლავ ძლიერი რჩება, რაც ნიშნავს იმას, რომ ნაციონალიზმის გავლენა ასევე ვრცელდება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკის მიმართ, აუცილებელია სასწრაფოდ განხილულ იქნას კავშირი ნაციონალიზმს და კლიმატის ცვლილებას შორის.<sup>237</sup> აღნიშნულ სტატიაში ავტორებმა აქცენტი გააკეთეს კატალონიის მემარცხენე რესპუბლიკურ პარტიაზე (ERC) და შოტლანდიის ნაციონალურ პარტიაზე (SNP). 2019 წელს მსოფლიოში პირველად შოტლანდიის ნაციონალური პარტიის ინიციატივით გამოაცხადეს „კლიმატის კრიტიკული მდგომარეობა“ და მიიღეს კანონი (უფრო რადიკალური, ვიდრე 2008 წელს დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ მიღებული კანონი), რომლის მიზანია 2045 წელს სათბურის აირების ნულოვანი ემისია.<sup>238</sup> ნაშრომში სავსებით სამართლიანად აღინიშნა, რომ შოტლანდიის ნაციონალურმა პარტიამ შესაძლოა მწვანე პოლიტიკა გამოიყენოს როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი, ვინაიდან, შოტლანდიის მწვანეთა პარტიის ანალოგიურ კრიტიკული მდგომარეობის გამოცხადებას შოტლანდიის ნაციონალურმა პარტიამ თავდაპირველად მხარი არ დაუჭირა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელს ეკოპოლიტიკის საკითხში ნაბიჯების გადადგმაში ხელს ასეთი „ინსტრუმენტი“ არ უშლის, რაც მაგალითად, სათბურის აირების ნულოვანი ემისიის მიზანში გამოიხატება. გარდა ამისა, შოტლანდიის ნაციონალურმა პარტიამ განიზრახა 22 მილიონი ხის დარგვა, რაც ავტორების აზრით ასევე ნაციონალიზმის და ეკოლოგიური პოლიტიკის სინთეზია. შოტლანდიასთან შედარებით კატალონიამ უფრო

---

<sup>237</sup> Daniele Conversi & Mark Friis Hau (2021) Green nationalism. Climate action and environmentalism in left nationalist parties, *Environmental Politics*, DOI: 10.1080/09644016.2021.1907096. გვ. 2

<sup>238</sup> იქვე. გვ. 6

რადიკალური ზომების მიღება გადაწყვიტა, თუმცა ესპანეთის მთავრობამ ვეტო დაადო რეფორმებს, როგორც კონსტიტუციასთან არათავსებადს.<sup>239</sup>

კატალონიის მემარცხენე რესპუბლიკური პარტიის (ERC) და შოტლანდიის ნაციონალური პარტიის (SNP) მიერ ეკოლოგიურ პოლიტიკაზე ფოკუსირებიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა - არიან თუ არა კატალონიელი და შოტლანდიელი ნაციონალისტები „მწვანეებზე უფრო მწვანეები“, თუმცა არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ კატალონიის მემარცხენე რესპუბლიკური პარტიის (ERC) უმთავრესი მიზანია დამოუკიდებლობის მოპოვება.<sup>240</sup> აქედან გამომდინარე, „მწვანე იდეა“ მის შემადგენელ ნაწილად გვევლინება.

ერთ-ერთ ნაშრომში მწვანე ნაციონალიზმზე<sup>241</sup> შემოთავაზებულ იქნა სამი ჰიპოტეზა:

1) მწვანე ნაციონალიზმის პირობებში ხდება საზოგადოების მხარდაჭერა კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში. მოქალაქეები, რომლებიც იდენტიფიცირდებიან თავის ნაციასთან, უფრო მიისწრაფვიან იმ პოლიტიკის მხარდაჭერისკენ, რომელიც მიმართულია ბუნებრივი გარემოს და ქვეყნის რესურსების დაცვისკენ, შედეგად მკვიდრდება აქტიური პოზიცია კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ.

2) მწვანე ნაციონალიზმმა შესაძლოა გამოიწვიოს ეკოლოგიური უთანასწორობა იმ შემთხვევაში თუ არ იქნება საერთაშორისო თანამშრომლობა და ანგარიშგება. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა, ქვეყნებმა უპირატესობა მიანიჭონ საკუთარ ინტერესებს, რაც ზიანს მიაყენებს გლობალურ ეკოლოგიურ სამართლიანობას.

3) მწვანე ნაციონალიზმის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად იცვლება სხვადასხვა ნაციონალური კონტექსტების და პოლიტიკური პეიზაჟების გათვალისწინებით. მწვანე ნაციონალიზმზე პოტენციურ გავლენას ახდენენ სხვადასხვა ფაქტორები, როგორებიც არის ქვეყნის პოლიტიკური სისტემა, კულტურული ღირებულებები და სხვ. ეს ყოველივე ნიშნავს იმას, რომ მწვანე ნაციონალიზმის გავლენა ქვეყნებში განსხვავებული იქნება.

---

<sup>239</sup> იქვე. გვ. 8

<sup>240</sup> იქვე. გვ. 10

<sup>241</sup> Review Subcontinent. Green Nationalism: A New Paradigm for Environmental Governance and Climate Justice. Vol. – XVII & XVIII. September 2020. გვ. 120

ეკონაციონალიზმი წარმოადგენს ეროვნულ იდეოლოგიას, რომელიც აქცენტს აკეთებს ეკოლოგიურ პრობლემებზე, ვინაიდან, ბუნებრივი გარემოს დაცვა ეროვნული ინტერესების განსაკუთრებული ნაწილია (ეკოლოგიური უსაფრთხოება). გარკვეულწილად ეკონაციონალიზმმა შესაძლოა რადიკალური პოზიცია დაიკავოს იმიგრანტებთან მიმართებაში, რაც აახლოებს ეკოფაშიზმთან, თუმცა ფაქტია რომ ეკონაციონალიზმი ეკოლოგიური უსაფრთხოებიდან გამომდინარე, კონკრეტული ქვეყნის რესურსების (და სრულიად ეკოლოგიური უსაფრთხოების) დაცვის ინიციატივით გამოდის.

რაც შეეხება მწვანე კონსერვატიზმს, თითქოს რთულია ეკოლოგიზმის და კონსერვატიზმის სინთეზი, მწვანე პოლიტიკის პრინციპებიდან გამომდინარე, თუმცა ბუნებრივი გარემოს მნიშვნელობას აღნიშნავდა მრავალი კონსერვატორი პოლიტიკოსი და ფილოსოფოსი, მათ შორის - დიზრაელი, ნიუტ გინგრიჩი, დევიდ კამერონი და ფილოსოფოსი ბერკი და როჯერ სკრუტონი.<sup>242</sup> დღეს მწვანე კონსერვატიზმი შესაძლოა, ვლინდებოდეს კონკრეტული კონსერვატორი პოლიტიკოსის მოღვაწეობაში, თუმცა მწვანე კონსერვატიულ პარტიაზე საუბარი რთულია. ეკოლოგიის ლოგიკის იგნორირებას კონსერვატიული პარტია მეტს ვერ შეძლებს.<sup>243</sup> ბრიტანეთის კონსერვატიულ პარტიაში ეკოლოგიზმის გარშემო დებატები 1970-იანი წლებიდან აქტიურად მიმდინარეობდა,<sup>244</sup> მაგრამ „ტორების გამწვანება“, ეკოლოგიური პრობლემების გამწვავების პირობებში საკმარისი როგორც ჩანს არ არის.

ლიბერალიზმის და ენვაირონმენტალიზმის ურთიერთქმედება კონსერვატიზმის და ეკოლოგიზმის სინთეზთან შედარებით კიდევ უფრო რთულია, რაც გამოწვეულია დასავლური ლიბერალ-დემოკრატიების უუნარობით გადაჭრან ეკოლოგიური პრობლემები, რაც მწვანე ლიბერალიზმს უბრალოდ არა რეალურს ხდის. ასეთ პირობებში ყალიბდება ეკოლოგიური პატერნალიზმი,<sup>245</sup> რაც ლიბერალიზმისთვის მიუღებელია. აღსანიშნავია ნიდერლანდელი ფილოსოფოსის მარსელ ვისენბურგის ნაშრომი „მწვანე ლიბერალიზმი: თავისუფალი და მწვანე

<sup>242</sup> Kieron O'Hara. Conservatism. Reaktion Books, London, 2011. გვ. 273

<sup>243</sup> Porritt Jonathon. Seeing Green. The Politics of Ecology Explained. Basil Blackwell, 1984. გვ. 231

<sup>244</sup> Green Politics Two. Editor Wolfgang Rudig. Edinburgh University Press. 1992.

<sup>245</sup> Democracy and Green Political Thought. Sustainability, rights and citizenship. Edited by Brian Doherty and Marius de Geus. Routledge, London, 1996. გვ. 207

საზოგადოება“,<sup>246</sup> რომელშიც უფრო ლიბერალური პოზიცია ჩანს, ვიდრე მწვანე-ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ვისენბურგის პროექტი ჯერ ლიბერალურია, ხოლო შემდგომ მწვანე.<sup>247</sup>

მწვანე კონსერვატიზმის არსებობა მწვანე ლიბერალიზმთან შედარებით უფრო რეალურია, თუმცა ამ ეტაპზე მწვანე კონსერვატიზმი არ წარმოადგენს სერიოზულ პოლიტიკურ ძალას, შესაბამისად ერთგვარი იდეოლოგიური ცვლილებების აუცილებლობაა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ ეკოლოგიური პრობლემების გამწვავებას, ყოვლად შესაძლებელია მწვანე კონსერვატიზმის სხვა მწვანე იდეოლოგიებთან შერწყმა, რაც ასევე შესაძლოა სერიოზულ გამოწვევად იქცეს, ვინაიდან, შეინიშნება მწვანე კონსერვატიზმის რადიკალურ იდეოლოგიებთან სინთეზი.

მწვანე იდეოლოგიებიდან გამორჩეულია ეკოფემინიზმი, რომელიც 1970-იან წლებში ჩამოყალიბდა და ფრანგი მწერლის ფრანსუაზა დ'ბონის სახელთან არის დაკავშირებული.<sup>248</sup> 1972 წელს პარიზში მის მიერ დაარსდა ეკოლოგიური-ფემინიზმის ცენტრი, ხოლო ტერმინი ეკოფემინიზმი მან გამოიყენა 1974 წელს, თავის წიგნში „ეკოფემინიზმი ან სიკვდილი“, სადაც მან მოუწოდა მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს ეკოლოგიური რევოლუციისაკენ, რომელმაც უნდა გადაარჩინოს პლანეტა.<sup>249</sup> ვინაიდან ქალები კულტურულად ბუნებასთან არიან დაკავშირებულნი, ეკოფემინისტები ამტკიცებენ, რომ ეკოლოგიურ პრობლემებს და ფემინიზმს შორის არის კონცეპტუალური, სიმბოლური და ლინგვისტური კავშირი.<sup>250</sup> ქალთა ეკოლოგიური რევოლუცია თავის მხრივ, გამოიწვევს ახალ გენდერულ ურთიერთობებს როგორც ქალებს და კაცებს შორის, ასევე ადამიანს და ბუნებას შორის.<sup>251</sup> პატრიარქატის იერარქიულობამ და მჩაგვრელმა რეჟიმმა მიაყენა ზიანი

---

<sup>246</sup> Wissenburg M. Green Liberalism: The Free And Green Society. Routledge, London, 1998.

<sup>247</sup> Stephens H.G. Pers. Debate – Green Liberalisms: Nature, Agency and the Good. Environmental Politics. Volume 10, 2001 – Issue 3. 1-22 pp.

<sup>248</sup> Merchant Carolyn. Radical Ecology. The Search for a Livable World. Second Edition. Routledge, New York, 2005. გვ. 194

<sup>249</sup> იქვე.

<sup>250</sup> Rosemarie Tong. Feminist Thought. A more Comprehensive Introduction. Third Edition. University of North Carolina, Charlotte. Westview Press, 2000. გვ. 237

<sup>251</sup> Merchant Carolyn. Radical Ecology. The Search for a Livable World. Second Edition. Routledge, New York, 2005. გვ. 194

როგორც ქალებს, ასევე ბუნებას.<sup>252</sup> დაბინძურება, ბუნებრივი გარემოს განადგურება და მოსახლეობის ზრდის უკონტროლოება მამრობითი სქესის კულტურის წარმონაქმნია.<sup>253</sup> XX საუკუნეში ჭარბმოსახლეობის პრობლემის წარმოქმნაში მესამე სამყაროს ქალებს ადანაშაულებდნენ,<sup>254</sup> რაც გამოწვეული იყო შობადობის თვითრეგულირების უუნარობაში, რომელიც გარკვეულწილად დამკვიდრებული იყო დასავლურ ცივილიზაციაში.

ეკოფემინიზმი აკრიტიკებს არაფემინისტურ ეკოლოგიურ თეორიებს იმის გამო, რომ მათი ორიენტირი არ არის გენდერი, აქედან გამომდინარე, ასეთ თეორიებს მოსახლეობის სწრაფი ზრდის ალტერნატივა არ აქვთ.<sup>255</sup> მოსახლეობის შემცირება დაიწყება თუ ქალი გათავისუფლდება ანდროცენტრისტული კულტურებისგან, თუმცა ფემინიზმისთვის მნიშვნელოვანია ასევე კაცის გათავისუფლება, რაც თავის მხრივ მოსახლეობის პრობლემას გადაჭრიდა.<sup>256</sup> აქ საუბარია პატრიარქალური საზოგადოების მიერ კაცზე ზეწოლის შესახებ, რომ თითქოსდა მრავალშვილიანობა ეს წარმატების ნიშანია კაცისთვის. გარდა ამისა, სახელმწიფო იყენებს ქალებს, რათა სამხედრო ძალა გაზარდოს - ქალები და კოლონიები როგორც ბუნებრივი რესურსი.<sup>257</sup> ამ შემთხვევაში იგულისხმება მთავრობების მიერ შობადობის გაზრდის წაქეზების ფაქტები, რაც არაერთ ქვეყანას ახასიათებს. შობადობის წაქეზებით იზრდება მომხმარებელთა რაოდენობა, რაც არამხოლოდ მილიტარისტულ, არამედ ეკონომიკურ ინტერესსაც წარმოადგენს. ანდროცენტრისტული კულტურა შესაძლოა, გავლენას ახდენს დემოგრაფიულ პროცესზე, ასევე სახელმწიფოს ჩარევის საკითხიც მნიშვნელოვანია, თუმცა სრული პასუხისმგებლობა მაინც კონკრეტულ ინდივიდს ეკისრება.

ნაშრომი „ეკოფემინიზმი ლათინურ ამერიკაში“<sup>258</sup> კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ეკოფემინიზმის პოპულარობა მსოფლიოში იზრდება. ნაშრომში

---

<sup>252</sup> Rosemarie Tong. *Feminist Thought. A more Comprehensive Introduction*. Third Edition. University of North Carolina, Charlotte. Westview Press, 2000. გვ. 238

<sup>253</sup> Merchant Carolyn. *Radical Ecology. The Search for a Livable World*. Second Edition. Routledge, New York, 2005.

<sup>254</sup> Isla Ana. *Climate Chaos. Ecofeminism and the Land Question*. Inanna Publications & Education Inc. Toronto, 2019. Ebook Edition.

<sup>255</sup> Greta Gaard. *Ecofeminism. Women, Animals, Nature*. Temple University Press, Philadelphia, 1993. გვ. 33

<sup>256</sup> იქვე. გვ. 34

<sup>257</sup> იქვე

<sup>258</sup> Ressa Mary Judith. *Ecofeminism in Latin America*. Orbis Books, Maryknoll, New York, 2006

განხილულია არა ერთი საინტერესო საკითხი, თუმცა ყველაზე მეტად საყურადღებოა ნაშრომის კულტურული აქცენტი, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ეკოფემინიზმი გლობალური იდეოლოგია არის. ასევე აღსანიშნავია ეკოფემინიზმის მიმდინარეობების არსებობა: ლიბერალური ეკოფემინიზმი, კულტურული ეკოფემინიზმი, სოციალური ეკოფემინიზმი და სხვ.<sup>259</sup> დემოგრაფიული პროცესების სტაბილიზაციის პროცესში ქალის როლი სულ უფრო გაიზრდება, რომლის პირობებშიც ორგანულია ეკოფემინიზმის გავლენის ზრდაც.

მწვანე პოლიტიკის და ზოგადად მწვანე იდეოლოგიების სისუსტე წარმოქმნის ეკოავტორიტარიზმის (ეკოდიქტატურის) ჩამოყალიბების შესაძლებლობას.

ბუნებრივი გარემოს მიმდინარე დეგრადაცია გავლენას ახდენს პოლიტიკურ სისტემებზე, ხოლო დედამიწის ზოგიერთ წერტილში, სადაც ეკოლოგიური პრობლემები მეტად აქტუალურია და სახელმწიფოს არ გააჩნია უნარი აღნიშნული ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის, პოლიტიკური ელიტა სტაბილიზაციისთვის ავტორიტარიზმს მიმართავს, პოლიტიკური ლიბერალიზაციის საწინააღმდეგოდ.<sup>260</sup> ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია ბუნებრივი გარემოს განადგურების შეჩერების მიზნით, ოპერატიული ზომების მიღების აუცილებლობის დროს. ავტორიტარული ენვაირონმენტალიზმის, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის ახალი თეორიის განხილვისას,<sup>261</sup> ყველაზე თვალსაჩინო ჩინეთის მაგალითია.<sup>262</sup> ჩინეთის მიერ წარმოებული დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელმაც ჩინეთში მიმდინარე კრიზისი დაასრულა, კიდევ ერთხელ მიუთითებს მტკიცე პოზიციის დადებით მხარეს, რომელიც ასევე ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრისას ვლინდება. დემოგრაფიული პოლიტიკის გარდა, ჩინეთმა წარმატებას მიაღწია ეკოლოგიური პოლიტიკაში, ხოლო დემოგრაფიულ პროცესებს და ბუნებრივი გარემოს მდგომარეობას ძალიან მჭიდრო კავშირი აქვთ.

---

<sup>259</sup> Merchant Carolyn. *Radical Ecology. The Search for a Livable World*. Second Edition. Routledge, New York, 2005.

<sup>260</sup> Beeson, Mark (2010) 'The coming of environmental authoritarianism', *Environmental Politics*, 19: 2, 276 – 294.

<sup>261</sup> Gilley Bruce. *Authoritarian environmentalism and China's response to climate change*. *Environmental Politics*. Vol. 21, NO. 2, March 2012, 287-307

<sup>262</sup> Beeson Mark (2017) *Coming to Terms with the Authoritarian Alternative: The Implications and Motivations of China's Environmental Policies*. *Asia & the Pacific Policy Studies*, vol. 4, no. 1. pp. 34-46

თუ დემოკრატებს არ გააჩნიათ უნარი გადაჭრან ეკოლოგიური პრობლემები, ასეთ ვითარებაში პოლიტიკურ ასპარეზზე როგორც გამოსავალი მხოლოდ არადემოკრატიული რეჟიმები რჩებიან, შედეგად ხდება პოლიტიკური იდეოლოგიის ჩანაცვლება.

ნებისმიერ შემთხვევაში ყველა ახალ იდეოლოგიას (ისევე, როგორც ზემოთ აღნიშნულ იქნა კლასიკური იდეოლოგიები, რომლებმაც მწვანე პოლიტიკაზე გააკეთეს აქცენტი), რომელსაც აქვს ამბიცია გადაჭრას ეკოლოგიური პრობლემები, აუცილებლად უნდა მოახდინოს ფოკუსირება დემოგრაფიულ ფაქტორზე.

მწვანე პოლიტიკის და სხვა „მწვანე“ იდეოლოგიების უმთავრესი ხარვეზია დემოგრაფიული ფაქტორის იგნორირება. ამ უკანასკნელის იგნორირება გარკვეულწილად გახდა ეკოტერორიზმის გააქტიურების მიზეზი, რომელსაც მრავალი ადამიანი ემსხვერპლა. როგორც ზემოთ აღნიშნულ იქნა, მხოლოდ ღრმა ეკოლოგია და ნაწილობრივ, ეკოფემინიზმი ამახვილებს ყურადღებას მოსახლეობის დინამიკის მიმართ. ამ კუთხით ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ ერთგვარ ქრონოლოგიაზე: დემოგრაფიული აფეთქება და ჭარბმოსახლეობა - ეკოლოგიური კატასტროფა - ეკოტერორიზმი. ეკოტერორიზმის წარმოქმნას ძირითად შემთხვევაში იწვევს მწვანე ორგანიზაციების და პარტიების გულგრილობა დემოგრაფიული პროცესების მიმართ. ერთის მხრივ, ჩვენ შეგვიძლია გავამართლოთ ეს ყოველივე იმით, რომ ანთროპოგენური ფაქტორი დღითი დღე მწვავედება, ხოლო აღნიშნული პრობლემა მწვანე პოლიტიკის ჩამოყალიბების დროს არ იყო ისეთი მწვავე როგორც ახლა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დემოგრაფიული აფეთქება XX საუკუნის მეორე ნახევრის ფენომენია, დემოგრაფიულ ფაქტორზე ორიენტირი მაინც უნდა ყოფილიყო მწვანე პოლიტიკის ჩამოყალიბების დროს.

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ მწვანე პოლიტიკის ტრანსფორმაციის ორ ფორმაზე:

- 1) მწვანე პოლიტიკის მიერ შობადობის რეგულირებაზე (ეკოლოგიური პრობლემების ჰუმანური გადაჭრა) აქცენტის გაკეთება (მათ შორის საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრება);
- 2) მწვანე პოლიტიკის მიერ დემოგრაფიული ფაქტორის იგნორირება, რაც გამოიწვევს მწვანე პოლიტიკის მარგინალიზაციას და შემდგომ გაადლიერებს ეკოტერორიზმს.

აქედან გამომდინარე, იდეოლოგიებში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს დემოგრაფიულმა ფაქტორმა, წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიოში სხვადასხვა სახის პრობლემები თანდათან გამწვავდებიან და მუდმივად იქნება ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროება, რომლის პირობებში შეუძლებელია გლობალური უსაფრთხოების შენარჩუნება.

თანამედროვე სამყაროსთვის დამახასიათებელი სოციალური უთანასწორობა, ძალადობა, კონსუმერიზმი და მრავალფეროვნების განადგურება (ფაქტიურად მწვანე პოლიტიკის ძირითადი პრინციპები ვერ დამკვიდრდა) მეტყველებს იმაზე, რომ მწვანე პოლიტიკა აუცილებლად უნდა შეიცვალოს, ვინაიდან მისი ძირითადი პრინციპები ვერ დამკვიდრდა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მწვანე პოლიტიკა სრულყოფილად ვერ შედგა. პირველ რიგში, კვლავ უნდა ითქვას, რომ იგნორირებულია მამოძრავებელი ძალა, რომელიც წარმოქმნის და ამწვავებს მსოფლიოში არსებულ პრობლემებს - დემოგრაფიული აფეთქება და ჭარბმოსახლეობა.

## 2.2. ეკოფაშიზმის პოლიტიკური ფილოსოფია და ძალადობის ახალი ფორმები

დღესდღეობით ტერმინი „ეკოფაშიზმი“ საკმაოდ სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ხშირ შემთხვევაში ეკოლოგიზმის და ფაშიზმის სინთეზად მოიაზრება, თუმცა რასაკვირველია, ეს ძალიან ზოგადი შეფასებაა. „ეკოფაშიზმი როგორც ბუნების დაცვის რადიკალური იდეოლოგია“, ამ მნიშვნელობით ძირითადი აქცენტი მტკიცე ზომებზეა გაკეთებული და ტოტალიტარიზმთან ასოცირდება. თუმცა გააჩნია რა იგულისხმება მტკიცე ზომებში. ეს უკანასკნელი „ეკოფაშიზმზე“ საუბრისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ტერმინის სიზუსტის არქონის გამო შესაძლოა სერიოზული გაუგებრობა წარმოიქმნას. ყველა, ვინც ბუნების დაცვის მომხრეა, ავტომატურად ეკოფაშიზმად ჩაითვლება, მითუმეტეს დღეს ეკოლოგიური პრობლემები უფრო მწვავედება და ადამიანების მსოფლხედველობა ცვლილებას განიცდის. ვინ არიან ეკოფაშიზმები და ვის უნდა ეწოდოს ეკოფაშიზტი და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ახასიათებს თუ არა აღნიშნულ იდეოლოგიას სხვადასხვა მიმდინარეობათა სიმრავლე, რომლებიც ერთმანეთისგან გარკვეულწილად ან/და მითუმეტეს კარდინალურად განსხვავდებიან. რასაკვირველია, არ იქნება სწორი გავაიგივოთ ადამიანი, რომელიც ეკოლოგიური პრობლემების მტკიცე ზომებით გადაჭრის მომხრეა და ადამიანი, რომელიც ეკოლოგიზმის და ფაშიზმის სინთეზში ხედავს ალტერნატივას.

საყურადღებოა, რომ ეკოფაშიზმს ხშირად აკავშირებენ დემოგრაფიულ პროცესებთან: „ეკოფაშიზმი ჭარბმოსახლეობის წინააღმდეგ“, „ეკოფაშიზმი მიგრაციის წინააღმდეგ“ და ა.შ. ამ მხრივ თუ გავითვალისწინებთ, რომ ჭარბმოსახლეობა ეკოლოგიური უსაფრთხოების რეალური გამოწვევაა, ხოლო დემოგრაფიული აფეთქება ეკოლოგიურ პრობლემებს ამწვავეს, ლოგიკურია ეკორადიკალიზმის გაძლიერება დემოგრაფიული ფაქტორის გამო. რაც შეეხება მიგრაციას, ამ შემთხვევაში მდგომარეობა სულ უფრო მწვავედება, რომლის დასტურიც ძალადობის სიხშირეა, რომელიც ასევე ეკოფაშიზტურ ტერორიზმთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, რამდენად სწორია ეწოდოს ადამიანს ეკოფაშიზტი, რომელიც შობადობის კონტროლის მომხრეა (ამ შემთხვევაში შობადობის რეგულირება როგორც

დემოგრაფიული აფეთქების და ეკოლოგიური კატასტროფის ერთადერთი ჰუმანური ალტერნატივა). სხვადასხვა იდეის, ხედვის და იდეოლოგიური მიმდინარეობის გაიგივება ჩვენი აზრით საკმაოდ სერიოზული ხარვეზია, რომელიც წარმოქმნის გაუგებრობას.

ეკოფაშიზმის ჩამოყალიბება ნაცისტურ გერმანიაში არსებულ მწვანე პოლიტიკასთან ასოცირდება, თუმცა ჯერ კიდევ კოლონიალიზმის პერიოდში ჩაისახა ეკოტოტალიტარიზმის საფუძვლები, რაც გამოიხატებოდა უცხო სივრცის დაკავებაში და გარემოს დაცვის კონტროლში. ასეთ პირობებში ადგილობრივი მოსახლეობა კოლონიზატორების აზრით იყო უუნარო და შესაბამისად მათი ქმედება ზიანს აყენებდა ბუნებას, ამიტომ გარემოს დაცვის მთავარ აპოლოგეტად კოლონიზატორი გვევლინება. მაგალითად, როგორც ეს ხორციელდებოდა ინდოეთში ბრიტანეთის ინიციატივით. ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა ალჟირში საფრანგეთის თაოსნობით.<sup>263</sup> ასევე ყურადღებას იპყრობს კარიბის აუზში არსებული მდგომარეობა, სადაც კოლონიზატორები მიწების გადანაწილებისას არ ითვალისწინებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებებს და აქცენტი კეთდებოდა ტყის ფართობის გაზრდაზე.<sup>264</sup> ამ მხრივ ერთგვარი არჩევანია - ან მოსახლეობის სრული უზრუნველყოფა, ან გარემოს დაცვის პროექტების ცვლილება. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპები და მიგრაციული პროცესები. ეს უკანასკნელი კიდევ უფრო ამწვავებდა ისედაც რთულ ვითარებას. აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ არის ამ პერიოდში აქცენტის გაკეთება თ. მალთუსის იდეების მნიშვნელობაზე,<sup>265</sup> რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მისი იდეების ავტორიტეტულობაზე. სემ მური და ალექს რობერტსი თავის ნაშრომში<sup>266</sup> მოიხსენიებენ მალთუსს, როგორც კოლონიალური ეპოქის ყველაზე პესიმისტ მოაზროვნეს და გარემოს დაცვის სიმკაცრეზე საუბრისას მოსახლეობის მნიშვნელობაზე აკეთებენ აქცენტს, რაც ჩვენი აზრით, სწორი მიდგომაა. დემოგრაფიული პროცესები უდიდეს გავლენას ახდენენ ეკოლოგიურ

---

<sup>263</sup> Moore Sam & Roberts Alex. The Rise of Ecofascism. Climate Change and The Far right. Polity Press, 2022.

გვ. 20

<sup>264</sup> Grove H. Richard. Green Imperialism. Colonial Expansion, tropical island Edens and the origins of environmentalism, 1600-1860. Cambridge University Press, 1995. გვ. 282

<sup>265</sup> Moore Sam & Roberts Alex. The Rise of Ecofascism. Climate Change and The Far right. Polity Press, 2022.

გვ. 18

<sup>266</sup> Ibid

უსაფრთხოებაზე. თუმცა აღნიშნულ ნაშრომში საუბარია კოლონიზატორების მიერ მალთუსის იდეების გამოყენებაზე დაპყრობილი ხალხის წინააღმდეგ, კერძოდ, მაგალითისთვის მოყვანილია ირლანდიის დიდი შიმშილობა (1845-1852 წწ.).<sup>267</sup> ამ შემთხვევაში ბრიტანეთის მთავრობის უუნარობა ან შეგნებულად ირლანდიაში არსებული ეკონომიკური კრიზისის გამწვავება, ჩვენი აზრით მალთუსის იდეებთან არანაირ კავშირშია; მალთუსი დემოგრაფიული აფეთქების და ჭარბმოსახლეობის კატასტროფულ შედეგებზე საუბრობდა და ფაქტია, რომ უკონტროლობის შედეგია სიღარიბის, შიმშილის, ეპიდემიების და სხვა პრობლემის გამწვავება. ასევე იგი აღნიშნავდა, რომ კარგი პირობების დროს (იქამდე, სანამ ჭარბმოსახლეობის პრობლემა არ ფიქსირდება) მოსახლეობა სწრაფად იზრდება, რაც ასევე დემოგრაფიულ ციკლებს წარმოადგენს (მოსახლეობის ზრდა იწვევს საკვები პროდუქტების შემცირებას, რასაც შედეგად მოსდევს ფასების ზრდა და მოხმარების შემცირება მოსახლეობაში, ამავდროულად მოხმარების შემცირება იწვევს მოსახლეობის ზრდის შეჩერებას და მის ისეთ დონემდე შემცირებას, როდესაც საკვები საკმარისია, ხელფასები კვლავ იზრდება, მოხმარება მატულობს, პროცესი კვლავ მეორდება).<sup>268</sup> შესაბამისად ღარიბების მუდმივი წაქეზება რეალურ შედეგს არ გამოიტანს და პირიქით, გააუარესებს მდგომარეობას. მალთუსის აზრით, ინგლისში არსებულ ღარიბთა დახმარებებს არანაირი შედეგი არ გააჩნდათ, ასეთი პოზიცია არ ნიშნავდა პრობლემის დასრულებას.<sup>269</sup> აქედან გამომდინარე თ. მალთუსის დადანიშნულება ირლანდიის დიდ შიმშილობაში, არ არის მართებული. თუმცა ამ შემთხვევაში არის საყურადღებო მომენტი. შიმშილობის პერიოდში ირლანდიას ფაქტობრივად განაგებდა ბრიტანეთის კოლონიური ადმინისტრატორი სერ ჩარლზ ედუარდ ტრეველიანი (1807-1886)<sup>270</sup> და ორგანულია, რომ უდიდეს ძალაუფლებას ფლობდა ირლანდიის დახმარების საკითხთან დაკავშირებით.<sup>271</sup> ბრიტანელი ისტორიკოსი საიმონ შამა ჩარლზ ტრეველიანზე საუბრისას აღნიშნავს,<sup>272</sup> რომ იგი თომას მალთუსის მოსწავლე იყო და ამ გამოცდილებამ საშინელი გავლენა მოახდინა მის მომდევნო კარიერაზე. ეს ფაქტი,

---

<sup>267</sup> Ibid. გვ. 19

<sup>268</sup> Нефёдов С.А. Концепция демографических циклов. Екатеринбург. Издательство УГГУ, 2007. გვ. 7

<sup>269</sup> Malthus Thomas. An Essay on the Principle of Population. London, 1798. Electronic Scholarly Publishing Project, 1998. გვ. 24

<sup>270</sup> Woodham-Smith Cecil. The Great Hunger. Harper Row, Publishers. New York and Evanston. 1962. გვ. 58

<sup>271</sup> იქვე. გვ. 65

<sup>272</sup> Schama Simon. A History of Britain 3. 1776-2000. The Fate of Empire. BBC Worldwide. 2002. გვ. 207

შესაძლოა იყოს მთავარი არგუმენტი, თუ რატომ თვლიან მალთუსს ირლანდიის დიდი შიმშილობის (1845-1852) დამნაშავედ. თუმცა აღნიშნული ფაქტი არ წარმოადგენს მყარ არგუმენტს, რადგან მალთუსი, როგორც ზემოთ აღნიშნულ იქნა, ღარიბების სისტემატიური დახმარების წინააღმდეგი იყო, ხოლო ამ ყოველივემ გამოცდილებიდან გამომდინარე, არანაირი დადებითი შედეგი არ გამოიღო (ოჯახის პოლიტიკა), თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი არასდროს არ მოუწოდებდა მასობრივი შიმშილის შეგნებულად წაქეზებისაკენ, არამედ ქადაგებდა ჭარბმოსახლეობის გამწვავების მიზეზების და შედეგების შესახებ, რომლის პროგნოზები სამწუხაროდ, გამართლა (მაგალითად სამოქალაქო ომი რუანდაში 1990-1994 წლებში და ა.შ.).<sup>273</sup>

აქედან გამომდინარე ირლანდიის დიდი შიმშილობის (1845-1852) რეალურ მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ეთნიკური დაპირისპირება, მთავრობის უუნარობა და სხვ. თუმცა არავითარ შემთხვევაში პირდაპირი კავშირი ამ მოვლენასთან მალთუსიანელობას არ აქვს. მიუხედავად ამისა, მალთუსიანელობას რიგ შემთხვევაში აკავშირებენ ეკოფაშიზმთან, ვინაიდან ნეომალთუსიანელები შობადობის და მიგრაციული პროცესების კონტროლს ემხრობიან. ამერიკელი ფემინისტი ფილოსოფოსი ბ. ჰარტმანი პირდაპირ აკავშირებს მალთუსიანელების და ნეომალთუსიანელების იდეებს (შობადობის რეგულირება; ეკოლოგიური უსაფრთხოება) თეთრ ნაციონალიზმთან<sup>274</sup> და ამასთანავე ოფთალმოლოგი ჯონ ტანტონი (ანტისაიმიგრაციო ორგანიზაციის FAIR-ის ფუძემდებელი) ნეოევგენიკის მომხრედ არის ნახსენები. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეკოფაშიზმი არის გარემოს დაცვის, ანტი-იმიგრაციის და ევგენიკის სინთეზი. განსაკუთრებით აქცენტი კეთდება მიგრანტებზე, რადგან მათი დამკვიდრება ახალ არეალში იწვევს ეკო-გარემოს დეგრადაციას. თუმცა აქ ჩნდება კითხვა, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანი ეკოფაშისტად, თუ იგი შობადობის რეგულირების მომხრეა და ამავდროულად არ არის ევგენიკის მომხრე, ამ შემთხვევაში საუბარია შობადობის რეგულირებაზე ყველასთვის, განურჩევლად რასობრივი და ეთნიკური წარმოშობისა.

---

<sup>273</sup> Diamond Jared. Collapse. Penguin Books. London, 2005. გვ. 311-328

<sup>274</sup> Hartmann Betsy. The America Syndrome. Apocalypse, War and our Call to Greatness. Seven Stories Press. New York, 2017. გვ. 192-193

ასეთი პოზიცია მიმართულია ჭარბმოსახლეობის აღკვეთის მიზნით, შესაბამისად ნეომალთუსიანელების ეკოფაშიზმში დადანაშაულება ვფიქრობთ, არ იქნება სწორი.

ეკოტოტალიტარიზმი ბევრად ძველი მოვლენაა, თუმცა რაც შეეხება უახლეს პერიოდს, ყურადღებას იპყრობს მედისონ გრანტის (1865-1937) მოღვაწეობა, რომელიც ულტრამემარჯვენე ეკოლოგიზმში მნიშვნელოვანი ფიგურაა,<sup>275</sup> რომელიც პროგრესივიზმის ერაში ეკოფაშიზმის მამა-დამაარსებლად ითვლება.<sup>276</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეკოფაშიზმის ყველაზე პოპულარულ დამახასიათებლად მიჩნეულია ეკოლოგიზმი და ევგენიკა, მედისონ გრანტის შემთხვევაში რასობრივი თეორიაც, რომელიც მან თავის გახმაურებულ წიგნში „დიადი რასის დასასრული“ (1916) ჩამოაყალიბა.<sup>277</sup>

ეკოფაშიზმის ჩამოყალიბების შესწავლისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მწვანე პოლიტიკისადმი დამოკიდებულებას ნაცისტურ გერმანიაში. საუბარია გერმანული ნაციონალ-სოციალიზმის „მწვანე ფრთაზე“,<sup>278</sup> რომელიც არ არის სათანადოდ შესწავლილი. ნაციონალ-სოციალისტურ რევოლუციამდე (1933 წელი) გერმანიაში არსებობდა მრავალი გარემოს დაცვითი ორგანიზაცია, თუმცა გერმანია არ იყო მხოლოდ ეკოლოგიის, როგორც მეცნიერების სამშობლო, არამედ ასევე ახალი იდეის, რომელიც ეკოლოგიზმის და ნაციონალიზმის სინთეზში გამოიხატება.<sup>279</sup> ჯერ კიდევ 1815 წელს გერმანული ნაციონალიზმის მამამთავარმა ერნსტ არნდტმა პატრიოტიზმი დააკავშირა ბუნების დაცვასთან,<sup>280</sup> მის ენვირონმენტალიზმს მჭიდროდ აკავშირებენ ქსენოფობიურ ნაციონალიზმთან.<sup>281</sup> ბუნებრივი გარემოს დაცვა გერმანული მიწის და გერმანული ერის კეთილდღეობისთვის, თუმცა საყურადღებოა მისი უარყოფითი დამოკიდებულება შერეული ქორწინებების მიმართ, რაც პირდაპირ კავშირშია რასობრივი სისუფთავის შენარჩუნებასთან.

---

<sup>275</sup> Moore Sam & Roberts Alex. The Rise of Ecofascism. Climate Change and The Far right. Polity Press, 2022. გვ. 21

<sup>276</sup> The Founding Father of Eco-Fascism. Jeffrey Tucker. March 17, 2019. <https://thedailyeconomy.org/article/the-founding-father-of-eco-fascism/> (ბოლო ნახვა: 10.12.2024)

<sup>277</sup> Grant Madison. The Passing of The Great Race. New York, Charles Scribner's Sons, 1916.

<sup>278</sup> Biehl Janet and Staudenmaier Peter. Ecofascism: lessons from the German experience. Edinburgh, AK Press, 1995. გვ. 5

<sup>279</sup> იქვე

<sup>280</sup> Dominick Raymond. The Environmental Movement in Germany. Prophets & Pioneers, 1871-1971. Indiana University Press, 1992. გვ. 22

<sup>281</sup> Biehl Janet and Staudenmaier Peter. Ecofascism: lessons from the German experience. Edinburgh, AK Press, 1995. გვ. 6

საყურადღებოა კულტურის ისტორიკოსის ვილჰელმ რილის ნაშრომები, კერძოდ, „გერმანელი ხალხის ბუნების ისტორია“,<sup>282</sup> სადაც ავტორის აზრით, იმისათვის რომ გერმანიაში შენარჩუნდეს კონსერვატიული პოლიტიკა, იგი გლახობას უნდა ეყრდნობოდეს<sup>283</sup>. „გლახი ეს არის გერმანიის ნაციის შენარჩუნების ძალა; ამიტომ მოდით შევეცადოთ შევინარჩუნოთ ეს ძალა“.<sup>284</sup> რასაკვირველია, რილი ამ შემთხვევაში ინდუსტრიალიზაციის და ურბანიზმის მოწინააღმდეგედ გვევლინება,<sup>285</sup> თუმცა მისი ანტისემიტიზმში დადანაშაულება<sup>286</sup> არ იქნება მართებული. ასეთი შეფასების დროს გერმანული ნაციონალიზმის და ანტისემიტიზმის გაიგივება ხდება, რაც განპირობებულია უკვე შემდგომ პერიოდში არსებული გერმანული პოლიტიკით, თუმცა ვილჰელმ რილის ორიენტირი არის გერმანიის ბუნების (გარემოს) შენარჩუნება.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ვილჰელმ რილის დამოკიდებულება ტყის მნიშვნელობის შესახებ: „ტყე უნდა იქნას დაცული არა მხოლოდ იმისთვის, რომ ზამთარში ღუმელმა შეინარჩუნოს სითბო, არამედ იმისთვის, რომ გერმანია დარჩეს გერმანული“.<sup>287</sup> „პრიმორდიალური ტყეების მისტიური სიბნელე“... ტყე აყალიბებს ერის სულს.<sup>288</sup> ეს არის ე.წ. მწვანე მისტიციზმი. ვილჰელმ რილის იდეების გარკვეულწილად გერმანელი გეოგრაფის ფრიდრიხ რატცელის Lebensraum - თან („სასიცოცხლო სფერო“; „სასიცოცხლო სივრცე“; „Lebensenergie“ - სასიცოცხლო ენერჯია)<sup>289</sup> დაკავშირება მნიშვნელოვანი მომენტია,<sup>290</sup> როდესაც საუბარია ბუნების მიერ ადამიანის და კულტურის ფორმირების შესახებ და ახალი სივრცის ათვისებაც ერთგვარ აუცილებლობად გვევლინება. ამ შემთხვევაში ახალი სივრცის ათვისების აუცილებლობას იწვევს მოსახლეობის ზრდა და აქედან გამომდინარე ახალი მიწების დაკავება სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. ამიტომ არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ

---

<sup>282</sup> Riehl Heinrich Wilhelm. The Natural History of the German People. The Edwin Mellen Press, Lewiston New York, 1990.

<sup>283</sup> იქვე. გვ. 178

<sup>284</sup> იქვე. გვ. 181

<sup>285</sup> Biehl Janet and Staudenmaier Peter. Ecofascism: lessons from the German experience. Edinburgh, AK Press, 1995. გვ. 6-7

<sup>286</sup> იქვე

<sup>287</sup> Dominick Raymond. The Environmental Movement in Germany. Prophets & Pioneers, 1871-1971. Indiana University Press, 1992. გვ. 23

<sup>288</sup> Ibid.

<sup>289</sup> Дугин А.Г. Основы Геополитики. М.: Арктогея-Центр, 2000.

<sup>290</sup> Dominick Raymond. The Environmental Movement in Germany. Prophets & Pioneers, 1871-1971. Indiana University Press, 1992. გვ. 23

ჰიტლერმა გამოიყენა კ. ჰაუსჰოფერის „სასიცოცხლო სივრცის“ (აღნიშნული ტერმინი გერმანელმა გეოგრაფმა კარლ რიტერმა შემოიღო)<sup>291</sup> იდეა თავისი აგრესიული პოლიტიკის დასაბუთებისთვის.<sup>292</sup> მიუხედავად ამისა, ისინი იყვნენ არა თანამოაზრეები, არამედ იდეოლოგიური მოწინააღმდეგეები.

მშობლიური მიწის, ტყეების, მთების, მდინარეების და ა.შ. დაცვა ნამდვილად არ წარმოადგენს უკიდურეს ნაციონალიზმს. ბუნებრივ გარემოზე ზრუნვა განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, ვინაიდან ზუსტად ადამიანის გულგრილობის შედეგია ეკოლოგიური პრობლემების გამწვავება.

ვაიმარის რესპუბლიკაში არსებული კრიზისის შედეგად დაწყებული ნაციონალ-სოციალისტური რევოლუციის შემდგომ მოხდა ნაციზმის მიერ მწვანე იდეის „ანექსია“, რომლის პირობებშიც ეკოფაშიზმის საბოლოო ფორმირება არ შედგა, ამიტომ, ვფიქრობთ, რეალურად ეკოფაშიზმის ჩამოყალიბება უფრო გვიან პერიოდთან შეგვიძლია დავაკავშიროთ. ნაციონალ-სოციალისტურ გერმანიაში გარემოს დაცვას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, თუმცა ნაციონალ-სოციალიზმი და ეკო-ტოტალიტარიზმი (ეკორადიკალური მიმდინარეობები) მაინც განსხვავებული იდეოლოგიებია.

ვაიმარის რესპუბლიკაში მომზადდა ნიადაგი, თუმცა ნაციონალ-სოციალისტური მმართველობის დროს ანთროპოცენტრიზმზე უარი ითქვა.<sup>293</sup> ეს ყოველივე იყო გამოწვეული მარტივი ლოგიკით, რომ თუ ადამიანი ბუნების ნაწილია, მის მიერ ბუნებრივი გარემოს განადგურება ავტომატურად გულისხმობს თვითგანადგურებას. აქედან გამომდინარე, ანთროპოცენტრიზმის მიუღებლობა. „სისხლი და მიწა“ (გერმანელი ფილოსოფოსის და კულტურის ისტორიკოსის იოჰან გოტფრიდ ჰერდერის სახელს უკავშირდება), რომლის აღდგენის შესახებ 1930 წელს გამოაცხადა რიხარდ ვალტერ დარემ (შემდგომ ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის სოფლის მეურნეობის მინისტრი) და რომელიც შემდგომ ოფიციალურ დოქტრინად იქცა.<sup>294</sup> აღნიშნული დოქტრინა რურალიზაციას (ურბანიზაციის საპირისპირო

---

<sup>291</sup> Хаусхофер К., Ратцель Ф. «Теория жизненного пространства». М.: Алгоритм, 2019.

<sup>292</sup> იქვე. გვ. 10

<sup>293</sup> Biehl Janet and Staudenmaier Peter. Ecofascism: lessons from the German experience. Edinburgh, AK Press, 1995. გვ. 14

<sup>294</sup> Biehl Janet and Staudenmaier Peter. Ecofascism: lessons from the German experience. Edinburgh, AK Press, 1995. გვ.

პროცესს, მოსახლეობის ქალაქიდან სოფლად გადანაცვლებას) აძლევდა უპირატესობას, რათა შენარჩუნებულიყო რასობრივი ჯანმრთელობა და ეკოლოგიური მდგრადობა.<sup>295</sup> დარე მოხსენიებულია როგორც „მწვანეების მამა“.<sup>296</sup> რასაკვირველია ასეთ პოზიციას ვერ დავეთანხმებით, სულ მცირე იქიდან გამომდინარე, რომ „მწვანეებს“ საკმაოდ ბევრი მიმდინარეობა აქვთ.

ნაცისტური გერმანიის გარდა აღსანიშნავია ეკოლოგიური პოლიტიკისადმი დამოკიდებულება ფაშისტურ იტალიაში. ფაშისტურ იტალიაში გერმანიასთან შედარებით ეკოლოგიზმის შესახებ ნაშრომები ძალზედ მწირია.<sup>297</sup> აქვე უნდა ითქვას, რომ ეკოფაშიზმის ფორმირება მჭიდრო კავშირშია რასობრივ თეორიასთან და მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ რასობრივ თეორიაზე ორიენტირი დამახასიათებელი იყო გერმანელი ნაცისტებისთვის, იტალიელი ფაშისტებისგან განსხვავებით. აქედან გამომდინარე, ეკოფაშიზმმა ნაცისტურ გერმანიაში გააგრძელა ევოლუცია, ხოლო იტალიის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ეკორადიკალიზმის ერთ-ერთი ფორმის ჩასახვას, რასაც უფრო მეტი საერთო აქვს ღრმა ეკოლოგიასთან, ვიდრე ეკოფაშიზმთან.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ ყველა იდეოლოგიას ჰყავს თავისი ფილოსოფოსები. რა თქმა უნდა ამ მხრივ, გამონაკლისი არც ეკოფაშიზმი არის, თუმცა ვინაიდან, ეს უკანასკნელი გვევლინება საკმაოდ რთულ ფენომენად, რასაკვირველია, კონკრეტული ფილოსოფოსის გავლენაზე რთულია საუბარი.

ეკოფაშიზმის ერთ-ერთი იდეოლოგად აღიარებულია სავიტრი დევი მუხერჯი (მაქსიმიანი ჯულია პორტას), რომელსაც ნეოფაშისტურ წრეებში უწოდებდნენ „არიული წარმართობის მისიონერს“,<sup>298</sup> იგი ნეონაცისტი და ღრმა ეკოლოგიის მიმდევარი იყო,<sup>299</sup> აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მისი მოღვაწეობის შედეგია ახალი იდეის წარმოქმნა, რაც თავის მხრივ ეკოფაშიზმის განვითარების ახალი ეტაპია. ეკოლოგიზმი ნაციონალ-სოციალიზმის პოლიტიკის ნაწილი იყო, თუმცა ამ შემთხვევაში საუბარია ნეონაციზმზე და ეკოლოგიზმზე, სადაც ამ

---

<sup>295</sup> იქვე. გვ. 18

<sup>296</sup> იქვე. გვ. 19

<sup>297</sup> Armiero Marco, Hardenberg Wilko Graf Von. (2013) Green Rhetoric in Blackshirts: Italian Fascism and the Environment. *Environment and History* 19 (2013): 283-311

<sup>298</sup> Goodrick-Clarke Nicholas. *Hitler's Priestess. Savitri Devi, the Hindu-Aryan Myth, and Neo-Nazism*. New York University Press, New York and London, 1998. გვ. 217

<sup>299</sup> იქვე. გვ. 4

უკანასკნელმა ბევრად დიდი მნიშვნელობა მიიღო. სავიტრი დევის არაერთი საინტერესო ნაშრომი აქვს, თუმცა ჩვენს შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „ადამიანის იმპიჩმენტს“,<sup>300</sup> სადაც ავტორი განიხილავს ადამიანის ბუნებასთან ჰარმონიული თანაარსებობის აუცილებლობას, თუმცა დასძენს, რომ ადამიანთა უმრავლესობა საკუთარ თავზეა ორიენტირებული და მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავს ბუნების საზიანოდ. მისი აზრით „ადამიან-ცენტრული“ ფილოსოფიები მართვენ მსოფლიოს, თუმცა გამონაკლისია ინდოეთის დიდი ნაწილი, ბირმა, ცეილონი და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები, სადაც ბუდიზმის გავლენაა. ავტორის აზრით, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ინდუიზმის, ბუდიზმის და ჯაინიზმის მიმდევარი სრულყოფილების ნიშანია და ყველა ცოცხალი ქმნილების მიმართ სიკეთით გამოირჩევა.<sup>301</sup> ამით ავტორს სურდა ეჩვენებინა სამყაროს სურათი, თუ რამდენად მცირე პროგრესია უნივერსალური სიყვარულის მიღწევის საკითხში, რაც წარმოადგენს ჰუმანიტ ზნეობას. „ჩვენი იდეალური სამყარო თავისუფალია ცხოველების ექსპლუატაციის ყველა ფორმისგან; ჩვენს სამყაროში ადამიანი გრძნობს მორალურ ვალდებულებას დაეხმაროს ყველა ცოცხალ არსებას...“<sup>302</sup> საყურადღებო მომენტია სავიტრი დევი მუხერჯის მიერ დემოგრაფიულ ფაქტორზე აქცენტირება.<sup>303</sup> ადამიანის ცხოვრების ხარისხის დონის ამაღლებისთვის და ომების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა დემოგრაფიული პროცესების რეგულირება. ავტორის აზრით, მოსახლეობის მუდმივი ზრდა (რაც ნიშნავს ეკონომიკის მუდმივ ზრდას და ბუნებრივი გარემოს ექსპლუატაციის მასშტაბების გაფართოებას) წარმოქმნის კონკურენციას ქვეყნებს შორის, რაც შემდგომ შეიარაღებული კონფლიქტებში გადაიზრდება.

სავიტრი დევის, როგორც ეკოფაშიზმის ერთ-ერთი იდეოლოგის მოღვაწეობა ნაციზმის და ღრმა ეკოლოგიის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ფინელ ღრმა ეკოლოგ პენტი ლინკოლას (მისი მთავარი ნაშრომია „გაიმარჯვებს

---

<sup>300</sup> Devi Savitri. Impeachment of Man. Wewelsburg Archives publication, 2018.

<sup>301</sup> იქვე. გვ. 6

<sup>302</sup> იქვე. გვ. 132

<sup>303</sup> იქვე. გვ. 128-129

თუ არა სიცოცხლე“?<sup>304</sup> ასევე მიიჩნევენ ეკოფაშისტად,<sup>305</sup> რაც ჩვენი აზრით არ წარმოადგენს მისი მოღვაწეობის სწორ შეფასებას.

ღრმა ეკოლოგიის მიმდევარი პენტი ლინკოლა თავის ნაშრომში ეხება როგორც კონსუმერიზმის საკითხს, ასევე დემოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობას. გარდა ამისა, ლინკოლამ გააკრიტიკა ენვაირონმენტალისტების ნაწილი, რომლებიც შეიძლება ითქვას, მიეკუთვნებიან ე.წ. ზედაპირულ ეკოლოგიას. შემთხვევით არ არის ნახსენები რიოს კონფერენცია (იგულისხმება 1992 წელს გაეროს ინიციატივით შემდგარი კონფერენცია).<sup>306</sup> აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ზედაპირული ეკოლოგია ცალკე პრობლემას წარმოადგენს, რადგან ეკოლოგიური პრობლემების გამწვავება ყველაფერთან ერთად მრავალი ენვაირონმენტალისტის გულგრილობის შედეგია. ჭარბმოსახლეობის პრობლემაზე საუბრისას ლინკოლა თვლის, რომ ადამიანი ვერ შეძლებს დემოგრაფიული პროცესების რეგულირებას, რომლის შედეგიც იქნება ეკოლოგიური კატასტროფა.<sup>307</sup> მისი აზრით მოსახლეობის ზრდა განაპირობებს კლიმატის ცვლილებას.<sup>308</sup> აღნიშნული ეკოლოგიური ეთიკა არ არის ეკოფაშიზმი. ეს არის ღრმა ეკოლოგია, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში (შობადობის კონტროლის მკაცრი ზომები, მაგალითად იძულებითი სტერილიზაცია) შესაძლოა გარდაიქმნას ეკორადიკალურ მიდგომებში, რომლის ერთ-ერთ გამოვლინებად რასაკვირველია შეიძლება გახდეს ეკოფაშიზმი. აუცილებელია გაიმიჯნოს ერთმანეთისგან ღრმა ეკოლოგია და ეკოფაშიზმი, რათა არ წარმოიქმნას გაუგებრობა. მიუხედავად ამისა, ლინკოლას კრიტიკა გრძელდება.<sup>309</sup> მიზეზი უცვლელია: ლინკოლა დეპოპულაციის მომხრეა. გარდა ამისა, თანამედროვეობაში მის სახელთან აკავშირებენ მოსახლეობის კონტროლს,<sup>310</sup> რაც ვფიქრობთ გაზვიადებულია. ლინკოლა, როგორც ღრმა ეკოლოგი ერთ-ერთია, ვინც ემხრობა დეპოპულაციის აუცილებლობას.

---

<sup>304</sup> Linkola Pentti. Can Life Prevail? Arktos, 2011.

<sup>305</sup> Protopapadakis D. Evangelos. Environmental Ethics and Linkola's Ecofascism: An Ethics Beyond Humanism. Front. Philos. China, 2014, Vol. 9. Issue (4): 586-601.

<sup>306</sup> Linkola Pentti. Can Life Prevail? Arktos, 2011. გვ. 30

<sup>307</sup> იქვე. გვ. 96

<sup>308</sup> იქვე. გვ. 79

<sup>309</sup> Knights Sam. The Climate Movement Must be Ready to Challenge Rising Right-Wing Environmentalism. <https://jacobin.com/2020/11/climate-change-right-wing-environmentalism-alt-right-eco-fascism> (ბოლო ნახვა: 15.01.2025)

<sup>310</sup> იქვე.

აღსანიშნავია ასევე ამერიკელი ფილოსოფოსის გარეტ ჰარდინის (1915-2003) და ამერიკელი მათემატიკოსის და ფილოსოფოსის ტედ კაჩინსკის (1942-2023) მოღვაწეობა, რომლებსაც ეკოფაშიზმთან აკავშირებენ. გარეტ ჰარდინს პირდაპირ მოიხსენიებენ როგორც „თეთრ ნაციონალისტ პოპულაციონისტს“.<sup>311</sup> თითქოსდა დეპოპულაციის მომხრეები ამართლებენ მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემას, რომელიც ფერად ხალხებს მარცვავს.<sup>312</sup> ვფიქრობთ, არ იქნება მართებული ეწოდოს რასისტი და კაპიტალისტი, როგორც ჰარდინს, ასევე ყველა იმ ადამიანს, ვინც ემხრობა დეპოპულაციას გარკვეული ვადით, როდესაც მიზეზი ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან არიდება არის. ამ შემთხვევაში საუბარი დემოგრაფიული პროცესების რეგულირებაზე, რომელიც ყველა ადამიანს ეხება, რასის და გეოგრაფიის განურჩევლად. გარეტ ჰარდინის ნაშრომი „საერთო რესურსების ტრაგედია“ 1968 წელს გამოქვეყნდა.<sup>313</sup> მასში ავტორმა განიხილა მოსახლეობის სტაბილიზაციის საკითხი, კერძოდ, მოსახლეობის ნულოვანი ზრდის აუცილებლობა.<sup>314</sup> გარდა ამისა, შეეხო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის დაბინძურება და რესურსების დეფიციტი. მისი თეთრ ნაციონალიზმში და მითუმეტეს ეკოფაშიზმში დადანიშნულება არ იქნება სწორი, ვინაიდან რესურსების დეფიციტი არანაირ კავშირში არ არის რასობრივ თეორიასთან. რაც შეეხება კაჩინსკის, მისი ანტიტექნოლოგიური რადიკალიზმი დაახლოებულია ეკოფაშიზმთან და განიხილება როგორც აქსელერაციონიზმი.<sup>315</sup> კაჩინსკის „უნაბომბერის მანიფესტი. ინდუსტრიული საზოგადოება და მისი მომავალი“ (1995) გავლენას ახდენს ეკოფაშიზმზე,<sup>316</sup> თუმცა საინტერესო ფაქტია, რომ ამავდროულად იგი აკრიტიკებდა მემარჯვენეობას, ხოლო კონსერვატორებს მოიხსენიებდა როგორც სულელებს, რომლებიც ცდილობენ ტრადიციული ღირებულებების შენარჩუნებას და ამავდროულად ენთუზიაზმით მხარს უჭერენ

---

<sup>311</sup> Tilley L, Ajl M. Eco-socialism will be anti-eugenic or it will be nothing: Towards equal exchange and the end of population. *Politics*. 2023;43(2):201-218. doi:10.1177/02633957221075323 გვ. 202

<sup>312</sup> იქვე

<sup>313</sup> Hardin Garret. *The Tragedy of the Commons*. American Association for the Advancement of Science. *Science*, New Series, Vol. 162, No. 3859 (Dec. 13, 1968), pp. 1243-1248

<sup>314</sup> იქვე.

<sup>315</sup> Understanding Eco-Fascism: Athematic Analysis of the Eco-Fascist Subculture on Telegram. Joshua Molloy. 2<sup>nd</sup> November 2022. Global Network on Extremism & Technology. <https://gnet-research.org/2022/11/02/understanding-eco-fascism-a-thematic-analysis-of-the-eco-fascist-subculture-on-telegram/> (ბოლო ნახვა: 20.01.2025)

<sup>316</sup> Graham Macklin (2022) *The Extreme Right, Climate Change and Terrorism*. *Terrorism and Political Violence*, 34:5. 979-996, DOI: 10.1080/09546553.2022.2069928

ტექნიკურ პროგრესს და ეკონომიკის ზრდას.<sup>317</sup> ფაქტია, რომ კაჩინსკის იდეებმა გავლენა იქონია ეკოფაშიზმებზე (მაგალითად ბრევიკზე და ბრენდორ რასელზე),<sup>318</sup> თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ კაჩინსკი ეკოფაშიზმის იდეოლოგია, როგორც არა ერთხელ აღინიშნა, კაჩინსკი ანარქო-პრიმიტივისტია, რაც ეკოფაშიზმთან დაახლოებულ იდეოლოგიას არ წარმოადგენს, ხოლო მათი გაიგივება მითუმეტეს არ იქნება სწორი.

სავიტრი დევი მუხერჯიმ, როგორც ნეონაციზმის იდეოლოგმა, უდიდესი როლი შეასრულა ეკოფაშიზმის იდეოლოგიის ფორმირებაში, ამიტომ განსაკუთრებით საყურადღებოა იტალიელი მოაზროვნის, ტრადიციონალისტი ფილოსოფოსის იულიუს ევოლას (1898-1974) მოღვაწეობა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ასევე ნეოფაშიზმის იდეოლოგიად ითვლება. გარდა ამისა, აღსანიშნავია გერმანელი ფილოსოფოსის მარტინ ჰაიდეგერის ეკოლოგიზმზე მისი გავლენის საკითხი, ვინაიდან, იგი თანამედროვე ტექნოლოგიებს აკრიტიკებდა, რომლებიც დედამიწის ექსპლუატაციით არიან დაკავებული.<sup>319</sup> ამერიკელი ფილოსოფოსი მაიკლ ზიმერმანი ამ ყოველივეს შედეგზეც საუბრობს<sup>320</sup> - მჭავური წვიმა, მდინარეების და ტბების დაბინძურება, გაუტყეურება, ბიომრავალფეროვნების განადგურება, ნიადაგის ეროზია და სხვა მრავალი ეკოლოგიური პრობლემა. მ. ზიმერმანი აღნიშნავს ღრმა ეკოლოგიზმის მიმდევრების პოზიციას, რომლის მიხედვითაც ეკოლოგიური კრიზისის ახსნა უნდა ვეძიოთ დასავლური კულტურის რადიკალურ ანთროპოცენტრიზმში. ავტორის აზრით, ასეთი ანთროპოცენტრიზმი წარმოიქმნა სულ მცირე, ორი წყაროდან: ქრისტიანობა და ბერძნული ფილოსოფია.

დღეს არსებული ეკოლოგიური პრობლემების მთავარი მიზეზი ადამიანია. თანამედროვე გლობალური კრიზისის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია კონსუმერიზმი, მატერიალიზმზე ფოკუსირება, ხოლო ეს ყოველივე დემოგრაფიული აფეთქების და ჭარბმოსახლეობის გარდა ეკოლოგიური პრობლემების გამწვავების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. თანამედროვე სამყაროში არსებულ წესრიგს

---

<sup>317</sup> The Unabomber Manifesto. Industrial Society and Its Future. <https://www.washingtonpost.com/wp-srv/national/longterm/unabomber/manifesto.text.htm> (ბოლო ნახვა: 20.01.2025)

<sup>318</sup> Graham Macklin (2022) The Extreme Right, Climate Change and Terrorism. *Terrorism and Political Violence*, 34:5. 979-996, DOI: 10.1080/09546553.2022.2069928 გვ. 985

<sup>319</sup> Zimmerman E. Michael. *Heidegger's Confrontation with Modernity: Technology, Politics, Art*. Indiana University Press, 1990. გვ. 241-244

<sup>320</sup> იქვე

ეწინააღმდეგება ტრადიციონალიზმი, რომლის ფუძემდებელია ფრანგი ფილოსოფოსი რენე გენონი (1886-1951), ხოლო ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია იტალიელი ფილოსოფოსი იულიუს ევოლა, რომელიც ნეოფაშისტურ წრეებში საკმაოდ პოპულარულია. აქედან გამომდინარე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის დადგენას, თუ რამდენად სერიოზული გავლენა შეუძლია მოახდინონ ევოლას იდეებმა ეკორადიკალური მიმდინარეობების ევოლუციაზე ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროების პირობებში.

იულიუს ევოლა აკრიტიკებდა თანამედროვე სამყაროს, რაც აახლოებს მას შემდგომ წარმოქმნილ ღრმა ეკოლოგიის ფილოსოფიასთან. „დასავლეთის თანამედროვე „ცივილიზაციას“ ესაჭიროვება კარდინალური გადატრიალება, რომლის გარეშეც ადრე თუ გვიან ის განადგურდება. ეს „ცივილიზაცია“... გადაიქცა რაოდენობის, მატერიის, ფულის, მანქანების სამეფოდ, სადაც აღარ არის ჰაერი, თავისუფლება, სინათლე“.<sup>321</sup> ევოლას „ომის მეტაფიზიკამ“<sup>322</sup> შესაძლოა, განსაკუთრებით დააინტერესოს ეკორადიკალიზმის მიმდევრები და ასევე დიდი ალბათობით მის ნაშრომში ნეომალთუსიანელობას დაინახვენ. ეს ყოველივე არ არის შემთხვევითი, რადგან ომი მოსახლეობის შემცირების არაჰუმანური საშუალება არის. ამასთანავე ზოგიერთისთვის ნაშრომი პირდაპირ აქსელერაციონისტული იქნება. „ომი აძლევს ადამიანს საშუალებას გამოადვიდოს მასში გმირი“.<sup>323</sup> ნაშრომში განხილულია ნორდიული ტრადიცია ვალჰალას შესახებ, ჯვაროსნული ლაშქრობების არსი, ხოლო შუა საუკუნეები კულტურის მხრივ მისი აზრით იყო სამი ელემენტის სინთეზი: რომაული, ნორდიული და ქრისტიანული.<sup>324</sup> ჯვაროსნული ლაშქრობები წარმოდგენილია როგორც ასკეზა, თუმცა დემოგრაფიული ფაქტორის გავლენა საკმაოდ ძლიერი იყო, მითუმეტეს ახლო აღმოსავლეთში ევროპიდან მოსახლეობის გადასახლების მხრივ. ეკორადიკალიზმში ასკეტიზმი, როგორც თავშეკავება, უბრალოება, ანტიკონსუმერიზმი ერთგვარ ფუნდამენტს წარმოადგენს, რაც ცხოვრების ყველა სფეროზე აისახება.

<sup>321</sup> Эвола Юлиус. Языческий Империализм. «Арктогея», Москва, 1994. გვ. 11

<sup>322</sup> Evola Julius. Metaphysics of War. Battle, Victory & Death in the World of Tradition. Arktos, 2011

<sup>323</sup> იქვე.

<sup>324</sup> იქვე. გვ. 35

რენე გენონის ნაშრომი „თანამედროვე სამყაროს კრიზისი“<sup>325</sup> 1927 წელს გამოქვეყნდა, სადაც მან გააკრიტიკა ანტიტრადიციული დასავლური ცივილიზაცია და სრულიად თანამედროვეობა. 1934 წელს გამოქვეყნდა ევოლას ნაშრომი „აჯანყება თანამედროვე სამყაროს წინააღმდეგ“<sup>326</sup> რომელიც მის მთავარ ნაშრომად ითვლება, შესაძლოა, ეკორადიკალების ყურადღება მიიპყროს. ფაქტია, რომ მწვანეები თანამედროვე სამყაროს სისტემის წინააღმდეგ იბრძვიან და ასეთ ვითარებაში ეკორადიკალები არიან თანამედროვე სამყაროს წინააღმდეგ ამბოხების მონაწილენი. აქვე უნდა ითქვას, რომ ეკორადიკალებიდან ინტერესი ევოლასადმი უფრო რეალურია ეკოფაშისტების და ეკოფაშიზმთან დაახლოებული იდეების მიმდევრების მხრიდან, თუმცა ევოლას ნაშრომი „ფიქრები მწვერვალების შესახებ“ (მთების სულიერება)<sup>327</sup> ვფიქრობთ, დიდი ალბათობით მეტად საყურადღებო იქნება მწვანეებისთვის.

მემარჯვენე რადიკალთა წრეებში იულიუს ევოლა, როგორც ინტელექტუალი, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა.<sup>328</sup> აქედან გამომდინარე ევოლას იდეების გავლენა სავსებით შესაძლებელია, მითუმეტეს ეკორადიკალების გაძლიერება მემარჯვენეებში უკვე საკმაოდ თვალსაჩინოა.

მემარჯვენეობაში ამავედროულად განსხვავებული პოზიციებია ეკოლოგიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით, რაც უპირველეს ყოვლისა, კლიმატის ცვლილებას, კერძოდ კი, გლობალურ დათბობის საკითხს ეხება. ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული დენიალიზმით, რომლის იდეასაც იზიარებენ აშშ-ს 45-ე და 47-ე პრეზიდენტი დონალდ ტრამპი და ბრაზილიის 38-ე პრეზიდენტი ჟაირ ბოლსონარუ,<sup>329</sup> საფრანგეთის ეროვნული ფრონტისგან განსხვავებით, სადაც ენვაირონმენტალიზმს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.<sup>330</sup> ასეთი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ერთიანი პოზიცია ეკოლოგიური უსაფრთხოების მიმართ არ არსებობს, რაც გაუგებრობას წარმოქმნის მთავრობებს შორის (მაგალითად, აშშ-ს 2020 წელს პარიზის შეთანხმებიდან გასვლა,

---

<sup>325</sup> Генон Рене. Кризис современного мира. Эксмо, Москва, 2008

<sup>326</sup> Evola Julius. Revolt Against the Modern World. Inner Traditions International, Rochester, 1969

<sup>327</sup> Эвола Юлиус. Размышления о вершинах. «Ex Nord Lux». Тамбов, 2016

<sup>328</sup> Ferraresi Franco. Threats to Democracy. The Radical Right in Italy After the War. Princeton University Press. Princeton, New Jersey. 1996. გვ. 43

<sup>329</sup> Moore Sam & Roberts Alex. The Rise of Ecofascism. Climate Change and The Far right. Polity Press, 2022. გვ. 53-55

<sup>330</sup> იქვე. გვ. 58

შემდგომ 2021 წელს კვლავ დაბრუნება და 2025 წელს ისევ გასვლა) და აქეზებს ეკოტერორიზმს (ეკოფაშიზმს), ვინაიდან, მათი გააქტიურება ეკოლოგიური პრობლემების გამწვავებასთან არის მჭიდრო კავშირში.

ეკოფაშიზმის დეფინიცია ცალკე რთულ მოვლენას წარმოადგენს. არსებობს ეკოფაშიზმის რამდენიმე განმარტება:<sup>331</sup>

- ეკოფაშიზმი, როგორც ულტრამემარჯვენე იდეების და ეკოლოგიზმის სინთეზი;
- ეკოფაშიზმი, როგორც ბუნებრივი გარემოს დაცვა - ეკოდიქტატურის ჩამოყალიბება;
- ეკოფაშიზმი, როგორც ტერორისტული აქტივიზმის ერთ-ერთი ფორმა (კონკრეტული პირების მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტები)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკოტოტალიტარიზმი შესაძლოა დამახასიათებელი იყოს ასევე სხვა მწვანე იდეოლოგიებისთვის და შესაბამისად, ეკოდიქტატურის ჩამოყალიბების უნარი არა მხოლოდ ეკოფაშიზმის პირობებშია შესაძლებელი. იგივე შეიძლება ითქვას ეკოლოგიურ ტერორისტულ აქტივიზმზე, რომელიც ასევე სხვა მწვანე მიმდინარეობების წარმომადგენლების მიერ შეიძლება იყოს ორგანიზებული. ამის მაგალითია ტედ კაჩინსკის მოღვაწეობა.

ეკოფაშიზმს, როგორც სხვა იდეოლოგიებს, გააჩნია მრავალი მიმდინარეობა. ეკოფაშიზტური მოძრაობები და დაჯგუფებები არსებობენ არა ერთ ქვეყანაში და რასაკვირველია, მათ მრავალი მსგავსება ახასიათებთ, თუმცა რიგ შემთხვევაში ვხვდებით განსხვავებებს. მათ გააჩნიათ თავისი ფილოსოფია და მიზნები. კონკრეტული ქვეყნის მდგომარეობაც შესაბამისად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ასეთი ორგანიზაციების ფორმირებისას. თუმცა ფუნდამენტი მაინც ერთია, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქვეყანას თავის სპეციფიკა გააჩნია. უნდა აღინიშნოს, რომ ეკოფაშიზტები ხშირ შემთხვევაში მოქმედებენ დამოუკიდებლად, რაც ართულებს მათ ქმედებათა პროგნოზირებას.

თანამედროვე ეკოფაშიზტური ორგანიზაციებიდან გამოირჩევა გრინლანდ ფრონტი (GLF), რომელიც საერთაშორისო ქსელს წარმოადგენს. ის აღმოსავლეთ

---

<sup>331</sup> Ecoradicalism as the Reaction of the Overpopulation and Challenge for Global Security. Leila (Ia) Khubashvili, Aleksandre Ubiria. BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 18, no. 4, 2024.

ევროპაში შეიქმნა და ამჟამად არა ერთ ქვეყანაში ჰყავს მიმდევრები, მათ შორის პოსტსაბჭოთა სივრცეში (ძირითადად რუსეთი, ბელარუსი, უკრაინა), ასევე იტალიაში, გერმანიაში, პოლონეთში, სერბეთში, ესპანეთში, შვეიცარიაში, ჩილეში და არგენტინაში.<sup>332</sup> ასევე საყურადღებოა „მწვანე ბრიგადა“, რომელიც ეკო-ექსტრემისტებისგან შედგება, ხოლო მიზანი ბუნების ექსპლუატატორებთან ბრძოლა არის.<sup>333</sup>

თავდაპირველად მწვანე ბრიგადა არ იყო ეკოფაშისტური და მხოლოდ ზოგადი ეკოტერორიზმით შემოიფარგლებოდა, თუმცა შემდგომ აქსელერაციონისტულ ჯგუფთან შერწყმით იწყება გააქტიურება სოციალურ ქსელებში, სადაც ბუნების და სვასტიკის სიმბოლოებთან ერთად მასობრივი მკვლელობების მოწოდებები იყო.<sup>334</sup> გრინლანდის ფრონტს თავისი სიმბოლოები აქვს - რუნა ალგიზი და შავი მზე, რაც გამოყოფს მათ როგორც ოფლაინ ლონისძიებებზე, ასევე სოციალურ ქსელში.<sup>335</sup> ეკოფაშისტები, მათ შორის გრინლანდის ფრონტი, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ცხოველთა დაცვაზე, რაც შესაძლოა სავიტრი დევი მუხერჯის „ადამიანის იმპიჩმენტიდან“ იღებს სათავეს.

ამ ეტაპზე ეკოფაშისტების გააქტიურების მთავარი მიზეზი იგნორირებულია. სამი ყველაზე ცნობილი ეკოფაშისტური ტერორისტული აქტი მიმართული იყო მიგრანტების და საიმიგრაციო პოლიტიკის წინააღმდეგ:

- 2011 წლის 22 ივლისის ტერაქტები ნორვეგიაში
- 2019 წლის 15 მარტის სროლა კრაისტჩერჩის მეჩეთებში (ახალი ზელანდია)
- 2019 წლის 3 აგვისტოს სროლა ელ-პასოში (აშშ)

ნორვეგიაში ანდერს ბრეივიკის მიერ განხორციელებული ტერაქტების შედეგად 77 ადამიანი დაიღუპა, კრაისტჩერჩის მასობრივ მკვლელობას (ტერორისტი ბრანტონ ტარანტი) შეეწირა 51 ადამიანი, ხოლო ელ-პასოში სროლას (ტერორისტი პატრიკ

---

<sup>332</sup> Eco-Fascism ‘Proper’: The curious Case of Greenline Front. June 25, 2025.

<https://www.radicalrightanalysis.com/2020/06/25/eco-fascism-proper-the-curious-case-of-greenline-front/> (ბოლო ნახვა: 26.01.2025)

<sup>333</sup> Graham Macklin (2022) The Extreme Right, Climate Change and Terrorism. *Terrorism and Political Violence*, 34:5. 979-996, DOI: 10.1080/09546553.2022.2069928 გვ. 990

<sup>334</sup> იქვე

<sup>335</sup> Eco-Fascism ‘Proper’: The curious Case of Greenline Front. June 25, 2025.

<https://www.radicalrightanalysis.com/2020/06/25/eco-fascism-proper-the-curious-case-of-greenline-front/> (ბოლო ნახვა: 26.01.2025)

კრუსიუსი) 23 ადამიანი. ანდერს ბრეივიკის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საიმიგრაციო პოლიტიკის მიმართ „პროტესტს“, ხოლო ტარანტისა და კრუსიუსის სამიზნეებად უშუალოდ მიგრანტები გვევლინებიან. ბრანტონ ტარანტის მიერ მოკლული ადამიანების უმრავლესობა იყო იმ ქვეყნებიდან (პაკისტანი; ინდოეთი; ბანგლადეში; სომალი და სხვ.), სადაც მიმდინარეობს დემოგრაფიული აფეთქება და რომლებსაც ახასიათებთ ჭარბმოსახლეობის პრობლემა. კრუსიუსის მიერ განხორციელებულ მასობრივ სროლას კი ძირითადად მექსიკის მოქალაქეები შეეწირნენ.<sup>336</sup> მექსიკაშიც მოსახლეობა საკმაოდ სწრაფად იზრდება, რაც ამწვავებს ისედაც არსებულ პრობლემებს, რის გამოც მექსიკის მოქალაქეები ემიგრაციაში, ძირითად შემთხვევაში აშშ-ში ცდილობენ დამკვიდრებას.

თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა მიგრაციული პროცესების უკონტროლობა არის. ეკოფაშისტების ტერორისტული აქტები, რომლებიც, როგორც უკვე აღინიშნა, ძირითად შემთხვევაში მიმართულია მიგრაციის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება, რომ ეკოფაშიზმი დემოგრაფიულ ფაქტორთან არის მჭიდრო კავშირში და როგორც ჭარბმოსახლეობის ალტერნატივას ეკოფაშისტები ძალადობას მიმართავენ.

საინტერესოა მალთუსის იდეების დაკავშირება ეკოფაშიზმთან. ინტერნეტში ატვირთულ ბრეივიკის 1500 გვერდიან მანიფესტში, სახელწოდებით „2083: დამოუკიდებლობის ევროპული დეკლარაცია“,<sup>337</sup> ბრეივიკმა სამი პრობლემა გამოყო, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მომავალს: ჭარბმოსახლეობა, დაბინძურება, ჭარბმოსახლეობა. ამ კუთხით შეგვიძლია ბრეივიკის იდეების დაკავშირება ნეომალთუსიანელობასთან, თუმცა ნეომალთუსიანელები ენვირონმენტალიზმზე არიან ორიენტირებულები, განსხვავებით ბრეივიკისგან, რომელიც უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებს. ტარანტი თავის მანიფესტში საკუთარ თავს ეკოფაშისტს უწოდებს, ხოლო კრუსიუსის მანიფესტში დაფიქსირებულია ბუნებრივი გარემოს განადგურება, როგორც ახალი თაობების უდიდესი ტვირთი.<sup>338</sup>

---

<sup>336</sup> Ecoradicalism as the Reaction of the Overpopulation and Challenge for Global Security. Leila (Ia) Khubashvili, Aleksandre Ubiria. BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 18, no. 4, 2024.

<sup>337</sup> 2083. A European Declaration of Independence. 2011. <https://www.rai.it/dl/docs/13115255886322083-A-European-Declaration-of-Independence.pdf> (ბოლო ნახვა: 20.02. 2025)

<sup>338</sup> Ware Jacob (2020) Testament to Murder: The Violent Far-Right's Increasing Use of Terrorist Manifestos. International Centre for Counter-Terrorism – The Hague.

მალთუსიანელობასთან დაკავშირება<sup>339</sup> ძირითადად ხდება ეკოფაშისტების მიერ ჭარბმოსახლეობის პრობლემაზე აქცენტირების გამო, თუმცა ის, რომ მალთუსიანელობის პრობლემაზე საუბრობდა, ვფიქრობთ, არაა საკმარისი იმისათვის, რომ მალთუსიანელობა და ეკოფაშიზმი დაკავშირდეს.

ამონარიდი გრინლანდის ფრონტის საერთაშორისო ვებგვერდიდან:<sup>340</sup> „გრინლანდის ფრონტი არის ეროვნულად მოაზროვნე ადამიანების მოძრაობა, რომლებიც უარყოფენ ისეთ თანამედროვე ანთროპოცენტრისტულ ღირებულებებს, როგორც არის კაპიტალიზმი და მონოთეისტური რელიგიები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეკოლოგიური კრიზისი და ცხოველების მასობრივი განადგურება ანთროპოცენტრისტული შეხედულებების პირდაპირი შედეგია.“ გრინლანდის ფრონტის და მწვანე ბრიგადის იდეების პროპაგანდა აქტიურად მიმდინარეობს, რაც მასობრივი მკვლელობების შესაძლებლობას წარმოქმნის. გარდა ამისა ეკოტერორისტების მიერ გამოქვეყნებული მანიფესტები ასევე მათი იდეების პროპაგანდის მცდელობაა, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ ისინი შეგნებულად ქვეყნდება ინგლისურ ენაზე,<sup>341</sup> რათა გლობალურ დონეზე მოხდეს გავლენის დამყარება.

2024 წელს ეკოფაშისტური ძალადობის აქტებიდან თვალსაჩინოა ფინეთში და თურქეთში მომხდარი მოვლენები. ფინეთში მოხერხდა ტერორისტული აქტის აღკვეთა, თუმცა პოტენციური თავდასხმელის ნივთებში აღმოაჩინეს ნიციმეს, კაჩინსკის და ლინკოლას ნაშრომები. თურქეთში 12 აგვისტოს თავდასხმელმა ხუთ ადამიანს მიაყენა ფიზიკური დაზიანებები, ხოლო თავდასხმელი გაწევრიანებული იყო ინტერნეტ ჯგუფებში, სადაც ადამიანების მასობრივი განადგურების მოწოდებები ჟღერდებოდა ეკოსისტემის გადარჩენის მიზნით.<sup>342</sup> აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ბოლო პერიოდში ეკორადიკალების თავდასხმები დაკავშირებულია ადამიანთა ჭარბმოსახლეობის წინააღმდეგ.

თანამედროვე ისტორიულ და პოლიტიკურ პროცესებში ძალადობის ახალი ფორმების წარმოქმნა დაკავშირებულია მიგრაციასთან და კონსუმერიზმთან.

---

<sup>339</sup> Eco-Fascism: a Tangible & present danger. <https://earthworks.org/blog/eco-fascism-a-tangible-present-danger/> (ბოლო ნახვა: 03.03.2025)

<sup>340</sup> Greenline front international. <http://greenlinefront.blogspot.com/> (ბოლო ნახვა: 25.02.2025)

<sup>341</sup> Ware Jacob (2020) Testament to Murder: The Violent Far-Right's Increasing Use of Terrorist Manifestos. International Centre for Counter-Terrorism – The Hague. გვ. 12

<sup>342</sup> Bradley Arthur (2024) “Dead Society”: Tracing the Online Dimension of a Militant Accelerationist Inspired Attack in Turkey. Global Network on Extremism & Technology.

ეკოტერორიზმი შესაძლოა გამოიწვიოს კონკრეტული ინდივიდის რასობრივმა კუთვნილებამ (ასევე ეთნიკურმა კუთვნილებამ) და კონსუმერიზმისადმი მიდრეკილებამ, კერძოდ ჭარბმოხმარებამ.

პირველი ორის შემთხვევაში (სხვა რასის და ეთნოსის წარმომადგენლის ლიკვიდაციის მიზნით) ამ ეტაპზე გააქტიურებულია მხოლოდ ეკოფაშიზმი (ეკოფაშიზმი ამავდროულად შეიძლება იყოს ნებისმიერი რასისთვის დამახასიათებელი, მაგალითად: თეთრი ეკოფაშიზმი, შავი ეკოფაშიზმი და ა.შ. ეკოფაშიზმი იარაღად ნებისმიერმა რასამ შეიძლება გამოიყენოს).

რაც შეეხება კონსუმერიზმის და ჭარბმოხმარების წინააღმდეგ ბრძოლას, კარგი მაგალითია ELF-ის (Earth Liberation Front) და ALF-ის (Animal Liberation Front) აქტივისტების მოქმედება. აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციები მხოლოდ „ეკოტაჟით“ (ეკოლოგიური საბოტაჟი) შემოიფარგლებიან და არ არის შემთხვევა, რომ ადამიანის მსხვერპლი ყოფილიყო, თუმცა ეკოლოგიური იდეების რადიკალიზაციის ფონზე რთული სათქმელია მსგავსი ორგანიზაციები რამდენად შეცვლიან ბრძოლის მეთოდებს.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ იულიუს ევოლას იდეების გავლენით, ტრადიციონალიზმი შეიძლება გახდეს ეკორადიკალური ძალადობის განსხვავებული ფორმის ფუნდამენტი, რომელიც არც მემარჯვენე და არც მემარცხენე იდეასთან არ იქნება შერწყმული, თუმცა ტრადიციონალიზმის გავლენა ისედაც საკმაოდ ძლიერია სხვადასხვა სფეროზე, მათ შორის გამოირჩევა კულტურა და იდეოლოგია. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ახალი ეკოლოგიური მიმდინარეობების მიერ დემოგრაფიულ ფაქტორზე ორიენტირი და ტრადიციონალიზმის გავლენა არის „ახალი მწვანეების“ ფორმირება, რომლებიც ე.წ. ძველი მწვანეებისგან კარდინალურად განსხვავდება და სანამ არ დადგინდება მათი მიზნები, აღნიშნული მიმდინარეობების შექმნა თანამედროვე სამყაროს ახალი და საკმაოდ სერიოზული გამოწვევა იქნება.

## 2.3. ტრანსფორმირებული ეკოსოციალიზმი, როგორც ეკოტერორიზმის ერთ-ერთი მთავარი ალტერნატივა

თანამედროვე ისტორიულ პროცესებში ეკოსოციალიზმი არის უახლესი იდეოლოგია, რომელიც ამავდროულად განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ეს ყოველივე გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ სოციალური უთანასწორობა, როგორც მოვლენა კვლავ აქტუალურია, ხოლო ეკოლოგიური პრობლემები სულ უფრო მწვავედება. გარდა ამისა, ყველაფერთან ერთად ეკოსოციალიზმი არის კაპიტალიზმის (ეკოკაპიტალიზმის) ერთადერთი ალტერნატივა.

კაპიტალიზმი მთელი თავისი არსით ბუნებრივი გარემოსთვის წარმოადგენს საფრთხეს, ვინაიდან კაპიტალიზმი არის მუდმივი ექსპლუატაცია, მათ შორის ბუნების. ამიტომ ეკოკაპიტალიზმი ერთგვარი ნონსენსია, რადგან შეუძლებელია ეკოლოგიური უსაფრთხოების შენარჩუნება და ამავდროულად ბუნებრივი გარემოს ექსპლუატაცია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სოციალიზმში უმთავრესი ადგილი ანტროპოცენტრიზმს უკავია, რაც ასევე ბუნებრივი გარემოს ექსპლუატაციას ნიშნავს, ხოლო ეკოსოციალიზმისთვის ასეთი დამოკიდებულება მიუღებელია.

ბრიტანელი მეცნიერის და პოლიტიკოსის დერეკ უოლის აზრით, ეკოსოციალიზმს ღრმა ფესვები აქვს და როგორც მაგალითი მოჰყავს ინგლისელი პოეტის უილიამ მორისის მოღვაწეობა, რომელმაც ეკოსოციალიზმის ინგლისური სკოლა ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ 1880-1890-იან წლებში.<sup>343</sup> უოლი ასევე აღნიშნავს პროფესორი ბარი კომონერის მიერ „ზრდის ლიმიტების“ თეზისის მიმართ შემუშავებულ მემარცხენე პასუხს, სადაც კომონერმა გლობალური ეკოსისტემების საფრთხედ დაასახელა არა ჭარბმოსახლეობა, არამედ კაპიტალისტური ტექნოლოგიები.

ეკოსოციალიზმზე საუბრისას აუცილებლად უნდა ითქვას გერმანელი ფილოსოფოსის და ეკონომისტის კარლ მარქსის ეკოლოგიზმისადმი დამოკიდებულების შესახებ. მარქსის შეფასება ამ კუთხით არაერთგვაროვანია. მარქსის იდეები გააკრიტიკა ამერიკელმა ფილოსოფოსმა ენვირონმენტალისტმა და

---

<sup>343</sup> Wall Derek. *Babylon and Beyond. The Economics of Anti-Capitalist, Anti-Globalist and Radical Green Movements.* Pluto Press, London, 2005. გვ. 154

ანარქისტმა ჯონ კლარკმა.<sup>344</sup> მისი აზრით მარქსის პროგრამამ არ გაამართლა და კაპიტალიზმთან ერთად სოციალიზმიც ბუნებრივი გარემოს ექსპლუატატორია.<sup>345</sup> მარქსს აკრიტიკებს ასევე ეკოსოციალისტი ტედ ბენტონი, რომელიც თვლის, რომ მარქსი არ აღიარებს ბუნებრივ ლიმიტებს, რაშიც ბენტონს იაპონელი ფილოსოფოსი კოჰეი საიტო არ ეთანხმება.<sup>346</sup> კოჰეი საიტოს გარდა მარქსის, როგორც ბუნებრივი გარემოს აპოლოგეტის გამართლებას თავის ნაშრომში<sup>347</sup> ცდილობს ეკოსოციალიზმის ერთ-ერთ დამფუძნებელი<sup>348</sup> ჯოელ კოველი. მარქსზე საუბრისას კოველი აღნიშნავს აზრთა სხვადასხვაობას, რომელიც მარქსის ეკოლოგიურ კეთილსინდისიერებას ეხება - <sup>349</sup> ერთის მხრივ არსებობს ტრადიცია, რომლის მიხედვითაც მარქსის ბუნებისადმი მტრობაზე მიუთითებს, რაც ბრალმდებელთა აზრით, მარქსის ტექნოლოგიურ დეტერმინიზმში, პროდუქტივიზმში და პროგრესის იდეოლოგიაში ვლინდება, გარდა ამისა, მარქსს ადანაშაულებენ სოფლის ცხოვრების და პრიმიტივიზმის მტრობაში.<sup>350</sup> კოჰეი საიტოს აზრით, აუცილებელია მარქსის ეკონომიკური მანუსკრიპტების ყურადღებით შესწავლა, რომელიც ხელმწისაწვდომია „MEGA 2“-ში.<sup>351</sup> შესაძლოა ეს ყოველივე გამოწვეული იყოს იმით, რომ მარქსმა ვერ დაასრულა კაპიტალის მესამე ტომი და რთულია მისი დამოკიდებულების დადგენა ბუნებრივი საზღვრების რეკონსტრუქციასთან და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით. მარქსის სოციალიზმი ხასიათდებოდა როგორც პრომეთეული (პრო-ტექნოლოგიური, ანტი-ეკოლოგიური), რაც ყველაფერთან ერთად აიხსნება სსრკ-ში ეკოლოგიური პრობლემებით, რის გამოც გაჩნდა ეჭვი, რომ სოციალისტებს არ აქვთ უნარი შექმნან მდგრადი საზოგადოება, შედეგად წითლებს და მწვანეებს შორის XX საუკუნის მეორე

---

<sup>344</sup> Clark John. The Anarchist Moment. Reflections on Culture, Nature and Power. Black Rose Books LTD, Montreal, 1984.

<sup>345</sup> იქვე. გვ. 106

<sup>346</sup> Saito Kohei. Karl Marx's Ecosocialism. Capitalism, Nature, and the Unfinished Critique of Political Economy. Monthly Review Press. New York, 2017. გვ. 141

<sup>347</sup> Kovel Joel. The enemy of nature. The end of capitalism or the end of the world? Zed Books, London. 2007.

<sup>348</sup> New York Times. Sam Roberts. May 4, 2018. <https://www.nytimes.com/2018/05/04/obituaries/dr-joel-kovel-a-founder-of-ecosocialism-is-dead-at-81.html> (ბოლო ნახვა: 28.02.2025)

<sup>349</sup> Kovel Joel. The enemy of nature. The end of capitalism or the end of the world? Zed Books, London. 2007. გვ. 231

<sup>350</sup> იქვე.

<sup>351</sup> Saito Kohei. Karl Marx's Ecosocialism. Capitalism, Nature, and the Unfinished Critique of Political Economy. Monthly Review Press. New York, 2017. გვ. 142

ნახევარში წარმოიქმნა ანტაგონიზმი.<sup>352</sup> კოველს მოჰყავს ამერიკელი სოციოლოგის ჯონ ბელამი ფოსტერის და ამერიკელი ეკონომისტის პოლ ბარკეტის პოზიცია, რომ მარქსი შორს არის პრომეთესგან და პირიქით ეკოლოგიური მსოფლმხედველობის მთავარი შემქმნელია.<sup>353</sup> მათი აზრით ბუნების მთავარი მტერი კაპიტალიზმია, რომლის ალტერნატივას წარმოადგენს სოციალიზმი. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალიზმი საფრთხეს უქმნის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას, სოციალიზმის ანთროპოცენტრიზმი ასევე წარმოადგენს საფრთხეს. კლასიკური სოციალური აზრი, რომელიც დამახასიათებელი იყო XIX საუკუნისთვის, რაც ანთროპოცენტრისტულ დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა, ასეთ ვითარებაში ვფიქრობთ, ვერ შეძლებდა ბუნებრივი ლიმიტების (მათ შორის ზრდის ლიმიტების) აღიარებას.<sup>354</sup>

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საიტოს ნაშრომი „მარქსი ანთროპოცენში“, ვინაიდან, ანთროპოცენი თავის მხრივ ძალზედ მნიშვნელოვანია, როგორც არაფორმალური სამეცნიერო ტერმინი, რომელიც გეოლოგიურ ეპოქაში ადამიანის ბუნებრივ გარემოზე გავლენის ზრდას აღნიშნავს. ასეთი გავლენა იწვევს კარდინალურ ცვლილებებს, რომლებსაც კატასტროფულ შედეგებამდე მიჰყავთ კაცობრიობა. ანთროპოცენი იწყება ინდუსტრიული რევოლუციის შემდგომ, 1800-იანი წლებიდან.<sup>355</sup> სტატიაში აღნიშნულია მსოფლიოს მოსახლეობის ზრდა ერთი მილიარდიდან ექვს მილიარდამდე 1800-2000 წლებში და ამასთანავე ენერჯის მოხმარების ზრდა,<sup>356</sup> რაც მეტი რესურსის წარმოების აუცილებლობას და სათბურის აირების ზრდას იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ ანთროპოცენის დაწყების კონკრეტული თარიღის დასახელება რთულია, ავტორები 1800 წელს ასახელებენ. ფაქტიურად აღნიშნული პროცესი მჭიდრო კავშირშია მოსახლეობის ზრდასთან, ახალი სივრცის ათვისებასთან, რაც რასაკვირველია, ბუნებრივ გარემოზე ზეწოლა არის. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ანთროპოცენი მომდევნო პერიოდებში, კერძოდ, XX-XXI საუკუნეებში ახალ ეტაპზე გადადის, რაც მოსახლეობის რაოდენობის გაორმაგების აჩქარებასთან შეგვიძლია დავაკავშიროთ. აქვე უნდა ითქვას, რომ ახალი

---

<sup>352</sup> Saito Kohei. Marx in the Anthropocene. Towards the Idea of Degrowth Communism. Cambridge University Press, 2022. გვ. 13

<sup>353</sup> Kovel Joel. The enemy of nature. The end of capitalism or the end of the world? Zed Books, London. 2007. გვ. 232

<sup>354</sup> Foster John Bellamy. Marx's Ecology. Monthly Review Press. New York, 2000. გვ. 17

<sup>355</sup> Philosophical Transactions of The Royal Society. A (2011) **369**, 842-867. doi:10.1098/rsta.2010.0327

<sup>356</sup> იქვე.

სივრცის ათვისება წინა პერიოდებთან შედარებით შეუძლებელია, რაც ტყის ფართობის ხარჯზე ხდება და ეკოლოგიურ პრობლემებს კიდევ უფრო ამწვავებს.

მარქსი ანთროპოცენში ნამდვილად რთული მოვლენაა, მიუხედავად იმისა, რომ ძალზედ მნიშვნელოვანი ნაშრომებია მიძღვნილი აღნიშნულ საკითხისადმი, როგორც არის „მარქსის ეკოლოგია“,<sup>357</sup> „მარქსიზმი და ეკოლოგიური ეკონომიკა“,<sup>358</sup> „მარქსი და ბუნება“<sup>359</sup> და სხვ. აღნიშნულ საკითხზე კამათი, როგორც ჩანს, კიდევ დიდ ხანს გაგრძელდება და მისი დასრულება ეკოსოციალისტების ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა გახდება. ერთის მხრივ, მარქსი წარმოების მუდმივი ზრდის მომხრეა, მეორე მხრივ, მარქსი ნატალისტია და მთავარი არგუმენტი მისი, როგორც ეკოსოციალისტის, არის კაპიტალიზმის, როგორც ბუნებრივი გარემოს ექსპლუატატორის წინააღმდეგ ბრძოლა, ანუ მარქსიზმი ნაკლებად ანთროპოცენტრისტულია, ვიდრე კაპიტალიზმი. მაგრამ თუ კაპიტალიზმთან შედარებით უფრო არის ბუნებრივ გარემოზე ფოკუსირებული, მაშინ შესაძლოა ორივე. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხის დროს სოციალიზმის ნაწილობრივი ეკოლოგიზმი არ არის საკმარისი. შესაძლოა, მარქსს სურდა მდგრადი ეკოლოგიური საზოგადოების შექმნა, თუმცა ამავდროულად სოციალიზმმა ანთროპოცენტრისტული გეზი აიღო.

თანამედროვე ისტორიულ პროცესებში ეკოსოციალიზმის ფორმირებაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს გერმანელი ფილოსოფოსის რუდოლფ ბაროს, ავსტრალიელი ფილოსოფოსის ალან რობერტსის და დევიდ პეპერის ნაშრომები. მეტად საყურადღებოა ჯოელ კოველის და მიხაელ ლევის „ეკოსოციალისტური მანიფესტი“ (2001 წელი),<sup>360</sup> სადაც კარგად ჩანს, რომ:

- სამართლიანი და მდგრადი სამყარო კაპიტალიზმის პირობებში შეუძლებელია;
- ეკოლოგიური კრიზისი და სოციალური კრიზისი ურთიერთდამოკიდებული პროცესია. პირველი სწრაფ

<sup>357</sup> Foster John Bellamy. *Marx's Ecology*. Monthly Review Press. New York, 2000

<sup>358</sup> Burkett Paul. *Marxism and Ecological Economis*. Brill, Boston. 2006.

<sup>359</sup> Burkett Paul. *Marx and Nature*. St. Martin's Press. New York, 1999.

<sup>360</sup> *EcoSocialist Manifesto*. Joel Kovel and Michael Lowy. Paris, Sept 2001.

<https://web.archive.org/web/20070111014358/http://www.greenleft.org.uk/manifesto.shtml> (ბოლო ნახვა: 01.03.2025)

ინდუსტრიალიზაციასთან არის მჭიდრო კავშირში, ხოლო მეორე წარმოიშობა იმპერიალიზმიდან (გლობალიზაციიდან) და საზოგადოების დეზინტეგრაციას იწვევს.

- კაპიტალისტური სისტემა ვერ დაარეგულირებს იმ პრობლემებს, რომლებიც თვითონ გამოიწვია. ეკოლოგიური უსაფრთხოება მუდმივი ზრდის პირობებში შეუძლებელია.
- ეკოსოციალიზმი არ არის სოციალიზმის უარყოფა, არამედ მისი რეალიზაციაა XX საუკუნის ეკოლოგიური კრიზისის კონტექსტში.
- ეკოსოციალიზმი ინარჩუნებს სოციალიზმის განმათავისუფლებლურ მიზნებს და უარყოფს სოციალ-დემოკრატების რეფორმისტულ მიზნებს. სოციალისტური წარმოება ეკოლოგიურ ჩარჩოებში უნდა ხორციელდებოდეს. წარმოება მდგრად განვითარებას არ უნდა უშლიდეს ხელს - ფოკუსირება ხარისხზე და არა რაოდენობაზე.

საყურადღებოა ეკოსოციალიზმის სხვა მწვანე მიმდინარეობებთან, კერძოდ, ღრმა ეკოლოგიასთან, ეკოფემინიზმთან და სოციალურ ეკოლოგიასთან დაპირისპირება. კოველი აკრიტიკებს ღრმა ეკოლოგიას ამ უკანასკნელის პრიმიტივიზმისთვის და დასძენს, რომ ღრმა ეკოლოგიის პირობებში ადამიანი უნდა ცხოვრობდეს როგორც უნაბომბერი, რომელსაც სურდა ინდუსტრიული ცივილიზაციის განადგურება.<sup>361</sup> როგორც ზემოთ აღინიშნა, ტედ კაჩინსკი (უნაბომბერი) ანარქო-პრიმიტივიზმის მომხრე იყო, მეტად დაახლოებული იყო მწვანე ანარქიზმთან ვიდრე ღრმა ეკოლოგიასთან, ხოლო ღრმა ეკოლოგიის და მწვანე ანარქიზმის გაიგივება არ იქნება მართებული. კოველი თვლის, რომ ღრმა ეკოლოგიის გამოყენება საკუთარი ინტერესებისთვის კაპიტალისტებს შეუძლიათ, იქამდე, სანამ ღრმა ეკოლოგია არ გააკრიტიკებს კაპიტალიზმს - ის რაც არ ეწინააღმდეგება სისტემას, ხდება მისი ინსტრუმენტი.<sup>362</sup> სოციალური ეკოლოგიის მიერ იერარქიის, როგორც ეკოლოგიური კრიზისის გამომწვევის განხილვას ეკოსოციალისტები არ ეთანხმებიან,

---

<sup>361</sup> Kovel Joel. The enemy of nature. The end of capitalism or the end of the world? Zed Books, London. 2007. გვ. 188

<sup>362</sup> იქვე. გვ. 190

სოციალური ეკოლოგია აგრძელებს ანარქისტულ პროექტს და ეკოლოგიური კრიზისის სოციალისტურ და მარქსისტულ დამოკიდებულებაზე უარს ამბობს.<sup>363</sup>

რაც შეეხება ეკოფემინიზმს, იგი წარმოადგენს ძლევამოსილ ეკოფილოსოფიას, რომელიც აერთიანებს ქალების განთავისუფლებისთვის ბრძოლას და ასევე ბრძოლას ეკოლოგიური სამართლიანობისთვის, თუმცა რჩება ჩამოუყალიბებელი, როგორც სოციალური მოძრაობა.<sup>364</sup> ეკოფემინიზმი უნდა იყოს ანტიკაპიტალისტური, ვინაიდან, კაპიტალიზმის პირობებში ქალები და ბუნება დეგრადაციას განიცდიან. შესაბამისად ეკოსოციალიზმის პოზიციიდან გამომდინარე მწვანე იდეოლოგიებში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს ანტიკაპიტალიზმმა.

თანამედროვე ეტაპზე ეკოსოციალიზმი გვევლინება როგორც მზარდი, საერთაშორისო დონეზე აღიარებული ანტი-გლობალისტური იდეოლოგია - ანტი-გლობალიზაციას ეკოსოციალისტური აჩრდილი აქვს.<sup>365</sup> 2007 წლის შემოდგომაზე პარიზში შედგა ისტორიული შეხვედრა, რომელმაც ეკოსოციალისტური ინტერნაციონალის ჩამოყალიბების ჩანასახი წარმოქმნა.<sup>366</sup> როგორც ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებზე ორიენტირებული, ანტი-გლობალისტური იდეოლოგია დღითი-დღე სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს და ძლიერდება, რაც უპირველეს ყოვლისა, „მწვანე-წითლების“ ერთობის გაძლიერებაში გამოიხატება.

ეკოსოციალიზმი ეწინააღმდეგება ნეომალთუსიანელობას. ღრმა ეკოლოგიის კრიტიკის შემდეგ ეს არ უნდა იყოს გასაკვირი. ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი არის ის, რომ მალთუსი კაპიტალიზმის მომხრეა და აქედან გამომდინარე, მალთუსიანელობა და ნეომალთუსიანელობა მწვანეებისთვის არ უნდა იყოს მისაღები.<sup>367</sup> ნეომალთუსიანელობას ეწინააღმდეგება ასევე კოველი, თუმცა ამავდროულად თავის ნაშრომში<sup>368</sup> მოყვანილი ჰყავს მოსახლეობის ზრდის სტატისტიკა, ხოლო იქვე აღნიშნულია რესურსების მოხმარების გაზრდა და

---

<sup>363</sup> Kovel Joel. The enemy of nature. The end of capitalism or the end of the world? Zed Books, London. 2007. გვ. 197

<sup>364</sup> იქვე. გვ. 194

<sup>365</sup> Wall Derek. Babylon and Beyond. The Economics of Anti-Capitalist, Anti-Globalist and Radical Green Movements. Pluto Press, London, 2005. გვ. 154

<sup>366</sup> Schwartzman, David (2009) "Ecosocialism or Ecocatastrophe?", Capitalism Nature Scosialism, 20:1,6 – 33. გვ. 28. DOI: 10.1080/10455750902727154

<sup>367</sup> Pepper David. Eco-Socialism. From deep ecology to social justice. Routledge, London, 1993. გვ. 40

<sup>368</sup> Kovel Joel. The enemy of nature. The end of capitalism or the end of the world? Zed Books, London. 2007.

სატრანსპორტო საშუალებების მკვეთრი ზრდა. რასაკვირველია, ეს მხოლოდ მოსახლეობის ზრდის შედეგი არ არის, თუმცა მთავარი მამოძრავებელი ძალა დემოგრაფიული ფაქტორია და თავად ავტორის მიერ აღნიშნული სტატისტიკის განხილვა არ არის შემთხვევითი. კოველი თავადვე აღიარებდა, რომ სათანადო ყურადღება არ მიაქცია მოსახლეობის საკითხს და ამის გამო კრიტიკის მოლოდინშიც იყო.<sup>369</sup> ამ მხრივ, აბსოლუტურად სწორი მოლოდინი გააჩნდა მას, რადგან ჭარბმოსახლეობა მისი აზრით მეორეხასიხოვანი პრობლემაა, მიუხედავად იმისა, რომ ავტორის აზრით მოსახლეობის პრობლემა ყველაზე სერიოზულია. ეკოსოციალისტების ასეთი დამოკიდებულება მიუთითებს იმაზე, რომ ეკოსოციალისტთა ნაწილი, უფრო სოციალისტია, ვიდრე ენვირონმენტალისტი. „მოსახლეობის პრობლემა ყველაზე საყურადღებოა, თუმცა ჭარბმოსახლეობა მეორეხარისხოვანი“. კოველი, ისევე როგორც ზოგადად ანტიმალთუსიანელები ჩვენი აზრით, ერთ საკმაოდ სერიოზულ შეცდომას უშვებენ ნეო-მალთუსიანელობის კრიტიკისას, კერძოდ, თითქოს და ნეომალთუსიანელობა კლასობრივი ჩაგვრის მომხრეა და ღარიბების შობადობას ზღუდავს,<sup>370</sup> თუმცა სინამდვილეში ნეომალთუსიანელობა მალთუსიანელობისგან განსხვავებით სოციალურ საკითხებზე არ არის ფოკუსირებული, არამედ უფრო ეკოლოგიურ პრობლემებზე აკეთებს აქცენტს.

ეკოსოციალიზმი დემოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინების გარეშე ისეთივე ანთროპოცენტრისტული იქნება როგორც სოციალიზმი და სხვა იდეოლოგიები. კოველის აზრით, ადამიანებმა თვითონ უნდა არეგულირონ მოსახლეობა, რაც შემდეგი საუკუნისთვის „ერთი შვილის შემთხვევაში“ მსოფლიოს მოსახლეობას ერთ მილიარდამდე შეამცირებდა.<sup>371</sup>

კოველის, როგორც გამოჩენილი ეკოსოციალისტის პოზიცია მნიშვნელოვანია, ადამიანის მიერ თვითრეგულირების საკითხიც ძალიან კარგი იქნებოდა, თუმცა ჩვენი აზრით, რთულია მისი რეალიზება, უფრო სწორად არარეალური. მითუმეტეს „ერთი შვილის პოლიტიკა“ მსოფლიო მასშტაბით დემოგრაფიულ კრიზისს უფრო გაამწვავებს იმ ქვეყნებში, სადაც ისედაც მიმდინარეობს დეპოპულაცია. ეკოსოციალიზმის

---

<sup>369</sup> Kovel Joel. The enemy of nature. The end of capitalism or the end of the world? Zed Books, London. 2007.

გვ. 9

<sup>370</sup> იქვე.

<sup>371</sup> იქვე

ფოკუსირება კონსუმერიზმის პრობლემაზე ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან კონსუმერიზმი თანამედროვე ეკოლოგიური პრობლემების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, თუმცა ნულოვანი ეკონომიკური ზრდა მოსახლეობის სტაბილიზაციის გარეშე შეუძლებელი პროცესია. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია მტკიცე პოზიცია დემოგრაფიულ ფაქტორთან და დემოგრაფიულ პროცესებთან დაკავშირებით, რაც გამოიხატება მოსახლეობის სტაბილიზაციაში, რიგ შემთხვევაში როგორც შობადობის წაქეზებაში, ასევე კონტროლში; იმისდა მიხედვით, კონკრეტული ქვეყნის ან რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, თუ როგორი მდგომარეობა არის დამახასიათებელი, ეს ჩვენი აზრით, შესაძლოა ასე

1) დეპოპულაციის შემთხვევაში, რათა დემოგრაფიული პროცესები დასტაბილურდეს, საჭიროა შობადობის წაქეზება (მაგალითად, ორი შვილის პოლიტიკის პროპაგანდა);

2) მოსახლეობის სწრაფი ზრდის და ჭარბმოსახლეობის დროს, როდესაც ეკოლოგიური პრობლემები მწვავედება, აუცილებელია მოსახლეობის შემცირება და შემდგომ სტაბილიზაცია.

მწვანე იდეოლოგიების მიერ დემოგრაფიული ფაქტორისადმი გულგრილი დამოკიდებულების შედეგი იქნება ახალი მწვანე იდეოლოგიის ჩამოყალიბება, რომლისთვისაც პრიორიტეტი გახდება დემოგრაფიული პროცესების რეგულირება. რთულია იმის წარმოდგენა თუ რამდენად რადიკალური იქნება ახალი იდეოლოგია, თუ გავითვალისწინებთ გლობალური პრობლემების გამწვავებას, რომლებიც ანთროპოცენტრიზმთან არიან მჭიდრო კავშირში.

ეკოსოციალიზმი, როგორც ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების გადაჭრაზე და რაც მთავარია არაძალადობრივ მეთოდებზე ფოკუსირებული იდეოლოგია, დემოგრაფიული ფაქტორის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად დამატების შედეგად ვფიქრობთ, ეკოლოგიური პრობლემების და უთანასწორობის დასრულებაში უმთავრეს ადგილს დაიკავებს.

ამგვარად, ეკოსოციალიზმის მიერ მალთუსიანელობის კრიტიკა არ უნდა გადაიქცეს ჭარბმოსახლეობის ან თუნდაც დემოგრაფიული პროცესების იგნორირების საფუძველი. დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელიც მთელ საზოგადოებაზე გავრცელდება, კლასობრივ ჩაგვრას არ გამოიწვევს. აქედან გამომდინარე,

ტრანსფორმირებული ეკოსოციალიზმი შეაჩერებს ეკორადიკალიზმს და მდგრადი განვითარების საფუძველს წარმოქმნის.

# თავი მესამე. ეკოლოგიური უსაფრთხოება - გლობალური უსაფრთხოების ფუნდამენტი. მწვანე დიპლომატია და დემოგრაფიული პროცესების რეგულირება

## 3.1. დემოგრაფიული პოლიტიკის მაგალითები ქვეყნებში და მისი ისტორიული მნიშვნელობა

დემოგრაფიული პოლიტიკა თანამედროვე ისტორიულ პროცესებში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, რაც განპირობებულია გლობალური კრიზისით, რომელიც დემოგრაფიული ციკლების ქაოტურობით არის გამოწვეული. აქედან გამომდინარე, აუცილებელია გავიაზროთ დემოგრაფიული პოლიტიკის მაგალითები ისტორიაში, ამ გამოცდილების გათვალისწინებით შესაძლებელი გახდება ალტერნატიული გზების ძიება დღეს, როდესაც გლობალური უსაფრთხოება უმძიმეს კრიზისს განიცდის, ხოლო ეს უკანასკნელი ჭარბმოსახლეობის პრობლემასთან არის მჭიდრო კავშირში.

დემოგრაფიულ პოლიტიკაზე, ოჯახის დაგეგმვაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს „შობადობის კონტროლის ამერიკული ლიგის“ (1921 წელს დაარსდა) დამაარსებლის მარგარეტ სენგერის (1879-1966) მოღვაწეობა. „შობადობის კონტროლის ამერიკული ლიგა“ აარსებდა შობადობის კონტროლის კლინიკებს, რომლის მოღვაწეობაც საყურადღებოა იაპონიაში, რაზეც მეტყველებს მოსახლეობის სტაბილიზაციისადმი ინტერესი. სენგერის აქტივიზმი მსოფლიო დონეზე იყო კულტურული დიპლომატია, ტრანსნაციონალური ინიციატივა.<sup>372</sup>

დემოგრაფიული პოლიტიკის ისტორიაში არა ერთი მაგალითია, თუმცა ყველაზე თვალსაჩინო და პროგრესული მაინც ჩინეთის „ერთი შვილის პოლიტიკა“.

1949 წლის 1 ოქტომბერს შეიქმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (1949 წლის 2 ოქტომბერს საბჭოთა კავშირმა პირველმა აღიარა და დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები),<sup>373</sup> რომლის ლიდერი მათ მძევნი პრონატალიზმის მომხრე იყო და

<sup>372</sup> Aiko Takeuchi-Demirci. Contraceptive Diplomacy. Reproductive Politics and Imperial Ambitions in The United States and Japan. Stanford University Press, Stanford, California, 2018. გვ. 11

<sup>373</sup> История Китая с древнейших времен до начала XXI века. Том VII. Китайская Республика (1912-1949) / отв. ред. Н.Л. Мамаева ; Ин-т Дальнего Востока РАН. – М. : Наука – Вост. лит., 2013. გვ. 625

შიშშილი მისი აზრით იყო ფეოდალიზმის და კაპიტალისტური ექსპლუატაციის შედეგი, რომელიც წარსულს ჩაბარდა და ჩინეთს, თავისი სასოფლო-სამეურნეო მიწებით და რესურსებით არ უნდა ეშინოდეს მოსახლეობის ზრდის.<sup>374</sup> მას აზრით, მეტი ადამიანი ნიშნავდა მეტ წარმოებას, ხოლო ეს ყოველივე ნიშნავდა სოციალიზმის სწრაფ მშენებლობას.<sup>375</sup> ასეთმა პოლიტიკამ გამოიწვია მოსახლეობის სწრაფი ტემპებით ზრდა. 1953 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ისტორიაში პირველად ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის რაოდენობა 582,6 მილიონ ადამიანს შეადგენდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ 603 მილიონამდე გაიზარდა.<sup>376</sup> მოსახლეობის ყოველწლიური ზრდის ტემპები შეადგენდა 2%-ს (11-12 მილიონ ადამიანს) და ასეთი მდგომარეობის გათვალისწინებით დამაფიქრებელი იყო, თუ როგორ მოხერხდებოდა მასების გამოკვება რამოდენიმე ათწლეულის შემდეგ.<sup>377</sup> 1953 წლის მოსახლეობის აღწერის შემდგომ ცხადი გახდა, რომ მოსახლეობის სწრაფი ზრდა გარკვეულწილად გამოიწვევდა ეკონომიკურ სირთულეებს.<sup>378</sup> 1953 წლის აგვისტოში დენ სიაოპინი მიმართავს ჯანდაცვის სამინისტროს, რათა მასებს დახმარებოდნენ შობადობის შეზღუდვის საკითხში.<sup>379</sup> ჩინეთის ქალთა ფედერაციის თამჯდომარის მოადგილემ დენ ინჩაომ (ჯოუ ენლაის მეუღლე) 1954 წლის 27 მაისს მიწერა წერილი დენ სიაოპინს, სადაც აღიარებდა ქვეყანაში მოსახლეობის სწრაფ ზრდას და ასევე აღნიშნავდა, რომ მრავალი ქალი იყო შობადობის შეზღუდვის მომხრე. დენ ინჩაოს აზრით აუცილებელი იყო ამ პროცესების კონტროლი. დენ სიაოპინმა აღნიშნულ პოზიციას მხარი დაუჭირა და ჯანდაცვის სამინისტრომ შესაბამისი რეკომენდაციები შეიმუშავა, ღიად დაიწყო შობადობის კონტროლის აუცილებლობის განხილვა, რომ მოსახლეობის სიმრავლე სერიოზული საზოგადოებრივი პრობლემების წყაროა.<sup>380</sup>

---

<sup>374</sup> Neurath Paul. From Malthus to the Club of Rome and Back. Problems of Limits to Growth, Population Control, and Migrations. Routledge, 2015. E-book edition.

<sup>375</sup> იქვე.

<sup>376</sup> История Китая с древнейших времен до начала XXI века. Том VIII. Китайская Народная Республика (1949-1976) / отв. ред. Ю.М. Галенович ; Ин-т Дальнего Востока РАН. – М. : Наука – 2017. გვ. 60

<sup>377</sup> Neurath Paul. From Malthus to the Club of Rome and Back. Problems of Limits to Growth, Population Control, and Migrations. Routledge, 2015. E-book edition.

<sup>378</sup> История Китая с древнейших времен до начала XXI века. Том VIII. Китайская Народная Республика (1949-1976) / отв. ред. Ю.М. Галенович ; Ин-т Дальнего Востока РАН. – М. : Наука – 2017. გვ. 60

<sup>379</sup> იქვე.

<sup>380</sup> იქვე.

1956 წელს პრემიერ მინისტრმა ჯოუ ენლაიმ ოფიციალურად დაიწყო შობადობის კონტროლის პროპაგანდა, თუმცა ეს ყველაფერი უკვე 1958 წელს დასრულდა, რაც გამოწვეული იყო მას ეკონომიკურ-პოლიტიკური კამპანიის დაწყებით, რომელსაც ეწოდა - „უდიდესი ნახტომი წინ“.<sup>381</sup> მოსახლეობის სწრაფი ზრდის პრობლემამ კვლავ დაკარგა აქტუალობა. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1954 წელს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ლიუ შაოცის მიერ წამოყენებულ იქნა წინადადება შობადობის კონტროლის აუცილებლობის შესახებ, ხოლო 1955 წლის ივლისში გამოჩენილმა დემოგრაფმა და ეკონომისტმა მა ინჯუმ თავის მოხსენებაში ჭარბმოსახლეობის პრობლემა განიხილა, რომლის ძირითადი გამოსავალი მოსახლეობის რაოდენობის კონტროლია.<sup>382</sup> მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში აქტიურად მიმდინარეობდა მოსახლეობის სწრაფი ტემპებით ზრდის, ჭარბმოსახლეობის პრობლემის და შობადობის კონტროლის საკითხები, 1956 წელს მალთუსიანელობაში ბრალი დასდეს ცნობილ მეცნიერს, პეკინის უნივერსიტეტის რექტორს მა ინჯუს, მოსახლეობის სწრაფი ზრდა კვლავ აღარ წარმოადგენდა საფრთხეს.<sup>383</sup> მათ ძედუნი მალთუსიანელობას აბსურდულ თეორიას უწდებდა, რომელიც მისი აზრით საბჭოთა კავშირის და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განვითარების მაგალითზე დამარცხდა.<sup>384</sup>

1954 წელს ჩინეთის მთავრობის მიერ წარმოებულმა შობადობის კონტროლის კამპანიამ, მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად 1956 წლისთვის მაინც მოახერხა შობადობის კოეფიციენტის შემცირებას, რაც ძირითადად პროპაგანდის მეშვეობით განხორციელდა.<sup>385</sup> თუმცა შემდგომი პრონატალისტური პოლიტიკის და ეკონომიკური პრობლემების გამწვავების შედეგად მასობრივ შიმშილს (1959-1961) ათობით მილიონი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. პირველად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსებიდან მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა.<sup>386</sup> მიუხედავად

---

<sup>381</sup> Neurath Paul. From Malthus to the Club of Rome and Back. Problems of Limits to Growth, Population Control, and Migrations. Routledge, 2015. E-book edition.

<sup>382</sup> История Китая с древнейших времен до начала XXI века. Том VIII. Китайская Народная Республика (1949-1976) / отв. ред. Ю.М. Галенович ; Ин-т Дальнего Востока РАН. – М. : Наука – 2017. გვ. 61

<sup>383</sup> Neurath Paul. From Malthus to the Club of Rome and Back. Problems of Limits to Growth, Population Control, and Migrations. Routledge, 2015. E-book edition.

<sup>384</sup> იქვე.

<sup>385</sup> История Китая с древнейших времен до начала XXI века. Том VIII. Китайская Народная Республика (1949-1976) / отв. ред. Ю.М. Галенович ; Ин-т Дальнего Востока РАН. – М. : Наука – 2017. გვ. 61

<sup>386</sup> იქვე.

ამისა, შიმშილის შემდგომ შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 6-ს შეადგენდა და ჩინეთის მთავრობა უკვე სერიოზულად დაფიქრდა შობადობის კონტროლის აუცილებლობაზე.<sup>387</sup> 1971 წელს ჯოუ ენლაიმ დაიწყო ახალი კამპანია, რომლის მიხედვითაც: „ერთი შვილი იდეალურია, ორი საკმარისი, სამი უკვე ნამეტანია“.<sup>388</sup> მიუხედავად იმისა, რომ ზემო ხსენებული კამპანია ნებაყოფლობითი იყო, რიგ შემთხვევებში იძულებით კონტროლსაც ჰქონდა ადგილი, თუმცა რასაკვირველია, აღნიშნული კამპანია ბევრად უფრო ზომიერი იყო, ვიდრე შემდგომ დაწყებული „ერთი შვილის პოლიტიკა“.<sup>389</sup> შობადობის კონტროლის პროპაგანდამ არ გაამართლა. აღნიშნულ პერიოდში ორი შვილის პოლიტიკა და მხოლოდ პროპაგანდა აღარ იყო საკმარისი, რაც გამოწვეული იყო მათ პროექტით „უდიდესი ნახტომი წინ“, რომლის დროსაც დაბადებულთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ქვეყნის პროგრესს საფრთხეს შეუქმნიდა. რათა სოფლის მეურნეობას ჰქონოდა მასების გამოკვების უნარი, გადაწყდა მოსახლეობის ძირითად ნაწილზე გავრცელებულიყო „ერთი შვილის პოლიტიკა“,<sup>390</sup> რომელიც 1980 წლის 25 სექტემბერს დამტკიცებულ იქნა. მაშინ როდესაც ერთი შვილის გაჩენა პრივილეგია იყო, მეორე შვილზე ორსულობისას აბორტის იგნორირების შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ჯარიმებს (ასევე სამედიცინო და სხვა სახის პრივილეგიების ჩამორთმევა), და მესამე შვილის გაჩენის შემთხვევაში ჯარიმების გაზრდის გარდა, თანამდებობის დაკარგვაც ემატებოდა.<sup>391</sup>

მიუხედავად იმისა, რომ „ერთი შვილის პოლიტიკა“ არ ვრცელდებოდა სოფლის მოსახლეობაზე და ეთნიკურ უმცირესობებზე და ჩინეთის მოსახლეობა იზრდებოდა ექვსი ათწლეულის განმავლობაში, მოსახლეობის ზრდის ტემპები საგრძნობლად შემცირდა: 2.5%-დან (1960-იან წლებში) 0.5%-მდე (2010 წელი),<sup>392</sup> ხოლო შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი შემცირდა 6-დან (1960-იან წლებში) 1.65-მდე (2010 წელი).<sup>393</sup>

---

<sup>387</sup> The Evolution of China's One-Child Policy and Its Effects on Family Outcomes. Zhang Junsen. The Journal of Economic Perspectives, Winter 2017, Vol. 31, No. 1 pp. 141-159. გვ. 142

<sup>388</sup> Neurath Paul. From Malthus to the Club of Rome and Back. Problems of Limits to Growth, Population Control, and Migrations. Routledge, 2015. E-book edition.

<sup>389</sup> The Evolution of China's One-Child Policy and Its Effects on Family Outcomes. Zhang Junsen. The Journal of Economic Perspectives, Winter 2017, Vol. 31, No. 1 pp. 141-159. გვ. 143

<sup>390</sup> Neurath Paul. From Malthus to the Club of Rome and Back. Problems of Limits to Growth, Population Control, and Migrations. Routledge, 2015. E-book edition.

<sup>391</sup> იქვე.

<sup>392</sup> Wang, Fei; Zhao, Liqiu; Zhao, Zhong (2016) : China's Family Planning Policies and Their Labor Market Consequences, IZA Discussion Papers, No. 9746, Institute for the Study of Labor (IZA), Bonn. გვ. 10

<sup>393</sup> იქვე.

„უდიდესი ნახტომი წინ“ ჩინეთის პროგრესის შემაფერხებელი აღმოჩნდა, მის დროს მკვეთრად გაიზარდა სიკვდილიანობა და დაეცა შობადობა, ხოლო ცხოვრების დონე 30%-ით შემცირდა.<sup>394</sup> მას პროექტის გარეშე შესაძლოა „ერთი შვილის პოლიტიკა“ არ ყოფილიყო აუცილებელი და მხოლოდ „ორი შვილი პოლიტიკით“ მომხდარიყო მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაცია, ყოველგვარი რადიკალური ზომების გარეშე. „ერთი შვილის პოლიტიკამ“ რომელიც ათწლეულები ხორციელდებოდა გამოიწვია მოსახლეობის დაბერება. შესაბამისად 2016 წლიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გადავიდა „ორი შვილის პოლიტიკაზე“, ხოლო 2021 წელს „სამი შვილის პოლიტიკაზე“. აქედან გამომდინარე „ერთი შვილის პოლიტიკას“ დადებით მომენტებთან ერთად უარყოფითი მხარეც აქვს, რომელიც მოსახლეობის დაბერებაში გამოიხატება, თუმცა ჩინეთის შემთხვევაში იმ ურთულეს პერიოდში მას სხვა გამოსავალი არ გააჩნდა. შობადობის წაქეზებამ, როგორც უკიდურესმა მიდგომამ, თავის მხრივ გამოიწვია კიდევ ერთი უკიდურესი მიდგომა, ამჯერად უკვე შობადობის კონტროლის აუცილებლობა.

ჩინეთთან შედარებით, ირანს განსხვავებული დემოგრაფიული პოლიტიკა ჰქონდა, თუმცა მიუხედავად ნაკლები სიმკაცრისა, საკმაოდ კარგ შედეგს მიაღწია დემოგრაფიული აფეთქების შეჩერებაში და მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაციაში.

ირანში შობადობის რეგულირება 1960-იანი წლებიდან იწყება, თუმცა 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდგომ იგი შეჩერებულ იქნა. ერთის მხრივ, რასაკვირველია, შაჰის დროს დაწყებული პროექტების მხარდაჭერა არარეალური იყო, მეორე მხრივ, ისლამური რევოლუციის ლიდერები თავდაპირველად ნატალიზმის მომხრეები იყვნენ. 1980-იანი წლების ბოლოს აღნიშნული პოზიცია შეიცვალა.

ირანში წარმოებული დემოგრაფიული პოლიტიკა სამ ეტაპად შეგვიძლია დავყოთ:

- 1) ისლამურ რევოლუციამდე (1960-1979 წლები);
- 2) ოჯახის (შობადობის) დაგეგმვის პროგრამა 1979-1988;
- 3) ოჯახის (შობადობის) დაგეგმვის პროგრამა 1988 წლიდან დღემდე.

---

<sup>394</sup> История Китая с древнейших времен до начала XXI века. Том VIII. Китайская Народная Республика (1949-1976) / отв. ред. Ю.М. Галенович ; Ин-т Дальнего Востока РАН. – М. : Наука – 2017. გვ. 164

1970 წლიდან ირანის მთავრობის უმთავრესი მიზანი იყო მოსახლეობის წლიური ზრდის 3%-დან 1%-მდე შემცირება.<sup>395</sup> შედეგად განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სამედიცინო მომსახურებას, აიკრძალა შეზღუდვები სტერილიზაციასა და აბორტებზე, გარდა ამისა სასკოლო და საუნივერსიტეტო პროგრამებში შეტანილ იქნა დემოგრაფიის საკითხები. ოჯახის დაგეგმვის პროგრამის ძირითადი მიზანი იყო დახმარებოდნენ წყვილებს ბავშვების რაოდენობის გაკონტროლებაში. აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა კლინიკების რაოდენობა, რომელთა ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა ოჯახის დაგეგმვა. თუ 1967 წელს ასეთი კლინიკების რაოდენობა იყო მხოლოდ 160, 1974 წლისთვის უკვე მათი რაოდენობა 2200-მდე გაიზარდა.<sup>396</sup>

1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ იწყება პრონატალისტური პოლიტიკა, რაც რელიგიური მომენტის გარდა გამოწვეული იყო ირან-ერაყის ომში (1980-1988) დანაკარგის აღდგენის მიზნით,<sup>397</sup> რომელსაც მრავალი ადამიანი ემსხვერპლა. პრონატალისტური პოლიტიკის შედეგი იყო მოსახლეობის ზრდის ტემპების აჩქარება, რომლის შედეგიც იყო მოსახლეობის რაოდენობის 50 მილიონამდე გაზრდა 1986 წლისთვის, მაშინ როდესაც 1976 წელს ირანის მოსახლეობის რაოდენობა იყო 33.7 მილიონი. აქედან გამომდინარე, ირანში შობადობის კონტროლის აუცილებლობა კვლავ მთავარი საკითხი გახდა.

1993 წელს მიღებულ იქნა კანონები, რომლებიც აუქმებდნენ სასურსათო ტალონებს და სოციალურ სუბსიდიებს მესამე შვილებისთვის, ხოლო დედებისთვის უქმდებოდა დეკრეტული შვებულებები. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ასეთმა რეფორმებმა ირანში „ორი შვილის პოლიტიკა“ ერთგვარ ნორმად აქცია. ამაზე მეტყველებს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის შემცირება - თუ 1970-იან წლებში ერთ ქალს საშუალოდ 6,2-6,5 ბავშვი ჰყავდა, 2002 წელს ეს მაჩვენებელი 2 ბავშვამდე შემცირდა.<sup>398</sup> კონტრაცეპტივების გავრცელების მაჩვენებლების ზრდა 49%-დან (1989

---

<sup>395</sup> The Global Family Planning Revolution: Three Decades of Population Policies and Programs. Warren C. Robinson and John A. Ross, Editors. The World Bank, Washington, D.C. 2007. გვ. 37

<sup>396</sup> იქვე. გვ. 40

<sup>397</sup> იქვე. გვ. 54

<sup>398</sup> Иванов С.Ф. Снижение рождаемости в странах Юга: политика вокруг политики. Экономический журнал ВШЭ, 2011. No 4. გვ. 578

წელი) 76%-მდე (1997 წელი) შობადობის რეგულირების წარმატების მტკიცებულებას წარმოადგენს,<sup>399</sup> ამასთანავე მოსახლეობის ზრდის ტემპებიც 3.9%-დან (1980-იანი წლები) 2.5%-მდე (1991 წელი) დაეცა. ირანმა, როგორც ჩინეთმა, ძალიან კარგი შედეგის მიღწევა შეძლო.

ინდოეთში ჩინეთისგან და ირანისგან განსხვავებით ბევრად მძიმე მდგომარეობა ფიქსირდება უკვე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ამიტომ დემოგრაფიული პროცესების საკითხს ინდოეთში განსაკუთრებული ადგილი უკავია. უკანასკნელ წლებში ჩინეთში დეპოპულაცია ფიქსირდება, ხოლო ინდოეთში მოსახლეობის ზრდა საკმაოდ სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს და ჩინეთი, რომელიც მოსახლეობის რიცხოვნობით ათწლეულების განმავლობაში პირველ ადგილზე იყო, პირველობას ინდოეთს უთმობს. ამჟამად, ინდოეთის მოსახლეობა 1,442 მილიარდ ადამიანს შეადგენს.

1916 წელს გამოქვეყნდა ნაშრომი „მოსახლეობის პრობლემა ინდოეთში“, სადაც აღწერილი იყო მოსახლეობის ზრდის საშინელი შედეგები, ხოლო 1928 წელს მადრასში<sup>400</sup> შეიქმნა ნეომალთუსიანელთა ლიგა.<sup>401</sup> 1931 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად, 1921-1931 წლებში ინდოეთის მოსახლეობა 10%-ით გაიზარდა (27.7 მილიონი ადამიანით).<sup>402</sup> XX საუკუნის მეორე ნახევრიდან სახელმწიფო დონეზე იწყება შობადობის კონტროლი აუცილებლობის განხილვა. 2011 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით ინდოეთის მოსახლეობა 1 მილიარდ 210 მილიონ ადამიანს შეადგენდა, რაც იმ მომენტში მსოფლიოს მოსახლეობის 17.5% უდრიდა (აშშ-ს, ინდონეზიის, ბრაზილიის, პაკისტანის, ბანგლადეშის და იაპონიის მოსახლეობა ერთად აღებული), მაშინ როდესაც ინდოეთი მსოფლიოს ხმელეთის 2.4% უკავია,<sup>403</sup> ხოლო მოსახლეობის სიმჭიდროვეც საკმაოდ მაღალი იყო - 382 ადამიანი კვადრატულ კილომეტრზე.<sup>404</sup> 2023 წლისთვის ინდოეთის მოსახლეობა 1 მილიარდ 468 მილიონ ადამიანს შეადგენდა

---

<sup>399</sup> The Global Family Planning Revolution: Three Decades of Population Policies and Programs. Warren C. Robinson and John A. Ross, Editors. The World Bank, Washington, D.C. 2007. გვ. 55

<sup>400</sup> ახლანდელი ჩენაი (ქალაქი ინდოეთში)

<sup>401</sup> The Global Family Planning Revolution: Three Decades of Population Policies and Programs. Warren C. Robinson and John A. Ross, Editors. The World Bank, Washington, D.C. 2007. გვ. 301

<sup>402</sup> იქვე.

<sup>403</sup> Демографические Исследования. Выпуск двадцатый. Региональная демографическая политика. Сборник статей / Под ред. Елизарова В.В. и Джанаевой Н.Г. – М.: 2012.

<sup>404</sup> იქვე.

(შედარებისთვის 1950 წელს მხოლოდ 346 მილიონს).<sup>405</sup> ასეთი დემოგრაფიული რეალობის მიუხედავად, ჯერ კიდევ 1947 წელს მიიღო ინდოეთის მთავრობამ ოჯახის დაგეგმვის პროგრამა, რაც მოხდა ბენგალის შიმშილის შემდგომ.<sup>406</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთის მთავრობა არ იყო პრონატალისტური, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დემოგრაფიულ პოლიტიკას ყურადღება არ ექცეოდა.<sup>407</sup> 1960-იანი წლებიდან იხსნება კლინიკები, ხოლო შემდგომ ნებაყოფლობითი სტერილიზაციისთვის ფულადი დახმარებაც შემოიღეს, რომლის შედეგი იყო 1.5-2 მილიონი სტერილიზაცია ყოველწლიურად (1960-იანი წლების მიწურულიდან).<sup>408</sup> 1961 წელს ინდოეთში შობადობის კონტროლის 4 ათასი კლინიკა არსებობდა, ხოლო 1962 წელს შობადობის შემცირება უკვე სახელმწიფო გეგმად იქცა,<sup>409</sup> რომლის მიზანი იყო შობადობის შემცირება 41-დან 25-მდე (1000 სულზე) 1970 წლისთვის. 1971 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგად დადგინდა, რომ შობადობის შემცირება ვერ მოხერხდა,<sup>410</sup> ხოლო იძულებითი სტერილიზაციის მეთოდების დანერგვამ (მაგალითად ისეთი პრივილეგიების ჩამორთმევა, როგორც არის უფასო განათლება, სახელმწიფო სამსახურში კარიერული ზრდა და ა.შ.) ეს ყოველივე არ იყო ისეთივე მკაცრი როგორც ჩინეთში ამიტომ ერთის მხრივ, დიდად ვერ გამოასწორა მდგომარეობა, მეორეს მხრივ, ოჯახის დაგეგმვის საკითხში უნდობლობა წარმოქმნა.<sup>411</sup>

ამგვარი ვითარების მიუხედავად 1975 წელს ინდოეთის პრემიერ მინისტრი ინდირა განდიმ ეკონომიკური კრიზისის ალტერნატივად 20 პუნქტიანი პროგრამა წარადგინა, სადაც მოსახლეობის რაოდენობის რეგულირება არ შედიოდა, თუმცა მის შვილს და მემკვიდრეს სანჯაი განდის ჰქონდა თავისი ოთხ პუნქტიანი პროგრამა,

---

<sup>405</sup> Population & Demography Data Explorer. <https://ourworldindata.org/explorers/population-and-demography?tab=table&facet=none&showSelectionOnlyInTable=1&hideControls=false&Metric=Population&Sex=Both+sexes&Age+group=Total&Projection+Scenario=None&country=~IND> (ბოლო ნახვა: 22.01.2025)

<sup>406</sup> The Global Family Planning Revolution: Three Decades of Population Policies and Programs. Warren C. Robinson and John A. Ross, Editors. The World Bank, Washington, D.C. 2007. გვ. 302

<sup>407</sup> Neurath Paul. From Malthus to the Club of Rome and Back. Problems of Limits to Growth, Population Control, and Migrations. Routledge, 2015. E-book edition.

<sup>408</sup> იქვე.

<sup>409</sup> The Global Family Planning Revolution: Three Decades of Population Policies and Programs. Warren C. Robinson and John A. Ross, Editors. The World Bank, Washington, D.C. 2007. გვ. 306

<sup>410</sup> იქვე. გვ. 310

<sup>411</sup> Neurath Paul. From Malthus to the Club of Rome and Back. Problems of Limits to Growth, Population Control, and Migrations. Routledge, 2015. E-book edition.

რომელშიც უმთავრესი ადგილი ეკავა შობადობის კონტროლს.<sup>412</sup> ასეთმა არასტაბილურობამ გამოიწვია ინდირა განდის მთავრობის კოლაფსი 1977 წელს.<sup>413</sup> ინდოეთის დემოგრაფიულ პოლიტიკაში ამ პერიოდიდან გარკვეული ცვლილებები შეიტანეს, კერძოდ, აქცენტი მოსახლეობის განათლებაზე გაკეთდა.<sup>414</sup> 1970-იან წლებში ინდოეთში წარმოებულ დემოგრაფიულ პოლიტიკას მაინც ჰქონდა მცირე შედეგი: ქვეყნის მოსახლეობის მატების საშუალო წლიური ტემპები 2,24%-დან 2,23%-მდე შემცირდა.<sup>415</sup> ეს ყოველივე მოხდა ეკონომიკური კრიზისის ფონზე და რაც მეტად მნიშვნელოვანია, მოსახლეობის მხრიდან უკმაყოფილების და წინააღმდეგობის ფონზე, რაც ასევე განპირობებული იყო მაკათმა განდის მიმდევრების თვითრეგულირებაზე აქცენტის გაკეთებით,<sup>416</sup> რაც ხალხის მხრიდან წინააღმდეგობას უფრო ამწვავებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ დემოგრაფიული პოლიტიკის იგნორირებამ და მოსახლეობის მკვეთრმა ზრდამ განაპირობა ახალი ნაციონალური პოლიტიკის ფორმირება (ატალ ბიჰარი ვაჯპაის პრემიერ მინისტრობის დროს) მოსახლეობის საკითხებთან მიმართებაში, რომლის ერთ-ერთი მიზანიც გახდა შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის 2,1 ბავშვამდე შემცირება და საზოგადოების ნორმად 2 შვილიანი ოჯახის დაწესება.<sup>417</sup> ასეთი დამოკიდებულება წინა პერიოდებთან შედარებით რასაკვირველია, წარმოადგენს პროგრესს, თუმცა არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ჭარბმოსახლეობის სწრაფად დასრულების მიზნით არ იქნებოდა ურიგო ჩინეთის დემოგრაფიული პოლიტიკის გამოცდილების გათვალისწინება. ინდოეთის ახლანდელი პრემიერ-მინისტრი ნარენდრა მოდი

---

<sup>412</sup> The Global Family Planning Revolution: Three Decades of Population Policies and Programs. Warren C. Robinson and John A. Ross, Editors. The World Bank, Washington, D.C. 2007. გვ. 311

<sup>413</sup> იქვე.

<sup>414</sup> იქვე.

<sup>415</sup> Демографические Исследования. Выпуск двадцатый. Региональная демографическая политика. Сборник статей / Под ред. Елизарова В.В. и Джанаевой Н.Г. – М.: 2012. გვ. 249

<sup>416</sup> The Global Family Planning Revolution: Three Decades of Population Policies and Programs. Warren C. Robinson and John A. Ross, Editors. The World Bank, Washington, D.C. 2007. გვ. 305

<sup>417</sup> Демографические Исследования. Выпуск двадцатый. Региональная демографическая политика. Сборник статей / Под ред. Елизарова В.В. и Джанаевой Н.Г. – М.: 2012. გვ. 249

ინდოეთში მიმდინარე დემოგრაფიულ აფეთქებაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ პატარა ოჯახი, ეს არის პატრიოტიზმის აქტი.<sup>418</sup>

დემოგრაფიული პოლიტიკის ისტორიაში ადგილი ჰქონდა ასევე წარუმატებლობას. საყურადღებოა აფრიკის ქვეყნებში დემოგრაფიული პროცესების რეგულირების მცდელობები, კერძოდ, მოსახლეობის რაოდენობის (216 მილიონი მცხოვრები 2022 წლის მონაცემებით) მხრივ პირველ ადგილზე მყოფ ნიგერიაში.

ნიგერიის მოსახლეობა 1960 წლიდან 4-ჯერ გაიზარდა: 1960-1988 წლებში გაორმაგდა (45,2 მილიონიდან 90,8 მილიონამდე), ხოლო შემდგომი გაორმაგება 2014 წელს (177,4 მილიონი) ფიქსირდება.<sup>419</sup> ნიგერიაში დემოგრაფიული განვითარების პირველი სტრატეგია, რომლის მიზანი იყო შობადობის შემცირება, მიღებულ იქნა პრეზიდენტ იბრაჰიმ ბაბანგიდას დროს 1988 წელს. სტრატეგიის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა 2000 წლისათვის ერთ ქალზე შვილების რაოდენობის შემცირება 6 შვილიდან 4-მდე (გენერალი ბაბანგიდა საჯაროდ აცხადებდა, რომ „ოთხი შვილი საკმარისია“), ხოლო მოსახლეობის ყოველწლიური ზრდის ტემპების შემცირება 3,3%-დან 2%-მდე.<sup>420</sup> დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელება ნიგერიაში ვერ მოხერხდა მოსახლეობის მხრიდან მტკიცე წინააღმდეგობის გამო. დღეს ნიგერიაში ფიქსირდება დემოგრაფიული აფეთქება და ჭარბმოსახლეობა, რომლებმაც შეაფერხეს ქვეყნის განვითარება, ხოლო ვითარება სულ უფრო მწვავედება.

აფრიკის კონტინენტზე უმძიმესი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გამწვავების ფონზე, ვფიქრობთ აუცილებლობას წარმოადგენს დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც გაითვალისწინებს ჩინეთის გამოცდილებას („ერთი ბავშვის პოლიტიკას“ და „ორი ბავშვის პოლიტიკა“).

დემოგრაფიული პოლიტიკა უდიდეს როლს ასრულებს ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. მასზეა დამოკიდებული ქვეყნის კეთილდღეობა და განვითარების დონე.

---

<sup>418</sup> Keeping one's family small an act of patriotism': PM Modi calls for population control. 15 August, 2019. <https://theprint.in/india/keeping-ones-family-small-an-act-of-patriotism-pm-modi-calls-for-population-control/277500/> (ბოლო ნახვა: 23.01.2025)

<sup>419</sup> Зинькина Ю.В. Демографическая бомба Нигерии. [https://www.demoscope.ru/weekly/2017/0711/analit03.php#\\_ftn7](https://www.demoscope.ru/weekly/2017/0711/analit03.php#_ftn7) (ბოლო ნახვა: 24.01.2025)

<sup>420</sup> იქვე.

ჩინეთმა და ირანმა შეძლეს დემოგრაფიული აფეთქების შეჩერება, გათვალისწინებულ იქნა პრონატალიზმის პერიოდის შეცდომები და მიაღწიეს მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაციას, რაც მათი შემდგომი განვითარების ფუნდამენტად იქცა. დემოგრაფიული ციკლების ქაოტურობიდან გამომდინარე მოსახლეობის რაოდენობის დროებითი სტაბილიზაცია როგორც ზემოთ აღინიშნა, ხდება შიმშილის, ეპიდემიების, ომების და ძალადობის სხვადასხვა სახის მეშვეობით. შესაბამისად დემოგრაფიული პოლიტიკა არის ჭარბმოსახლეობის პრობლემის გადაჭრის ერთადერთი ჰუმანური მეთოდი.

## 3.2. მწვანე დიპლომატია და მსოფლიოს მოსახლეობის სტაბილიზაცია.

### ეკოდემოგრაფიული დიპლომატია.

დემოგრაფიული აფეთქების შეჩერების უნარი განვითარებად ქვეყნებს არ გააჩნიათ. რასაკვირველია, აღნიშნული ფაქტი სერიოზული გამოწვევაა გლობალური უსაფრთხოებისთვის, ხოლო გლობალური პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობით. ამასთანავე ეკოლოგიური პრობლემების გამწვავების ფონზე ყურადღებას იპყრობს მწვანე დიპლომატია (ენვირონმენტალისტური დიპლომატია; კლიმატური დიპლომატია). ეს ყოველივე გამოწვეულია იმით, რომ ეკოლოგიურ პრობლემებს არ გააჩნიათ საზღვრები, ერთი კონკრეტული ქვეყნის ეკოლოგიური პრობლემა მთელი მსოფლიოს ეკოსისტემაზე ისახება.

ეკოლოგიური დიპლომატია საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი მოვლენაა. იგი გულისხმობს დიპლომატიის და საერთაშორისო თანამშრომლობის გამოყენებას გლობალური ეკოლოგიური პრობლემების (კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნების დაკარგვა და დაბინძურება) გადასაჭრელად.<sup>421</sup> ეკოლოგიური დიპლომატიის ერთ-ერთი ყველაზე გვიანდელი მაგალითია 1748 წელს პრუსიის მეფის ფრიდრიხ დიდის და საქსონიის ჰერცოგის სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლითაც ორივე ქვეყანა შეთანხმდა საკუთარი ტყეები შეენარჩუნებინათ.<sup>422</sup> ეს შეთანხმება იყო პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც აღიარებდა ბუნებრივი გარემოს დაცვის აუცილებლობას. აღნიშნულმა პრეცედენტმა მოახდინა ეკოლოგიური დიპლომატიის ძალის დემონსტრირება კონფლიქტების მოგვარების და ქვეყნების თანამშრომლობის მხრივ.

1998 წლის 18 ნოემბერს გაიმართა კონფერენცია, რომელიც „ეკოლოგიური დიპლომატიის“ საკითხს მიემდვნა,<sup>423</sup> რომელშიც მაღალი თანამდებობის

---

<sup>421</sup> Environmental Diplomacy. <https://www.diplomacy.edu/topics/environmental-diplomacy/#:~:text=Environmental%20diplomacy%20also%20involves%20the,prevent%20pollution%20from%20crossing%20borders>. (ბოლო ნახვა: 03.06.2024)

<sup>422</sup> იქვე.

<sup>423</sup> Environmental Diplomacy. Conference Report. Washington, D.C. 18 November 1998. American Institute for Contemporary German Studies. The Johns Hopkins University. <https://aicgs.org/wp-content/uploads/2011/11/environmentaldiplomacy.pdf> (ბოლო ნახვა: 05.06.2024)

პოლიტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები და გერმანიის, შეერთებული შტატების და ევროკავშირის ექსპერტები მონაწილეობდნენ. კონფერენციის მიზნები იყო:

- ცივი ომის შემდგომი პერიოდის საერთაშორისო ეკოლოგიური თანამშრომლობის მნიშვნელობის განსაზღვრა
- ეკოლოგიური პოლიტიკის და საერთაშორისო სავაჭრო და ფინანსური რეჟიმების და ინსტიტუტების ურთიერთკავშირის განხილვა
- სამომავლო ტრანსატლანტიკური ურთიერთობების, კერძოდ, ეკოლოგიური დიალოგის პერსპექტივების შესახებ დასკვნების გაკეთება ახალი ტრანსატლანტიკური დღის წესრიგის ჩარჩოებში.

ბუნებრივ გარემოზე უდიდეს გავლენას ამყარებს კოლოსალური ეკონომიკური ექსპანსია, რაც არღვევს ბუნებრივ ციკლებს, რომლებზეც დამოკიდებულია სიცოცხლე ჩვენს პლანეტაზე. მოსახლეობის და მოხმარების უპრეცედენტო ზრდა წარმოქმნის ახალ ეკოლოგიურ პრობლემებს, რომლებიც განსხვავდებიან წარსულში არსებული ეკოლოგიური პრობლემებისგან.<sup>424</sup> 20-30 წლის წინ აღმოცენებული ეკოლოგიური მოძრაობა დაკავებული იყო ლოკალური პრობლემებით, როგორც არის ჰაერის დაბინძურება ქალაქებში, ნარჩენების უტილიზაცია და სხვ. აღნიშნული პრობლემები დღესდღეობით კვლავ აქტუალურია, განსაკუთრებით სამხრეთის განვითარებად და ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში, თუმცა ეკოლოგიური პრობლემები, რომელთა შესახებ ცოტა ხნის წინ გახდა ცნობილი, თავისი მასშტაბებით განსხვავდებიან. ეს არის კლიმატის ცვლილება, ნიადაგის ეროზია, ოკეანეების დაბინძურება, ცხოველების და მცენარეების სახეობათა ფართო მასშტაბიანი განადგურება და ა.შ.<sup>425</sup> აღნიშნული პრობლემები წარმოადგენენ საფრთხის ახალ სახეობას, რომელიც კაცობრიობის კეთილდღეობას უქმნის საფრთხეს.

ამერიკელ დიპლომატს რიჩარდ ბენედიკს 1991 წლის გლობალური ეკოლოგიური ქარტიიდან ამონარიდი მოჰყავს როგორც მაგალითი, თუ რამდენად რთულ სიტუაციასთან აქვს საქმე თანამედროვე ადამიანს. ამონარიდში საუბარია

---

<sup>424</sup> იქვე. გვ. 3

<sup>425</sup> Environmental Diplomacy. Conference Report. Washington, D.C. 18 November 1998. American Institute for Contemporary German Studies. The Johns Hopkins University. <https://aicgs.org/wp-content/uploads/2011/11/environmentaldiplomacy.pdf> (ბოლო ნახვა: 05.06.2024)

კარდინალური ცვლილებების შესახებ, რომ რადიკალურად უნდა იქნეს გადახედული სოციალური და ეკონომიკური სისტემები, ასევე აღნიშნულია ჭარბმომხმარებლის პრობლემის, სიღარიბის და მოსახლეობის ზრდის პრობლემები. ხოლო ყველაზე საყურადღებოა, რომ ქარტია არ წარმოადგენს რადიკალურ ეკოლოგიურ მოძრაობას და არ არის ექსტრემიზმთან რაიმე კავშირში.<sup>426</sup> მომხსენებელის მიერ ამ კონკრეტულ მომენტზე აქცენტირება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ გლობალური ეკოლოგიური უსაფრთხოება უმძიმეს მდგომარეობაშია და სიტუაციის გამოსწორება დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს. რიჩარდ ბენედიკს თავის მოხსენებაში მოჰყავს ბრიტანელი პერის სიტყვები 1988 წლის მონრეალის პროტოკოლის დებატებიდან: „პოლიტიკა არის ხელოვნება, მიიღო სწორი გადაწყვეტილება არასაკმარისი მტკიცებულებების მიუხედავად“, რაც ბენედიკის აზრით თანამედროვე საერთაშორისო ეკოლოგიური შეთანხმებებთანაა მოლაპარაკებების მონაწილეთა მაქსიმალური ხდება.

კლიმატის კრიზისი XXI საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს, შესაბამისად აუცილებელია კლიმატური დიპლომატიის როლის გაზრდა საერთაშორისო კლიმატურ პოლიტიკაში.<sup>427</sup> აშშ-ზე და ჩინეთზე მსოფლიოში ნახშიროჟანგის გამოყოფის 40%-ზე მეტი მოდის და ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან აცილებისთვის აუცილებელია ამ ორი ქვეყნის თანამშრომლობა,<sup>428</sup> რაც მწვანე დიპლომატიის უმთავრესი გამოვლინება იქნება. ახალ სამყაროში ძველი დიპლომატია მკვდარია, ტრადიციული დიპლომატიური მიდგომები ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროების დროს აქტუალობას კარგავენ. მწვანე ტექნოლოგიების სფეროში კონკურენცია ძლიერდება და ქვეყნებიც ამ დიად მწვანე თამაშში პირველობისთვის შეეცდებიან პირველობას.<sup>429</sup> ამის მაგალითად შეგვიძლია ჩავთვალოთ ჩინეთის გეგმა 2060 წლისთვის მიაღწიოს ნახშიროჟანგის ნეიტრალობას, რომლის მისაღწევადაც

---

<sup>426</sup> იქვე. გვ. 4

<sup>427</sup> What is Climate Diplomacy? <https://climate-diplomacy.org/what-climate-diplomacy> (ბოლო ნახვა: 07.06.2024)

<sup>428</sup> Is Climate Diplomacy Possible? Oct. 26, 2021. John Kampfner. <https://www.project-syndicate.org/commentary/climate-diplomacy-green-great-game-by-john-kampfner-2021-10> (ბოლო ნახვა: 08.06.2024)

<sup>429</sup> Is Climate Diplomacy Possible? Oct. 26, 2021. John Kampfner. <https://www.project-syndicate.org/commentary/climate-diplomacy-green-great-game-by-john-kampfner-2021-10> (ბოლო ნახვა: 08.06.2024)

ჩინეთს მოუწებს 500 ელექტროსადგურის დახურვა უახლოეს 10 წელიწადში,<sup>430</sup> რაც შეუძლებელი იქნება მოსახლეობის შემცირების გარეშე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში უმუშევრობა და სიღარიბე მოიმატებს. აქედან გამომდინარე, მწვანე დიპლომატიაში დემოგრაფიული ფაქტორის როლი მნიშვნელოვანია.

თანამედროვე პრობლემებიდან გამომდინარე მწვანე თეორია საერთაშორისო ურთიერთობებში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური თეორიები უკანა პლანზე გადადიან, რაც გამოწვეულია იმით, რომ პრიორიტეტი ხდება არა ერთი რომელიმე ცალკეული ქვეყანა და მისი უსაფრთხოება, არამედ გლობალური ეკოლოგიური უსაფრთხოება. თანამედროვე გლობალური პრობლემების არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს არ აქვთ გამოსავალის ძიების უნარი, რის გამოც სამყარო ეკოლოგიური კატასტროფისკენ მიდის. თუმცა მწვანე თეორია საერთაშორისო ურთიერთობებში, ისევე როგორც მწვანე დიპლომატია ნაკლებად არიან ორიენტირებულნი დემოგრაფიულ ფაქტორზე.

მწვანე დიპლომატია<sup>431</sup> მოიცავს მოლაპარაკებებს, შეთანხმებებს და ქვეყნებს შორის თანამშრომლობას ბუნებრივი გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების პოლიტიკის შემუშავებისთვის. ეს ყოველივე შესაძლოა თავის მხრივ მოიცავდეს სათბურის აირების გამოყოფის შემცირებას, განადგურების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების და ეკოსისტემების დაცვას, მიწის მართვის მდგრადი მეთოდების დაწინაურება, სუფთა ჰაერის და წყლის წვდომის უზრუნველყოფა. მწვანე დიპლომატია ასევე გულისხმობს დიპლომატიის გამოყენებას ეკოლოგიური დისპუტების და ბუნებრივი რესურსებისთვის კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით. მწვანე დიპლომატია ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრისას და ხელს უწყობს მდგრად განვითარებას. ერთობლივი მუშაობის შედეგად უნდა შემუშავდეს ეფექტური პოლიტიკა, რომლის მეშვეობითაც ქვეყნები ყველასთვის შექმნიან მდგრად მომავალს. რეალურად

---

<sup>430</sup> იქვე.

<sup>431</sup> Environmental Diplomacy. <https://www.diplomacy.edu/topics/environmental-diplomacy/#:~:text=Environmental%20diplomacy%20also%20involves%20the,prevent%20pollution%20from%20crossing%20borders>. (ბოლო ნახვა: 05.06.2024)

ეკოლოგიური კრიზისის მიზეზი ეკონომიკის ექსპონენციალური ზრდა არის,<sup>432</sup> რაც გამოწვეული მოსახლეობის ზრდით. თუ არ ეკონომიკის ასეთი მასშტაბებით ზრდა, გამწვავდება სიღარიბე, რაც კიდევ უფრო გაამწვავებს ეკოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. გლობალური ეკოლოგიური კრიზისი საყოველთაოდ უკვე აღიარებულია,<sup>433</sup> ახლა აუცილებელია დემოგრაფიული ფაქტორის როლის აღიარება, რაც მდგრადი განვითარების ფუნდამენტი.

მდგრადი სამყაროს ფორმირებისთვის მოსახლეობის სტაბილიზაცია უნდა გახდეს პრიორიტეტი, რაც მოსახლეობის ზრდის შეჩერებას,<sup>434</sup> ხოლო რიგ შემთხვევაში, დეპოპულაციას ნიშნავს (ერთი შვილის პოლიტიკის განხორციელება კონკრეტულ ქვეყნებში). თუმცა მთელი მსოფლიოს მასშტაბით „ერთი შვილის პოლიტიკას“ (მაგალითად ასეთ პოზიციას ემხრობა ამერიკელი ფილოსოფოსი სარა კონლი<sup>435</sup> და ფინელი ღრმა ეკოლოგი პენტი ლინკოლა<sup>436</sup>) ვერ დავეთანხმებით, რადგან იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის სტაბილიზაცია შედგა, ან მეტიც თუ დეპოპულაცია მიმდინარეობს, ერთი შვილის პოლიტიკის აუცილებლობა არ არის და სტაბილიზაციის შენარჩუნებისთვის საკმარისია ორი შვილის პოლიტიკა. ერთი შვილის პოლიტიკის წარმოება ქვეყნებში, სადაც მიმდინარეობს დეპოპულაცია, დემოგრაფიულ კრიზისს კატასტროფულ დონემდე მიიყვანს.

მწვანე დიპლომატიის ერთ-ერთ მთავარ მიზნად მსოფლიოს მოსახლეობის სტაბილიზაცია უნდა გახდეს, რაც ამავდროულად გახდება მდგრადი განვითარების და ეკოლოგიური უსაფრთხოების ფუნდამენტი. საუბარია ეკო-დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრაზე, რადგან დემოგრაფიული აფეთქება და ჭარბმოსახლეობა ანთროპოგენური ფაქტორის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.

მწვანე დიპლომატია უნდა განახორციელოს გაერომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, წინა პლანზე გამოვლენ ზესახელმწიფოები, რომელთა კოალიციაც გახდება მთავარი აქტორი. ასეთ შემთხვევებში ყოველთვის არსებობს მწვანე იმპერიალიზმის

---

<sup>432</sup> Theories of International Relations. Third Edition. Burchill Scott, Linklater Andrew, Devetak Richard, Donnelly Jack, Paterson Matthew, Christian Reus-Smith, Jakcui True. Palgrave Macmillan, 2005. გვ. 237

<sup>433</sup> International Relations Theory. E-International Relations. McGlinchey Stephen, Walters Rosie, Scheinpflug Christian. Bristol, 2017. გვ. 84

<sup>434</sup> Population Stabilization. <https://www.fph.org.uk/media/2540/k8-fph-sig-population-stabilisation-final.pdf> (ბოლო ნახვა: 10.07.2024)

<sup>435</sup> Conly Sarah. One Child. Do We Have a Right to More? New York, Oxford University Press. Kindle

<sup>436</sup> Linkola Pentti. Can Life Prevail? Arktos, 2011.

ფორმირების რისკი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხეს ვერც ერთი კონკრეტული ქვეყანა და ვერც ქვეყნების კოალიცია ვერ შეძლებს, ვინაიდან, ეკოლოგიური უსაფრთხოების ფორმირებაში ყველა უნდა იყოს ჩართული. ამიტომ უმჯობესია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციამ დაარეგულიროს დემოგრაფიული პროცესები ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვის მიზნით და აუცილებლად გათვალისწინებულ იქნეს ყველა ქვეყნის დემოგრაფიული ვითარება, რომლის მიხედვითაც განხორციელდება დემოგრაფიული პოლიტიკის კონკრეტული მოდელი.

### 3.3. თანამედროვე ეკოდემოგრაფიული რეალობა. დემოგრაფიული პოლიტიკის სპეციფიკა და შედარებითი ანალიზი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე

თანამედროვე დემოგრაფიული პროცესების და მასთან დაკავშირებული პრობლემების სიღრმისეულად გაცნობა-გაანალიზებისთვის უმნიშვნელოვანესია სტატისტიკური მონაცემები, სადაც აქცენტი გაკეთებულია შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტზე, მოსახლეობის სიმჭიდროვეზე, მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე, სიღარიბეზე, ტყეების ფართობზე და მათი არეალის ცვლილებებზე. ამ კუთხით კვლევაში დეტალურადაა წარმოდგენილი აზიის, ევროპის, აფრიკის, ლათინური ამერიკის და კარიბის ზღვის აუზის, ავსტრალია-ოკეანეთის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების მდგომარეობა სამხედრო დაპირისპირების ფონზე.

კონკრეტული ქვეყნების განხილვამდე აუცილებელია კონტინენტების მდგომარეობის მიმოხილვა.

კონტინენტების შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი (ერთი ქალის მიერ მთელი ცხოვრების განმავლობაში დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობა) ყველაზე მაღალია აფრიკის კონტინენტზე (4.44 შვილი 2015-2020 წლების მონაცემებით).<sup>437</sup> შედარებისთვის აზიაში 2.15 ; ევროპაში 1.61 ; ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი 2.04 ; ავსტრალია და ოკეანეთი 2.36 ; ჩრდილოეთი ამერიკა 1.75.

მოსახლეობის რაოდენობის ზრდა: <sup>438</sup>	2020	2021
მსოფლიო:	7 840 953 000 ;	7 909 295 000
აფრიკა:	1 360 677 000 ;	1 393 676 000
ავსტრალია და ოკეანეთი:	43 933 000 ;	44 492 000
აზია:	4 664 324 000 ;	4 694 576 000
ევროპა:	746 225 000 ;	745 174 000
ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი:	651 836 000 ;	656 098 000
ჩრდილოეთი ამერიკა:	373 957 000 ;	375 279 000

<sup>437</sup> Department of Economic and Social Affairs. Population Division. World population prospects 2019. Volume I: Comprehensive Tables. United Nations. New York. 2019. გვ. 137

<sup>438</sup> Population and Vital Statistical Report. Statistical Papers Series A, Vol. LXXV. January 2023. United Nations, New York, 2023. გვ. 4

მოსახლეობის სიმჭიდროვე (2021 წ.).<sup>439</sup> მსოფლიო:<sup>440</sup> 61 ადამიანი კმ<sup>2</sup> (2000: 45 ადამიანი კმ<sup>2</sup>; 2010: 51 ადამიანი კმ<sup>2</sup>; 2020: 60 ადამიანი კმ<sup>2</sup>), აფრიკა: 46 ადამიანი კმ<sup>2</sup> (2000: 26 ადამიანი კმ<sup>2</sup>; 2010: 34 ადამიანი კმ<sup>2</sup>; 2020: 45 ადამიანი კმ<sup>2</sup>), ავსტრალია და ოკეანეთი:<sup>441</sup> 5 ადამიანი კმ<sup>2</sup> (2000: 4 ადამიანი კმ<sup>2</sup>; 2010: 4 ადამიანი კმ<sup>2</sup>; 2020: 5 ადამიანი კმ<sup>2</sup>), აზია: 151 ადამიანი კმ<sup>2</sup> (2000: 116 ადამიანი კმ<sup>2</sup>; 2010: 131 ადამიანი კმ<sup>2</sup>; 2020: 150 ადამიანი კმ<sup>2</sup>), ევროპა:<sup>442</sup> 34 ადამიანი კმ<sup>2</sup> (2000: 32 ადამიანი კმ<sup>2</sup>; 2010: 32 ადამიანი კმ<sup>2</sup>; 2020: 34 ადამიანი კმ<sup>2</sup>), ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი: 33 ადამიანი კმ<sup>2</sup> (2000: 25 ადამიანი კმ<sup>2</sup>; 2010: 29 ადამიანი კმ<sup>2</sup>; 2020: 32 ადამიანი კმ<sup>2</sup>), ჩრდილოეთი ამერიკა: 20 ადამიანი კმ<sup>2</sup> (2000: 15 ადამიანი კმ<sup>2</sup>; 2010: 16 ადამიანი კმ<sup>2</sup>; 2020: 20 ადამიანი კმ<sup>2</sup>).<sup>443</sup>

ტყეების ფართობი და მათი არეალის ცვლილება: <sup>444</sup>	1990	2020
მსოფლიო:	42 364 330 ;	40 589 310
აფრიკა:	7 428 010 ;	6 366 390
აზია:	5 853 930 ;	6 226 870
ევროპა:	9 943 190 ;	10 174 610
ოკეანეთი:	1 849 740 ;	1 852 480
სამხრეთ ამერიკა:	9 736 660 ;	8 441 860
ჩრდილოეთი და ცენტრალური ამერიკა:	7 552 790 ;	7 527 100

ყველაზე სწრაფად ღარიბ ადამიანთა რაოდენობა იზრდება სუბსაჰარული აფრიკის ქვეყნებში. მხოლოდ 1 წლის განმავლობაში მოსახლეობის მატება თითქმის 3 მილიონს შეადგენდა,<sup>445</sup> ხოლო 1990 წლიდან 2018 წლამდე 150 მილიონით მოიმატა. გარდა ამისა, სიღარიბე გაიზარდა შუა აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის

<sup>439</sup> Department of Economic and Social Affairs. 2009-2010. Demographic Yearbook. Sixty-first issue. United Nations. New York, 2011. გვ. 50

<sup>440</sup> Demographic Yearbook 2000. Fifty-second issue. Department of Economic and Social Affairs. United Nations. New York, 2002. გვ. 109

<sup>441</sup> Demographic Yearbook 2020. Sixty-first issue. Department of Economic and Social Affairs. United Nations. New York, 2021. გვ. 46

<sup>442</sup> რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის ჩათვლით

<sup>443</sup> Department of Economic and Social Affairs. 2021 Demographic Yearbook. 72<sup>nd</sup> Issue. United Nations. New York. 2022. გვ. 46

შეიარაღებული კონფლიქტები რეგიონში: კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა: იტურის კონფლიქტი 1999 წლიდან; კივუს კონფლიქტი 2004 წლიდან; კონფლიქტი კატანგას რეგიონში 1963 წლიდან და სხვ.; ანგოლა (კაბინდის ომი 1975 წლიდან); კამერუნი (სამოქალაქო ომი კამერუნში (ამბაზონის კონფლიქტი) 2017 წლიდან); კონფლიქტი მალრიბში 2002 წლიდან; რელიგიური დაპირისპირება ნიგერიაში (ბოკო ჰარამი) 2009 წლიდან; ჩადი (კონფლიქტი მალრიბში; ბრძოლა ბოკო ჰარამის წინააღმდეგ); ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (სამოქალაქო ომი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში 2012 წლიდან).

რეგიონის ყველა ქვეყანაში უნდა განხორციელდეს „ერთი შვილის პოლიტიკა“: დემოგრაფიული აფეთქება და ჭარბმოსახლეობა დამახასიათებელია სრულიად რეგიონისთვის.

**აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნები შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის მიხედვით (2021 წლის მონაცემები):<sup>520</sup>**

- სომალი: 6.31 (1950 წელს: 7.25 ; 1970 წელს: 7.18 ; 2000 წელს: 7.61)
- ბურუნდი: 5.08 (1950 წელს: 6.92 ; 1970 წელს: 7.21 ; 2000 წელს: 6.87)
- ტანზანია: 4.73 (1950 წელს: 6.48 ; 1970 წელს: 6.91 ; 2000 წელს: 5.69)
- მოზამბიკი: 4.64 (1950 წელს: 5.99 ; 1970 წელს: 6.72 ; 2000 წელს: 5.81)
- უგანდა: 4.58 (1950 წელს: 6.65 ; 1970 წელს: 7.19 ; 2000 წელს: 6.83)
- სამხრეთ სუდანი: 4.47 (1950 წელს: 6.63 ; 1970 წელს: 6.88 ; 2000 წელს: 7.51)
- ზამბია: 4.31 (1950 წელს: 6.62 ; 1970 წელს: 7.37 ; 2000 წელს: 5.93)
- ეთიოპია: 4.16 (1950 წელს: 7.35 ; 1970 წელს: 6.98 ; 2000 წელს: 6.56)
- კომორის კუნძულები: 3.98 (1950 წელს: 5.69 ; 1970 წელს: 7.06 ; 2000 წელს: 5.3)
- მალავი: 3.92 (1950 წელს: 6.8; 1970 წელს: 7.31 ; 2000 წელს: 6.04)
- ერიტრეა: 3.87 (1950 წელს: 6.52 ; 1970 წელს: 6.54 ; 2000 წელს: 5.4)
- მადაგასკარი: 3.85 (1950 წელს: 7.3 ; 1970 წელს: 7.27 ; 2000 წელს: 5.4)
- რუანდა: 3.82 (1950 წელს: 7.92 ; 1970 წელს: 8.23 ; 2000 წელს: 5.92)
- ზიმბაბვე: 3.49 (1950 წელს: 7.1 ; 1970 წელს: 7.09 ; 2000 წელს: 3.97)
- კენია: 3.34 (1950 წელს: 7.33 ; 1970 წელს: 8.02 ; 2000 წელს: 5.14)

<sup>520</sup> ourworldindata.org (Population & Demography Data Explorer. Visualizing data from the United Nations World Population Prospects). (ბოლო ნახვა: 07.09.2023)

ჯიბუტი: 2.80 (1950 წელს: 6.85 ; 1970 წელს: 6.86 ; 2000 წელს: 4.58)

სეიშელის კუნძულები: 2.35 (1950 წელს: 4.84 ; 1970 წელს: 5.76 ; 2000 წელს: 2.07)

მავრიკი: 1.41 (1950 წელს: 6.05 ; 1970 წელს: 3.95 ; 2000 წელს: 1.98)

აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნები მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით (მოსახლეობა კვადრატულ კილომეტრზე) (2021 წლის მონაცემები):<sup>521</sup>

მავრიკი (639), რუანდა (556), ბურუნდი (483), კომორის კუნძულები (441), სეიშელის კუნძულები (232), უგანდა (229), მალავი (210), ეთიოპია (120), კენია (91), ტანზანია (71), მადაგასკარი (49), ჯიბუტი (47), ზიმბაბვე (41), მოზამბიკი (40), ერიტრეა (29), სომალი (27), ზამბია (26), სამხრეთ სუდანი (19).

აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნები მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მიხედვით (2021 წლის მონაცემები):<sup>522 523</sup>

ეთიოპია (3 085 000), ტანზანია (1 900 000), უგანდა (1 421 000), კენია (1 043 000), მოზამბიკი (888 000), მადაგასკარი (690 000), სომალი (545 000), ზამბია (537 000), მალავი (515 000), ზიმბაბვე (344 000), ბურუნდი (262 000), რუანდა (291 000), სამხრეთ სუდანი (195 000), ერიტრეა (79 000), კომორის კუნძულები (17 000), ჯიბუტი (13 000), მავრიკი (-367), სეიშელის კუნძულები (740).

უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს (2023 წელი):<sup>524</sup>

ეთიოპია: 8.8 მილიონი ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 7.3%);

ტანზანია: 25.8 მილიონი ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 38.1%);

უგანდა: 16.3 მილიონი ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 31.5%);

კენია: 9 მილიონი ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 17.3%);

მოზამბიკი: 20.9 მილიონი ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 61.5%);

მადაგასკარი: 17 მილიონი ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 57.9%);

სომალი: 7 მილიონი ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 40.4%);

ზამბია: 10 მილიონი ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 49%);

მალავი: 11 მილიონი ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 48.9%);

ზიმბაბვე: 7.8 მილიონი ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 42.3%);

---

<sup>521</sup> იქვე

<sup>522</sup> იქვე

<sup>523</sup> Population and Vital Statistics Report. Statistical Papers Series A, Vol. LXXV January 2023. United Nations. New York, 2023. გვ. 16

<sup>524</sup> worldpoverty.io (ბოლო ნახვა: 07.09.2023)

ბურუნდი: 9.7 მილიონი ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 79.5%);  
რუანდა: 5.4 მილიონი ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 38.9%);  
სამხრეთ სუდანი: 12.6 მილიონი ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 82.7%);  
ერიტრეა: 2.6 მილიონი ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 45.6%);  
კომორის კუნძულები: 200 000 ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 21.8%);  
ჯიბუტი: 150 000 ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 14%);  
მავრიკი (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს); სეიშელის  
კუნძულები (მონაცემები არ არის).

აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნები ტყის ფართობის მიხედვით (კვადრატული  
კილომეტრი. 2020 წლის მონაცემები):<sup>525</sup>

სეიშელის კუნძულები 337 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 73.26%); ზამბია 448 140 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის  
ფართობის 60.28%); ტანზანია 457 450 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 51.64%); მოზამბიკი  
367 437 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 46.73%); ზიმბაბვე 174 445 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის  
45.09%); მალავი 22 417 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 23.78%); მადაგასკარი 124 298 კმ<sup>2</sup>  
(ქვეყნის ფართობის 21.36%); მავრიკი 387.7 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 19.1%); კომორის  
კუნძულები 329.2 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 17.69%); ეთიოპია 170 685 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის  
ფართობის 15.12%); უგანდა 23 379 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 11.66%); სამხრეთ სუდანი  
71 570 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 11.33%); რუანდა 2 760 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 11.19%);  
ბურუნდი 2 796 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 10.89%); სომალი 59 800 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის  
9.53%); ერიტრეა 10 552 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 8.72%); კენია 36 110 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის  
ფართობის 6.34%); ჯიბუტი 58 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 0.25%).

ტყის ფართობის ცვლილება (2010 წლიდან 2020 წლამდე):<sup>526</sup>

ეთიოპია (-7 300 კმ<sup>2</sup>), ტანზანია (-42 050 კმ<sup>2</sup>), უგანდა (-4 125 კმ<sup>2</sup>), კენია (-53 კმ<sup>2</sup>),  
მოზამბიკი (-22 284 კმ<sup>2</sup>), მადაგასკარი (-1 321 კმ<sup>2</sup>), სომალი (-7 675 კმ<sup>2</sup>), ზამბია (-18 820  
კმ<sup>2</sup>), Malawi (-4 200 კმ<sup>2</sup>), ზიმბაბვე (-4 607 კმ<sup>2</sup>), ბურუნდი (857 კმ<sup>2</sup>), რუანდა (110 კმ<sup>2</sup>),  
სამხრეთ სუდანი (2010 მონაცემები არ ფიქსირდება; 2015 წლიდან 2020 წლამდე 0 კმ<sup>2</sup>),  
ერიტრეა (-316 კმ<sup>2</sup>), კომორის კუნძულები (-44 კმ<sup>2</sup>), ჯიბუტი (2 კმ<sup>2</sup>), მავრიკი (4 კმ<sup>2</sup>),  
სეიშელის კუნძულები (0 კმ<sup>2</sup>).

<sup>525</sup> data.worldbank.org (ბოლო ნახვა: 07.09.2023)

<sup>526</sup> data.worldbank.org (ბოლო ნახვა: 07.09.2023)

შეიარაღებული კონფლიქტები რეგიონში: ეთიოპია (სამოქალაქო ომი ეთიოპიაში 2018 წლიდან); უგანდა (ბრძოლა ისლამისტურ ორგანიზაციებთან 1996 წლიდან); მოზამბიკი (კონფლიქტი კაბუ-დელგადუს პროვინციაში 2017 წლიდან); სომალი (სამოქალაქო ომი სომალიში 2009 წლიდან); სამხრეთ სუდანი (სხვადასხვა ტომებს შორის დაპირისპირება 2008 წლიდან).

„ერთი შვილის პოლიტიკა“ აუცილებელია რეგიონის ყველა ქვეყანაში მავრიკის და სეიშელის რესპუბლიკის გარდა, სადაც „ორი შვილის პოლიტიკა“ დაასტაბილურებს მდგომარეობას.

**სამხრეთ აფრიკის ქვეყნები შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის მიხედვით (2021 წლის მონაცემები):<sup>527</sup>**

ნამიბია: 3.30 (1950 წელს: 5.75 ; 1970 წელს: 6.55 ; 2000 წელს: 3.98)

ლესოთო: 3.02 (1950 წელს: 5.7 ; 1970 წელს: 5.73 ; 2000 წელს: 3.66)

ესვატინი: 2.84 (1950 წელს: 6.73 ; 1970 წელს: 6.76 ; 2000 წელს: 4)

ბოტსვანა: 2.79 (1950 წელს: 6.43 ; 1970 წელს: 6.62 ; 2000 წელს: 3.31)

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა: 2.37 (1950 წელს: 6.08 ; 1970 წელს: 5.63 ; 2000 წელს: 2.41)

სამხრეთ აფრიკის ქვეყნები მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით (მოსახლეობა კვადრატულ კილომეტრზე) (2021 წლის მონაცემები):<sup>528</sup> ლესოთო (75), ესვატინი (68), სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა (48), ბოტსვანა (4), ნამიბია (3).

სამხრეთ აფრიკის ქვეყნები მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მიხედვით (2021 წლის მონაცემები):<sup>529</sup> სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა (500 000), ნამიბია (42 000), ბოტსვანა (36 000), ლესოთო (27 000), ესვატინი (15 000).

უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს (2023 წელი):<sup>530</sup>

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა: 18.2 მილიონი ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 30.1%);

ნამიბია: 740 000 ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 26.2%);

ბოტსვანა 460 000 ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 18.4%);

ლესოთო 720 000 ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 30.6%);

<sup>527</sup> ourworldindata.org (Population & Demography Data Explorer. Visualizing data from the United Nations World Population Prospects). (ბოლო ნახვა: 15.09.2023)

<sup>528</sup> იქვე

<sup>529</sup> იქვე

<sup>530</sup> worldpoverty.io (ბოლო ნახვა: 15.09.2023)

ესვატინი 500 000 ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 34.1%).

სამხრეთ აფრიკის ქვეყნები ტყის ფართობის მიხედვით (კვადრატული კილომეტრი, 2020 წლის მონაცემები):<sup>531</sup>

ესვატინი 4 975 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 28.93%); ბოტსვანა 152 547 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 26.92%); სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა 170 500 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 14.06%); ნამიბია 66 389 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 8.06%); ლესოთო 345.2 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 1.14%)

ტყის ფართობის ცვლილება (2010 წლიდან 2020 წლამდე):<sup>532</sup> სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა (-3 640 კმ<sup>2</sup>), ნამიბია (-7 100 კმ<sup>2</sup>), ბოტსვანა (-11 830 კმ<sup>2</sup>), ლესოთო (0 კმ<sup>2</sup>), ესვატინი (121 კმ<sup>2</sup>).

სამხრეთ აფრიკა ერთადერთი რეგიონია კონტინენტზე, სადაც შეარაღებული კონფლიქტები არ მიმდინარებს, თუმცა დემოგრაფიული მდგომარეობის, ეკოლოგიური უსაფრთხოების, მოსახლეობის სიმჭიდროვის და სიღარიბის კუთხით „ერთი შვილი პოლიტიკა“ აუცილებელია ლესოთოს და ესვატინიში. შესაბამისად დანარჩენ ქვეყნებში „ორი შვილის“ პოლიტიკა.

**დასავლეთ აზიის ქვეყნები შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის მიხედვით (2021 წლის მონაცემები):<sup>533</sup>**

იემენი: 3.79 (1950 წელს: 7.92 ; 1970 წელს: 8.24 ; 2000 წელს: 6.32)

პალესტინა: 3.5 (1950 წელს: 7.84 ; 1970 წელს: 7.65 ; 2000 წელს: 5.44)

ერაყი: 3.5 (1950 წელს: 6.2 ; 1970 წელს: 7.08 ; 2000 წელს: 4.95)

ისრაელი: 2.98 (1950 წელს: 4.47 ; 1970 წელს: 4.11 ; 2000 წელს: 2.95)

იორდანია: 2.83 (1950 წელს: 7.4 ; 1970 წელს: 8.11 ; 2000 წელს: 3.92)

სირია: 2.75 (1950 წელს: 7.6 ; 1970 წელს: 7.69 ; 2000 წელს: 4)

ომანი: 2.62 (1950 წელს: 7.25 ; 1970 წელს: 7.31 ; 2000 წელს: 3.89)

საუდის არაბეთი: 2.43 (1950 წელს: 7.58 ; 1970 წელს: 7.58 ; 2000 წელს: 4.11)

ქუვეითი: 2.11 (1950 წელს: 6.99 ; 1970 წელს: 6.95 ; 2000 წელს: 2.74)

ლიბანი: 2.09 (1950 წელს: 5.81 ; 1970 წელს: 5.17 ; 2000 წელს: 2.5)

---

<sup>531</sup> data.worldbank.org (ბოლო ნახვა: 15.09.2023)

<sup>532</sup> იქვე.

<sup>533</sup> ourworldindata.org (Population & Demography Data Explorer. Visualizing data from the United Nations World Population Prospects). (ბოლო ნახვა: 20.09.2023)

საქართველო: 2.08 (1950 წელს: 2.97 ; 1970 წელს: 2.67 ; 2000 წელს: 1.6)  
თურქეთი: 1.89 (1950 წელს: 6.47 ; 1970 წელს: 5.62 ; 2000 წელს: 2.5)  
ბაჰრეინი: 1.81 (1950 წელს: 7.15 ; 1970 წელს: 6.43 ; 2000 წელს: 2.78)  
კატარი: 1.80 (1950 წელს: 6.55 ; 1970 წელს: 6.48 ; 2000 წელს: 3.23)  
აზერბაიჯანი: 1.66 (1950 წელს: 5.07 ; 1970 წელს: 4.91 ; 2000 წელს: 1.97)  
სომხეთი: 1.57 (1950 წელს: 4.9 ; 1970 წელს: 3.4 ; 2000 წელს: 1.6)  
არაბთა გაერთიანებული საამიროები 1.46 (1950 წელს: 6.88 ; 1970 წელს: 6.49 ; 2000 წელს:  
2.73)  
კვიპროსი: 1.32 (1950 წელს: 3.91 ; 1970 წელს: 3.07 ; 2000 წელს: 1.64)

დასავლეთ აზიის ქვეყნები მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით (მოსახლეობა კვადრატულ კილომეტრზე) (2021 წლის მონაცემები):<sup>534</sup>  
ბაჰრეინი (1 868); პალესტინა (852); ლიბანი (546); ისრაელი (411); ქუვეითი (238); კატარი (232); კვიპროსი (134); არაბთა გაერთიანებული საამიროები (131); იორდანია (125); აზერბაიჯანი (124); სირია (116); თურქეთი (110); ერაყი (100); სომხეთი (98); იემენი (62); საქართველო (54); საუდის არაბეთი (16); ომანი (14).

დასავლეთ აზიის ქვეყნები მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მიხედვით (2021 წლის მონაცემები):<sup>535 536</sup>  
საქართველო (-13 960), თურქეთი (697 000), კვიპროსი (3 799), ლიბანი (37 723), აზერბაიჯანი (35 406), სომხეთი (1 871), ისრაელი (134 380), არაბთა გაერთიანებული საამიროები (78 988), სირია (318 249), ერაყი (983 000), პალესტინა (125 518), იორდანია (149 217), იემენი (784 000), ბაჰრეინი (13 863), საუდის არაბეთი (526 199), ქუვეითი (40 647), ომანი (69 575), კატარი (20 184).

უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს (2023 წელი):<sup>537</sup>  
საქართველო: 257 596 ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 7%);  
ლიბანი (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);  
კვიპროსი (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);  
თურქეთი (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);

<sup>534</sup> იქვე

<sup>535</sup> იქვე

<sup>536</sup> Population and Vital Statistics Report. Statistical Papers Series A, Vol. LXXV January 2023. United Nations. New York, 2023. გვ. 18-19

<sup>537</sup> worldpoverty.io (ბოლო ნახვა: 20.09.2023)

ერაყი: 4 მილიონი ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 9.2%);  
აზერბაიჯანი (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);  
სომხეთი (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);  
ისრაელი (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);  
არაბთა გაერთიანებული საამიროები (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე  
ნაკლები ცხოვრობს);  
სირია (მონაცემები არ არის);  
პალესტინა (მონაცემები არ არის);  
იორდანია (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);  
იემენი: 9.6 მილიონი ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 29.3%);  
ბაჰრეინი (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);  
საუდის არაბეთი (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);  
ქუვეითი (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);  
ომანი (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);  
კატარი (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს).

დასავლეთ აზიის ქვეყნები ტყის ფართობის მიხედვით (კვადრატული კილომეტრი, 2020 წლის მონაცემები):<sup>538</sup>

საქართველო 28 224 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 40.62%); თურქეთი 222 203 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 28.87%); კვიპროსი 1 725 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 18.67%); ლიბანი 1 433 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 14.01%); აზერბაიჯანი 11 317 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 13.69%); სომხეთი 3 284 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 11.54%); ისრაელი 1400 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 6.47%); არაბთა გაერთიანებული საამიეროები 3 173 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 4.47%); სირია 5 220 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 2.84%); ერაყი 8 250 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 1.9%); პალესტინა 101 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 1.68%); იორდანია 975 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 1.1%); იემენი 5 490 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 1.04%); ბაჰრეინი 7 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 0.89%); საუდის არაბეთი 9 770 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 0.45%); ქუვეითი 62 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 0.35%); ომანი 25 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 0.01%); კატარი 0 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 0%).

<sup>538</sup> data.worldbank.org (ბოლო ნახვა: 20.09.2023)

ტყის ფართობის ცვლილება (2010 წლიდან 2020 წლამდე):<sup>539</sup>

საქართველო (0 კმ<sup>2</sup>), თურქეთი (11 373 კმ<sup>2</sup>), კვიპროსი (-3 კმ<sup>2</sup>), ლიბანი (60 კმ<sup>2</sup>), აზერბაიჯანი (993 კმ<sup>2</sup>), სომხეთი (-21 კმ<sup>2</sup>), ისრაელი (-140 კმ<sup>2</sup>), არაბთა გაერთიანებული საამიროები (0 კმ<sup>2</sup>), სირია (300 კმ<sup>2</sup>), ერაყი (0 კმ<sup>2</sup>), პალესტინა (2 კმ<sup>2</sup>), იორდანია (0 კმ<sup>2</sup>), იემენი (0 კმ<sup>2</sup>), ბაჰრეინი (2 კმ<sup>2</sup>), საუდის არაბეთი (0 კმ<sup>2</sup>), ქუვეითი (0 კმ<sup>2</sup>), ომანი (-5 კმ<sup>2</sup>), კატარი (0 კმ<sup>2</sup>).

შეიარაღებული კონფლიქტები რეგიონში: პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი 1948 წლიდან; ქურთულ-თურქული კონფლიქტი 1978 წლიდან; სამოქალაქო ომი სირიაში 2011 წლიდან; სამოქალაქო ომი იემენში 2014 წლიდან; შეიარაღებული დაპირისპირება ერაყში 2017 წლიდან და სხვ.

„ერთი შვილის პოლიტიკა“ სასურველია გატარდეს იემენში (უკიდურესი სიღარიბე) და ბაჰრეინში (მოსახლეობის სიმჭიდროვის მაღალი დონე), ხოლო დანარჩენ ქვეყნებში საკმარისია „ორი შვილის პოლიტიკა“.

**სამხრეთ აზიის ქვეყნები შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის მიხედვით (2021 წლის მონაცემები):<sup>540</sup>**

ავღანეთი: 4.64 (1950 წელს: 7.25 ; 1970 წელს: 7.4 ; 2000 წელს: 7.53)

პაკისტანი: 3.47 (1950 წელს: 6.8 ; 1970 წელს: 6.8 ; 2000 წელს: 5.26)

ინდოეთი: 2.03 (1950 წელს: 5.73 ; 1970 წელს: 5.62 ; 2000 წელს: 3.35)

ნეპალი: 2.03 (1950 წელს: 6 ; 1970 წელს: 5.88 ; 2000 წელს: 3.94)

შრი-ლანკა: 1.99 (1950 წელს: 5.54 ; 1970 წელს: 4.36 ; 2000 წელს: 2.19)

ბანგლადეში: 1.98 (1950 წელს: 6.3 ; 1970 წელს: 6.88 ; 2000 წელს: 3.22)

ირანი: 1.69 (1950 წელს: 6.95 ; 1970 წელს: 6.71 ; 2000 წელს: 2.02)

მალდივის კუნძულები: 1.69 (1950 წელს: 6.2 ; 1970 წელს: 7.3 ; 2000 წელს: 2.71)

ბჰუტანი: 1.41 (1950 წელს: 6.85 ; 1970 წელს: 6.65 ; 2000 წელს: 3.41)

სამხრეთ აზიის ქვეყნები მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით (მოსახლეობა კვადრატულ კილომეტრზე) (2021 წლის მონაცემები):<sup>541</sup>

<sup>539</sup> data.worldbank.org (ბოლო ნახვა: 20.09.2023)

<sup>540</sup> ourworldindata.org (Population & Demography Data Explorer. Visualizing data from the United Nations World Population Prospects). (ბოლო ნახვა: 30.09.2023)

<sup>541</sup> იქვე

მალდივის კუნძულები (1 738); ბანგლადეში (1 301); ინდოეთი (473); შრი-ლანკა (347);  
პაკისტანი (300); ნეპალი (204); ავღანეთი (61); ირანი (53); ბჰუტანი (20).

სამხრეთ აზიის ქვეყნები მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მიხედვით (2021 წლის მონაცემები).<sup>542 543</sup>

ავღანეთი (1 144 000), ბანგლადეში (2 050 000), ბჰუტანი (4 668), ინდოეთი (9 780 000),  
ირანი (634 000), მალდივის კუნძულები (5 764), ნეპალი (377 392), პაკისტანი (4 710 000),  
შრი-ლანკა (120 912).

უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს (2023 წელი).<sup>544</sup>

ავღანეთი: 7 618 092 ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 18%);

ბანგლადეში: 6 664 930 ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 3.8%);

ბჰუტანი (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);

ინდოეთი: 44 213 761 ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 3.1%);

ირანი (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);

მალდივის კუნძულები (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);

ნეპალი: 2 692 880 ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 8.5%);

პაკისტანი: 11 763 249 ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 5.3%);

შრი-ლანკა (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);

სამხრეთ აზიის ქვეყნები ტყის ფართობის მიხედვით (კვადრატული კილომეტრი. 2020 წლის მონაცემები).<sup>545</sup>

ბჰუტანი 27 250 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 71.45%); ნეპალი 59 620 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 41.59%); შრი-ლანკა 21 130 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 34.16%); ინდოეთი 721 600 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 24.27%); ბანგლადეში 18 834 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 14.47%); ირანი 107 518 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 6.63%); პაკისტანი 37 259 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 4.83%); მალდივის კუნძულები 8 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 2.73%); ავღანეთი 12 084 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 1.85%).

---

<sup>542</sup> იქვე

<sup>543</sup> Population and Vital Statistics Report. Statistical Papers Series A, Vol. LXXV January 2023. United Nations. New York, 2023. გვ. 19

<sup>544</sup> worldpoverty.io (ბოლო ნახვა: 30.09.2023)

<sup>545</sup> data.worldbank.org (ბოლო ნახვა: 30.09.2023)

ტყის ფართობის ცვლილება (2010 წლიდან 2020 წლამდე):<sup>546</sup>  
ავღანეთი (0 კმ<sup>2</sup>), ბანგლადეში (-49 კმ<sup>2</sup>), ბჰუტანი (198 კმ<sup>2</sup>), ინდოეთი (26 640 კმ<sup>2</sup>), ირანი (599 კმ<sup>2</sup>), მალდივის კუნძულები (0 კმ<sup>2</sup>), ნეპალი (0 კმ<sup>2</sup>), პაკისტანი (-3 678 კმ<sup>2</sup>), შრი-ლანკა (94 კმ<sup>2</sup>).

შეიარაღებული კონფლიქტები რეგიონში: ავღანეთის კრიზისი (1978 წლიდან); ავღანეთის და პაკისტანის სასაზღვრო კონფლიქტი (2007 წლიდან); ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტი (1947 წლიდან); ბელუჯისტანის კონფლიქტი (1948 წლიდან); კონფლიქტი ვაზირისტანში (2004 წლიდან), ბანგლადეშის სამოქალაქო დაპირისპირება (1999 წლიდან - ისლამისტებთან; 2018 წლიდან - ნარკო ომი); შეიარაღებული კონფლიქტი ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოეთში (1954 წლიდან).

ჭარბმოსახლეობის პრობლემა ფიქსირდება ინდოეთში, ბანგლადეშში, ნეპალში და პაკისტანში, სადაც უნდა გატარდეს „ერთი შვილის“ პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკა უმჯობესია განხორციელდეს მალდივის კუნძულებზე, სადაც მაღალია მოსახლეობის სიმჭიდროვის დონე და შესაბამისად ძალიან მცირეა ტყის ფართობი და ავღანეთში სადაც უკიდურესი სიღარიბე მოსახლეობის 18 % შეადგენს. „ორი შვილის“ პოლიტიკა უნდა დამკვიდრდეს ბჰუტანში, ირანში და შრი-ლანკაში.

**ცენტრალური აზიის ქვეყნები შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის მიხედვით (2021 წლის მონაცემები):**<sup>547</sup>

ტაჯიკეთი: 3.19 (1950 წელს: 5.04 ; 1970 წელს: 7 ; 2000 წელს: 4.01)  
ყაზახეთი: 3.08 (1950 წელს: 4.49 ; 1970 წელს: 3.53 ; 2000 წელს: 1.95)  
ყირგიზეთი: 2.99 (1950 წელს: 4.55 ; 1970 წელს: 5.01 ; 2000 წელს: 2.62)  
უზბეკეთი: 2.86 (1950 წელს: 5.18 ; 1970 წელს: 6.35 ; 2000 წელს: 2.71)  
თურქმენეთი: 2.67 (1950 წელს: 4.89 ; 1970 წელს: 6.4 ; 2000 წელს: 2.9)

ცენტრალური აზიის ქვეყნები მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით (მოსახლეობა კვადრატულ კილომეტრზე) (2021 წლის მონაცემები):<sup>548</sup>

უზბეკეთი (80); ტაჯიკეთი (68); ყირგიზეთი (34); თურქმენეთი (13); ყაზახეთი (7).

<sup>546</sup> data.worldbank.org (ბოლო ნახვა: 30.09.2023)

<sup>547</sup> ourworldindata.org (Population & Demography Data Explorer. Visualizing data from the United Nations World Population Prospects). (ბოლო ნახვა: 07.10.2023)

<sup>548</sup> იქვე

ცენტრალური აზიის ქვეყნები მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მიხედვით (2021 წლის მონაცემები):<sup>549 550</sup>

ყაზახეთი (264 088), ყირგიზეთი (111 289), ტაჯიკეთი (216 000), თურქმენეთი (95 000), უზბეკეთი (730 670).

უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს (2023 წელი):<sup>551</sup>

ყაზახეთი (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);

ყირგიზეთი (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);

უზბეკეთი: 3 156 427 ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 9.2%)

ტაჯიკეთი (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);

თურქმენეთი (მონაცემები არ არის).

ცენტრალური აზიის ქვეყნები ტყის ფართობის მიხედვით (კვადრატული კილომეტრი. 2020 წლის მონაცემები):<sup>552</sup>

თურქმენეთი 41 270 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 8.78%); უზბეკეთი 36 896 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 8.37%); ყირგიზეთი 13 153 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 6.86%); ტაჯიკეთი 4 238 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 3.05); ყაზახეთი 34 547 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 1.28%).

ტყის ფართობის ცვლილება (2010 წლიდან 2020 წლამდე):<sup>553</sup>

ყაზახეთი (3 725 კმ<sup>2</sup>), ყირგიზეთი (857 კმ<sup>2</sup>), ტაჯიკეთი (138 კმ<sup>2</sup>), თურქმენეთი (0 კმ<sup>2</sup>), უზბეკეთი (3 400 კმ<sup>2</sup>).

შეიარაღებული კონფლიქტები რეგიონში არ მიმდინარეობს.

„ერთი შვილის“ პოლიტიკა აუცილებლად უნდა გატარდეს უზბეკეთში, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ ქვეყნებს - „ორი შვილის“ პოლიტიკა. გარდა ამისა, რეგიონის ყველა ქვეყანამ აქტიურად უნდა დაიწყოს გამწვანების პოლიტიკა, ვინაიდან როგორც მონაცემებიდან ჩანს ტყის ფართობი ძალიან მწირია.

---

<sup>549</sup> იქვე

<sup>550</sup> Population and Vital Statistics Report. Statistical Papers Series A, Vol. LXXV January 2023. United Nations. New York, 2023. გვ. 19

<sup>551</sup> worldpoverty.io (ბოლო ნახვა: 07.10.2023)

<sup>552</sup> data.worldbank.org (ბოლო ნახვა: 07.10.2023)

<sup>553</sup> data.worldbank.org (ბოლო ნახვა: 07.10.2023)

აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის მიხედვით (2021 წლის მონაცემები):<sup>554</sup>

მონღოლეთი: 2.84 (1950 წელს: 5.5 ; 1970 წელს: 7.46 ; 2000 წელს: 2.25)

ჩრდილოეთ კორეა: 1.81 (1950 წელს: 4.99 ; 1970 წელს: 3.85 ; 2000 წელს: 1.97)

იაპონია: 1.30 (1950 წელს: 3.66 ; 1970 წელს: 2.09 ; 2000 წელს: 1.37)

ჩინეთი: 1.16 (1950 წელს: 5.81 ; 1970 წელს: 6.08 ; 2000 წელს: 1.63)

სამხრეთ კორეა: 0.88 (1950 წელს: 5.97 ; 1970 წელს: 4.41 ; 2000 წელს: 1.42)

აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით (მოსახლეობა კვადრატულ კილომეტრზე) (2021 წლის მონაცემები):<sup>555</sup>

სამხრეთ კორეა (523); იაპონია (330); ჩრდილოეთ კორეა (215); ჩინეთი (148); მონღოლეთი (2).

აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მიხედვით (2021 წლის მონაცემები):<sup>556 557</sup>

იაპონია (-751 000), სამხრეთ კორეა (-45 000), ჩრდილოეთ კორეა (101 000), ჩინეთი (480 000), მონღოლეთი (52 397).

უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს (2023 წელი):<sup>558</sup>

იაპონია (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);

სამხრეთ კორეა (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);

ჩრდილოეთ კორეა (მონაცემები არ არის);

ჩინეთი (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);

მონღოლეთი (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს).

აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები ტყის ფართობის მიხედვით (კვადრატული კილომეტრი. 2020 წლის მონაცემები):<sup>559</sup>

იაპონია 249 350 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 68.41%); სამხრეთ კორეა 62 870 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 64.42%); ჩრდილოეთ კორეა 60 300 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 50.08%); ჩინეთი

<sup>554</sup> ourworldindata.org (Population & Demography Data Explorer. Visualizing data from the United Nations World Population Prospects). (ბოლო ნახვა: 13.10.2023)

<sup>555</sup> იქვე

<sup>556</sup> იქვე

<sup>557</sup> Population and Vital Statistics Report. Statistical Papers Series A, Vol. LXXV January 2023. United Nations. New York, 2023. გვ. 18-19

<sup>558</sup> worldpoverty.io (ბოლო ნახვა: 13.10.2023)

<sup>559</sup> data.worldbank.org (ბოლო ნახვა: 13.10.2023)

2 199 781 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 23.43%); მონღოლეთი 141 727 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 9.1%).

ტყის ფართობის ცვლილება (2010 წლიდან 2020 წლამდე):<sup>560</sup>  
იაპონია (-310 კმ<sup>2</sup>), სამხრეთ კორეა (-1 000 კმ<sup>2</sup>), ჩრდილოეთ კორეა (-2 123 კმ<sup>2</sup>), ჩინეთი (193 678 კმ<sup>2</sup>), მონღოლეთი (-112 კმ<sup>2</sup>).

რეგიონში ერთადერთი შეიარაღებული კონფლიქტი კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას (ჩრდილოეთ კორეა) და კორეის რესპუბლიკას (სამხრეთ კორეა) შორის დაუსრულებელი დაპირისპირებაა. („კორეის ომი“ 1950 წლიდან; ამ ეტაპზე სასაზღვრო შეტაკებები).

რეგიონის ყველა ქვეყანაში უნდა განხორციელდეს „ორი შვილის პოლიტიკა“. მიუხედავად იმისა, რომ მონღოლეთში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი მაღალია და მოსახლეობა სწრაფად იზრდება, მონღოლეთს გააჩნია საკმაოდ დიდი სივრცე. ამიტომ რეგიონში „ერთი შვილის პოლიტიკის“ აუცილებლობა არ არის.

**სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის მიხედვით (2021 წლის მონაცემები):**<sup>561</sup>

აღმოსავლეთ ტიმორი: 3.15 (1950 წელს: 6.61 ; 1970 წელს: 5.66 ; 2000 წელს: 5.98)

ფილიპინები 2.75 (1950 წელს: 7.45 ; 1970 წელს: 6.2 ; 2000 წელს: 3.71)

ლაოსი: 2.5 (1950 წელს: 6.25 ; 1970 წელს: 6.31 ; 2000 წელს: 4.4)

კამბოჯა: 2.34 (1950 წელს: 6.63 ; 1970 წელს: 5.72 ; 2000 წელს: 3.77)

ინდონეზია: 2.17 (1950 წელს: 5.19 ; 1970 წელს: 5.45 ; 2000 წელს: 2.54)

მიანმარი: 2.15 (1950 წელს: 5.95 ; 1970 წელს: 5.75 ; 2000 წელს: 2.78)

ვიეტნამი: 1.94 (1950 წელს: 5.18 ; 1970 წელს: 6.02 ; 2000 წელს: 2.07)

მალაიზია: 1.8 (1950 წელს: 6.37 ; 1970 წელს: 5.03 ; 2000 წელს: 2.91)

ბრუნეი: 1.78 (1950 წელს: 6.86 ; 1970 წელს: 5.72 ; 2000 წელს: 2.35)

ტაილანდი: 1.33 (1950 წელს: 6.34 ; 1970 წელს: 5.55 ; 2000 წელს: 1.61)

სინგაპური: 1.02 (1950 წელს: 6.25 ; 1970 წელს: 3.07 ; 2000 წელს: 1.56)

<sup>560</sup> data.worldbank.org (ბოლო ნახვა: 13.10.2023)

<sup>561</sup> ourworldindata.org (Population & Demography Data Explorer. Visualizing data from the United Nations World Population Prospects). (ბოლო ნახვა: 20.10.2023)

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით (მოსახლეობა კვადრატულ კილომეტრზე) (2021 წლის მონაცემები):<sup>562</sup>

სინგაპური (8698); ფილიპინები (379); ვიეტნამი (310); ინდონეზია (143); ტაილანდი (140); მალაიზია (102); კამბოჯა (91); აღმოსავლეთ ტიმორი (88); მიანმარი (82); ბრუნეი (77); ლაოსი (32).

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მიხედვით (2021 წლის მონაცემები):<sup>563 564</sup>

ბრუნეი (3 826), ლაოსი (114 125), მალაიზია (308 877), აღმოსავლეთ ტიმორი (23 414), კამბოჯა (207 400), ინდონეზია (1 740 000), მიანმარი (394 694), ფილიპინები (485 310), სინგაპური (14 380), ტაილანდი (-23 573), ვიეტნამი (746 000).

უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს (2023 წელი):<sup>565</sup>

ბრუნეი (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);

ლაოსი: 748 546 ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 10.1%);

მალაიზია (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);

აღმოსავლეთ ტიმორი: 384 853 ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 25.5%);

ინდონეზია: 9 692 298 ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 3.5%);

მიანმარი (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);

ფილიპინები 11 876 052 ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 10.4%);

სინგაპური (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);

კამბოჯა: 1 124 430 ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 6.4%);

ტაილანდი (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);

ვიეტნამი (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს).

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები ტყის ფართობის მიხედვით (კვადრატული კილომეტრი. 2020 წლის მონაცემები):<sup>566</sup>

ბრუნეი 3800 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 72.11%); ლაოსი 165 955 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 71.9%); აღმოსავლეთ ტიმორი 9 211 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 61.94%); მალაიზია 191 140

---

<sup>562</sup> იქვე

<sup>563</sup> იქვე

<sup>564</sup> Population and Vital Statistics Report. Statistical Papers Series A, Vol. LXXV January 2023. United Nations. New York, 2023. გვ. 19

<sup>565</sup> worldpoverty.io (ბოლო ნახვა: 20.10.2023)

<sup>566</sup> data.worldbank.org (ბოლო ნახვა: 20.10.2023)

კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 58.18%); ინდონეზია 921 332 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 49.07%); ვიეტნამი 146 430 კმ<sup>2</sup> (46.72%); კამბოჯა 80 683 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 45.71%); მيانმარი 285 438 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 43.73%); ტაილანდი 198 730 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 38.9%); ფილიპინები 71 885 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 24.11%); სინგაპური 155 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 21.69%).

ტყის ფართობის ცვლილება (2010 წლიდან 2020 წლამდე):<sup>567</sup>

ბრუნეი (0 კმ<sup>2</sup>), ლაოსი (-3 450 კმ<sup>2</sup>), მალაიზია (1 664 კმ<sup>2</sup>), აღმოსავლეთ ტიმორი (-140 კმ<sup>2</sup>), კამბოჯა (-25 209 კმ<sup>2</sup>), ინდონეზია (-75 260 კმ<sup>2</sup>), მيانმარი (-28 972 კმ<sup>2</sup>), ფილიპინები (3 488 კმ<sup>2</sup>), სინგაპური (-22 კმ<sup>2</sup>), ტაილანდი (2 000 კმ<sup>2</sup>), ვიეტნამი (12 550 კმ<sup>2</sup>).

შეიარაღებული კონფლიქტები რეგიონში: სამოქალაქო ომი მيانმარში (1948 წლიდან); კონფლიქტი სამხრეთ ტაილანდში (2004 წლიდან); სამოქალაქო დაპირისპირება ფილიპინებში (1969 წლიდან - მთავრობა კომუნისტების და ისლამისტების წინააღმდეგ; 2016 წლიდან ნარკო ომი).

რეგიონის ქვეყნებიდან „ერთი შვილის“ პოლიტიკა უნდა გატარდეს ფილიპინებზე, აღმოსავლეთ ტიმორში და ინდონეზიაში, ხოლო რეგიონის დანარჩენ ქვეყნებში „ორი შვილის“ პოლიტიკა. რაც შეეხება სინგაპურს, მიუხედავად ეკონომიკური სიძლიერისა, ქვეყანაში საკმაოდ მაღალია მოსახლეობის სიმჭიდროვე და ამასთანავე მოსახლეობის რაოდენობა იზრდება, ტყის ფართობი კლებულობს (2010-2020 წლების მონაცემები), შესაბამისად სასურველია „ერთი შვილის პოლიტიკის“ დამკვიდრება.

**ოკეანეთის ქვეყნები შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის მიხედვით (2021 წლის მონაცემები):<sup>568</sup>**

სოლომონის კუნძულები: 3.98 (1950 წელს: 7 ; 1970 წელს: 7 ; 2000 წელს: 4.76)

სამოა: 3.93 (1950 წელს: 7.39 ; 1970 წელს: 7.46 ; 2000 წელს: 4.51)

ვანუატუ: 3.74 (1950 წელს: 7.16 ; 1970 წელს: 6.43 ; 2000 წელს: 4.48)

ნაურუ: 3.52 (1950 წელს: 4.85 ; 1970 წელს: 4.63 ; 2000 წელს: 3.64)

კირიბატი: 3.3 (1950 წელს: 6.19 ; 1970 წელს: 5.59 ; 2000 წელს: 4.06)

<sup>567</sup> data.worldbank.org (ბოლო ნახვა: 20.10.2023)

<sup>568</sup> ourworldindata.org (Population & Demography Data Explorer. Visualizing data from the United Nations World Population Prospects). (ბოლო ნახვა: 25.10.2023)

ტონგა: 3.24 (1950 წელს: 6.76 ; 1970 წელს: 5.94 ; 2000 წელს: 4.11)  
პაპუა-ახალი გვინეა: 3.21 (1950 წელს: 5.71 ; 1970 წელს: 6.25 ; 2000 წელს: 4.52)  
ტუვალუ: 3.16 (1950 წელს: 5.39 ; 1970 წელს: 3.94 ; 2000 წელს: 3.81)  
მარშალის კუნძულები: 2.73 (1950 წელს: 7.74 ; 1970 წელს: 8.21 ; 2000 წელს: 4.59)  
მიკრონეზია: 2.71 (1950 წელს: 6.59 ; 1970 წელს: 6.94 ; 2000 წელს: 4.28)  
ფიჯი: 2.47 (1950 წელს: 6.3 ; 1970 წელს: 4.66 ; 2000 წელს: 3.03)  
პალაუ: 2.41 (1950 წელს: 6.74 ; 1970 წელს: 5.86 ; 2000 წელს: 1.78)  
ახალი ზელანდია: 1.77 (1950 წელს: 3.55 ; 1970 წელს: 3.17 ; 2000 წელს: 1.98)  
ავსტრალია: 1.60 (1950 წელს: 3.06 ; 1970 წელს: 2.86 ; 2000 წელს: 1.77)

ოკეანეთის ქვეყნები მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით (მოსახლეობა კვადრატულ კილომეტრზე) (2021 წლის მონაცემები):<sup>569</sup>

ნაურუ (625); ტუვალუ (373); მარშალის კუნძულები (233); კირიბატი (177); ტონგა (163); მიკრონეზია (161); სამოა (77); ფიჯი (50); პალაუ (39); ვანუატუ (26); სოლომონის კუნძულები (24); პაპუა-ახალი გვინეა (21); ახალი ზელანდია (19); ავსტრალია (3).

ოკეანეთის ქვეყნები მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მიხედვით (2021 წლის მონაცემები):<sup>570 571</sup>

ავსტრალია (132 414), ფიჯი (9 725), კირიბატი (2 705), ახალი ზელანდია (23 727), მარშალის კუნძულები (504), მიკრონეზია (1 652), ნაურუ (263), პალაუ (54), პაპუა-ახალი გვინეა (187 262), სამოა (4 804), სოლომონის კუნძულები (17 537), ტონგა (1 712), ტუვალუ (164), ვანუატუ (7 676).

უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს (2023 წელი):<sup>572</sup>

ავსტრალია (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);

ფიჯი (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);

პაპუა-ახალი გვინეა: 2 802 200 ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 30.7%);

კირიბატი (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);<sup>573</sup>

ახალი ზელანდია (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);

---

<sup>569</sup> იქვე

<sup>570</sup> იქვე

<sup>571</sup> Population and Vital Statistics Report. Statistical Papers Series A, Vol. LXXV January 2023. United Nations. New York, 2023. გვ. 21

<sup>572</sup> worldpoverty.io (ბოლო ნახვა: 25.10.2023)

<sup>573</sup> data.worldbank.org (ბოლო ნახვა: 25.10.2023)

მარშალის კუნძულები (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);<sup>574</sup>

ვანუატუ: 52 860 (ქვეყნის მოსახლეობის 17.3%);

მიკრონეზია (16% 2013 წლის მონაცემები);<sup>575</sup>

ნაურუ (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);

პალაუ (მონაცემები არ არის);

სამოა (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს);<sup>576</sup>

სოლომონის კუნძულები: 178 913 ადამიანი (ქვეყნის მოსახლეობის 25.8%);

ტონგა (უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის 3%-ზე ნაკლები ცხოვრობს)<sup>577</sup> ;

ტუვალუ (3.6% 2010 წლის მონაცემები).<sup>578</sup>

ოკეანიის ქვეყნები ტყის ფართობის მიხედვით (კვადრატული კილომეტრი. 2020 წლის მონაცემები):<sup>579</sup>

მიკრონეზია 644 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 92.03%); სოლომონის კუნძულები 25 229 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 90.14%); პალაუ 414 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 90.02%); პაპუა-ახალი გვინეა 358 557 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 79.18%); ფიჯი 11 400 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 62.4%); სამოა 1 616 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 58.2%); მარშალის კუნძულები 94 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 52.2%); ახალი ზელანდია 98 925 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 37.6%); ვანუატუ 4 423 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 36.28%); ტუვალუ 10 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 33.33%); ავსტრალია 1 340 051 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 17.42%); ტონგა 89 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 12.4%); კირიბატი 11.8 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 1.5%); ნაურუ 0 კმ<sup>2</sup> (ქვეყნის ფართობის 0%).

ტყის ფართობის ცვლილება (2010 წლიდან 2020 წლამდე):<sup>580 581</sup>

ავსტრალია (44 590 კმ<sup>2</sup>), ფიჯი (668 კმ<sup>2</sup>), კირიბატი (0 კმ<sup>2</sup>), ახალი ზელანდია (444 კმ<sup>2</sup>), მარშალის კუნძულები (0 კმ<sup>2</sup>), მიკრონეზია (0 კმ<sup>2</sup>), ნაურუ (0 კმ<sup>2</sup>), პალაუ (0 კმ<sup>2</sup>), პაპუა-

---

<sup>574</sup> Ibid

<sup>575</sup> Ibid

<sup>576</sup> Ibid

<sup>577</sup> Ibid

<sup>578</sup> Ibid

<sup>579</sup> Ibid

<sup>580</sup> data.worldbank.org (ბოლო ნახვა: 25.10.2023)

<sup>581</sup> Global Forest Resources Assessment 2020. Main Report. Food and Agriculture Organization of the United Nations. Rome, 2020. P. 136-142

ახალი გვინეა (-3 231 კმ<sup>2</sup>), სამოა (მონაცემები არ არის), სოლომონის კუნძულები (-73 კმ<sup>2</sup>), ტონგა (0 კმ<sup>2</sup>), ტუვალუ (0 კმ<sup>2</sup>), ვანუატუ (0 კმ<sup>2</sup>).

შეიარაღებული კონფლიქტები რეგიონში არ მიმდინარეობს.

მოსახლეობის სიმჭიდროვის მაღალი დონის გარდა, რომელიც რეგიონის ქვეყნების უმრავლესობას ახასიათებს, მოსახლეობა საკმაოდ სწრაფად იზრდება. ჭარბმოსახლეობა პაპუა-ახალი გვინეის გარდა ფიქსირდება ვანუატუზე და სოლომონის კუნძულებზე. სამივე ქვეყნის შემთხვევაში აუცილებელია „ერთი შვილის“ პოლიტიკის დაწყება, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში „ორი შვილის“ პოლიტიკა იქნება სტაბილურობის გარანტი.

წარმოდგენილი კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ქვეყნების ისტორიული დემოგრაფიული, სოციალურ-პოლიტიკური და ეკოლოგიური მდგომარეობის შედარებითი ანალიზი, რომლის მიხედვითაც ქვეყნების კარდინალური განსხვავებებიდან გამომდინარე (შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი; მოსახლეობის სიმჭიდროვე; მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა; უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა, აღნიშნულ პირობებში მცხოვრები მოსახლეობის პროცენტი; ტყეების ფართობი და მათი არეალის ცვლილება; შეიარაღებული დაპირისპირება), მივედით იმ დასკვნამდე, რომ მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაციისთვის აუცილებელია სპეციფიკური დემოგრაფიული პოლიტიკა, რაც ნიშნავს იმას, რომ ზოგიერთ ქვეყანაში უნდა ამოქმედდეს „ერთი შვილის პოლიტიკა“, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში შესაბამისად „ორი შვილის პოლიტიკა“.

ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე უდავოა, რომ ძირითად შემთხვევაში ეკოლოგიური, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (ტყეების ფართობის შემცირება, გარემოს დაბინძურება, სიღარიბე, შეიარაღებული კონფლიქტები და ძალადობის სიხშირე და სხვ.) დამახასიათებელია იმ ქვეყნებისთვის, სადაც მიმდინარეობს დემოგრაფიული აფეთქება, რომლის შედეგია ჭარბმოსახლეობა.

### 3.4. მწვანე ეკონომიკა და მოსახლეობის დინამიკა

მოსახლეობის მუდმივი ზრდის და ეკოლოგიური პრობლემების გაუარესების პირობებში სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს მწვანე ეკონომიკა. ტერმინი მწვანე ეკონომიკა პირველად შემოღებულ იქნა 1989 წელს<sup>582</sup> და როგორც მდგრადი განვითარების აღმნიშვნელი, ეკოლოგიური ეკონომიკის კვლევებზე იყო დაფუძნებული.<sup>583</sup> XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ბუნებრივ გარემოსთან დაკავშირებული პრობლემები სულ უფრო მეტი ეკონომისტის ყურადღებას იპყრობს. მათ შორის გამოირჩევა კ. ბოულდინგი (1910-1993), რომლის კვლევების მიხედვით ეკონომიკა ემორჩილება ბიოსფეროს კანონებს. აღნიშნული კონცეპცია გახდა ეკონომიკურ მეცნიერებაში ეკოლოგიური ალტერნატივების წარმომქმნელი.<sup>584</sup>

1968 წელს დაარსებული რომის კლუბის ინიციატივით განხორციელდა კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული პროცესების, ეკოლოგიური ანალიზის და გლობალური მოდელირების კვლევები.<sup>585</sup> აღნიშნულ კვლევათა დასკვნებიდან გამომდინარე, გასაგები ხდება, რომ გლობალური კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია მოსახლეობის ზრდის შენელება (ან შეჩერება), ბუნებრივი რესურსების მოხმარების და ბუნებრივი გარემოს დაბინძურების დონის კლება, ეკონომიკის ზრდის ტემპების შეზღუდვა. ეკონომიკურ მეცნიერებას კი ახალ გამოწვევებზე რეაგირების უნარი არ გააჩნდა, რამაც განაპირობა 1960-70-იან წლებში ეკონომიკურ მეცნიერებაში ცალკე მიმართულების - ბუნებრივი გარემოს ეკონომიკის (Environmental Economics) ჩამოყალიბება.<sup>586</sup> ეკოლოგიური პრობლემების გამწვავების ფონზე 1980-90-იან წლებში ვითარდება ეკოლოგიური ეკონომიკა (Ecological Economics),<sup>587</sup> რომელიც ბუნებრივი გარემოს ეკონომიკისგან განსხვავებით წარმოადგენს დამოუკიდებელ ინტერდისციპლინურ კვლევას, რომლის ჩარჩოებშიც ეკონომიკა გვევლინება

---

<sup>582</sup> A guidebook to the Green Economy. This document was prepared by Cameron Allen and Stuart Clouth, UN Division for Sustainable Development, August 2012.

<sup>583</sup> იქვე.

<sup>584</sup> Деревяго И.П. Зеленый рост экономики. От теории к практике. Минск, «Бинера», 2019. გვ. 9

<sup>585</sup> იქვე.

<sup>586</sup> იქვე. გვ. 10

<sup>587</sup> An Introduction to Ecological Economics. Robert Constanza, John H. Cumberland, Daly Herman, Robert Goodland, Richard B. Norgaard, Ida Kubiszewski, Carol Franco, Second Edition. CRC Press, 2015.

ბიოსფეროს, როგორც უფრო მაღალი დონის სისტემის ერთ-ერთ ქვესისტემად.<sup>588</sup> ეკოლოგიური ეკონომიკა თავის მხრივ წარმოადგენს ეკონომიკის გარდაქმნის მცდელობას, რათა მდგრადობა შეიქმნას.<sup>589</sup> XX საუკუნის მეორე ნახევარში არსებულმა ეკოლოგიურმა კრიზისებმა გამოიწვიეს კაპიტალიზმის ახალი კრიტიკა, ხოლო ამ კრიტიკიდან ჩამოყალიბდა პოლიტიკური ეკოლოგია, რომელიც საკმაოდ ახლოს არის ეკოლოგიურ ეკონომიკასთან. თუმცა ამ უკანასკნელში სამართლიანობასთან დაკავშირებული არგუმენტები ფორმალურად ნეოკლასიკურია (1870 წლიდან ეკონომიკამ დაიწყო ევოლუცია კლასიკური ეკონომიკიდან ნეოკლასიკურამდე),<sup>590</sup> ხოლო სამართლიანობისადმი პოლიტიკური ეკოლოგიის კვლევები ძალის, სიღარიბის და ბუნებრივი გარემოს ტრანსფორმაციის საკითხების შესახებ გამოიყენება მარქსისტული ანალიზი.<sup>591</sup>

ეკოლოგიური ეკონომიკის პოზიცია გამოიხატება იმაში, რომ ფიზიკური კაპიტალის უსასრულო ზრდას აზრი არ აქვს ბუნებრივი კაპიტალის (Natural capital) გამოფიტვისას, ამიტომ ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება უმთავრესი ამოცანა არის.<sup>592</sup> ამასობაში ინტერდისციპლინურობა და კრიტერიუმების სიმრავლე ხდება მეთოდოლოგიური სირთულეების და წინააღმდეგობის მიზეზი, რაც ხელს უშლის ეკოლოგიური ეკონომიკის პრაქტიკაზე რეალიზებას, აქედან გამომდინარე, ეკოლოგიური ეკონომიკის გამოყენებითი მიმართულების გაძლიერების აუცილებლობამ გამოიწვია ისეთი ახალი მიმართულების ფორმირება, როგორც არის მწვანე ეკონომიკა.<sup>593</sup>

გაეროს გარემოს დაცვითი პროგრამა (UNEP) განსაზღვრავს «მწვანე» ეკონომიკას, როგორც ეკონომიკას, რომელიც ადამიანთა კეთილდღეობის და სოციალური თანასწორობის წარმოქმნასთან ერთად მნიშვნელოვნად ამცირებს ეკოლოგიურ რისკებს და ეკოლოგიურ დეფიციტებს, რომლის პირობებშიც ხდება

---

<sup>588</sup> Деревяго И.П. Зеленый рост экономики. От теории к практике. Минск, «Бинера», 2019. გვ. 11

<sup>589</sup> An Introduction to Ecological Economics. Robert Constanza, John H. Cumberland, Daly Herman, Robert Goodland, Richard B. Norgaard, Ida Kubiszewski, Carol Franco, Second Edition. CRC Press, 2015. გვ. 24

<sup>590</sup> Common Mick and Stagl Sigrid. Ecological Economics. An Introduction. Cambridge University Press, 2005. გვ. 3

<sup>591</sup> An Introduction to Ecological Economics. Robert Constanza, John H. Cumberland, Daly Herman, Robert Goodland, Richard B. Norgaard, Ida Kubiszewski, Carol Franco, Second Edition. CRC Press, 2015. გვ. 84

<sup>592</sup> Деревяго И.П. Зеленый рост экономики. От теории к практике. Минск, «Бинера», 2019. გვ. 11

<sup>593</sup> იქვე. გვ. 12

ბიომრავალფეროვნების დაკარგვის თავიდან აცილება.<sup>594</sup> მწვანე ეკონომიკის ძირითდი მიზანია ისეთი ეკონომიკური ზრდის და ინვესტიციების უზრუნველყოფა, რომლის პირობებშიც ბუნებრივი გარემოს და სოციალური ინტეგრაციის ხარისხის გაზრდა შედეგა.<sup>595</sup>

საყურადღებოა მწვანე ეკონომიკის ხუთი პრინციპი:<sup>596</sup>

1) კეთილდღეობის პრინციპი - მწვანე ეკონომიკის პირობებში ყველას შეუძლია შექმნას და დატკბეს კეთილდღეობით:

მწვანე ეკონომიკა ორიენტირებულია ადამიანებზე, მისი მიზანია საერთო კეთილდღეობის შექმნა. იგი ფოკუსირებულია სიმდიდრის ზრდაზე, რაც არა მხოლოდ ფინანსურ, არამედ პირველ რიგში, ბუნებრივი კაპიტალის სრულ სპექტრს მოიცავს. მწვანე ეკონომიკის მიზანია ეკოლოგიურად მდგრადი და ღირსეული ცხოვრება ყველასთვის (საწარმოების და სამუშაო ადგილების შესაძლებლობის შექმნა). მიუხედავად იმისა, რომ მწვანე ეკონომიკა დაფუძნებულია ინდივიდუალურ არჩევანზე, ამომავალი წერტილია საერთო საზოგადოებრივი კეთილდღეობა.

2) სამართლიანობის პრინციპი - მწვანე ეკონომიკა ხელს უწყობს სამართლიანობას თაობებში და თაობებს შორის.

მწვანე ეკონომიკა არის ინკლუზიური და არა დისკრიმინაციული. სარგებელის და ხარჯების გადანაწილება სამართლიანად ხდება. მწვანე ეკონომიკა ამცირებს უთანასწორობას ადამიანებს შორის და რაც მთავარია, უზრუნველყოფს საკმარის სივრცეს ველური ბუნებისთვის. აუცილებელია ეკონომიკის გრძელვადიანი პერსპექტივა, სიმდიდრის შექმნა მომავალი მოქალაქეებისთვის, სიღარიბის და უსამართლობის აღმოფხვრა. მწვანე ეკონომიკა დაფუძნებულია სოლიდარობასა და სოციალურ სამართლიანობაზე, სოციალური კავშირების, ნდობის განმტკიცებაზე ადამიანებს შორის (ადგილობრივ ხალხებს და სრულიად უმცირესობებს შორის). მწვანე ეკონომიკა ხელს უწყობს მცირე და საშუალო საწარმოებს.

---

<sup>594</sup> ЮНЕП, 2011 г. Навстречу «зеленой» экономике: пути к устойчивому развитию и искоренению бедности. [www.unep.org/greenconomy](http://www.unep.org/greenconomy) Макет подготовлен Юнеп/ГРИД-Арендаль, [www.grida.no](http://www.grida.no) Программа ООН по окружающей среде, 2011.

<sup>595</sup> იქვე.

<sup>596</sup> The 5 Principles of Green Economy. 07<sup>th</sup> June, 2020. <https://www.greenconomycoalition.org/news-and-resources/the-5-principles-of-green-economy> (ბოლო ნახვა: 18.03.2025)

3) პლანეტარული საზღვრების პრინციპი - მწვანე ეკონომიკა იცავს, აღადგენს და ინვესტირებას ახდენს ბუნებაში:

ინკლუზიური მწვანე პოლიტიკა აღიარებს და ზრდის ბუნების მრავალფეროვნებას. მწვანე ეკონომიკა აღიარებს ბუნებრივი კაპიტალის შეზღუდულობას, მისი ლიმიტების შენარჩუნება და კრიტიკულ ზღვარამდე შემცირების დაუშვებლობა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტებია. ვინაიდან, ბალანსის შენარჩუნების არ ქონა იწვევს ეკოლოგიური ლიმიტების რღვევას. მწვანე ეკონომიკა ინვესტირებას ახდებს ბიომრავალფეროვნების, ნიადაგის, წყლის, ჰაერის, ნატურალური სისტემების დაცვაში, აღდგენაში და განვითარებაში.

4) ეფექტურობის და საკმარისობის პრინციპი - მწვანე ეკონომიკა მიმართულია მდგრადი მოხმარების და წარმოების მხარდასაჭერად:

ინკლუზიური მწვანე ეკონომიკა არის მრავალფეროვანი, ციკლური, დაბალი ნახშირბადის, ენერჯის შემნახველი. მასში აღიარებულია გლობალური ცვლილებების აუცილებლობა, რაც ბუნებრივი რესურსების გამოყენების შეზღუდვაში და მდგრადობის დონის მიღწევაში გამოიხატება. იგი აღიარებს მომხმარებლობის მინიმიზაციას. მწვანე ეკონომიკისთვის მიუღებელია ჭარბმოხმარება. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ცხოვრება გლობალურ დონეზე ყველასთვის გაუმჯობესდეს.

5) კარგი მმართველობის პრინციპი - მწვანე ეკონომიკა ეყრდნობა ინტეგრირებულ, მდგრად და პასუხისმგებელ ინსტიტუტებს:

მწვანე ეკონომიკას მხარს უჭერენ ინსტიტუტები, რომლებიც ინტეგრირებულნი არიან, თანამშრომლობენ და მოქმედებენ თანმიმდევრულად - როლების შესრულება ხდება ეფექტურად, ნაყოფიერად და სრული პასუხისმგებლობით. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინტერდისციპლინურობას. მდგრადი საზოგადოების ფორმირებისთვის საჭიროა საზოგადოების ჩართულობა, გამჭვირვალობა, ინფორმირებულობა, სოციალური დიალოგი. მწვანე ეკონომიკა მხარს უჭერს ლოკალური ეკონომიკის და ბუნებრივი სისტემების მართვას, მკაცრი ცენტრალიზებული სტანდარტების, პროცედურების გათვალისწინებით. იგი ქმნის ფინანსურ სისტემას, რომლის მიზანია კეთილდღეობა და მდგრადობა.

